

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივი
დეპარტამენტი

სალომე სულაბერიძე

აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივები გურიის
რეგიონში

(წარმოდგენილია ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად)

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი
მურმან ცეცხლაძე

„როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ
ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა
ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან
დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული
ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

სალომე სულაბერიძე

ხელმოწერა:

თარიღი: 02.06.2023

შინაარსი

შესავალი	4
თავი I. აგროტურიზმის განვითარების თანამედროვე დონე და ძირითადი კანონზომიერებები	9
1.1 აგროტურიზმის წარმოშობა და განვითარების თანამედროვე დონე	9
1.2. აგროტურიზმის განვითარების კანონზომიერებანი	17
1.3. აგროტურისტული პროდუქტის სპეციფიკური თავისებურებანი	29
თავი II. აგროტურიზმის განვითარების მსოფლიო გამოცდილება და ტენდენციები	36
2.1 აგროტურიზმის განვითარების თანამედროვე გამოცდილება	36
2.2 აგროტურისტული საქმიანობის რეგულირების მოდელები	64
2.3. აგროტურიზმის გლობალური ტენდენციები	71
თავი III. აგროტურიზმის განვითარება საქართველოში, გურიის რეგიონის მაგალითზე	83
3.1. აგროტურიზმის განვითარება საქართველოში	83
3.2. აგროტურიზმის პოტენციალი გურიის რეგიონში	96
3.3. აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივები გურიის რეგიონში	133
დასკვნა და რეკომენდაციები	160
გამოყენებული ლიტერატურა	168

შესავალი

ნაშრომის აქტუალურობა - ტურიზმი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომლის ერთ-ერთ ქვედარგს - აგროტურიზმს განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაში. ფერმერებს უჩენს მოტივაციას გამრავალფეროვნონ მათ მიერ წარმოებული პროდუქცია, რაც გაზრდის სოფლის მეურნეობიდან მიღებულ შემოსავალს. ამასთან, ზრდის ქვეყნის მთლიანი სამამაულო პროდუქტის მოცულობას, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ავითარებს ადგილობრივ ეკონომიკას და ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას.

„ტურიზმი“ მოიცავს მრავალ ხელშესახებ და არამატერიალურ ელემენტს, რომლებიც გავლენას ახდენენ სხვა დარგებზე, ან უკავშირდება მათ. აქედან გამომდინარე, ტურიზმს აქვს შესაძლებლობა, ეკონომიკური წარმატება მოუტანოს მრავალ სხვა სექტორს, ადგილობრივ ეკონომიკას.

საქართველოს ერთ-ერთ რეგიონს - გურიას ყველა წინაპირობა აქვს წარმატებით განავითაროს აგროტურიზმი, რაც შესაძლებლობას მისცემს ადგილობრივ ფერმერებს გაზარდონ ადგილობრივი წარმოების დამატებული ღირებულება, კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახადონ მათ მიერ წარმოებული პროდუქცია, რისთვისაც აუცილებელია სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის კავშირების გაძლიერება რეგიონის ეკონომიკური განვითარების გეგმის გათვალისწინებით.

გურიის რეგიონის ნიადაგ-კლიმატური პირობები იძლევა მემცნარეობის ისე-თი დარგების განვითარების შესაძლებლობას, როგორიცაა: მეციტრუსეობა, მეჩა-იეობა, კენკროვანი კულტურების, სუბტროპიკული ხილის წარმოება და სხვ. ასევე, არის საყვავილე და სასათბურე მეურნეობები. რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში გავრცელებულია მეცხოველეობა, მეფრინველეობა, სატბორე მეურნეობები.

გურიაში აგროტურიზმის განვითარების ძირითადი პრინციპია: სუფთა გარემოში ტურისტების დასვენება, მათი სოფლის საქმიანობაში ჩართვა, გურული სტუმართმოყვარეობის გაცნობა, რაც დიდ სიამოვნებას ანიჭებს დამსვენებლებს, ფერმერისათვის კი დამატებითი შემოსავლი მოაქვს.

ყოველივე ამის შედეგად კი სოფლებში გაჩნდება სამუშაო ადგილები. მოსახლებას აღარ მოუწევს სამუშაოს ძიება საზღვარგარეთ, ეს ხელს შეუწყობს მიგრაციის შემცირებას. აღნიშნულ პროცესებს მოჰყვება ინფრასტრუქტურისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესება. ყოველივე ეს განაპირობებს თემის აქტუალობას.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა - ტურიზმის და კერძოდ, აგროტურიზმის საქმიანობის როლი და მნიშვნელობა, მეტ-ნაკლებად შესწავლილია ქართველი და უცხოელი მეცნიერ-მკვლევარების მიერ.

აგროტურიზმზე მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვთ მიძღვნილი უცხოელ მეცნიერებს: ბ. ბოსკს, ჯ. ბრაიდენჰანს, ტ. ვოლკოვა-გონჩაროვას, ე. ვაიკენსს, რ. თარნერს, ო. კორობოვას, ჯ.ლოპას, რ. მარესკის, ს. მარქარიანს და სხვ.

ქართველ ავტორთაგან აღსანიშნავია ი. ახალგედაშვილის, რ. ბერიძის, გ. ბედიანაშვილის, ი. გაგნიძის, მ. გოგელიას, ა.დევაძის, მ.დიასამიძის, ი. კორძაიას, მ. მეტრეველის, ჟ.მიქაშვიძის, ნ. სამჭერაშვილის, ლ. ყორღანაშვილის, ი. შალამბერიძის, გ. შანიძის, ნ. შარაბიძის, პ. ჩაგანავას, ნ. ჩიხლაძის, ე. ხარაიშვილის, ლ. ხარტიშვილის, ნ. ხახუბიას, ც. ცეცხლაძის, ნ. ჯაბნიძის, და სხვათა ნაშრომები.

თუმცა ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი ტურიზმის პოტენციალი რეგიონების დონეზე, განსაკუთრებით აგროტურიზმის მიმართულებით. სწორედ ამ რეალობამ განაპირობა, ჩემ მიერ საკვალიფიკაციო ნაშრომისათვის, ამ თემის არჩევა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია: გურიის რეგიონში აგროტურიზმის განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, პრობლემის გადაჭრის გზების დასახვა და სამომავლო შედეგების პროგნოზირება.

ამ მიზნიდან გამომდინარე დავსახეთ შემდეგი ამოცანები:

- საერთაშორისო აგროტურისტული ბაზრის მოთხოვნებისა და ტენდენციების ანალიზი;
- აგროტურიზმის ისტორიისა და უცხოური გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობების შესწავლა.
- გურიის რეგიონში აგროტურიზმის განვითარებისათვის საჭირო რესურსების შესწავლა, შესაძლო ობიექტების გამოვლენა;

➤ რეგიონში, არსებული მდგომარეობის და განვითარების სტრატეგიების ანალიზი;

➤ რეგიონში, აგროტურიზმის ეფექტიანი განვითარებისათვის სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების განსაზღვრა.

კვლევის ობიექტი და საგანი: სადისერტაციო ნაშრომის შესწავლის ობიექტია აგროტურიზმის სექტორი, ხოლო კვლევის საგანია აგროტურიზმის განვითარების შესაძლებლობები გურიის რეგიონში, პერსპექტივები, პრობლემები და მისი დაძლევის გზები.

კვლევის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძველი. ნაშრომში უცხოური და ქართული ლიტერატურის შესწავლის გზით ვისარგებლეთ შედარებითი ანალიზით. გარდა ამისა, მიღებული სტატისტიკური მონაცემებისა და შედეგების გამოვლენის მიზნით, გამოვიყენეთ როდენობრივი და სინთეზური ანალიზი.

მონაცემების მოპოვების მიზნით ჩავატარეთ კვლევა გამოკითხვის მეთოდით, კითხვარის შევსების გზით. გამოკითხვის ეს გზა იმიტომ შევარჩიეთ, რომ არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები გურიის რეგიონში ტურიზმისა და აგროტურიზმის შესახებ.

გამოკითხული იქნა, როგორც აგროტურიზმში ჩართული ადგილობრივი ფერმერები, ასევე ის ფერმერებიც რომლებიც არ არიან ჩართულნი ტურიზმში. არსებული მდგომარეობის შეფასებასა და პრობლემების გამოკვეთაში დაგვეხმარა ადგილობრივი თვითმმართველი ობიექტების წარმომადგენლების გამოკითხვაც.

გამოკითხვის შედეგად, მოპოვებული მონაცემების ანალიზი განხორციელდა. შედგა რამდენიმე ცხრილი და დიაგრამა, ჩამოყალიბდა დასკვნები და რეკომენდაციები.

კვლევის პროცესში გამოყენებულია: აგროტურიზმის მიმართულებით არსებული სამეცნიერო ნაშრომები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის კრებულები, ქართველი და უცხოელი მკვლევარ-მეცნიერთა ნაშრომები, სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს სამსახურისა და სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს“ მონაცემები. ასევე გურიის რეგიონის მუნიციპალიტეტების ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის ტურიზმის სამსახურების მონაცემები.

კვლევის ჰარმონიზაციის კვლევის მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით შემუშავდა რამდენიმე ჰარმონიზაციის მოდელი კვლევის ამოცანებთან დაკავშირებით:

ჰარმონიზაციის მოდელი 1: აგროტურიზმის განვითარება რეგიონში, ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, მათ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას;

ჰარმონიზაციის მოდელი 2: აგროტურიზმის განვითარება მოითხოვს: ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, სოფლების წარმოჩენას, ბუნებრივი სილამაზითა და ეთნოკულტურით, ფერმერული მეურნეობებისა და ტურიზმის განვითარებას;

ჰარმონიზაციის მოდელი 3: სოფლის მეურეობის, აგრო-წარმოებისა და ტურიზმის ურთიერთდაკავშირება შექმნის შესაძლებლობას: გაიზარდოს აგრო-პროდუქტების წარმოება, მიიღონ სოფლის პირობებში მეტი ნატურალური და ბიო-პროდუქტები, რომელიც იქნება სავიზიტო ბარათი აგროტურისტებისათვის.

არსებული კვლევებიდან გამომდინარე, გვაქვს მოლოდინი, რომ აგროტურიზმის სფეროში დასაქმებული ფერმერების რიცხვი გაიზრდება, რაც წინაპირობა იქნება დარგის განვითარების.

კვლევის მეცნიერული სიახლე - ნაშრომის მეცნიერულ სიახლედ მიგვაჩნია:

➤ აგროტურიზმის განვითარებაში მსოფლიო გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ამ დარგის შემდგომი განვითარების ძირითადი ტენდენციების გამოვლენა;

➤ გურიის რეგიონში აგროტურიზმის განვითარებში მიღწევების სრულყოფილი შესწავლა, შესაძლებლობებისა და პრსპექტივების გამოვლენა;

➤ აგროტურიზმის განვითარების საფუძველზე, რეგიონის სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობების ანალიზი;

➤ რეგიონში სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობების გამოვლენა;

➤ სტრატეგიის სპეციფიკური მახასიათებლების გამოვლენა;

➤ ახალი მოდელის შემუშავება, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების ანალოგიების გათვალისწინებით.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა ნაშრომი
მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის ცალკეულ რეგიონში და მათ შორის,
გურიაში აგროტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებას, ამ
დარგის პოტენციალის უკეთ გამოყენებას, კვალიფიციური რეკომენდაციების შემუშ-
ავება-რეალიზაციას, ხელს შეუწყობს რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების დონის
ამაღლებასა და ეკონომიკურ ზრდას.

გამოყენებული იქნება ტურიზმის დარგის სპეციალისტებისათვის, აგროტუ-
რიზმით დაკავებული ფერმერების გადამზადებისა და უმაღლეს სასწავლებლებში
სტუდენტების სწავლებისას.

კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაციები: დისერტაციაში განხილული
საკითხები მოხსენების და სტატიების სახით წარმოდგენილი იქნა საერთაშორისო
კონფერენციაზე, გამოქვეყნდა ადგილობრივ რეფერირებად საერთაშორისო
სამეცნიერო ჟურნალებში.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა. სამეცნიერო თემის მიზნებმა და
ამოცანებმა განსაზღვრეს ნაშრომის სტრუქტურა, რაც მოიცავს 190 ნაბეჭდ გვერდს.
შედგება შესავლის, სამი თავის, ცხრა ქვეთავის, დასკვნებისა და
რეკომენდაციებისაგან. გამოყენებულია 191 დასახელების ბიბლიოგრაფიული
წყარო.

თავი I. აგროტურიზმის განვითარების თანამედროვე დონე და ძირითადი კანონზომიერებები

1.1. აგროტურიზმის წარმოშობა და განვითარების თანამედროვე დონე

აგროტურიზმი, როგორც ტურიზმის დამოუკიდებელი დარგი მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის ქვეყნებში ვითარდება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქალაქების დიდი ნაწილი განადგურებული იყო, ხოლო სოფლის გარემომ ხელუხლებელი სახე შეინარჩუნა. უქმე დღეებში ქალაქის მაცხოვრებლები ხშირად მოგზაურობდნენ ქალაქებით დასასვენებლად. სოფლად სასტუმროების სიმცირის გამო ტურისტებს ხშირად უწევდათ ფერმერის ოჯახებში დამის გათენება და სტუმრობა.

ასე მაგალითად: გასული საუკუნის 70-იან წლებში საფრანგეთში სოფლის მოსახლეობის მასიური მიგრაცია ხდებოდა დიდ ქალაქებში. სასოფლო სამეურნეო ბაზარზე ჭარბი მიწოდების გამო ფერმერების შემოსავლები ყოველწლიურად მცირდებოდა, სოჯახო სასტუმროების მოწყობის იდეამ ბევრი ადამიანი დააინტერესა. საწყის ეტაპზე გლეხები ერთმანეთს ხვდებოდნენ გამოცდილების გაზიარების მიზნით, მოგვიანებით მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება შეძლეს. შედეგად ქსელად ჩამოყალიბდა საოჯახო სასტუმროები და ტურისტების მიღებაც შეძლეს. ახალმა ბიზნეს-პროექტმა გაამართლა და სოფლად ტურიზმის განვითარებამ შეამცირა მიგრაციული პროცესი საფრანგეთში. (ნონიაძე, 2018).

გარდა ამისა, 1971 წელს საფრანგეთში დაფუძნდა ასოციაცია - „ტურიზმი სოფლად“. აღნიშნული ასოციაციის წარმომადგენლებმა დაიწყეს ტურისტული ორგანიზაციების სახელმწიფო მასშტაბით კოორდინირება. ასოციაციის მუშაობის შედეგად, 1986 წელს, 8 მილიონმა ფრანგმა (ტურისტების $\frac{1}{4}$) დასასვენებლად სოფლად წასვლა გადაწყვიტა, ხოლო 1987 წელს საფრანგეთის სოფლებში უკვე 9,2 მილიონი ფრანგი და 5,2 მილიონი უცხოელი აგროტურისტი ისვენებდა. დღეისათვის, აგროტურიზმიდან შემოსავალი, მთლიანად ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის 10 %-ია. ტურისტების მხოლოდ 7% ჩერდება სასტუმროში, დანარჩენი 93% ფერმებსა თუ კემპინგს ირჩევს. (ფხაკაძე, 2020:10-11).

როგორც განხილული მაგალითიდან ჩანს, აგროტურიზმი დროთა განმავლობაში ვითარდებოდა და ვითარდება. ამაზე მეტყველებს, ტურიზმის თეორიული საფუძვლების კვლევა, რაც შედარებით ინტენსიურად წარიმართა გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან. შეიქმნა სხვადასხვა თეორიები და მოდელები. ეს თეორიები და მოდელები დაფუძნებულია ტურიზმის განვითარებასა და მასზე მოქმედი ფაქტორებისადმი ევოლუციურ მიდგომაზე.

აღნიშნულ მოდელებში, ყურადღება გამახვილებულია დანიშნულების ადგილის სასიცოცხლო ციკლის სტადიის (პერიოდის) განსაზღვრაზე, რაც აუცილებელი ეტაპია ტურიზმის დაგეგმვისა და განვითარების სტრატეგიის შემუშავებისათვის. თეორიულ საფუძვლებში კი ტურიზმის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების შეფასებაზე.

აქედან, ყველაზე მეტად არის აღიარებული რობერტ ბატლერის მიერ შემუშავებული თეორია რომლის მიხედვით ტურიზმის განვითარების ციკლი მოიცავს 7 სტადიას. ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასვლის ძირითადი მაჩვენებელია ტურისტების რაოდენობა. ამიტომ ბატლერისეული ციკლი შეიძლება დახასიათებული იქნეს როგორც ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობის გავლენა ტურიზმის განვითარების სტადიების მონაცვლეობაზე. (კაციტამე...2019:48).

პირველი სტადია (გამოკვლევის ანუ დაზვერვის სტადია) ხასიათდება დანიშნულების ადგილზე ტურისტთა მცირე რაოდენობით, ტურიზმის სუსტი გავლენით გარემომცველ ბუნებაზე და ეკონომიკაზე, ადგილობრივი საზოგადოების სტუმართმოყვარეობით.

მეორე სტადიას (ჩართულობის სტადია) ახასიათებს ტურისტთა რაოდენობის ზრდა, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა ტურისტთა მომსახურებაში, ინფრასტრუქტურის განვითარების დაწყება, ადგილობრივი მეწარმეების რაოდენობის ზრდა.

მესამე სტადიაზე ტურისტული ინდუსტრია ვითარდება სწრაფი ტემპით, ტურისტთა რაოდენობა იზრდება სწრაფად, ტურისტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად იცვლება მათდამი ადგილობრივ მცხოვრებთა დამოკიდებულება: სასურველი სტუმარი უკვე მომაბეზრებელი ხდება.

მეოთხე სტადიაზე (დამკვიდრების სტადია) ტურისტთა რაოდენობის ზრდის ტემპი მცირდება, ტურიზმი ხდება ეკონომიკის ძირითადი სექტორი, რის შედეგადაც დანიშნულების ადგილის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური დატვირთვა აღემატება მის შესაძლებლობებს.

მეხუთე სტადია (სტაგნაციის სტადია) ხასიათდება: ტურისტთა რაოდენობის სტაბილიზაციით, ტურისტთა რაოდენობის შენარჩუნება ხდება ფასების პოლიტიკით.

მეექვსე სტადია (დაცემის სტადია) შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა ფაქტორებით: მომხმარებლების მოთხოვნილებების ცვლილებით, ბაზრზე ახალი სუბიექტების გამოჩენით, რომლებიც ცვლიან ტურისტული ობიექტების საქმიანობის ორიენტაციას.

მეშვიდე სტადია (განახლების სტადია) დაცემის სტადიის ალტერნატივაა, რომელიც შეიძლება განვითარდეს სტაგნაციის სტადიის შემდეგ. განახლების სტადიით იწყება ახალი ციკლი. რ. ბატლერის მიხედვით ამ სტადიისათვის დამახასითებელია მარკეტინგული ინსტრუმენტების გააქტიურება, კერძოდ, ახალი ტურისტული პროდუქტის შექმნა ან არსებულის რებრენდინგი.

სპეციალისტთა აღიარებით რ. ბატლერის მოდელის გამოყენება აუცილებელია აგროტურიზმის განვითარებისა და მისი მამოძრავებელი ძალების ანალიზისათვის. რ. ბატლერის მოდელმა განსაკუთრებული აღიარება ჰპოვა როგორც აკადემიურ წრეებში, ასევე ტურიზმის მენეჯერებს შორის.

ეს მოდელი დღეისათვის ყველაზე მეტად გამოიყენება ტურიზმის სისტემის ანალიზის დროს. მენეჯერები ამ მოდელს იყენებენ იმისათვის, რომ გამოავლინონ რეალური დესტინაციის (დანიშნულების ადგილის) განვითარებაში წარმოქმნილი გადახრები და მიიღონ გადაწყვეტილებები მათი კორექტირებისათვის. (Turner, 1993).

ასე, რომ დანიშნულების ადგილის სასიცოცხლო ციკლის სტადიის (პერიოდის) განსაზღვრა აუცილებელი ეტაპია ტურიზმის დაგეგმვისა და განვითარების სტრატეგიის შემუშავებისათვის. გარდა ამისა, საყურადღებოა რ. ტერნერის (R.K

Turner) ტურიზმის განვითარების თეორია, რომელშიც პროცესი სამ ეტაპადაა წარმოდგენილი:

- ტურიზმის განვითარებისათვის შესაფერისი ადგილის (რაიონის) პოვნა;
- ტურიზმის სწრაფი განვითარება ამ რაიონში;
- ტურიზმის განმტკიცება (დამკვიდრება) ამ რაიონში.

რ. ტერნერის მიხედვით თავდაპირველად ტურიზმი ნელა ვითარდება, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ, ტურიზმის დანიშნულების ადგილი პოპულარული ხდება. შესაბამისად, მოჰყვება ტურისტების დიდი ნაკადების მიღება.

არსებული მდგომარეობა, უბიძგებს ადგილობრივ მოსახლეობას თავი დაანებოს ეკონომიკური საქმიანობის ტრადიციულ სახეებს და იწყებს ტურიზმის ინფრასტრუქტურის შექმნას. ასე იწყებს ტურიზმის დარგი განვითარებას, აღწევს დამკვიდრების სტადიას და იქცევა წამყვან საქმიანობად, რომელიც უკვე არსებით გავლენას ახდენს რაიონში სოციალური, კულტურული და ბუნებრივი გარემოს ცვლილებებზე.

სხვა ავტორები ტურიზმის განვითარების ციკლს 4 პერიოდად ყოფენ, ესენია: მუდმივი ზრდის, მაქსიმუმის მიღწევის, სტაბილიზაციის, დაცემის პერიოდები. პირველ პერიოდში, როდესაც ტურიზმი ჯერ კიდევ ფეხს იდგამს, ტურისტული ადგილისადმი ინტერესს ამჟღავნებენ ძირითადად დაბალშემოსავლიანი ტურისტები. ისინი, როგორც წესი, ცოტას ხარჯავენ, სარგებლობენ იაფი განთავსების საშუალებებითა და კარვებით. ძირითადად ადგილის სილამაზით არიან მოხიბლული და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ტურისტულ მომსახურებას.

ტურიზმის მომძლავრება, კერძოდ, მომსახურების გაუმჯობესება და გაფართოება განაპირობებს ტურისტული ობიექტით მაღალშემოსავლიანი ტურისტების დაინტერესებას. ისინი უფრო მაღალხარისხიან მომსახურებას მოითხოვენ. ეს წარმოშობს ტურისტულ ობიექტში ინვესტიციის გაზრდის აუცილებლობას. მაღალშემოსავლიანი ტურისტები თანდათანობით ანაცვლებენ დაბალშემოსავლიანებს. შედეგად ვითარდება ინფრასტრუქტურა. (Lopa...1999:37-42).

აგროტურიზმის წარმოშობისა და განვითარების პროცესის მნიშვნელოვან პირობად მკვლევართა დიდ ნაწილს მიაჩნია აგრარულ სექტორში მიმდინარე

სამეურნეო-სტრუქტურული ცვლილებები. ფიქრობენ, რომ სოფლის რეგიონები დღეს დგანან ფუნდამენტური პრობლემების წინაშე, რაც გამოწვეულია მიწაზე მუშაობის კულტურის დაცემით, მაშინ, როდესაც წარსულში სოფელი ტრადიციულად წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ადგილს, სადაც ჭარბობდნენ ფერმერული მეურნეობები. (Briedenhann...2004:71-79).

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციამ ღრმა კვალი დაამჩნია სოფლის თემის სტრუქტურას. სოფლის მოსახლეობამ მწარმოებელთა კატეგორიიდან მომხმარებელთა კატეგორიაში გადაინაცვლა. ამას მოჰყვა ბევრი სამუშაო ადგილების გაუქმება, რამაც დიდი გავლენა მოახდინა სასოფლო თემის სოციალურ-კულტურულ შედგენილობაზე. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მიგრაცია, განსაკუთრებით ახალგაზრდების გასვლა სოფლიდან.

სოფლის მოსახლეობის შემცირებას თან ახლავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემცირება. ასეთ ვითარებაში, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ ადგილობრივმა და ცენტრალურმა ხელისუფლებამ აგროტურიზმსა და სოფლის ტურიზმში დაინახა ფერმერების დასაქმებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელშეწყობის შესაძლებლობა და თავიანთი სამეურნეო-ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან კომპონენტად აქციეს სოფლის ტურიზმისა და აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. (Bock, 2006:1-15.)

აგრარულ სექტორზე განსაკუთრებით მწვავედ აისახება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჭარბწარმოებით გამოწვეული კრიზისები, რის გამოც იზრდება არარეალიზებული პროდუქციის რაოდენობა, ეცემა ფასები. შესაბამისად, მცირდება წარმოების მოცულობა, იზრდება უმუშევრობა. ასე, მაგალითად: ინტეგრაციულმა პროცესებმა, რომლებმაც მოიცვა 50-70-იანი წლების ევროპა, სერიოზული პრობლემა შეუქმნა მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას. ამის გამო დაიწყო სოფლიდან მოსახლეობის მიგრაცია ქალაქებში. მთავარ სოციალურ ამოცანად იქცა სოფლის შენარჩუნება.

აღნიშნული ამოცანის შესრულება სხვადასხვაგვარად შეძლო განვითარებულმა და განვითარებადმა ქვეყნებმა.

განვითარებულ ქვეყნებში, ადგილობრივი მთავრობისა და თვითმმართველობის მხარდაჭერით მოხდა მოსახლეობისათვის იმის დემონსტრირება, რომ სოფლად ფულის გამომუშავება შეიძლება არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობითაც. ამისათვის აღდგენილი იქნა რამდენიმე ათეული მიტოვებული კარ-მიდამო, სადაც შესაძლებელი იყო ფერმების გამართვა, ღვინის, ყველისა და სხვა აგრო-პროდუქტების წარმოების წამოწყება. მოგვიანებით გაირკვა, რომ თუ ამ კარ-მიდამოებს სოფლის ტურიზმის ობიექტებადაც გადააქცევდნენ, მაშინ მომგებიანი ბიზნესის გამართვის საშუალება იქნებოდა.

განვითარებულ ქვეყნებში, უკანასკნელი ათი წლის პერიოდში აუცილებელ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენდა პოლიტიკა ტურიზმის სფეროში. ტურისტული ინდუსტრიის ხელშეწყობისათვის იყენებენ ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორიცაა დოტაცია და სესხები, რასაც ახორციელებენ სხვადასხვა ევროპული ფონდები და ევროპის საინვესტიციო ბანკი. ასეთი დახმარებებით ისარგებლეს სამხრეთ იტალიის, სამხრეთ საფრანგეთის და საბერძნეთის რეკრეაციულმა რეგიონებმა, სადაც მიღებული სესხები ინვესტირებული იყო ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობასა და გაფართოებაში.
(Воскресенский, 2013:361-363).

ტურიზმის სექტორი სახელმწიფო მხარდაჭერით სარგებლობს განვითარებად ქვეყნებშიც. მაგალითად, უნგრეთში კანონმდებლობით, შემოსავლები, რასაც გლეხები იღებენ საკუთარი საცხოვრებელი ადგილის გაქირავებით ტურისტებზე, გადასახადით არ იბეგრება. გარდა ამისა, არსებობს სპეციალური პროექტები ეკონომიკურად სუსტად განვითარებული რეგიონების სოფლებისათვის, უმეტესად იმ ოჯახებისათვის, რომლებიც ტურისტულ მომსახურებას ეწევიან, ან აპირებენ ამ საქმიანობაში ჩაბმას. მაგალითად, ერთ-ერთი პროექტი ითვალისწინებდა მატერიალურ მხარდაჭერას კრედიტის სახით (8 000 აშშ დოლარამდე), რასაც, პროექტის წარმატების შემთხვევაში მსესხებელი უკან აღარ აბრუნებს.
(Воскресенский, 2013:364).

მოცემული მაგალითი ცხადყოფს, რომ ეკონომიკურად სუსტად განვითარებული რეგიონების სოფლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი აგროტურიზმია.

მიზეზებს შორის შეიძლება იყოს, მცირემიწიანობითა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების არახელსაყრელი პირობებით გამოწვეული ეკონომიკის ჩამორჩენილობა. ადვილი გასაგებია ისიც, რომ სოფლებში მცხოვრები ფერმერების, ერთბაშად ჩართვა თანამედროვე მსხვილმასშტაბიან კონკურენტუნარიან აგრარულ ბიზნესში შეუძლებელია. აგრეთვე, არარეალურია, ისიც რომ დროთა განმავლობაში, თავისთავდ, ყოველგვარი ღონისძიების გატარების გარეშე მოხდება სოფლის მეურნეობის აღორძინება იმ დონემდე, რომ იგი შესაძლებელს გახდის სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფას. (Волкова-Гончарова... 2016 : 22-25).

სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ დგას ქვეყნების მთიან რეგიონებში. მიუხედავად ამისა, დეპრესირებულ და დეპრესიის გზაზე მდგომ რეგიონებში ჯერ კიდევ არის შენარჩუნებული სოციალურ-ეკონომიკური ყოფიერების განახლებისა და შემდგომი განვითარების პოტენციალი. საჭიროა საქმიანობის ახალი მიმართულებების მოძიება ამ პოტენციალის გამოყენებისათვის და მათი დამკვიდრებისათვის ხელშეწყობა.

დღეისათვის, მრავალი ქვეყნის ძირითად პრობლემას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის დაბალი შემოსავლიანობა. გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემცირების გამო მწვავედ დგას ადგილობრივი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა, გამოწვევას წარმოადგენს ტურისტთა კვებითი მომსახურების მწირი შესაძლებლობები.

ამასთან, ადგილობრივი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩანაცვლება იმპორტირებული აგრო-პროდუქტებით, გამოსავალი არ არის. იმპორტირებული აგრო-პროდუქტების მოხმარების ზრდა იმთავითვე მოასწავებს ადგილობრივი წარმოების შემცირებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ტურისტს ეზღუდება შემდეგი შესაძლებლობების გამოყენების საშუალებები:

- სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაცნობა;
- ადგილობრივი წარმოების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების შეძენა;

➤ ადგილობრივი უნიკალური სამზარეულოს მასტერკლასებში მონაწილეობა.

ჩამოთვლილი აქტივობები, სოფლის ტურიზმის განვითარებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

იმპორტირებული პროდუქციის მოხმარების ზრდის მნიშვნელოვანი ნეგატიური შედეგია, ქვეყნიდან ვალუტის გადინების ზრდა. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემცირება იწვევს სამუშაო ადგილების შემცირებას, სოფლის მეურნეობის წილის კლებას რეგიონის მთლიანი სამამულო პროდუქტის საერთო მოცულობაში. ყოველივე ეს მძიმედ აისახება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. (კაციტაძე...2019:65).

აგროტურიზმი, არსობრივი თავისებურებების მეშვეობით, აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას იძლევა. იგი წარმოადგენს ცალკეული ინდივიდების, რეგიონების და ქვეყნების სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარების ეფექტიან საშუალებას.

ამიტომ, აგროტურიზმის დაგეგმვა და მართვა უნდა მოხდეს მდგრადი განვითარების სამი ძირითადი პრინციპის გათვალისწინებით, კერძოდ:

✓ ეკოლოგიური მდგრადობა - უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნებისა და ბიოლოგიური რესურსების ერთობლივ განვითარებას;

✓ სოციალური და კულტურული მდგრადობა - უზრუნველყოფს ისეთ მდგრადობას, რომლის დროსაც ადამიანების ცხოვრება, მათი ერთობრივი კულტურა და ღირებულებები ყოველმხრივ დაცულია, კულტურული თვითმყოფადობა შენარჩუნებული;

აღნიშნული პრინციპების გამოყენება პრაქტიკაში, იძლევა სოციალური და ეკოლოგიური სარგებელის მიღების შესაძლებლობებს. (ვადაჭვორია ... 2011:154-155).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აგროტურიზმის გავლენა სოციალურ-ეკონომიკური სფეროს განვითარებაზე დადასტურებულია მსოფლიო გამოცდილებით: რეგიონებში, სადაც განვითარდა აგროტურიზმი, გაიზარდა ადგილობრივი ფერმერების შემოსავლები, გაფართოვდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ასორტიმენტი, შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები, დაიწყო ინფრასტრუქტურული ქსელის განვითარება, გააქტიურდა შიდა ტურიზმი.

1.2 . აგროტურიზმის განვითარების კანონზომიერებანი

აგროტურისტული საქმიანობა გულისხმობს შესაბამისი კანონზომიერებების დაცვას, რაც ითვალისწინებს აგროტურისტული პროდუქტის შექმნის ეტაპებს. ამასთან, აგროპროდუქტი უნდა იყოს ფერმერის მიერ მოყვანილი და ნატურალური, მომსახურება ხარისხიანი, ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული, შეთავაზებული აქტივობები ორგანიზებული, მარკეტინგულ ღონისძიებებს ჰქონდეს აქტიური ხასიათი, მომხმარებლების უფლებები და სანიტარულ-ჰигიენური ნორმები მკაცრად დაცული.

მოცემული კრიტერიუმების განხილვა, საჭიროებს აგროტურიზმის მნიშვნელობის გაანალიზებას. ამასთან დაკავშირებით, მრავალი ტერმინი და განმარტება არსებობს. კერძოდ:

- აგროტურიზმი სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის ინდუსტრიის ერთობლივი პროდუქტია, წარმოდგენილი ფერმერის მიერ. მისი წინაპირობაა აქტიური სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, ტრადიციული სოფლის გარემო, თავად ფერმერი, ვინც სთავაზობს აგროტურისტულ მომსახურებას ჩასულ ვიზიტორს;
- ინგლისსა და ზოგიერთ ინგლისურენოვან ქვეყანაში იგი აღინიშნება ტერმინით „სოფლის ტურიზმი“ (Rural Tourism), გერმანულენოვან ქვეყნებში მიღებულია ტერმინი „Bauernhoftourismus“, რაც სიტყვა-სიტყვით გლეხის კარ-მიდამოს ტურიზმს ნიშნავს. რომანულენოვანი ქვეყნები კი - უპირატესობას ტერმინს – აგროტურიზმს ანიჭებენ, რაც „აგრო“-დან (agros) და მისგან ნაწარმოები „აგრარული“ - agrarius – სასოფლო-სამეურნეოდან, მომდინარეობს.
- გერმანელი სპეციალისტები აგროტურიზმს ბუნების ტურიზმის ნაწილად განიხილავენ. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ექსპერტის, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორის ედვარდ ინსკიპის, განმარტებით: „სოფლის ტურიზმი არის ტურისტების მცირე ჯგუფების მოგზაურობა დასვენების მიზნით სოფლის, ზოგჯერ ცენტრიდან მოშორებულ ტრადიციულ დასახლებებში ადგილობრივი ტრადიციებისა და სოფლის ცხოვრების გასაცნობად. ტურისტული ობიექტების მფლობელები და მმართველები სოფლის მცხოვრებლები არიან. ხოლო აგროტურიზმი

გულისხმობს ტურისტების განთავსებას თვით ფერმერთა სახლებში სასოფლო-სამ-ეურნეო საქმიანობის გაცნობის მიზნით. მაგალითად: ტურისტები ცხოვრობენ პლან-ტაციებში და ეცნობიან იქაურ ცხოვრებას; ან ცხოვრობენ მეთევზეთა დასახლებებში და ოჯახებში და მათთან ერთად გადიან სათევზაოდ”. (შარაბიძე, 2019: 14-15).

➤ ამერიკელი სპეციალისტები საერთაშორისო ტურიზმში ამ მიმართულების აღსანიშნავად გამოყოფენ ტერმინებს: აგროტურიზმი, ფერმერული ტურიზმი, ბუნ-ების ტურიზმი და ა.შ. მათივე განმარტებით აგროტურიზმი (სასოფლო სამეურნეო ტურიზმი) კლასიფიცირდება, როგორც ფერმერის საქმიანობა, რომლის მიზანია მო-სახლეობისათვის დასვენების ან სწავლების მომსახურების გაწევა, საკუთარი სასო-ფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია და დამატებითი შემოსავლის მიღება.

ცხრილი № 1.1.

აგროტურიზმის სარგებელი ფერმერებისათვის და ტურისტებისათვის

სარგებელი ფერმერებისათვის	სარგებელი ტურისტებისათვის
ინფრასტრუქტურის განვითარება;	აქტიური დასვენება;
დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა;	გოლოგიურად სუფთა პროდუქტების მიღება;
ხალხური რეწვის განვითარება;	რეკრეაცია, სულიერი და ფიზიკური ძალების აღდგენა;
ძველი ტრადიციებისა და ეროვნული მემკვიდრეობის შენარჩუნება;	ახალი ცოდნისა და გამოცდილების შეძენა;
სოფლის მეურნეობს განვითარება;	მრავალფეროვანი ტურისტული მომსახურეობა;
მიგრაციის შემცირება;	ბუნებასთან სიახლოვე;
ბიომრავალფეროვნების დაცვა.	ტრადიციული კულტურული მემკვიდრეობის გაზიარება.

წყარო: „აგროტურიზმის სამართლებრივი ბაზა და საერთაშორისო გამოცდილება”, 2020 წ.

(პროგრამა: ერთობლივი ძალისხმევა ქალთა გუნომიკური გაძლიერებისთვის საქართველოში (JA WE). <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/29136>.)

თუ განვაზოგადებთ მოყვანილ განმარტებებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ აგროტურიზმის თანმდევი პროცესებია: ორმხრივი სარგებელი, როგორც ფერმერებისათვის, ისე ვიზიტორებისათვის. ქმნის დამატებით შემოსავალს, აუმჯობესებს ფერმერების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, წინ წამოსწევს სოფლის იერსახის შენარჩუნების საკითხს, ეროვნულ და ტრადიციულ ფასეულობებს.

ტურისტებს აძლევს რეკრეაციისა და ეკოპროდუქტების დაგემოვნების საშუალებას. უფრო კონკრეტულად აღნიშნული ნაჩვენებია ცხრილი № 1.1-ში:

მოცემული ცხრილიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობისა და ტურისტული აქტივობების კომბინირებული შეთავაზებები ქნის მრავალფეროვან აგროტურისტულ პროდუქტს. მეურნეობების კლასიფიკაცია აქტივობების ელემენტების (აგროტურისტული და რეკრეაციული სერვისები) მიხედვით იძლევა აგროტურისტული მეურნეობების პროფილის და მათი შემოსავლების განსაზღვრის/გაზომვის შესაძლებლობას.

მკვლევარები აჯგუფებენ (1) პირველადი ან (2) პერიფერიულ აქტივობებს (ადგილმდებარეობის და მის სასაოფლო სამეურნეო საქმიანობასთან კავშირის მიხედვით) და გამოყოფენ ხუთ ძირითად კატეგორიას (იხ. სქემა 1.1).

პირდაპირი გაყიდვები¹ - კარგი ინდიკატორია, თუ რამდენად ავსებს და არ ანაცვლებს აგროტურიზმი სასოფლო სამეურნეო საქმიანობას. ასევე არის აგროტურისტული შემოსავლების განმსაზღვრული, რასაც იყენებენ ეროვნული აგრარული სტატისტიკის სერვისებში.

განთავსება (ექსკლუზიური მომსახურება და/ან დამატებითი სერვისია, როდესაც შესაძლებელია ღამის გათევა ფერმაში, კოტეჯში, აგრო-სასტუმროში, საწოლი/ოთახის ქირავნობა ფერმერის სახლში, აგრო-კემპინგი და სხვ.). განთავსების ორგანიზების მთავარი ნაწილია ადგილის დაჯავშნა. შესაბამისად, აგროტურისტულ

¹ პირდაპირ მომხმარებლზე გაყიდვა იმ პროდუქტს მოიაზრებს რასაც მომხმარებელი ადგილზე მიირთმევს და/ან ყიდულობს (სურსათი და სასმელი). პირდაპირ გაყიდვებში მოიაზრება ასევე დამატებითი ღირებულების სოფლის პროდუქტი მაგ. ჯემი, ღვინო, ყველი, ჩურჩხელა, რაც ფერმის საცალო ვაჭრობის მნიშვნელოვანი კომპონენტებია, ხოლო არა-საკვები - მაგ. ნერგების, ყვავილების გაყიდვა არ შედის სასოფლო აგროტურისტული პროდუქტების ნუსხაში.

მეურნეობაში მიღება-განთავსება და დაჯავშნა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია. ის განსაზღვრავს ზუსტად აგროტურისტულ მეურნეობაში ხარისხის სტანდარტს.

სქემა № 1.1.

აგროტურისტული აქტივობების ხუთი ძირითადი კატეგორია



წყარო: „აგროტურიზმის სამართლებრივი ბაზა და საერთაშორისო გამოცდილება”, 2020 წ.
(პროგრამა: ერთობლივი ძალისხმევა ქალთა კონკრეტური გაძლიერებისთვის
საქართველოში (JA WE). <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/29136>.)

ეს არის სრული ციკლი, რომელიც ხშირად იწყება სატელეფონო საუბრით, მომხმარებელი, ამ დროს იგებს ინფორმაციას ობიექტის შესახებ და სრულდება მისი გაწერის დასრულებისას.

ის ადამიანი, ვინც ითავსებს ამ ფუნქციას, შეიძლება იყოს საოჯახო სასტუმროს, ფერმერული მეურნეობის მასპინძელი ან დაქირავებული თანამშრომელი. იგი კარგად უნდა ფლობდეს კომუნიკაციის უნარს. იცავდეს გარკვეულ წესებს, გარდა იმისა, რომ ესაუბროს სტუმრებს თავაზიანი ტონით, გულისყურით უნდა ისმენდს მათ მოთხოვნებს, სწრაფი რეაგირება შეეძლოს მოთხოვნების შესრულებაზე.

მართალია, საოჯახო სატუმროებსა და აგროტურისტულ მეურნეობებში, ამ ფუნქციას ოჯახის წევრები თავად ასრულებენ, თუმცა ეს პროცედურა - სტუმრების მიღების დროს ჯავშნის გარანტიისა და სარეგისტრაციო ბარათის შევსება, ისევე შესასრულებელია, როგორც დიდ სასტუმროებში.

დაჯავშნა შესაძლებელი უნდა იყოს, როგორც ტელეფონით, ასევე ინტერნეტის გამოყენებით. აღნიშნულის განხორციელების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს:

- მომხმარებლის ვინაობის დაფიქსირება, სახელი, გვარი;
- ჩამოსვლის დღე;
- ობიქტში შემოსვლის დრო, რომ მომზადებული დახვდეს ოთახი;
- სტუმრების რაოდენობა;
- ოთახის ტიპი;
- მწეველია თუ არ არის მწეველი;
- მომსახურების გადახდის ფორმა: ნაღდი სახით გადახდა, ან კიდევ საკრედიტო ბარათით. ამ შემთხვევაში, საჭიროა დაზუსტდეს ინფორმაცია საკრედიტო ბარათზე, რადგან ის დაჯავშნის გარანტიისათვის არის აუცილებელი;
- მოხდეს მასპინძლის მიერ, მომხმარებლებთან შენიშვნის, კომენტრის დაზუსტება და ჩანიშვნა;
- ჯავშნის გაუქმება, რასაც უნდა ჰქონდეს წერილობითი ფორმა.

ვფიქრობთ, ამ მიმართულებით ერთ-ერთი წინგადადგმული წაბიჯია, „აგროტურისტული ონლაინ პლატფორმის“ შეიქმნა. მისი ელექტრონული მისამართია: agrogate.world. აღნიშნული, ტურისტებს გაუადვილებს მათთვის სასურველი აგროტურისტული ობიექტების მიგნებასა და მონახულებას, რითაც ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ დაჯავშნონ აგროტურისტულ ობიექტში როგორც განთავსების, ასევე მასტერკლასებში მონაწილეობის სერვისი. ვებ-გვერზე უკვე განთავსებულია საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის 103 აგროტურისტული ობიექტი. ონლაინ პლატფორმაზე ფოტო მასალასთან ერთად განთავსებულია ორ ენაზე (რუსულ და ინგლისურ ენებზე) შექმნილი ვიდოები, რაც მომხმარებელს უმარტივებს ამა თუ იმ ობიექტის შესახებ ინფორმაციის მოძიებას. (მდებრიშვილი, 2021).

ვიზიტორების მასპინძლობის მრითადი ელემენტია კვებით მომსახურება: კვებითი მომსახურების დროს, ფერმერის ოჯახში არა მხოლოდ ფერმაში დარჩენილი დამსვენებლებისთვის, არამედ გარე სტუმრებისთვისაც უზრუნველყოფენ საკვებს. საკვები პროდუქტების უმეტესობა ფერმის მიერ უნდა იყოს წარმოებული.

სურსათით და სასმელით მომსახურება აგროტურისტული მეურნეობის ძირითადი კომპონენტია. ეს კომპონენტი, დიდ საოჯახო სასტუმროებსა და აგროტურისტულ კომპლექსებში შეფ-მზარეულების ფუნქციაა. ისინი აკონტროლებენ:

- სურსათის მიღებას;
- სურსათის შენახვას;
- კერძის დამზადების მთელ პროცედურებს;
- სამზარეულოს აღჭურვილობისა და ხარჯთაღრიცხვის საკითხებს;
- მენიუს შედგენას;
- მენიუს განახლებას, სეზონურად მოყვანილი აგრო-პროდუქტის გათვალისწინებით.

მცირე საოჯახო სასტუმროებსა და ფერმერის სახლებში ეს ფუნქცია შეთავსებული აქვთ ოჯახის წევრებს. შესაბამისად, მათ აქვთ სათანადო ცოდნა ამ პროდუქტების მოხმარების პროცედურების შესახებ.

ორივე შემთხვევაში, ეს დიდი ზომის სასტუმროა თუ მცირე ზომის აგროტურისტული ობიექტი, გასათვალისწინებელია ის ძირითადი საკითხები, რაც საკვების უვნებლობასა და უსაფრთხოებას ეხება. უნდა იყოს სტუმრების უფლებები დაცული, ასევე მათი ჯანმრთელობაც. მათ უნდა მიიღონ ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო საკვები და კერძები.

აგროტურისტულ მეურნეობებში არის ის კრიტიკული საკითხები, რაც მასპინძელმა უნდა იცოდეს. კერძოდ, ბიოლოგიურ, ქიმიურ, ფიზიკურ საფრთხეებზე - ალერგენებზე. მაგალითად, კერძი შესახედავად, შეიძლება იყოს კარგი და დაგემოვნების შემთხვევაში გემრიელიც, მაგრამ არ იყოს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო. ეს იმ შემთხვევაში, თუ იქ მიკროორგანიზმების გამრავლების გარემოა - ზოგადად, როგორიც არის: პარაზიტები, ბაქტერიები, ვირუსები და სოკოები. განსაკუთრებით, როცა საქმე გვაქვს ისეთ საკვებ პროდუქტების გამოყენებასთან, რაც

მაღალი რისკის შემცველია - ხორცეული: ფრინველის ხორცი, თევზი, გარკვეული სახეობის მარცვლეული და ბოსტნეული, სადაც მიკროორგანიზმები უფრო სწრაფად მრავლდება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია:

- ტემპერატურული რეჟიმის დაცვა;
- მჟავიანობის კონტროლი;
- ტენიანობის შესაბამისობის დაცვა;
- ჟანგბადიანობისა და უჟანგბადობის კონტროლი.

დიასახლისებს, ხშირად გადადუდება უწევთ ისეთი პროდუქტების, რაც ქილაში და კონსერვშია მოთავსებული. იმიტომ, რომ ბოტულიზმის საფრთხე იყოს აცილებული. ასევე, პროდუქტის გალღობისა და გაციების პროცედურის დაცვა არის მნიშვნელოვანი, რომ არ მოხდეს ისევ და ისევ პარაზიტებისა და ბაქტერიების გამრავლება.

გარდა ამისა, გათვალისწინებას საჭიროებს ჯვარედინად დაბინძურების საფრთხეც. რაც ნიშნავს, მიკროორგანიზმების ერთი რისკის ჯგუფის პროდუქტიდან სხვა პროდუქტზე გადადებას. ეს შეიძლება მოხდეს: ხელით, მწერებისა და მღრღნელების საშუალებით. ამიტომ რეკომენდირებულია, მსგავსი პროდუქტების დასაწყობება, შეფუთვა, შენახვა.

ფიზიკურ საფრთხედ იგულისხმება საკვებში იმ საგნების მოხვედრა, რაც ჯანმრთელობისათვის საზიანოა.

აგროგანათლების ელემენტია პირველადი აგროტურისტული სერვისები: ფერმაში პროდუქციის წარმოების პროცესზე დაკვირვება. ამ მხრივ ყველაზე პოპულარულია რძის, ღვინისა და ლუდის მწარმოებელი საწარმოები. საქართველოში - ტრადიციული მარნები.

აგროგანათლების და გართობის ელემენტებია, აგრეთვე, წარმოების პროცესში მონაწილეობის სერვისი: მონაწილეობა სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში - გასხვლა, თიბვა და მოსავლის აღება-დაბინავება, ცხოველთა გამოკვება, ძროხის მოწველა და ა.შ.

გართობის ყველაზე გავრცელებული პროდუქტია ხანმოკლე დასვენება კვირის ბოლოს, ან ხანგრძლივი დასვენება შვებულების, არდადეგების დროს, დღესასწაულებზე დარჩენა (მაგ. შობას, აღდგომასა და ახალ წელს).

გარე რეკრეაციაში იგულისხმება სპორტული აქტივობა - საფეხმავლო, საცხენოსნო, ველო ბილიკები. ძირითადად ეკოტურისტული აქტივობები (არამოტორიზებული აქტივობა) და აგრო-თერაპია. (საქართველოს...2020:17-19).

ასე, რომ ტურისტულ საქმიანობაში ჩართულმა ფერმერმა ყურადღება უნდა გაამახვილოს არამარტო მომხმარებლების მატერიალურ მოთხოვნებზე (კომფორტული განთავსება და ეკოლოგიურად სუფთა საკვები), არამედ დამატებით მომსახურების შეთავაზებაზეც (ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, ტრადიციებს გაცნობა, გასართობი საშუალებების გამოყენება), ეს ყოველივე, ერთიანობაში ამდიდრებს და მრავალფეროვანს ხდის მომსახურებასა და პირდაპირ მოქმედებს ტურისტის სოფლად დარჩენის ხანგრძლივობაზე.

ამდენად, ადგილობრივ ტურისტულ ბაზარზე თანამშრომლობის შედეგად იქმნება კომბინირებული ტურისტული პროდუქტი, რაშიც იგულისხმება დამატებითი მომსახურება, სანახაობა და გართობა. ამ მიზნისათვის, გასათვალისწინებელია ფოლკლორული თუ ტრადიციული ელემენტების გამოყენება.

კულტურული ფასეულობების სწორად შეფასების საკითხები განხილულ უნდა იქნეს, როგორც სოფლის ტურიზმის ოპერატორებთან, ასევე ადგილობრივ მცხოვრებლებთან. შეფასებაში, მოიაზრება მნიშვნელოვანი ელემენტების გათვალისწინებაც. კერძოდ: ტურისტული პროდუქტის შეფასებისას უპირველესი ყურადღება ექცევა შემდეგ ელემენტებს - დასასვენებელი ადგილისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის მახასიათებლებს: ინფრასტრუქტურა, პეიზაჟი, ჰავა, ბუნებრივი და კულტურული ღირსშესანიშნაობები, ტრადიციული მემკვიდრეობა, უნიკალური არქიტექტურა, გარემო პირობების დაცვა, მრეწველობის გავლენა, მდებარეობა და მთავარ გზასთან სიახლოვე.

მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია დროულად და ობიექტურად მიეწოდოს ვიზიტორს მარშრუტის ან დასვენების დაგეგმვისას. სასურველია, რომ მომზადდეს ტურისტული ობიექტების ირგვლივ არსებული ტერიტორიების რუკები, სადაც დატანილი იქნება საექსკურსიო მარშრუტები და არსებული ინფრასტრუქტურა: სასტუმრო სახლები, ინფორმაცია საექსკურსიო ობიექტების, საპიკნიკე ადგილების,

ავტობუსის გაჩერების, ავტოგასამართი სადგურების და ღირსშესანიშნაობების შესახებ. ეს ტურისტს აძლევს საშუალებას, მიიღოს სრული ინფორმაცია და წინასწარდაგემოს ტური.

მომხმარებლების იმფორმირებასა და აგროტურისტულ ობიექტებში მათი სტუმრობის გადაწყვეტილებაზე დიდ გავლენას ახდენს მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვა და მერე მისი განხორციელება. ტურიზმის ინდუსტრიაში მომსახურების მარკეტინგული აქტივობები, არა მხოლოდ გაყიდვებს და ტურპროდუქტის რეალიზებას უწყობს ხელს, არამედ მომსახურების ხარსხის მაღალ დონეს უზრუნველყოფს, რაც ითვალისწინებს ტურ-პროდუქტის სწორ შეფუთვასა და სერვისის მომხმარებლადმე სწორად მიწოდებას.

ყველაფერი ეს ღრმა და შრომატევადი პროცესია, სადაც გაითვალისწინებული უნდა იქნეს ყველა დეტალი პროდუქტის წარმოებიდან დაწყებული, მომხმარებელზე მიწოდებით დამთავრებული. ამიტომ, სწორად შერჩეული მარკეტინგული ხერხი და სტრატეგია გაზრდის მომსახურების ეფექტიანობას და მომხმარებლის კმაყოფილების დონეს.

ასევე, სერვისის სწორად მიწოდებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ მნიშვნელოვანი შემდეგი საკითხები: სარეკლამო საშუალება, ვიზუალური იმიჯი ე.წ „საფირმო გაფორმება,“ შენობის გარეგანი სახე, პერსონალის მომსახურება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის სტანდარტებს.

გარდა ამისა, საყურადღებოა ის, რომ პერსონალი პირველ ეფექტს და შთაბეჭდილებას ტოვებს მომხმარებლისთვის გაწეულ მომსახურებაში, რომ კიდევ ესტუმრონ მათ და სხვებსაც უთხრან მათი მომსახურების შესახებ. ამიტომ მარკეტინგის სფერო ახლო და საჭირო მიმართულებაა ტურიზმის ინდუსტრიისთვის, განსაკუთრებით კი „მომსახურების მარკეტინგი“ რადგან ეს მიმართულება უზრუნველყოფს სერვისის ორგანიზებას და მომხმარებლამდე სწორ და ეფექტიან მიწოდებას. რის მიხედვითაც, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია ტურიზმში მარკეტინგის სამ ფუნქციას გამოყოფს:

განვითარება - რომელიც გულისხმობს საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, უწყობს ხელს ახალი ინოვაციების გაცნობასა და გამოყენებას.

კონტროლი - რომელიც ითვალისწინებს მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებას, პერსონალის გადამზადებას, შემცვლელების საქმიანობის გაცნობას.

მომხმარებლებთან ურთიერთობის დამყარება - მომხმარებლების მოთხოვნილებების, სურვილების და უპირატესობების გაცნობას გულისხმობს (ცეცხლამე, 2019).

მომხმარებლების მოზიდვაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მომსახურების ფასს. ტურისტული მომსახურეობის ფასი, ის უცვლელი თანხაა, რომელიც უნდა დახარჯოს მყიდველმა პროდუქტის (მომსახურების) შესაძენად. სათანადო ღირებულება იზომება ფულადი ერთეულებით (ლარი, დოლარი, ევრო, გირვანქა, ფრანკი და ა.შ.). სოფლად ტურისტულ საქმიანობაში ჩართული დამწყები პირი მომსახურების ფასის განსაზღვრისას უნდა ითვალისწინებდეს რამდენიმე პრინციპს:

- სხვა, ანალოგიური დანიშნულების ტურისტული მეურნეობების ფასებს;
- აგროტურისტულ ობიექტში განთავსების ფასი, სასტუმროს ნომრების ფასზე ნაკლები უნდა იყოს;
- არ შეიძლება განსხვავებული გასაყიდი ფასის დადება, ადგილობრივი და უცხოელი ტურისტებისათვის;
- რეკომენდებულია, ფასების დიფერენცირება სეზონურობის, დაქირავების ხანგრძლივობის მიხედვით.

ფასის დადგენისას უნდა გაითვალისწინონ მომხმარებლის ყიდვითუნრიანობაც, თუ რამდენად არის იგი მგრძნობიარე ფასის მიმართ, რამდენად მოსწონს შეთავაზებული პროდუქტი. საერთოდ, მყიდველი ნაკლებ მგრძნობიარეა ფასის მიმართ როცა: მათი შეთავაზება უნიკალურია და მყიდველმა არ იცის სხვა მსგავსი შეთავაზებების შესახებ. (ვადაჭვორია, 2011:122).

მომსახურების ფასების განსაზღვრის გარდა, მნიშვნელოვანია იმის გარკვევაც თუ მომხმარებლების რა სეგმენტზეა გათვლილი ტური. კერძოდ:

1) ყველაზე დიდი სეგმენტის ნაწილია ის, ვინც ინდივიდუალურად, ჯგუფურად ან წყვილთან ერთად მოგზაურობს ბუნებაზე დაკვირვების მიზნით. ხანდახან მეგობარი ოჯახები მოგზაურობენ ერთად. ჯგუფი ძირითად ყურადღებას აქცევს გარემო პირობების დაცვას, ორგანულ მეურნეობას. ინტერესდებიან სოფლის

მეურნეობით. არიან ფიზიკურად აქტიურები.

2) 60 წელზე უფროსი ასაკის დამსვენებლები არიან, ძირითადად პენსიონერები, ვისაც აქვს დასვენების დრო, შემოსავალი.

3) 12-14 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლები, მათთვის შვილების გართობა და შემეცნება არის მოგზაურობის განმსაზღვრელი. ისინი მოგზაურობენ წელიწადში 2-3 ჯერ, ძირითადად საკუთარ და/ან მეზობელ ქვეყანაში.

მაგალითად, სოფლად მდებარე ფერმებში, დამსვენებელები ძირითადად 2-4 კაციანი უცხოელთა ოჯახებია. მათთვის დასვენების ორგანიზებისათვის გასათვალისწინებელია შეთავაზებები ოჯახის თითოეული წევრისათვის ცალ-ცალკე: მამაკაცისათვის ეს შეიძლება იყოს ნადირობა, თევზაობა, ცხენით ჯირითი, თიბვა მასპინძელთან ერთად. დიასახლისისათვის: ქსოვა, ქარგვა, კერძების მომზადება. სასურველია, ბავშვებიანი ოჯახის ჩამოსვლის შემთხვევაში მასპინძელ ოჯახში იყოს დაახლოებით იმავე ასაკის ბავშვები. უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასპინძლების მიერ საკონტაქტოდ აუცილებელ უცხო ენის ცოდნას. (ფერმერის... 2019:7).

ე.ი. მნიშვნელოვანია, აგროტურისტულ მეურნეობებში მკაფიოდ გამიჯნული სპეციალიზაცია, რაც გულისხმობს - თუ ვისთვის არის განკუთვნილი შეთავაზება?! - მომხმარებლის ტიპი/ჯგუფი, რის საფუძველზეც უნდა დაიგეგმოს ვიზიტორების დასვენება?! შესაბამისად, უდა შეიქმნას ტურ-პროგრამები, რომელიც მორგებული იქნება ტურისტების სხვადასხვა ინტერესებზე. ასე მაგლითად, კვიპროსსა და ბულგარეთში აგროტურიზმა სოფლებს თვითმყოფადობა შეუნარჩუნა. კვიპროსში შემუშავებულია აგროტურიზმის განვითარების სპეციალური პროგრამა, რომელიც ანხორციელებს სასოფლო სახლების რესტავრაციას და ნაციონალურ სტილში გაფორმებას თანამედროვე კომფორტის და სიმყუდროვის შენარჩუნებით.

ტურისტებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ ადგილობრივ კულტურას, ტრადიციებს, ფოლკლორს, დაისვენონ მთიან სოფლებში და სურვილისამებრ იარონ ზღვის ნაპირზე. შეუძლიათ მონაწილეობის მიღება ყურძნის კრეფასა და მის დაწურვაში, დაათვალიერონ სამჭედლო, საფეიქრო სახელოსნოები და ა.შ.

კვიპროსში აგროტურისტული პროგრამა ამუშავდა 1991 წლიდან კვიპროსის მთავრობის სრული მხარდაჭერით. მოიცვა 270 სოფელი. მუშაობდნენ

არქიტექტორები და რესტავრატორები რათა ძველი იერსახე დაებრუნებინათ სოფლებისთვის. სოფლის მოსახლეობისათვის და იმ მესაკუთრეთათვის, ვინც 1989 წლამდე სოფლად შეიძინა უძრავი ქონება გაიცა ინვესტიცია, რათა მათ დაეწყოთ მზადება აგროტურისტთა მისაღებად.

მიღებული იქნა კანონი სოფლის სახლების კვიპროსის ლიცენზირებულ ტურისტული ობიექტების ნუსხაში დაფიქსირების შესახებ. შეიქმნა კვიპროსის აგროტურისტული კომპანია, რომელიც წარმოადგენს აგროტურისტული ობიექტების მფლობელთა ასოციაციას. კომპანია აწარმოებს ერთიან მარკეტინგულ პოლიტიკას, სარეკლამო კამპანიას, დაჯავშნის ცენტრალიზებულ სისტემას. უზრუნველყოფს საინფორმაციო მასალის დამუშავებას და მის განთავსებას ვებ-საიტზე. ტურისტები ჩადიან ძირითადად ბრიტანეთიდან, ავსტრიიდან და გერმანიიდან.

აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი აღსანიშნავი ტურისტული რეგიონი ბულგარეთი ცნობილია როგორც ზღვის, ასევე მთის კურორტებით. ითვლება ევროპის მასშტაბით პერსპექტიულ რეკრეაციულ ზონად. იმის გათვალისწინებით, რომ ბულგარეთის მოსახლეობის 70% დღეს სოფლად ცხოვრობს ადვილი წარმოსადგენია, რომ აგროტურიზმა აქტიურად მოიკიდა ფეხი. (ყორღანაშვილი, 2021).

როგორც მაგალითებიდან გამომდინარეობს, აგროტურისტული პროგრამები შექმნასა და განხორციელებას საჭიროებს, რაც მორგებული უნდა იქნას შესაბამის ტერიტორიულ ერთეულის ბუნებრივ და ადამიანურ რესურსებზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ძირითადი საკითხების შეჯამება: მნიშვნელოვანია, აგროტურისტული პროდუქტის ფორმირება, ისე, რომ გათვალისწინეული იქნას ზემოთ ჩამოთვლილი კანონზომიერებები.

1.3 აგროტურისტული პროდუქტების სპეციფიკური თავისებურებანი

კონკრეტული ტიპის საკვების და სასმელის წარმოება აგროტურიზმის სპეციფიკაა, შესაბამისად გარკვეული სურსათი და სასმელი პროდუქტის წარმოება და გაყიდვა, რაც თავის მხრივ, დამატებით ღირებულებას სძენს სპეციფიურ პროდუქტს, რეგულირდება ხარისხის ნიშნებით - პროდუქტის ადგილწარმოშობის (PDO), გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა (PGI), და ტრადიციულობის აღმნიშვნელი (TSG) ნიშნებით. ამის კარგი მაგალითია შამპანიური და კონიაკი საფრანგეთში, გორგონზოლა და პარმაჯანო-რეგიანო ყველი იტალიაში. ეს სტრატეგია უდევს საფუძვლად აგროტურისტულ მარშრუტებს, როგორიც არის ღვინის, არტიზანული ყველის მარშრუტი, ლუდის ბილიკი. (საქართველოს, 2020 : 17-18).

აგროტურისტული პროდუქტის სპეციფიკას განსაზღვრავს:

➤ **სეზონურობა/ზელმისაწვდომობა** - შეიძლება ითქვას, რომ ტურიზმის ბიზნესში, არსებული რესურსების შეფასებისას, როგორც ეკოლოგიური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, გარემოს და კლიმატის ზემოქმედების სრულფასოვანი შესწავლა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. განსაკუთრებით აგროტურიზმში, რადგან ფერმერების შრომის შედეგი კლიმატურ პირობებზეც არის დამოკიდებული. ასევე, დამოკიდებულია მოცემული რეგიონის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ტოპოგრაფიაზე, მცენარეულ საფარზე, ამინდსა და კლიმატზე.

ამინდი და კლიმატი არის ის ორი ძირითადი ფაქტორი, რომელიც ადგილის ბიოკლიმატურ რესურსებს განსაზღვრავს. არახელსაყრელ კლიმატურ პირობებს და მათ ცვლილებას შეუძლია გავლენა იქონიოს ტურისტულ ნაკადზე ან ტურისტული საქმიანობის სეზონურ მონაცვლეობაზე.

ტურიზმის სეზონურობა და ცვლილებები სამომხმარებლო სექტორში, რაც განპირობებულია კლიმატური ვარიაციებით, ზეგავლენას ახდენს ტურიზმის მონათესავე სექტორებზეც. ტურიზმის სფეროში სეზონურობის შესწავლა საშუალებას იძლევა განისაზღვროს ბუნებრივ-კლიმატური პირობების გავლენის ხარისხი ტურისტული პროდუქტის ფორმირებაზე, გამოვლინდეს ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს სეზონურობას ტურიზმში.

აგროტურიზმის შემთხვევაში, სეზონურობით შექმნილი პრობლემები ნაკლებად გვხვდება, თუ ადგილი არა აქვს არახელსაყრელ კლიმატურ პირობებს, რასაც შეუძლია გაანადგუროს ფერმერული მეურნეობები. (ქართველიშვილი, 2019).

➤ **მეურნეობის დარგები ტურიზმში** - იმისათვის, რომ ფერმერული მეურნეობა იქცეს ტურისტულ პროდუქტად მნიშვნელოვანია შესაბამისი პირობების შექმნა. მაგალითად: საფუტკრე მეურნეობა, სადაც ვიზიტორებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ თაფლის დაწურვაში, ფუტკრის სკების მოვლა-პატრონობაში. თავისთვად, მეფუტკრის მსგავსად უნდა ჰქონდეს მას ჩაცმული შესაფერისი ტანსაცმელი და დამცავი ქუდი. ასე რომ, საფუტკრე მეურნეობა თავისუფლად შესაძლებელია იქნეს გამოყენებული ტურისტულ პროდუქტად. ამისათვის საჭიროა, მეფუტკრის დახმარებითა და ორგანიზებით შემუშავდეს თაფლის ტური.

➤ **ადგილზე მასპინძლის/ფერმერის შეთავაზების ფორმები/აქტივობები.** სტუმრის მიღებისთვის საოჯახო სასტუმროებისა და აგროტურისტული მეურნეობების მასპინძლები ცდილობენ სასოფლო-სამეურნეო აქტივობების ბაზაზე შექმნან ინოვაციური ტურისტული მომსახურება განსხვავებული ხერხებითა და აქტივობებით.

მაგალითად, ასეთია საკოლექციო ვენახის ჩვენება სადაც ადგილობრივი და იშვიათი ყურმის ჯიშებია წარმოდგენილი, სადაც ყოველდღიურ საქმიანობას უზიარებენ სტუმრებს. ვიზუალური ეფექტის მიდგომის პრინციპით კვების ობიექტი და ბოსტანი ერთ სივრცეში მდებარეობს, რაც ამყარებს აღნიშნულ საქმიანობაში ადგილობრივი პროდუქტების გამოყენებას და ამასთანავე, თვალსაჩინოს ხდის მათ. აგრეთვე, არსებობს ღია სამზარეულოში მუშაობის პრინციპი, რითიც ფერმერები თავიანთ საქმიანობას სახალისოდ და სანდოდ წარმოაჩენენ. (ხარტიშვილი, 2020:42). კვლევის შედეგების მიხედვით, აგროტურისტული პროდუქტის მომსახურებების სახეები ნაჩვენებია სქემა 1.2-ზე.

როგორც სქემიდან ჩანს, კვებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, მომსახურების დროს. აგროტურისტული პროდუქტის სპეციფიკური თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ვიზიტორებისათვის შეთავაზებული საკვები, ფერმერის მიერ უნდა იყოს მოყვანილი და რა თქმა უნდა ნატურალური.

საკვების დაგემოვნებისა და შეძენის გარდა, ტურისტები ინტერესდებიან იმით, თუ სად და როგორ მზადდება საკვები. მათ აქვთ სურვილი შეხვდნენ ფერმერებსა და გადამამუშავებელი ინდუსტრიის წარმომადგენლებს და ესაუბრონ იმის შესახებ, თუ რა ხდება კვების პროდუქტების წარმოების სფეროში. მაშასადამე, აქედან გამოიყოფა ორი მიმართულება: პირველი - საკვების მომზადება, ტრადიციული კულინარია. მეორე - კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიის გაცნობა და დათვალიერება.

Այլօթ N^o 1.2.

აგროტურისტული შეთავაზებები



წყარო: „აგროტურიზმის სამართლებრივი ბაზა და საერთაშორისო გამოცდილება”, 2020 წ.

(პროგრამა: ერთობლივი ძალისხმევა ქალთა უკონიმიკური გაძლიერებისთვის
საქართველოში (JA WE). <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/29136>.)

ტრადიციული კულინარია გულისხმობს, რომ არსებობს მზარდი მოთხოვნა მა-
ღალი ხარისხის, ადგილობრივი ორიგინალური საკვები პროდუქტების და კულინა-
რული ნაწარმის მრავალფეროვნებაზე. ტურისტებს სურთ, რომ მიირთვან და თავად-
აც ჩაერთონ კერძების მომზადების პროცესში. ასე, რომ აგროტურისტულ საქმიანობ-
აში კულინარია ასახავს ტრადიციას, მემკვიდრეობას და ადგილობრივ კულტურას,

რაც იცავს სოფლის ტრადიციულ ფორმებს და კულტურულ მემკვიდრეობას.

კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიის გაცნობა და დათვალიერება - გულისხმობს ვიზიტორების მიერ საკვები პროდუქტების წარმოების და ტექნოლოგიური პროცესების, შესაბამისი მანქანა-აპარატების მუშაობის პროცესზე დაკვირვებას.

აგრეთვე, იმ ეტაპების გავლას და მასში მონაწილეობას თუ რა გზას გადის მეურნეობიდან ნედლეული საწარმომდე, საწარმოში დამუშავების შემდეგ მომხმარებლებამდე. ასევე, ყურადღება მახვილდება სურსათის უსაფრთხოებაზეც. ფერმაში მოყვანილი და შემდეგ დამუშავებული ნედლეული არის თუ არა ხარისხიანი და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო.

მრავალი ადამიანისათვის, რომლებიც სტუმრობენ ფერმებს, განსაკუთრებით კი ბავშვებისათვის, ასეთი ვიზიტი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ისინი პრაქტიკულად პირველად ხედავენ ყველაფერ იმას, რისგან და როგორ მზადდება მათთვის სასურველი საკვები. ფერმერები კარგად სარგებლობენ ამგვარი ინტერესის არსებობით და ცდილობენ მაქსიმალურად წარმოადგინონ პროდუქციაც და საწარმოო პროცესიც, რამდენადაც პოტენციურ მომხმარებლებთან აქვთ საქმე.

ამგვარად, აგროტურიზმი მოიცავს ნებისმიერ სასოფლო-სამეურნეო ოპერაციას, რასაც შეუძლია დაინტერესებული მნახველების მოზიდვა. მაგალითად, თუ იტალიაში პოპულარულია ფერმებში მუშაობა, სხვა ქვეყნებში, სხვადასხვა სპეციფიკაა - ეკოლოგიურად სუფთა, ბიოპროდუქტის გაყიდვა პირდაპირ ფერმებში, ხილის კრეფა, საქონლის მოვლა და ა.შ.

ლატვიაში, სადაც პოპულარულია აგროტურიზმი, ვიზიტორებს შეუძლიათ ისარგებლონ საკმაოდ ბევრი ტურებით, სადაც გაეცნობიან არა მარტო სასოფლო სამეურნეო საქმიანობასა და ადგილობრივ პროდუქტებს, არამედ სოფლის საინტერესო ტრადიციული ცხოვრების წესებს.

თურქეთში აგროტურიზმის ბაზას წარმოადგენს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებით დასახლებული ისტორიული სოფლები. სასტუმრო სახლებში დაბინავებულ ტურისტებს შეუძლიათ შეიძინონ როგორც ორგანული პროდუქტი, ასევე გაეცნონ სოფლის ცხოვრებას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი აგროტურიზმის ყველა შესაძლებლობა. ტურისტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ხილისა და ბოსტნეულის მოყვანასა და დაკრეფაში, ისეირნონ ცხენებით, დააგემოვნონ ადგილობრივი თაფლი, ღვინოები; სპეციალურ მაღაზიებში შეიძინონ ადგილობრივი ოსტატების მიერ დამზადებული სუვენირები და სპეციალური საჩუქრები.

აღნიშნული მიმართულების რეკლამასა და პოპულარიზაციაში ჩართულია როგორც სახელმწიფო (შესაბამისი სამინისტროები), ასევე არასამთავრობო (სხვადასხვა ასოციაციები და ცენტრები) და კერძო სექტორი.

ბევრ ქვეყანაში პოპულარულია სასოფლო-სამეურნეო გამოფენები და ფესტივალები. ეს არის საინტერესო ღონისძიება, სადაც წარმოდგენილია როგორც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა (სიახლეები და შესაძლებლობები), ასევე მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ყველა გავრცელებული დარგი (საუკეთესო ჯიშები და წარმომადგენლები), სოფლის მეურნეობის პროდუქცია. (დოლიკაშვილი...2021:209).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აგროტურისტული პროდუქტის კიდევ ერთი განსაკუთრებულობა - მისი ეთნოგრაფიული მრავალფეროვნება: ბუნება, გარემო, თუნდაც ლანდშაფტის დონეზე, რაც განსაზღვრავს სოფლებში, საუკუნეთა განმავლობაში მცხოვრები ხალხის ხასიათისა და კულტურის თავისებურებათა ჩამოყალიბებას.

ტურისტებს ძირითადად ხიბლავთ სიძველეები, ისტორიული მხარეები, შუა საუკუნეების მონასტერები და ციხე-სიმაგრეები, მრავალფეროვანი ბუნება, ლამაზი პეიზაჟები, ოჯახური სიმყუდროვე, ეკოლოგიურად სუფთა გარემო და საკვები, აქტიურად დასვენების პერსპექტივა. ამ მხრივ საუკეთესო პირობებს დამსვენებლებს სთავაზობს იტალია, ბულგარეთი, კვიპროსი.

თითოეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეული სპეციფიკური ეთნოგრაფიული თავისებურებებით ხასიათდება, რაც ადგილობრივმა მოსახლეობამ სოფლებში დღემდე შემოინახეს. ეთნოგრაფიული მრავალფეროვნება განპირობებული არის ამა თუ იმ ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებითა და ისტორიული განვითარებით. (ჩერქეზიშვილი, 2022).

ამას ემატება სოფლის ისტორიის გაცნობა, ლეგენდების გახსენება, სასოფლო-

სამეურნეო ძველი და თანამედროვე იარაღების გამოყენების გაცნობა ვიზიტორებისათვის. რომლის დაცვისა და შენარჩუნების მიზნით, ზოგიერთ ქვეყნებში შეიქმნა აგროტურისტული მუზეუმები.

აგროკულტურული მუზეუმების ისტორია 1896 წლიდან იწყება და პირველად ბუდაპეშტში შეიქმნა. მუზეუმში წარმოდგენილია უნგრეთის სოფლის მეურნეობის ისტორია დასაბამიდან დღემდე.

მისაბაძია ამ მხრივ დიდი ბრიტანეთი და ირლანდია, სადაც სოფლის მეურნეობის 120 მუზეუმია ქვეყნის თითქმის ყველა წერტილში. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი არსებობს ყველაზე დიდი ცენტრალური - ვაშინგტონის სოფლის მეურნეობის მუზეუმი, სადაც წარმოდგენილია 150-ზე მეტი ანტიკური ტრაქტორი, 1 000 ცალზე მეტი ისტორიული მანქანა და ათასობით ჰექტარზე გამოფენილია ექსპონატები, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის ფერმერული მეურნეობის განვითარებაზე ბოლო 100 წლის განმავლობაში. (საჩალელი... 2018:55).

მსგავსი ობიექტების არსებობა, ხელსუწყობს აგროტურისტული რესურსების შექმნას, ტრადიციული მეურნეობისა და თანამედროვე მიდგომების გამოყენებით ფერმერული საქმინობის შესწავლას, ტრადიციებისა და სიძველეების შენარჩუნებას. ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვას.

აღნიშნული მემკვიდრეობის დაცვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ფოლკლორიც. ამიტომ, იგი დამატებით აქტივობად გამოიყენება. ფერმერის ოჯახებს, რომლებიც აგროტურიზმითაა დაკავებული შეუძლიათ ფოლკლორი ტურისტულ საქმიანობად აქციონ. სტუმრებს საშუალება მისცენ არა მარტო მოისმინონ სიმღერა, არამედ მიიღონ ოჯახებში ფოლკლორის გაკვეთილები.

გაკვეთილების ორგანიზება ვიზიტორებისათვის, შესაძლებელია სხვა მიმართულებებითაც. მაგალითად: ძველი, ტრადიციული სამუშაო იარაღების დამზადება, მოწესრიგება, მეთუნეობა, ტრადიული მუსიკალური ინსტრუმენტების დამზადება, კულინარიისა და მეურნეობაში მუშაობის შესწავლა, ბოლოს კი პრაქტიკაში განხორციელება.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია შევაჯამოთ, რომ ტურისტებს აინტერესებთ ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა და კულტურა, ტრადიციები, კულინარია, რწმენა-

წარმოდგენები, ლეგენდები და ისტორიები. აგრეთვე, დანიშნულების ადგილისათვის დამახასიათებელი კერძების მომზადება და დაგემოვნება.

ამასთანავე, იმ გარემოში ცხოვრება, სადაც ვენახი, ხეხილის ბაღი ან სხვადასხვა დანიშნულების ფერმებია. ხშირ შემთხვევაში, ასეთი ადგილები ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივ გარემოშია მოქცეული, რაც კიდევ ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს აგროტურისტული მოგზაურობისათვის.

თავი II.

თავი II. აგროტურიზმის განვითარების მსოფლიო გამოცდილება და ტენდენციები

2.1. აგროტურიზმის განვითარების თანამედროვე გამოცდილება

აგროტურიზმი მსოფლიოში, გასული საუკუნის 70-იან წლებიდან ვითარდება. დარგის განვითარებაზე დადებითად იმოქმედა საქმის სწორად ორგანიზების ფორმების შემუშავებამ და მერე პრაქტიკაში მის გამოყენებამ. ბოლოს კი, ევროპის ქვეყნებში, აღნიშნული ფორმები მოდელების სახით ჩამოყალიბდა.

აგროტურისტული მოდელები, დღეისათვის იყოფა აგროტურიზმის განვითარების სამ მიმართულებად:

პირველი მიმართულება დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნებისათვის, სადაც აგროტურიზმი ვითარდება სოფლის-მეურნეობის წარმოების პარალელურად. რაც დამახასიათებელია გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ჰოლანდიისათვის და ა.შ.

მეორე მიმართულება დამახასიათებელია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც საერთაშორისო ტურიზმზე არიან ორიენტირებულნი. მაგ., ასეთი ქვეყანაა კვიპროსი.

მესამე მიმართულება დამახასიათებელია ტროპიკული და განვითარებადი ქვეყნებისათვის. მაგალითად: საქართველო, სომხეთი, მალაიზია და სხვა. (ქველამე...2013:485).

განვიხილავთ, პირველი მიმართულების ქვეყნებს:

ა) აგროტურიზმის გერმანული მოდელი. სოფლის ტურიზმის განვითარება გერმანიაში 1960 წლიდან დაიწყო. მაშინ, როდესაც დაიწყო ქალაქის მცხოვრებლების სოფლად შეხვედრების ორგნიზება. გერმანიაში იგი ცნობილია სახელწოდებით „ტურისტების მიღება და მომსახურება სოფლის სახლებში“ - „დასვენება ფერმაში“.

დღეისათვის, გერმანიაში მარტივად შეიძლება ქალაქგარეთ საცხოვრებლის მოძებნა. იქ, მცხოვრები ფერმერები კი სხვადასხვა სახის დასვენებას სთავაზობენ მომხმარებლებს:

- განთავსება ადგილ-მამულებში, რომელებიც მდებარეობს კოშკების ახლოს ან თავად კოშკებში;
- ადგილობრივი სამზარეულოს გაცნობა;
- კერძების მომზადებაში მონაწილეობა და დაგემოვნება;
- კულინარიისა და ორგანული მიწათმოქმედების კურსები,
- თევზაობა;
- მებაღეობა;
- ბუნების ჭვრეტა და მედიტაცია.

აგრეთვე, პოპულარულია აგროტურიზმის ორი სახეობა: 1. უშუალოდ ფერმერული ტურიზმი (ერთობლივი ცხოვრება და მუშაობა მინდორში) და 2. ეთნოტურიზმი. ეთნოტურიზმი გერმანულად გულისხმობს სხვადასხვა სახის ეროვნულ ფესტივალებსა და დღესასწაულებში (ცნობილი ლუდის ფესტივალში ან სოფლის დღესასწაულებში) მონაწილეობას. (შარაბიძე, 2019:50-52).

ბ) აგროტურიზმის ფრანგული მოდელი. საფრანგეთში დღეისათვის აგროტურიზმი არის ტურისტული ინდუსტრიის კარგად ჩამოყალიბებული სეგმენტი, სადაც შემოსავლები მიღიარდობით დოლარს შეადგენს. თითოეულ დოლარს, კი დამატებით შემოსავლის სახით გამოიმუშავებენ ადგილობრივი ფერმერები. მათ ბევრი რამ აქვთ ვიზიტორებისათვის შესათავაზებელი. მაგალითად: ტურისტებს სთავაზობენ ცალკე სახლს, ადგილობრივი სამზარეულოს სრულ ნაკრებს და რა თქმა უნდა, ღვინის დაგემოვნების შესაძლებლობას. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველი ფერმერი საკუთარი მარკის ღვინოს აწარმოებს, მრავალფეროვნება კოლოსალურია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ იქ, აგროტურიზმი მხოლოდ ღვინოს არ ეფუძნება, პოპულარულია კონიაკისა და ყველის ფერმერული ტურებიც. (შარაბიძე, 2019:17).

უფრო კონკრეტულად, კი აგროტურისტებს დღეისათვის შესაძლებლობა აქვთ იცხოვრონ ვილის, ფერმის, მამულის, კოშკის, აპარტამენტებში. ყველა ეს შესაძლებლობა ერთ ტერმინში ერთიანდება - სოფლის კოტეჯები. ადგილობრივი აგროტურიზმისათვის დამახასიათებელია დასვენების სხვადასხვა სახეობის შერწყმა - შეთავზება. (შარაბიძე, 2019:40-41).

განსაკუთრებით ლამაზია შატოებში სტუმრობა, სადაც უზარმაზარ მინდვრებზე მზით განათებული, მოვლილი ვენახებია გადაჭიმული. შატო მდებარეობს საფრანგეთში, საყოველთაოდ ცნობილ ღვინის რეგიონ ბორდოში. ღვინის კომპანია აგებულია ცნობილი ფრანგი არქიტექტორის კრისტიან დე პორტზამპარკის მიერ. შატოს სახურავზე გაშენებულია ბაღი, საიდანაც შესაძლებელია ულამაზესი ვენახების ხედებით ტკბობა.

მეღვინეობის თვალსაზრისით, საფრანგეთი მთელს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და მოწინავე ქვეყანაა. მეღვინეობის დარგი ფრანგი ფერმერებისათვის ერთ-ერთი შემოსავლის წყაროა. ხარისხიანი ფრანგული ღვინო ხომ ყველა გემოვნების ადამიანისთვისაა სასურველი.

ამითაა განპირობებული ფრანგულ სოფლებში მევენახეობა-მეღვინეობის გავრცელება და მისი მიბმა ტურიზმთან. აღნიშნული გულისხმობს, ვიზიტორების განთავსებას ფერმერის სახლში, მათ მიერ ვენახების დათვალიერებას, ღვინის წარმოებაში მონაწილეობის მიღებასა და მეღვინეობასთან დაკავშირებით საინტერესო ლექციების მოსმენას. გარდა ამისა, ტურისტებს სურვილის შემთხვევაში საკუთარი ღვინის ჩამოსხმასაც ასწავლიან.

უფრო კონკრეტულად განვიხილოთ, რამდენიმე ფრანგული სოფლის მაგალითი:

ქ. პარიზის, მთავარი ყურძნის მიმწოდებელი სწორედ სოფელი შაბლია, სადაც ვაზის გარდა ულამაზესი ზეთისხილის ხეების ხეივნებიცაა, ღვინის დეგუსტაცია ადგილობრივ ყველთან ერთად კი, ნებისმიერ ეზოში შეიძლება, რადგან ადგილობრივი მეღვინეები ყოველთვის განსაკუთრებული სტუმართ-მოყვარეობით გამოირჩევან და ტურისტებსაც დიდი სიამოვნებით მასპინძლობენ.

ასევე, აგროტურიზმის განვითარების თვალსაზრისით გმოირჩევა, შუასაუკუნეების სოფელი Ivar, იგი ოფიციალურად ითვლება საფრანგეთის ყველაზე ლამაზ სოფლად და თავისი შუასაუკუნეების არქიტექტურით, ვიწრო ქუჩებითა და სუვენირების კოლორიზული მაღაზიებით, ნაციონალური კერძებით და ხუთი პატარა სასტუმროთი, მთელი მსოფლიოდან იზიდავს ტურისტებს.

ქალაქში მშვიდი ცხოვრების რიტმია შენარჩუნებული, მოსახლეობა ძირითადად სუვენირების დამზადებით და ყვავილების სელექციითაა დაკავებული, მთავარ გართობად კი - ციხე-სიმაგრის „შატო და ივუარის“ ეზოში ან სანაპიროზე სეირნობა ითვლება (ლომინაძე, 2016).

გ) აგროტურიზმის იტალიური მოდელი ფრანგულ მოდელს ჰგავს, მაგრამ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებიც აქვს. კერძოდ, კულინარულ ტურებთან ერთად ხდება გასართობი ტურების შეთავაზება, რომლის ძირითადი მიმართულებაა ისტორიული ღირშესანიშნაობების დათვალიერება. აღნიშნულ მოდელთან დაკავშირებით განვიხილოთ, რამდენიმე მაგლითი:

ტრენტინო ევროპის ერთ-ერთი მსხვილი სამთო-სათხილამურო ტურიზმის ცენტრია. სადაც, აგროტურიზმის განვითარება შესაძლებელი გახდა უკვე არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის საფუძველზე. ყოველივე არსებულს ემატება პეიზაჟების სილამაზე, კულტურულ-ისტორიული და ბუნებრივი ღირშესანიშნაობა, მრავალფეროვანი ადგილობრივი სამზარეულო. იმის გამო, რომ იტალიის სამხრეთი აგრარულ რეგიონს განეკუთვნება, იქ წარმოდგენილია აგრო-მამულების დიდი არჩევანი.

ტოსკანა - პროვინციაა, აპენინის ნახევარკუნძულის დასავლეთ სანაპიროზე. ტოსკანაში მევენახეობა და ტურიზმია განვითარებული. ტოსკანური აგროტურიზმი კიდევ საინტერესოა იმით, რომ ვიღების უმეტესობა XIV – XVI საუკუნეების ნაგებობებს წარმოადგენს. ფერმერი დიასახლისები კი დიდი სიამოვნებით უმხელენ სტუმრებს ადგილობრივი კერძების მომზადების საიდუმლოს.

პიემონტი - განთქმული მეღვინეობის მხარე იტალიის ჩრდილოეთით, საფრანგეთსა და შვეიცარიას ესაზღვრება. მისი ტერიტორიის თითქმის 10%-ს ეროვნული პარკები მოიცავს. პიემონტი სამი მხრიდან ალპებით არის გარშემორტყმული.

ეს გახლავთ ნამდვილი ცქრიალა ღვინოების სამშობლო. პიემონტში ასევე ყველის უამრავ უნიკალურ სახეობას აწარმოებენ: გორგონზოლა, ტოლეჯო, ბრა, იქვე მოჰყავთ სიმინდი და ხორბალი.

პიემონტის განსაკუთრებულ ბრენდს მიწის თეთრი სოკო წარმოადგენს, რომელიც პროვინცია ლანგეში ხარობს. პიემონტში ტურისტებს შეუძლიათ

აგროტურიზმს შეუთავსონ საკურორტო რაიონებში სტუმრობა, სადაც მიწერალური წყლების საბადოებია.

განხილული სოფლების დახასიათებიდან ჩანს, რომ ადგილობრივ ფერმერებს შეუძლიათ ტურისტებს შესთავაზონ: ტრადიციული სამზარეულო, ზეთისხილის ხეივნებისა და ვაზის ზვრების დათვალიერება, მიმდინარე სამეურნეო სამუშაოებში ჩართვა, მოცარელისა და ცნობილი იტალიური პასტის წარმოების პროცესზე დაკვირვება. გარდა ამისა, ადგილობრივი გასტრონომია და აპენინის ნახევარკუნძულის საოცარი ბუნება, იტალიის მრავალრიცხოვან მემამულებსა და ფერმერებს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საშუალებას აძლევს.

დღეისათვის, იტალიაში საერთო ჯამში 176 აგრო-პროდუქტია აღნუსხული, რომელიც ამა თუ იმ რეგიონის ცნობადობას განაპირობებს. მსოფლიო კლასიფიკაციაში ასეთი პროდუქტები აღინიშნება აბრევიატურით PDO (Protected designation of origin), რაც ნიშნავს „რეგიონის დაცული სახელწოდება“-ს. აღნიშნული აბრევიატურა ხაზს უსვამს პროდუქტის უნიკალურობასა და ადასტურებს, რომ წარმოდგენილი სახელწოდების გამოყენება შესაძლებელია, მხოლოდ კონკრეტულ რეგიონში წარმოდული პროდუქტისათვის. ამიტომ, ცნობილი იტალიური ტრიუფელის დასაგემოვნებლად ტურისტებს პიზის პროვინციაში უხდებათ გამგზავრება, ხოლო ნამდვილი გორგონზოლას (მომწარო გემოს ყველი) მირთმევა მიღანის შემოგარენშიაც შეუძლიათ.

იტალიის აგროტურიზმის კიდევ ერთი მანიშნებელია DOCG (Denominazione di Origine Controllata e Garantita), რომელიც ღვინის მწარმოებელი რეგიონის აღმნიშვნელია. ასე, რომ ნამდვილი კიანტის (მშრალი წითელი ღვინის სახეობა) დასაგემოვნებლად ტურისტებს შეუძლიათ ტოსკანაში გამგზავრება. (ყორღანაშვილი, 2020).

დ) აგროტურიზმის ესპანური მოდელი - ესპანეთი იყო ერთ-ერთი პირველი იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურა ტურისტების მოთხოვნას ქალაქიდან მოშორებით, მყუდრო მხარეში დასვენების თაობაზე. შედეგად, ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე მოხდა სწრაფი გარდაქმნები: ფერმერთა სახლები მოეწყო სტუმრების მისაღებად, ძველი მამულები მოაწესრიგეს და სოფლის

სასტუმროებად გადააკეთეს. დღეისათვის, ესპანეთში ათეული ათასი აგროტურის-ტული ვილა, ფერმერის სახლი და საოჯახო სასტუმროა.

სოფლის სასტუმროს, გავრცელებული ფორმა არის „ფინკა” (Finca). ფინკა ეს არის სოფლის სახლი ან მთელი ფერმა, რომელიც საკუთარ მომსახურებას სთავაზობს ტურისტებს. ის მთელს ესპანეთში გვხვდება. ეს შეიძლება იყოს სრულიად ახალი ვილა ზღვის სანაპიროზე საკუთარი ბაღებითა და საჯინიბოთი ან ძველებური მამული ბასკეთში, სადაც დღესაც ძველებური წესით ხდიან ზეითუნის ზეთს.

დასვენების კიდევ ერთი ტიპია „სოფლის სახლი,” სადაც ფინკასაგან განსხვავებით, უმეტესი დროის განმავლობაში სოფლისთვის ჩვეული ცხოვრება და მეურნეობის წარმოება მიმდინარეობს. ზაფხულობით კი - ამ სახლის ნაწილი ტურისტებზე ქირავდება. ფაქტობრივად, ეს არის ზაფხულში „ბებიასთან სტუმრობის” ანალოგი. იგი საუკეთესო საშუალებაა ესპანური ყოფაცხოვრების გასაცნობად.

აგროტურიზმი ესპანეთში ეს არის ცნობილ ღვინის-მწარმოებელ რეგიონებში მოგზაურობა, დასვენება ზღვისპირეთში და ქვეყნის კულტურისა და ყოფაცხოვრების გაცნობა. გარდა კვებისა და ღამისთევისა, სოფლის სახლის მეპატრონეები ტურისტებს ფოლკლორს, ადგილობრივ ტრადიციულ დღესასწაულებსა და ფესტივალებში მონაწილეობას სთავაზობენ. ესპანელები საკმაოდ მეგობრული და გულდია ხალხია, ხალისით ესაუბრებიან ვიზიტორებს ისტორიულ ფაქტებზე, ადგილობრივ ლეგენდებსა და გადმოცემებზე.

ე) აგროტურიზმის ბერძნული მოდელი. საბერძნეთის პროვინციებში სრულად არის შენარჩუნებული ათასწლოვანი ცხოვრების წესი. იმდენად, რომ ისტორიული ფილმების გადაღების დროს, შეიძლება ბერძნული სოფლების დეკორაციებად გამოყენება.

საბერძნეთის გლეხურ მეურნეობაში ერთკვირიანი ცხოვრების შემდეგ, ტურისტი სრულად ივსება სოფლის ცხოვრების ატმოსფეროთი, რაშიც მოიაზრება ცხვრის ფარების მოვლა, მთის ფერდობებზე მდებარე ეკლესიების დათვალიერება-მომლოცველობა, სოფლის ტავერნებში შევლა და დაგემოვნება ოჯახური არაყის, ყველის, ზეთისხილის. საბერძნეთში აგროტურიზმი რამდენიმე მიმართულებით არის განვითარებული, კერძოდ:

- ტურისტი ისვენებს და ცხოვრობს ფერმერთან ერთად, ჩართულია სასოფლო-სამეურნეო სქმიანობაში;
- დასვენება ტავერნის სასტუმროში;
- მონასტერში ცხოვრება;
- სახელოსნოების მონახულება;
- ძველებულ მამულებსა და ვილებში დასვენება.

ბერძნულ აგროტურისტულ რეგიონებს განეკუთვნება: კუნძული კრეტა, კუნძული როდოსი, ქალკედონის ნახევარკუნძული, დოდეკანესი საბერძნეთის კუთვნილი არქიპელაგი ეგეოსის ზღვაში, კუნძული კორფუ, ოლიმპია - ძველი ბერძნული ქალაქი ელადა, რელიგიური ცენტრი, ზევსის კულტისა და მისდამი მიძღვნილი ოლიმპიური თამაშების ჩასატარებელი ადგილი. აღნიშნულ რეგიონებში, უკანასკნელ პერიოდში, განვითარებულია ტურიზმის ისეთი მიმართულებები, როგორიცაა: აგროტურიზმი, ეკოტურიზმი და გასტრონომიული ტურიზმი.

ასე მაგალითად, **სოფელი ვამოსი**, ადგილობრივი მცხოვრებლების ძალისხმევით, სოფლად დასვენების სიმბოლოდ იქცა. გარდა დასვენებისა, იქაური ფერმერები გამოირჩევა ოჯახური პროდუქციის წარმოებით. დამსვენებლებს შეუძლიათ ადგილზე შეიძინონ: სუვენირები, ზეითუნის ზეთი, მარმელადი, ღვინის ძმარი, არაყი.

გარდა ამისა, საბერძნეთში აგროტურიზმის უახლესი ცენტრია ქვეყნის ჩრდილო აღმოსავლეთში მდებარე რეგიონი ევროსი. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეგიონი ყველაზე ღარიბი რეგიონია, აგროტურიზმის განვითარება, იქ აქტიურად მიმდინარეობს. ამას განაპირობებს ბუნებრივი ღირშესანიშნაობები, რომელთა შორისაა სოფლის ნაკრძალი და მდინარე ევროსის დელტა.

ქვეყანაში აგროტურიზმის ნაირსახეობა მოსავლის აღებას უკავშირდება. ამ თვალსაზრისით ყველაზე პოპულარული კულტურა ზეთისხილის მოსავლის კრეფა ნოემბერში ხდება და ბევრი ადგილობრივი ფერმერი სტუმრად იწვევს ტურისტებს ამ პროცესში მონაწილეობის მისაღებად. მსგავსი სახის დასვენებას სთავაზობენ სტუმრებს კუნძულებზე: კალიმნოსი, პაროსი, კეფალონიასა და კალამატას სანაპიროზე არსებული საოჯახო მეურნეობები.

მოსავლის აღებას, როგორც წესი, თან ახლავს ფოლვლორის გაცნობა და უხვსუფრიანი ქეიფები.

ვ) აგროტურიზმის ავსტრიული მოდელი. დღეისათვის ავსტრიული ფერმების 10%, ჩვეულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან ერთად, აგროტურიზმის მომსახურებასაც სთავაზობს ტურისტებს.

აგროტურიზმის განვითარებას ავსტრიაში ათწლეულების ისტორია აქვს. ფერმაში ტურისტების მიღების ტრადიციას საუკუნეზე მეტი ხნის წინ ჩაეყარა საფუძველი. ამჟამინდელი სახით, აგროტურიზმის ფორმირება ავსტრიაში 1964 წელს დაიწყო. დღეისათვის, ავსტრიას სოფლად დასვენების ისეთი სახეობის შეთავაზება შეუძლია, როგორიცაა ფერმერის კარ-მიდამოში ექსკურსია, სადაც იმავდროულად შეიძლება სათხილამურო სპორტით გართობა, კარაქის დღვეფის ტექნიკის დაუფლება და ხალხური სიმღერის შესწავლა. საერთო ჯამში ქვეყნის 3 400-ზე მეტი მეურნეობა აგროტურისტულ მომსახურებას სთავაზობს ტურისტებს.

ამ ეტაპზე, აგროტურიზმი ავსტრიაში, ნამდვილად სრულფასოვანი დასვენების ორგანიზების საშუალებას იძლევა. ამ საქმინობას ხელმძღვანელობს ორგანიზაცია, სახელწოდებით „დასვენება სოფლის კარ-მიდამოში“. ეს ორგანიზაცია აერთიანებს 2 800 ფერმასა და 8 რეგიონს. (შარაბიძე, 2019:44).

ასე, რომ აგროტურიზმი გულისხმობს: ცხენოსნობას, ალპინიზმს, ფრინველებზე დაკვირვებას, ჰაერბურთით მოგზაურობასა და სხვ. ჯანსაღი კვების პოპულარიზაციის კვალობაზე ავსტრიაში გაჩნდა ათეულობით ფერმა, რომლებიც ტურისტებს სთავაზობენ დასვენებას შემდეგი დევიზით: „ჯანმრთელობაზე ზრუნვა და ჯანსაღი კვება“, სადაც საკვები პროდუქტი იწარმოება ეკოლოგიური სტანდარტების დაცვით.

ზ) აგროტურიზმის ბელგიური მოდელი. აგროტურიზმის ორგანიზაციის თვალსაზრისით, ბელგია და მისი მეზობელი ბენილუქსის ქვეყნები ჰავანან ერთმანეთს. ქვეყანაში სოფლის ტურიზმის მართვას რამდენიმე ორგანიზაცია ასრულებს.

ბელგიის ძველ ფერმებში შესაძლებელია უნიკალური აპარტამენტებისა და აგროტურიზმის მრავალფეროვანი ვარიანტების პოვნა. ნაწილი სოფლის სასტუმროებს განეკუთვნება, სხვა ნაწილი კი - სრულფასოვან აგრო-ატრაქციონს წარმოადგენს,

სადაც ვიზიტორებს შეუძლიათ ისეთი იაშვიათი და მათთვის უცნაური უნარების შეძენა, როგორიცაა თხის მოწველა ან ყველის ამოყვანა.

ბელგიის რეგიონები სტუმრებს სთავაზობენ მველებურ კარ-მიდამოს, რომელიც რაღაც შუალედურია კოშკსა და ცალკე მდგომ სახლს შორის. ხშირად ასეთი მამულები მიზიდულობის ცენტრი ხდება აგროტურიზმით გატაცებული ეკოლოგებისა და ველოსიპედით მოძრავი ტურისტებისათვის.

ველო-ბილიკების სიუხვე, ბელგიის სოფლების წყნარ ატმოსფეროში ჩაძირვისა და შერწყმის საშუალებას იძლევა. მნახველების აღფრთოვანებას იწვევს ადგილობრივი ფერმერების მამულები, იქ არსებული ინტერიერითა და ექსტერიერით.

თ) აგროტურიზმის ჰოლანდიური მოდელი. ჰოლანდიაში აგროტურიზმის განვითარებაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აგროტურიზმისა და ეკოტურიზმის ასოციაციები. სოფლის სახლები და კოტეჯები სასტუმროებს ჰგავს, სადაც საცხოვრებელ ნომერთან და საუზმესთან ერთად დამსვენებელს შესაძლებლობა ეძლევა მოუაროს ცხვარს, ძროხას ან ღორს.

მხოლოდ, ჰოლანდიის აგროტურიზმისათვის დამახასიათებელი ობიექტია „ყველის სახლი“. ეს არის კერძო სახლი, კოტეჯი ან ფერმა, სადაც სტუმარს საშუალება ეძლევა დატკბეს სოფლის სილამაზით და ამავე დროს სარგებელი მოუტანოს საკუთარ თავსა და სხვებს ცნობილი ჰოლანდიური ყველის დამზადების ტექნოლოგიის ათვისებით. ფერმერები სტუმარებს აცნობენ ყველის ხარშვის საიდუმლოს, რის საფუძველზეც სტუმარს, ყველის ამოყვანის საკუთარი რეცეპტის შექმნის შესაძლებლობა აქვს.

ი) აგროტურიზმის დანიური მოდელი. დანიაში საერთო ჯამში 45 ათასამდე ფერმერული მეურნეობაა, ტურისტულ მომსახურებას დაახლოებით 3-4 % სთავაზობს მომხმარებლებს. ვინაიდან, ყველა ჩრდილო-ევროპულ ქვეყანაში ყველის წარმოების ტრადიციული მეთოდია. დანიის შემთხვევაშიც, ფერმერები ყველს აწარმოებენ. იქვე, ტურისტებს აცნობენ წაროების პროცესს. ადგილზევე ხდება პროდუქტის დაგემოვნება და შეძენა. გარდა ამისა, მიღებულია ნავებით გასეირნება, ცხენის ჭენება, ლაშქრობა ფეხით, ექსკურსიები ძველებურ კოშკებსა და ციხე-სიმაგრეებში.

კ) აგროტურიზმის ფინანსური მოდელი. დღეისათვის, ფინანსური 2000-ზე მეტი აგროტურისტული მეურნეობა და რამდენიმე ათეული ასოციაციაა, რომლებიც აერთიანებენ ფერმერებს ინტერესების მიხედვით. ასოციაცია გამოსცემს გზამკვლევს, რომელშიც აგრო-მამულების შესახებ ინფორმაციაა განთავსებული.

აგრომამულები სტუმრებს სხვადასხვა ფორმატში დასვენებას სთავაზობენ. იქ ვიზიტორებს ხვდება მინი-სასტუმროები, რომლებიც კოტეჯს წარმოადგენს. არის სრულფასოვანი სოფლის კომპლექსები, სადაც სტუმარს შეუძლია მუზეუმისა და სახელოსნოების სადემონსტრაციო სივრცის დათვალიერება, ძალლების მარხილებით გასეირნება, ფინურ საუნაში ბანაობა, თევზაობა. თევზაობის, მსგავსად პოპულარულია ბაიდარებით მოგზაურობა, თხილამურებით სრიალი და ცხენით გასეირნება.

ფინეთის აგროტურისტული კარ-მიდამოების უმეტესობა ქვეყნის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილშია. 2 000 წლიდან შემოღებულია კარ-მიდამოების მომსახურების ხარისხის განმასხვავებელი წარჩინების ნიშანები. ის ენიჭება მეურნეობას, რომელიც წარმოაჩენს: ტრადიციულ ხელობას, ადგილობრივ ფინურ კულინარიას ისე, რომ მათი მომსახურეობა შეესაბამება ორგანული მიწათმოქმედების სტანდარტებს. მინიჭებული აქვთ ეკო-საცხოვრისის სახელი და ორგანული მიწათმოქმედების ეროვნული სერთიფიკატი.

ლ) აგროტურიზმის პორტუგალიური მოდელი. აგროტურიზმი პორტუგალიაში მეღვინეობის უჩვეულო ტრადიციითა და უამრავი დიდი და პატარა ძველებური სახლებით არის ცნობილი. იქვე, შესაძლებელია ციხე-კოშკების დაქირავებაც. ძირითადი აგროტურისტული ობიექტი ფერმერული ადგილ-მამულები გახლავთ. ტურისტს სხვადასხვა საქამიანობით შეუძლია დაკავდეს: დააკვირდეს ბუნებას, გაისეირნოს ცხენებით, გადაადგილდეს მდინარეზე ნავით, მონაწილეობა მიიღოს ყველის ამოყვანაში ან გაპარსოს ცხვარი.

ქვეყნის ბევრ რეგიონში გვხვდება ქვის სახლები, რომლებიც არა იმდენად აგროტურისტულია, არამედ უფრო არისტოკრატულ-ტურისტული. მათ ეწოდება ქვინტა (Quinta), რაც მამულს ნიშნავს.

ეს ისტორიული სახლებია, რომელთა ასაკი რამდენიმე საუკუნეა, მაგრამ კეთილმოწყობილი, მყუდრო და მოხერხებულია. აგროტურიზმი პორტუგალიაში მხოლოდ ვიღებითა და კოშკებით არ არის წარმოდგენილი. პოპულარულია იაფი b&b ტიპის (bed&breakfast) სოფლის სასტუმროები, სადაც დამატებითი მომსახურება (მაგალითად, თევზაობა ან ცხენით გასეირნება) გათვალისწინებული არ არის, თუმცალა, მასპინძელმა შესაძლოა სტუმარი მიიპატიუროს მარანში ან სარდაფში, სადაც შეუძლია მის მიერ დამზადებული ღვინით, ლორით ან ძეხვეულით გაუმასპინძლდეს. ბევრია ასეთი სასტუმრო მდინარე დუეროს სანაპიროზე.

დღეისათვის, აგროტურისტული ვიღები და სახლები გაერთიანებულია ასოციაციაში, რომლის სახელწოდებაა Prive (პირადი) - ტური. ეს ასოციაცია აგროტურისტული პროგრამებისა და მარშრუტების შემუშავებას ახდენს. მას ეკუთვნის საინტერესო ველო-მარშრუტები პორტუგალიის ღვინის რეგიონებში, ქვეყნის ცნობილ შუასაუკუნოვან ციხე-სიმაგრეებთან ახლოს. ველოტურების პოპულარობის ზრდამ განაპირობა ის, რომ შეიქმნა საცხოვრებლის ნაირსახეობა, სადაც შესაძლებელია ველოსიპედის დაქირავება და ველო-ტურის შეკვეთა. (შარაბიძე, 2019:54).

მ) აგროტურიზმის უნგრული მოდელი. ურბანიზაციის ინტენსიური პროცესის მიუხედავად, ქვეყნაში სოფლის ტრადიციებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. სოფლის ტურიზმი და დასვენება აგრო-მეურნეობის კარ-მიდამოში ტრადიციებთან და ყოფაცხოვრებასთან შეხების საშუალებას იძლევა. უნგრეთში ვიზიტორები სტუმრობისას, ვერ ნახავენ სახელდახელოდ ტურისტებისათვის მოწყობილ ახლადშექმნილ „სიმველეებს“.

სოფლის მცხოვრებლები ტრადიციულ ისტორიულ სახლებში ცხოვრობენ, მისდევენ სოფლის მეურნეობასა და მასპინძლობენ სტუმრებს. იქ, სოფელი ეს არის 60 წლის წინანდელი ევროპა. სადაც სტუმრებს სთავაზობენ ყველაფერს, რაც სჭირდება ქალაქური ფუსტუსით დაღლილ ადამიანებს. მაგალითად, საოჯახო სამზარეულოს რეცეპტებით საკვებს, ცხენით გასეირნებას ცნობილ ბუნებრივ ნაკრძალში.

ეს არის იმ სიამოვნების მცირედი ჩამონათვალი, რისი მინიჭებაც ადგილობრივ ფერმერს შეუძლია ტურისტებისათვის. იქ, ტურისტული ინფრასტრუქტურა კარგად არის განვითარებული. ქვეყნის ყველა ქალაქსა და დაბაში არის ტურისტული

ოფისები. დასახლებებში განთავსებულია საინფორმაციო და საგზაო მანიშნებლები ვილების, საცხოვრებელი ადგილ-მამულების, ვენახის ზვრების ან ტურისტული ფერმების მითითებით.

6) **აგროტურიზმის პოლონული მოდელი.** პოლონეთი აგრარული ქვეყანაა. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ სოფლის ტურიზმმა ფართო გავრცელება ჰპოვა. ყოველი მესამე პოლონელი ფერმერია, ხოლო ფერმების რაოდენობით პოლონეთი ამერიკას უტოლდება. აგროტურიზმის აქტიური განვითარება ქვეყანაში 90-იან წლებში დაიწყო. იქვე, სოფლებში ტურისტებისათვის შეთავაზებული მომსახურების დონე ევროკავშირის სტანდარტებს შეესაბამება.

არსებობს 50-ზე მეტი სხვადასხვა აგროტურისტული ასოციაცია. ზოგიერთი მათგანი ქვედარგებს შეიცავს, როგორიცაა აგროტურიზმი ფერმაში, ეკოტურიზმი, საცხენოსნო ტურიზმი და ა.შ. დღეისათვის იქ, 8 000 აგროტურისტული კარ-მიდამოა.

აგრო-ტურებში შედის: ვარშავის გარეუბანში სახლის დაქირავება, პოლონეთის ბალტიის სანაპიროზე კოტეჯში ან ფერმის აპარტამენტებში დასვენება. უფრო ზუსტად, კი პოლონეთში დასვენება ეს არის: პირველ რიგში, - ცხოვრება სოფლის პირობებში. ტურისტებს სხვადასხვა დასვენების ვარიანტს სთავაზობენ - ტრადიციულ პოლონურ სოფლის სახლში, ან ფერმის ტერიტორიაზე არსებულ სასტუმროებსა და მინი-ოტელებში კომფორტულ ნომრებს. მეორე მაჩვენებელია - საქმიანობის სახეობა.

აგროტურისტული საქმიანობით დაკავებული ფერმერების ორი ძირითადი ტიპია: ფერმები, რომლებიც სპეციალიზდებიან უშუალოდ აგროტურიზმზე და ფერმები, რომლებიც აგროტურიზმს დამატებითი შემოსავლის წყაროდ იყენებენ. პირველ შემთხვევაში ტურისტი ცხოვრობს სოფლად და ამავე დროს მის მომსახურებაში შედის შემეცნებითი ტურები, სოფლის სიბრძნის შესწავლა, ფოლკლორის, სამზარეულოსა და ტრადიციების გაცნობა. მეორე შემთხვევაში ექსკურსიების მოწყობა თავად ტურისტის პრეროგატივაა, ხოლო რეალური სოფლის ცხოვრება შეცვლილია დადგმული ფოლკლორული პიესებით. (ლობჟანიძე, 2010).

ო) **აგროტურიზმის ბულგარული მოდელი.** ბულგარეთი აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული რეგიონია. ცნობილია, როგორც ზღვის,

ასევე მთის კურორტებით. იმის გათვალისწინებით, რომ იქ, მოსახლეობის 70% სოფლად ცხოვრობს, აგროტურიზმი კარგადა განვითარებული.

ტრადიციული სოფლებისთვის აგროტურიზმი არ მოითხოვს დიდ დანახარჯებს. შედარებით იაფი, ეფექტიანი და ყველასათვის ხელმისაწვდომია. ამას ხელს უწყობს ქვეყნის ყველაზე ღირებული ბუნებრივი რესურსის სხვადასხვა მიზნით გამოყენების შესაძლებლობა. (მხედველობაში გვაქვს ლანდშაპტური, კლიმატურ-ბალნეოლოგიური, ისტორიულ-კულტურული და სხვა ფაქტორები). იქვე, მდებარე კარპატების - მთების, ჩანჩქერების, სამკურნალო წყლების არსებობა.

ტერიტორიის მრავალფეროვნების წყალობით, აგროტურიზმი ბულგარეთში მთელი წლის მანძილზე პოპულარულია. ზაფხულში მამულები და ვილები ტურისტებს მასპინძლობენ ვარნისა და ალბენის პლაჟებთან, შემოდგომაზე ფერმერები ტურისტებს იწვევენ მოსავლის აღებისა და ღვინის დღესასწაულებზე დუნაისა და სხვა მდინარეების (ისკარი, იანტრა, მარიცა) სანაპიროზე არსებულ სოფლებში, ზამთარში - კურორტების ბანსკოსა და პამპოროვოს სიახლოვეს მთის სოფლებში, გაზაფხულზე კი - ვარდების დღესასწაულზე.

განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ აგროტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს სხვადასხვა დარგების განვითარება. ეს შეიძლება იყოს: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, ადგილობრივი კულინარიული მასტერკულასები, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოება, სხვადასხვა ტურების ორგანიზება.

ბულგარეთში სტუმრების განთავსების ობიექტებია კოტეჯები, ფერმერთა სახლები, ვილები - პირინის, რილასა და როდოპის მთების ძირში. ასევე, ტრადიციული სოფლის ეზოები, ოჯახური სასტუმროები, კემპინგი ეროვნული პარკების ტერიტორიებზე.

განთავსების გარდა, ტურისტებისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი სამზარეულოს გაცნობა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების დაგემოვნება და ადგილზე შეძენა. მაგალითად, ფერმერები ტურისტებს სთავაზობენ პურის, მთის თაფლისა და განთქმული იოგურტის დაგემოვნებას. ასევე, ინტენსიურად ხდება ტურების შემუშავება:

- საფეხმავლო ტურიზმი;

- რელიგიური ტურები მომღოცველთათვის;
- ისტორიულ-ეთნოგრაფიული ტურები;
- აგრო-ტურები;
- საცხენოსნო ტურები;
- საწყალოსნო ტურები - რაფტინგი კატამარანებით;
- ველოტურები;
- ღვინის დეგუსტაციის ტურები;
- მხარეთმცოდნეობის, სპელეო და ორნიტოლოგიური ტურები;
- ელიტარული ტურები (ნადირობა, თევზაობა და ა.შ.) (ლობჟანიძე, 2010).

პ) აგროტურიზმის ხორვატიული მოდელი. ხორვატია ტურისტული ქვეყანაა.

მაშინ, როდესაც ხორვატიის ზღვის სანაპიროს კურორტები ტურისტებს მზისა და ზღვის ტრადიციული კოქტეილით იზიდავენ, არასანაპირო ზოლის მცხოვრებლები ცდილობენ, ტურისტებისათვის მომსახურების ახალ-ახალი და მრავალფეროვანი ნაირსახეობების შეთავაზებას. მაგალითად:

მამულ „კეზელის“ მფლობელთა ძირითადი საქმიანობა მეღვინეობაა. ამ მამულში საოჯახო ღვინოებსა და ლიქიორებს ამზადებენ, ხოლო მათი მარანი და სარდაფი მხარეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირშესანიშნაობაა. მდებარეობს ზაგრებიდან 30 კმ-ში, იქვეა სპა-კურორტი ნაფტალანი.

ასევე, პოპულარულია ცხენების ფერმები, სადაც მიმზიდველ ექსკურსიებს სთავაზობენ სტუმრებს (გარდა ამისა, ცხენების ფერმებით მდიდარი რეგიონია სლოვენია). იქ, პეიზაჟს მდინარეები დუნაი და დრავა ქმნიან. მდინარის ხეობის გასწვრივ ცხენით გასეირნება დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით ავსებს ტურისტებს.

გარდა ცხენით გასეირნებისა, მასპინძლები ველოსიპედისტებს სპეციალურ ტურებსაც სთავაზობენ. პოპულარობას იხვეჭს კლდეზე ცოცვის მარშრუტებიც. ასეთია მაგალითად, ვილა „ბიოკოვო“. იქ, სტუმრებს არა მხოლოდ ცხენით გასეირნებას სთავაზობენ, არამედ სახედრებითაც, რაც განსაკუთრებით ბავშვებს ახალისებს. ზრდასრულ სტუმრებს კი აღაფრთოვანებს ის გარემოება, რომ სოფლის მამულებში, შესაძლებელია 48 სახეობის „ტრავარიცის“ (ადგილობრივების დამზადებული არყის) დაგემოვნება.

გარდა ამისა, კუნძულების სიმრავლემ განსაკუთრებული ტურის, ე.წ. „რობი-ნზონის დასვენების“ პოპულარობა განაპირობა. ოჯახი ან წყვილი განმარტოვებით ისვენებს მცირე ზომის კუნძულზე.

ჟ) **აგროტურიზმის ჩეხური მოდელი.** ჩეხეთში ვიზიტორებს აგროტურისტულ მომსახურებას, რამდენიმე ასეული ფერმა სთავაზობს. ასე მაგალითად: ტურისტები ცნობილი ჩეხური ლუდსახარშების მოსანახულებლად, ფერმერების მამულებს სტუმრობენ. აგრო-ტურებით, ძირითადად, უცხოელი ტურისტები სარგებლობენ. ადგილობრივ მცხოვრებლებში დასვენების ეს სახეობა პოპულარული არ არის.

აგროტურიზმის განვითარება ჩეხეთში სწრაფი ტემპებით არ ხდება, რადგან ადგილობრივი ფერმერები ტურიზმის ამ სახეობას დამატებითი შემოსავლის წყაროდ მიიჩნევენ და სერიოზულად არ აღიქვამენ. თუმცადა, არსებობენ ისეთი ფერმერებიც, რომლებიც აგროტურიზმს მიიჩნებენ მთავარ საქმიანობად. ასეთია მაგალითად, პატარა ქალაქის უსტი-ნად-ლაბემის მახლობლად მდებარე ცხენისა და თხის ფერმები. იქ, სტუმრებს შეუძლიათ დატკბნენ ბუნების მშვენიერებით, დაათვალიერონ ადგილობრივი ღირშესანიშნაობები, ასევე გაეცნონ თხის ყველის დამზადების პროცესს და თავადაც მიიღონ მონაწილეობა მომზადებაში.

აქედან გამომდინარეობს, რომ ფერმერული საქმიანობის ყველაზე გავრცელებული სახეობა ცხენის ფერმებია. ქვეყანაში, მსგავსი დანიშნულების ფერმების რაოდენობა 150-ზე მეტია. ტურისტებს ცხენებით გასეირნების გარდა, შეუძლიათ შემეცნებით ტურებში მიიღონ მონაწილეობა, სადაც სტუმრებს სოფელში ცხოვრებასთან ერთად ექსკურსიებსაც სთავაზობენ. ზოგიერთი მეურნეობა ვიზიტორებს ველო-ტურებსაც სთავაზობს. (შარაბიძე, 2019:64).

რ) **აგროტურიზმის ბელორუსული მოდელი.** აგროტურიზმის განვითარება ბელორუსიაში 2004 წლიდან დაიწყო. სადაც აგრო-სასტუმროების მომსხურების დონის შეფასების საინტერესო სისტემა დანერგილი და იგი კურორტებზე სასტუმროებისათვის ვარსკვლავების მინიჭების იდენტურია. ვარსკვლავების ნაცვლად ხდება „მამლაყინწების“ მინიჭება და მათი მაქსიმალური რაოდენობა ოთხია. დღეისათვის, ათასამდე აგრო-ტურისტული კარ-მიდამოა.

აგროტურიზმის განვითარების წარმატებული მაგალითია სოფელი კომაროვო. ამ სოფელში აღდგენილ იქნა ძველი თავადისეული სახლი, გაშენდა პარკი, აშენდა ბლინების საცხობი. სტუმრებს იწვევენ ფოლკლორულ სტილში საღამოების მოსაწყობად, რუსულ აბანოში საბანაოდ, ბლინების დასაგემოვნებლად. აგრო კარ-მიდამო „კომაროვო“ დღეისათვის ბელორუსიაში ყველაზე პოპულარული ობიექტია.

ბელორუსია აგრარული ქვეყანაა მდიდარი ტრადიციებით, სადაც წარმართული წეს-ჩვეულებები გადახლართულია ქრისტიანულ რიტუალებთან. ამ თავისებურებას ფართოდ იყენებენ აგროტურების ორგანიზებისას. აგროტურისტებისათვის საცხოვრებლის ფართო არჩევანია. იქ, შეიძლება შეხვდეს ტურისტი უბრალო სოფლის ქოხს (ხატას), რომლის პატრონი ქსოვს კალათებს და აწყობს გასეირნებას ბაიდარებით მდინარე ნემანზე; ან კიდევ მეთევზის საცხოვრებელს ბრასლავის ტბასთან ნაროჩსა და სვირში მომსახურების სრული კომპლექტით, რაც მოიცავს ბადეებსა და ანკესებს, ველოსიპედსა და თოვლმავალს; სამსართულიან კოტეჯებს ბელორუსული კოლორიტით, ნაქარგებით („ვიშივანვა“), ეროვნული სამზარეულოთი, თუჯის ჭურჭლით, ხალხური ანსამბლების ანიმაციებითა და მეთუნეების ხელობის დემონსტრირებით. (ბერიშვილი, : 2022).

ს) აგროტურიზმის მოლდავური მოდელი. ბოლო ათწლეულის პერიოდში, მოლდოვის მთავრობა მიიჩნევს, ტურიზმის ოთხ პრიორიტეტულ მიმართულებას: სოფლის ტურიზმი, აგროტურიზმი, გამაჯანსაღებელი და კულტურული ტურიზმი.

აგროტურიზმის მიმართლებიდან გამოვყოფ მევენახეობა-მეღვინეობას. რადგან, მოლდავის რესპუბლიკაში წარმოებული ღვინო მაღალი ხარისხით ხასიათდება. ფუნქციონირებს 142 ღვინის ქარხანა, 23 მათგანს აქვს ტურისტების მიღების გამოცდილება. იქ ტურისტებს სთავაზობენ ღვინის წარმოების ტექნოლოგიის გაცნობას, ღვინის ჩამოსხმის პროცესზე დაკვირვებას და დეგუსტაციას. (ტურიზმი...).

ტ) აგროტურიზმი ამერიკის შეერთებულ შტატები. ტურიზმის აგროტურისტული მიმართულება პოპულარულია შემდეგ შტატებში: კალიფორნია, კოლორადო, ჰავაი, მონტანა, ჩრდილოეთ კაროლინა, პენსილვანია, ორეგონი, ვერმოტი, ვირჯინია და ვაიომინგი. ფერმაში დასვენება საშუალებას აძლევს ტურისტებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ პროდუქციის წარმოებაში. იქ,

ცხოვრების პირობები განსხვავებულია და არჩევანიც დიდია - კემპინგებიდან დაწყებული, საუზმით დამთავრებული. ტურისტებს შეუძლია ასევე ფერმის ცხოვრებაში მონაწილეობის ფორმის არჩევაც.

ზოგიერთი ფერმერი მხოლოდ ექსკურსითა და დათვალიერებით შემოიფარგლება, ზოგი კი - პრაქტიკული საქმიანობის წახალისებას უწყობს ხელს. არის შემთხვევები, ტურის საფასურის შემცირების, იმ შემთხვევაში თუ ტურისტი გარკვეულ სამუშაოს შეასრულებს.

იქაურ ფერმებში ტურისტების მიღებას დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგალითად, მე-19 საუკუნიდან არის ცნობილი ე.წ. „მოსაცდელი ეზოები“ (Guest at Dude Ranches), სადაც სტუმრებს იღებდნენ. 1903 წლიდან, კი შტატ კოლორადოში არსებობს რანჩო „შავი მთა“-Black Mountain, რომელიც სტუმრებს სთავაზობს თავგადასავლებს ვესტერნის სტილში: ცხენით გასეირნებას, თეფშებზე სროლას, თევზაობას, საქონლის საძოვრებზე გადარეკვას და მჩქეფარე მდინარეზე დაშვებას.

არანაკლებ საინტერესოა, არიზონაში დასვენება, სადაც შეიძლება 1881 წელს აშენებულ რანჩოში ცხოვრება. „აპაჩების სული“ - Apache Spirit, რომელიც ველური დასავლეთის პატარა ქალაქის სტილშია მოწყობილი. რანჩოში ასწავლიან ცხენით სეირნობას და პოვერის თამაშს, აცნობენ ინდიელთა ლეგენდებს და უმასპინძლდებიან ამერიკული და მექსიკური სამზარეულოთი.

ასევე, აღსანიშნავია, შტატ ვაიომინგში 1914 წელს აშენებული რანჩო. იქ სოფლის იდილია შერწყმულია ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს მომსახურებასთან. სადაც შესაძლებელია ტურისტებისათვის: ცხენებით გასეირნება, როდეოზე დასწრება, იელოუსტოუნის ეროვნული პარკის, საერთაშორისო ბიოსფერული ნაკრძალის დათვალიერება, ქანთრის მუსიკაზე ცეკვა, ასევე კოქტეილებისა და ნოუიერი კერძების მირთმევა.

ოქტომბრის თვეში ამერიკის რიგ ფერმებში ხდება მოსავლის აღება. ადგილობრივი ფერმერების ნაწილი ამ დროს აგროტურიზმისათვის იყენებს. იუტას შტატში ერთ-ერთმა ფერმერმა - ბრეტ ჰერბსტმა 1996 წელს სიმინდის ყანებში გადაწყვიტა ლაბირინთების მოწყობა. ივნისის თვეში, როდესაც სიმინდის ყანა წამოიზრდება,

ფერმერი დიზაინერების დახმარებით ქმნის ლაბირინთებს სხვადასხვა ნახატების შესაბამისად. ოქტომბრის თვეში სიმინდის ლაბირინთები იხსნება მნახველთათვის.

აღნიშნული საქმიანობის შედეგად, 1 200-მდე ფერმერს დამატებითი შემოსავლის მიღებისა და ბიზნესის დივერსიფიცირების საშუალება მიეცა. ამავე დროს, ფერმერები დამატებით გასართობ მომსახურებას სთავაზობს სტუმრებს, როგორიცაა ციხე-კოშკებისა და ქალაქების სახის გასაბერი ატრაქციონების მოწყობა, თივის გადაზიდვა ურმითა და მარხილით, ექსკურსიები ფერმასა და მის შემოგარენში, ვაშლის კრეფა, გოგრის დეკორატიული გამოჭრა, შინაური ცხოველების გამოკვება, ცხვრის პარსვა, სამჭედლოს საქმიანობაში მონაწილეობა. (შარაბიძე, 2019:73).

განვიხილავთ, მეორე მიმართულების ქვეყნებს:

აგროტურიზმის კვიპროსული მოდელი. აგროტურიზმი კვიპროსში იმითაა აღსანიშნავი, რომ იგი მთელი წელი მუშაობს. კვიპროსსა და ბულგარეთში აგროტურიზმა სოფლებს თვითმყოფადობა შეუნარჩუნა. კვიპროსში შემუშავებულია აგროტურიზმის განვითარების სპეციალური პროგრამა, რომელიც ახორციელებს სასოფლო სახლების რესტავრაციას და ეროვნულ სტილში გაფორმებას თანამედროვე კომფორტის და სიმყუდროვის შენარჩუნებით.

ტურისტებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ ადგილობრივ კულტურას, ტრადიციებს, ფოლკლორს, დაისვენონ სოფლებში. მონაწილეობა მიიღონ ყურძნის კრეფასა და დაწურვაში, ესტუმრონ სამჭედლოსა და საფეიქრო სახელოსნოში მომუშავეებს, დაესწრონ, სამუშაო პროცესს. (ყორღანაშივილი, 2020:3).

განვიხილავთ, მესამე მიმართულების ქვეყნებს:

ა) ტროპიკული ქვეყნებიდან გამოვყოფ მალაიზიას. მალაიზია აგროტურების დიდ არჩევანს სთავაზობს ტურისტებს. კერძოდ: კაუჩუკისა და პალმის ზეთის მწარმოებელ მამულებში სტუმრობა, უნიკალური აგროტურისტული პროგრამები პიმპილის ფერმებსა და სათევზე მეურნეობებში, შთამბეჭდავი და საინტერესო ექსკურსიები ეგზოტიკური ყვავილებისა და ხილის პლანტაციებსა და ბალებში.

მალაიზიის ორგანული მიწათმოქმედების ერთ-ერთი ცენტრია კამერონის მთიანი რეგიონი. რეგიონის მწვანე ფერდობები, ორგანული მიწათმოქმედების ბაზაა.

კამერონის მთებში მდებარეობს მალაიზიის დედაქალაქი ბრინჩანგი. იგი ზღვის დონიდან 1500 მეტრზეა და დიდხანს ცნობილი იყო როგორც ბალნეოლოგიური კურორტი. უკანასკნელ ხანებში კი - სახელი მოიხვეჭა აგროტურებით, სადაც წარმოდგენილია ორგანული ხილისა და ბოსტნეულის უდიდესი არჩევანი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია ბოტანიკური ბაღი - ქალაქ შაჰ-ალამის სასოფლო-სამეურნეო პარკი. იგი 1986 წელს გაიხსნა და ერთ-ერთი უდიდესი ბაღია მსოფლიოში. მისი ფართობი რამდენიმე ათასი ჰექტარია, სადაც მდებარეობს ტროპიკული ტყეები, ხილისა და ბოსტნეულის პლანტაციების დიდი რაოდენობა. ბაღში არსებობს თემატური ზონები - სანელებლებისა და ორქიდეების, კაქტუსებისა და სოკოების ბაღები, ბამბუკების ტყე. (ქველამე, 2013:484).

ბ) აგროტურიზმის სამხრეთ კავკასიური მოდელი. სამხრეთ კავკასია სამერთმანეთის მოსაზღვრე სახელმწიფოს აერთიანებს – საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს. საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებში, როგორც სოფლებში, ისე ქალაქებში, ბევრია აზერბაიჯანელი და სომები ეროვნების მაცხოვრებლები.

აღნიშნულ ქვეყნებს შორის, ხშირია თანამშრომლობა ტურიზმის განვითარების თვალსაზრისითაც, ასე მაგალითად: 2021 წელს აგროტურისტული ობიექტების მხარდაჭერის მიზნით სამხრეთ კავკასიაში, შეიმუშავეს ვებ-პორტალი Agrogate.world-ი, რომელზეც პირველ ეტაპზე განთავსდა მინიმუმ 100 აგროტურისტული ობიექტის მონაცემები საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. ერთი მხრივ, ვებგვერდი მოგზაურებს დაეხმარება აღნიშნული ქვეყნების აგროტურისტული ობიექტების იდენტიფიცირებაში, მოგზაურობის დაგეგმვასა და უზრუნველყოფაში, ხოლო მეორე მხრივ, აგროტურიზმის სფეროში ჩართულ მეწარმეებს - გაზარდონ გაყიდვები.

ვებ-გვერდის შექმნისას, საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ პარტნიორობა დაამყარა გადახდების ინდუსტრიის გლობალურ ტექნოლოგიურ კომპანიასთან, Mastercard-თან, რომელმაც ვებ-გვერდის შექმნაში დიდი ფინანსური და ინტელექტუალური რესურსი გაიღო. Agrogate.world შეიქმნება Geopay-ის მიერ, რომელიც სპეციალიზდება IT და ელექტრონული კომერციის სისტემის განვითარებაზე და MacCann ბრენდინგის სტრატეგიასა და რეკლამირებაზე. (საქართველოს...2021:7).

საინტერესოა, საკუთრივ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის აგროტურისტული მოდელები:

➤ **ქართული აგროტურისტული მოდელი.** ქართულ აგროტურისტულ მოდელში განსაკუთრებული ადგილი უკავია საკვებსა და სასმელს. კერძოდ: ქართულ სამზარეულოს ბევრი რამ აკავშირებს კავკასიურ სამზარეულოსთან. საქართველოს თითოეული რეგიონი სთავაზობს უნიკალურ და ტრადიციულ კერძებს, რაც გამოიჩინა მკაფიოდ განსხვავებული მომზადების სტილით, სუნელებისა და ნიგვზის შეზავებითა და გამოყენებით.

მაგალითად, ხაჭაპური განსხვავდება ფორმითა და გემოთი რეგიონების მიხედვით. აჭარული ხაჭაპური, იმერული ხაჭაპური, გურული ღვეზელი, ხაბიზგინა და ფხლოვნები ხევში და ა.შ.

საქართველო აბრეშუმის გზის ერთ-ერთი ქვეყანა იყო, რამაც ხელი შეუწყო მოგზაურების შესაძლებლობის ზრდას. დროთა განმავლობაში, ქართული სამზარეულოც ვითარდებოდა. დღეს კი, ტრადიციული გასტრონომიითა და ღვინით საქართველო თავს იწონებს გასტრო-ტურისტულ ბაზარზე. ქვეყანა აღიარებულია ღვინის სამშობლოდ.

ქართული ღვინის საერთაშორისო აღიარება გამოწვეულია ღვინის დაყენების უძველესი მეთოდის პოპულარიზაციით, თიხაში ღვინის ფერმენტაციისა და დაძველების პროცესით. როგორც უკვე აღვნიშნეთ ქვევრში ღვინის დაყენების ქართული მეთოდი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობაა და 2013 წლიდან შესულია იუნესკოს სიაში.


ქართულ ღვინოს რამდენიმე მნიშვნელოვანი წინაპირობა აქვს, რის გამოც იგი საინტერესო შეიძლება გახდეს უცხოელი მყიდველებისათვის, ვიზიტორებისათვის. პირველ რიგში ესაა ადგილობრივი უნიკალური ჯიშები, რომელიც თანამედროვე მომხმარებელს, ბევრ სიახლეს ჰქონდება. მეორე - საქართველოს სამართლიანად დაუმკვიდრდა ღვინის სამშობლოს ტიტული. აქ კულტურული მევენახეობისა და მეღვინეობის უძველესი კვალია აღმოჩენილი. აქედან გამომდინარეობს მესამე, ასევე მნიშვნელოვან წინაპირობა, რომელიც ტრადიციულ ქართულ, მსოფლიოში უძველეს

ტექნოლოგიას გულისხმობს, ქვევრში ღვინის დადუღებასა და დავარგებას.
(ხარბედია : 2018-276, II ტომი).

აღნიშნული საკითხი, სიღრმისეულად განვიხილეთ გურიის რეგიონში. კვლევა განვახორციელეთ 2021 წელს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ადგილობრივმა ფერმერებმა, მეღვინეებმა. გამოვლინდა, რომ უმეტესი მათგანი ჩართული არის აგროტურისტულ საქმიანობაშიც. სულ დაფიქსირდა 12 ღვინის მწარმოებელი მეწარმე-ფერმერი. აქედან 7 ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, 4 - ჩოხატაურში, 1 - ლანჩხუთში. სულ ძირითად მუშაკად დასაქმებულია 53 ადგილობრივი. სეზონის დროს ჰყავთ დამატებითი მუშახელი. (Tsetskhladze... : 2023). იხ. დიაგრამა № 2.1.- ი.

დიაგრამა № 2. 1.

ღვინის საწარმოებისა და დასაქმებულების რაოდენობა



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.


გურიის რეგიონში აგროტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე უფრო განვითარებული მიმართულებაა ღვინის ტურიზმი, რაც ითვალისწინებს ტურისტების დაბინავებას ფერმერთა სახლებში. ტურისტები ფერმერებთან ერთად გადიან ვენახში, აკვირდებიან მევენახეების შრომას და თვითონაც ერთვებიან საქმეში. გარდა ამისა, სწავლობენ ღვინის დაყენების ტექნოლოგიას, სიამოვნებით აგემოვნებენ სხვადასხვა ღვინოებს, ეცნობიან ღვინის ისტორიასა და ვაზის კულტურას.

ადგილობრივ ფერმერებს, აღნიშნული შესაძლებლობების სწორად გამოყენების შემთხვევაში, შეუძლიათ მაღალი ხარისხის პროდუქტი მიაწოდონ ვიზიტორებს. მაგრამ გათვალისწინებული უნდა იყოს საჩვენებელი ეთნოგრაფიული კუთხისა და ღვინის მუზეუმის მონახულების შესაძლებლობაც, რომ მეტად საინტერესო და შემოქმედებითი იყოს ტური. (Tsetskhladze... : 2023).

გარდა ამისა, ქვეყნის რეგიონებიდან, გურიის მხარე გამოირჩევა ჩაის წარმოებითაც, სადაც ფუნქციონირებს ჩაის გადამუმაშევებელი დიდი და მცირე საწარმოები. იხ. დიაგრამა № 2.2.

დიაგრამა № 2.2.

ჩაის საწარმოებისა და დასაქმებულების რაოდენობა



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, რეგიონში ფუნქციონირებს 18 ჩაის საწარმო, სადაც დასაქმებულია 172 ადგილობრივი. გარდა ამისა, სეზონურად ქირაობენ დამატებით მუშახელსაც.

საწარმოთა საქმიანობა მხოლოდ ჩაის წარმოებით არ შემოიფარგლება, ზოგიერთი მათგანი აგროტურისტული საქმიანობითაცა დაკავებული, კერძოდ:

2019 წლიდან, გურიაში ვითარდება ახალი ტურისტული პროექტი „ჩაის გზა“. აღნიშნული მარშრუტი შეიქმნა, „ასოციაცია ჩაის გზის“ ორგანიზებით.

აღნიშნული მიზნით, გურიის რეგიონში შეირჩა „ჩაის გზის“ მასპინძელი საწარმო და საოჯახო მეურნეობები. ფერმერები სთავაზობენ ვიზიტორებს: ჩაის კრეფას, გადამუშავების პროცესში მონაწილეობის მიღებას, ჩაის დამზადების ტექნოლოგიისა და ისტორიის გაცნობას, დეგუსტაციას, ტრადიციული კერძების შეთავაზებას, საჭიროების შემთხვევაში განთავსებასაც. (ცეცხლამე...: 2023).

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ქართული ხორბლის ჯიშის მრავალფეროვანი და სხვა მარცვლეული კულტურების გავლენა ქართული კულინარიული ტურიზმის განვითარებაში. საშემოდგომო (იფქლი, წითელი დოლი და სხვა). საგაზაფხულო (დეკა, ზანდური) ხორბლის ჯიშები. უძველესი კულტურები, რომელიც დღემდე არსებობს. ხდება მათი მოყვანა სხვადასხვა რეგიონებში, განსაკუთრებით კი კახეთში, ქართლსა და სამცხეში.

გარდა ამისა, ქვეყანაში აგროტურიზმი გამოირჩევა სოციალური აქტივობებით, რიტუალებითა და სახალხო დღესასწაულებით. კერძოდ: ადგილობრივი სადღესასწაულო ღონისძიებები მთიან სოფლებში უკეთაა შემონახული. მაგალითად, სვანეთში ლამარიას დღეობა ემთხვევა ახალი წლის პერიოდს და ადრეული გაზაფხულის დასვენების დღეებს.

ერთ-ერთი ულამაზესი დღეობაა ლამპრობა, რომელიც მხოლოდ სვანეთში აღინიშნება. ეს დღესასწაული იმართება გაზაფხულის მოსვლამდე, კარგი ამინდისა და უხვი მოსავლიანობისთვის. ამ დღის მთავარი ატრიბუტებია სპეციალური ხის სანათები, რიტუალის დასრულებისას ხალხი იკრიბება ცეცხლის გარშემო და მღერიან ტრადიციულ სიმღერებს. ჭიდაობაც ამ დღესასწაულის ნაწილია.

მთაში დღემდე შემორჩენილია სხვა დღესასწაულებიც „შატილობა“ და „შუამთობა“, რომლის დროსაც იმართება სპორტული შეჯიბრები, დოლი, რასაც თან ახლავს სიმღერა და შაირობა. მაღალმთიან რეგიონებში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ხალხური დღესასწაული „ათენგენობა“, რომელიც ტარდება ზაფხულში, ივლისის მეორე ნახევარში, რომლის დროსაც ბარად ჩამოსახლებული ადგილობრივებიც კი უბრუნდებიან მთას საზეიმო მსვლელობით.

წარმოდგენილი აქტივობები: კულინარია, ღვინის ტური, სოფლის მეურნეობა, ადგილობრივი დღესასწაულები, საბოლოოდ ერთიანდება და ფორმირდება ერთი სახის საქმიანობაში, აგროტურიზმში.

აღნიშნულთან დაკავშირებით, განვიხილოთ მაგალითები: იმერეთში, აგროტურიზმის ობიექტი „ქორენა“ შეთანხმებულია გელათის მონასტრის გუნდთან და ერთობლივად აწყობენ სპეციალურ საღამოებს სტუმრებისთვის. მათ შექმნეს ახალი ფოლკლორული ანსამბლი "ტრიო ოკრიბა", შეიძინეს ახალი ფორმები და მოამზადეს სპეციალური პროგრამა "ქორენას" აგროტურიზმის სტუმრებისთვის. მათ ასევე გამოსცეს დისკი, რომლის შეძენა ადგილზეა შესაძლებელი.

„ხევსურეთი და თემი“ სოფელ კორშაში მუშაობს ახალგაზრდებთან (ადგილობრივი ხელოსნები, ეთნოგრაფები, თექაზე მომუშავე ქალები). ისინი სთავაზობენ თემზე დაფუძნებულ აქტივობებს, რომელიც დამახასიათებელია ადგილობრივი წეს-ჩვეულებებისა და კულტურული ცხოვრებისათვის.

გურიაში ერთ-ერთი ფერმერის ოჯახმა გააცოცხლა ჩაის წარმოების დავიწყებული ტრადიცია. აღადგინა ჩაის კულტურა ადგილობრივი თემის ცოდნისა და პრაქტიკის საშუალებით. აგროტურისტული ფერმა, რომელიც სთავაზობს კულინარულ მასტერკლასებს და გასტრო ტურებს ჩამოსულ ვიზიტორებს. სამეზობლოს დახმარებით მოიძიეს ძველი ტრადიციული კერძების რეცეპტები, სამედიცინო მცენარეების გამოყენების წესები და ა.შ. და მათთან ერთად მართავენ სხვადასხვა ღონისძიებებს ტურისტებისთვის.

სამეგრელოში „სახლი ოდას“ მფლობელები თანამშრომლობენ ადგილობრივ თემის იმ წარმომადგენლებთან, ვისაც შეუძლიათ ფერმაში ჩასული სტუმრების დამისთევით უზრუნველყოფა. მომწოდებლები, ტურისტების მიღებისა და მომსახურებისთვის ცდილობენ საკუთარი სახლების, ფერმის ტერიტორიის ტურისტულ ბიზნესზე მორგებას, სტუმარმასპინძლობის ელემენტების ინტეგრირებას საკუთარ საცხოვრებელ სივრცეში, რაც სტუმრებს საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღონ პროდუქტის დამზადების პროცესში. მათ ეს საქმიანობა შემოსავლის ალტერნატიულ (დამატებით) წყაროდ აირჩიეს. (საქართველოს...2020:63-64).

➤ აგროტურისტული მოდელი სომხეთში. დღეისათვის სომხეთში 60-ზე მეტი ტურისტული საწარმოა - ძირითადად რეგიონებში და განსაკუთრებით სოფლებში, რომლებიც საქმიანობენ აგროტურიზმის მიმართულებით. მსგავსი შეთავაზებებია: ლავაშის ცხობა, ნაციონალური ცეკვები, ხალიჩების ქსოვა.

ეროვნული სამზარეულო მოიცავს არამხოლოდ დაგემოვნებას, არამედ მომზადების მთლიან პროცესს, რომელშიც ტურისტი თავადაა ჩართული: ლავაშისა და პურის ცხობას, ყველი ჩანახის, პოლინძის, ხაშილისა და ხავიწის, ტანაპურის, ღაფამასა და მწვადის მომზადებას, ველური მცენარეების (სატაცური და სვინტრი), ტოლმას, წიფლის ფლოვს (Pilaf with beech), იშლი კუფთას, გატას, ტკბილ სუჯუხის, ღვინო და სახლის არაყს (დეგუსტაციას), თაფლის გამოწურვას, ჟენგიალოვის პურს, ფახლავას.

ტურისტული პაკეტების შექმნაში გამოიყენება ეროვნული ხელოვნებისა და რეწვის ელემენტები: ტუფის სუვენირები და გრავირება, ტრადიციული ჭრელი, ხაჩკარის (ქვის ჯვარი) დამზადება, კერამიკის მოხატვა, სომხური თოჯინების დამზადება, მჭედლობა (ლითონის ხელით დამუშავება), ხელნაკეთი საპნის დამზადება, ხალიჩის ქსოვა, ბატიკის დამზადება, ხის დამუშავება და ხეზე კვეთა, ტირიფის ლერწმით ქსოვა, კამანჩაზე (მუსიკალური ინსტრუმენტი) დაკვრის გაკვეთილები.

ბოლო წლებში, ფესტივალები ფართოდ გავრცელდა და განვითარდა, სადაც ტურისტი უნიკალურ გამოცდილებას შეიძენს. ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ, ადგილზე გაეცნონ სომხეთის არამატარიალურ კულტურულ მემკვიდრეობას მათ ბუნებრივ გარემოში.

როგორც ადგილობრივ, ისევე საერთაშორის მოგზაურებისათვის პოპულარული ფესტივალებია: აერნის ღვინის ფესტივალი (სოფ. აერნი), ერევნის ღვინის დღეები, ხელოვნება და რეწვა (ქ. დილიუანი), გატა (სოფ. ხაჩიკი), გუთან (ეროვნული ცეკვა და სიმღერა) (ქ. ერევანში), თაფლი და კენკრა (სოფ. ბერდი), ხოროვაცი (ლორში), ტოლმა (არმავირში), ცხვრის პარსვა (ხოტში). და ა.შ.

მატერიალურ კულტურულ ღირებულებებთან ერთად, ზემოთ ჩამოთვლილი არამატერიალური კულტურული ფასეულობები, ერთობლივად ქმნიან სომხეთის ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს, რაც ხელს უწყობს ახალი ტენდენციების

დამყარებას მსოფლიო ტურიზმის განვითარებაში. ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით იქმნება ტურიზმის ღირებულების ჯაჭვი. (რეგიონული...2021)

➤ **აზერბაიჯანის აგროტურისტული მოდელი.** აზერბაიჯანს დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. განსაკუთრებით გამოირჩევა, ტურიზმის ისეთი სახეობა როგორიცაა აგროტურიზმი, რომლის განვითარება სახელმწიფო რეგულირებას ექვემდებარება.

აგროტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს, ქვეყნის იშვიათი ბუნებრივი რესურსი, კულტურული, ეროვნული, ეთნოგრაფიული კომპლექსი. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნება, არაჩვეულებრივი სამზარეულო, კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, სტუმართმოყვარეობის უძველესი ტრადიციები.

ამ თვალსაზრისით, აზერბაიჯანში ძალიან ბევრი ლამაზი ადგილია, განსაკუთრებით რეგიონებში. მაგალითად: შეკი, ისმაილი, გაბალი და ა.შ.

ასე, რომ მოგზაურობა სამხრეთ კავკასიაში ტურისტებისთვის საინტერესოა. ტურისტებს შეუძლიათ მოინახულონ ევროპაში ყველაზე ნაკლებად შესწავლილი ველური ბუნება, მთები, ტბები, ტყეები, უძველესი კოშკები და მონასტრები. გაეცნონ კავკასიელი ხალხის ფერმერულ საქმიანობას, მათი ცხოვრების წესსა და ტრადიციებს. დააგემოვნონ მრავალფეროვანი ტრადიციული კერძები.

მიუხედავად ამისა, დღეისათვის, ტურიზმი და მისი ქვედარგი აგროტურიზმი სამივე ქვეყანაში განვითარებადი სექტორია. რაც განპირობებულია ტურისტული ინფრასტრუქტურის ჩამორჩენილობით, მომსახურების დაბალი დონით, ბიზნესის წამოწყების ან გაფართოებისათვის ფინანსურ რესურსებზე ნაკლები ხელმისაწვდომობით და ა. შ. (მელაშვილი....: 2019).

სტატისტიკური მონაცემებით, ბოლო ხუთი წლის (2017-2021 წ.წ.) განმავლობაში სამხრეთ კავკასიის რეგიონის ტურისტული პოტენციალის განვითარების ძირითადი ტენდენციები და პანდემიის გავლენის შედეგები ტურიზმის სექტორზე შემდეგია: 2020 წელს სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში საერთაშორისო ვიზიტებმა რეკორდულად მცირე რაოდენობა შეადგინა - 2 684 398 ვიზიტორი (კლება 2019 წელთან შედა-

რებით შეადგენს - 82,4%). 2021 წლის იანვარ-სექტემბერში აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ შეადგინა 515 280, საქართველოში - 1 188 234, ხოლო სომხეთის რესპუბლიკაში - 609 775 ვიზიტორი. (უკლება, : 2022).

აქედან გამომდინარე, საჭიროა სამი ქვეყნის ერთობლივი ძალისხმევით შემუშავდეს სამხრეთ კავკასიის, როგორც დიდი ტურისტული შესაძლებლობების მქონე რეგიონის, ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების სტრატეგია, რომელიც მიმართული იქნება ტურისტული მიმზიდველობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე, მის პოპულარიზაციაზე და ცნობადობის ამაღლებაზე, რაც ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებას რეგიონში, ომითა და პანდემიით გამოწვეული კრიზისების დაძლევას და მის ეკონომიკურ მდგრადობას.

ამ სტრატეგიის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი იქნება გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციისა (UNWTO) და სხვა წამყვანი საერთაშორისო ინსტიტუტების დახმარება.

მიზნის მისაღწევად, რეგიონისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები, მათ შორის:

- არსებული სატრანსპორტო-ლოგისტიკური ქსელების სრული მოდერნიზაცია და შემდგომი განვითარება (მათ შორის არსებული და ახალი ავიახაზების სიხშირეების გაზრდა, მცირებიულების ავიაკომპანიების ჩათვლით და შავ და კასპიის ზღვებზე რეგულარული სამგზავრო-საკრუიზო მიმოსვლის აღდგენა-განვითარება), რამაც ხელი უნდა შეუწყოს მომსახურების სტანდარტის დამკვიდრებას, გამტარუნარიანობის გაზრდას და დროის ეკონომიას;
- პანდემიით გამოწვეული კრიზისის მართვა უსაფრთხო ტურიზმის კუთხით. უსაფრთხო ტურიზმის (პანდემიის ფაქტორი) სერტიფიცირების უზრუნველყოფა. პოსტპანდემიური ტურიზმის განვითარება;
- ინვესტიციების მოზიდვა რეგიონული ტურიზმის განვითარებისთვის;
- დარგის ინოვაციური განვითარება;
- ტურიზმის აღტერნატიული ფორმების შეთავაზება და ახალი მიზნობრივი ტურისტული პროდუქტების შექმნა სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში, კომბინირებული ტურიზმის ჩათვლით (აზერბაიჯანის რესპუბლიკა-საქართველო;

სომხეთის რესპუბლიკა - საქართველო, მომავალში აზერბაიჯანის რესპუბლიკა - სომხეთის რესპუბლიკა);

- ყურადღების გამახვილება, ადგილობრივ კულტურულ და ბუნებრივ რესურსებზე, სპორტულ აქტივობებზე რეგიონში გასართობი ტურიზმის ინდუსტრიის შემდგომი განვითარების მიზნით;
- რეგიონში საერთაშორისო სავაჭრო ბაზრობების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ბიზნეს მოგზაურობებს, მათ შორის საქმიანი ტურიზმის კუთხით;
- ტურისტული შესაძლებლობების სამიზნე ქვეყნების ნუსხის მომზადება, რეგიონში ტურისტული ნაკადების მოზიდვის თვალსაზრისით და თითოეულ ქვეყანასთან თანამშრომლობის სამოქმედო გეგმის ეტაპობრივი განხორციელება;
- სამი ქვეყნის ეროვნული ტურისტული ადმინისტრაციების, ტუროპერატორების, ტურისტული სააგენტოების და ტურისტული ასოციაციების (მათ შორის გიდების) მუშაობის კოორდინაცია სამხრეთ კავკასიაში ახალი მიმზიდველი ტურისტული მარშრუტების შექმნის მიზნით;
- აქტიური მარკეტინგული კამპანიის წარმართვა მიზნობრივ ბაზრებზე, როგორც საერთაშორისო წამყვანი პლატფორმების, ასევე საერთაშორისო მედიისა და ბლოგერების საშუალებით;
- დროული და სწორი აქცენტების გაკეთება ყველაზე კრეატიულ, მოთხოვნად და კონკურენტუნარიან ტურისტულ პროდუქტებზე;
- უცხოეთში მცხოვრები აზერბაიჯანული, ქართული და სომხური დიასპორების შესაძლებლობების გამოყენება რეგიონში ტურისტული ნაკადების მოზიდვის მიზნით;
- ტურისტული ინფრასტრუქტურის, მათ შორის არსებული უძრავი ქონების მოდერნიზაცია და ახალი უძრავი ქონების მშენებლობა, სასტუმროების სექტორის ჩათვლით;
- სამივე ქვეყნის ერთობლივი ძალისხმევა მიმართულია საინვესტიციო მიგრაციის გაზრდაზე (ადგილობრივი ხელისუფლება - სამშენებლო, დეველოპერული და საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიები, რომლებიც სპეციალიზირდებიან საინვესტიციო მიგრაციაზე);

- ტურიზმის კუთხით სამიზნე ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის შემოღება/სავიზო რეჟიმის გამარტივება;
- სამხრეთ კავკასიის რეგიონის ტურისტული მიმზიდველობის გაზრდის მიზნით, სამი ქვეყნის ტურისტული ადმინისტრაციების მხრიდან მუშაობის გააქტიურება მიზნობრივ აუდიტორიასთან, როგორც ერთობლივად, ისე კომბინირებულად (პრეზენტაციები, მრგვალი მაგიდები, სემინარები, გამოფენები, პრეს და გაცნობითი ტურები);
- რეგიონის ტურისტული გზამკვლევის მომზადების მიზნით არსებული ტურისტული პოტენციალის სრული ინვენტარიზაცია და ანალიზი.

წარმოდგენილი მონაცემების გათვალისწინებით სამივე ქვეყნის ერთობლივი ძალისხმევა აქტიურად უნდა იყოს მიმართული, როგორც ცალკეული ქვეყნის, ისე მთლიანად რეგიონის პოპულარიზაციისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე, რაც მომავალში ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიის ტურისტული ბაზრის რეგიონალიზაციას და ინტეგრაციას და ამით კიდევ უფრო განამტკიცებს რეგიონის ტურისტულ მდგრადობას და უზრუნველყოფს ჯანსაღ კონკურენციას, როგორც სამხრეთ კავკასიის, ისე მეზობელ ქვეყნებს შორის. (უკლება...2022:10-17-18).

განხილული, სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ გლობალურ ასპექტში ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე დინამიური და სწრაფად განვითარებადი ინდუსტრიაა. ტურისტულ მიმართულებებს შორის კი გამოიჩინა აგროტურიზმი, როგორც ფერმერებისათვის დამატებითი შემოსავალის წყარო და სოფლად დასვენების ფორმა.

2.2. აგროტურისტული საქმიანობის რეგულირების მოდელები

აგროტურისტული საქმიანობის განხორციელების ორგანიზებასა და მართვას, შესაბამისი რეგულირება სჭირდება. სწორედ ამ თვალსაზრისით, ქვეყნები იყოფა რამდენიმე კატეგორიად:

- ქვეყნები, სადაც აგროტურიზმის შესახებ რეგულაციები არსებობს, მაგალითად: ალბანეთი, ნიდერლანდები, უნგრეთი, ლატვია, რუმინეთი, საქართველო და სხვ.;
- ქვეყნები, სადაც აგროტურიზმის ხელშეწყობა სტრატეგიებით, სპეციალური პროგრამებითა და პროექტებით ხდება, ესენია: შვედეთი, სლოვენია, ესპანეთი, ლუქსემბურგი და სხვ.;
- ქვეყნები, სადაც აგროტურიზმის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს შესაბამისი გატარებული თუ გასატარებელი ღონისძიებები. (ესტონეთი).
განვიხილოთ თითოეული მიმართულების თავისებურებები ცალკეულ ქვეყნების მიხედვით.

ალბანეთი. 2018 წელს მიღებულ იქნა მინისტრთა საბჭოს ბრძანება სოფლის მეურნეობის საქმიანობის სერტიფიცირების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ. ბრძანება განსაზღვრავს კრიტერიუმებს, რომლითაც ფერმერი უნდა ხელმძღვანელობდეს სტუმრების მიღების დროს. აგროტურიზმის სერტიფიკატის მისაღებად:

- მეურნეობას უნდა ჰქონდეს მინიმუმ 1 ჰა. მიწის ნაკვეთი, რომელიც გაშენებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით ან მინიმუმ, 0,5 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომელზეც სათბურებია განთავსებული;
- მესაქონლეობის შემთხვევაში, მეურნეობაში უნდა იყოს მინიმუმ 10 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ან 100 თხა ან 200 ფრთა ფრინველი;
- თევზის/აკვაკულტურული მეურნეობებში მომუშავე ფერმერების საქმიანობა, მათზე დაკისრებულ მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს.

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამინისტრო აგროტურიზმს მხარს უჭერს ეროვნული საგრანტო სქემითაც, რომელიც ძალაში 2019 წლის 1 იანვრიდან შევიდა. აგრეთვე, აღნიშნული სამსახურის მიერ ამოქმედებული პროექტი სახელწოდებით „სოფლის განვითარების ინტეგრირებული პროგრამა”, რომლის მიზანია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სოფლის ეკონომიკური განვითარება ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიცირებით (სოფლის ტურიზმის პოტენციალის გაუმჯობესება აგროტურიზმის და სოფლის ტურიზმის ხელშეწყობის გზით) და სოციალური და ადამიანური კაპიტალის განვითარება.

ნიდერლანდები. 2019 წელს წარმომადგენელთა პალატის შუამდგომლობით შეიქმნა მრავალფუნქციური სოფლის მეურნეობის პლატფორმა. პლატფორმაში წარმოდგენილი არიან სოფლის მეურნეობის, გარემოსა და საკვების ხარისხის, ჯანდაცვის, კეთილდღეობისა და სპორტის სამინისტროები.

მათი მიზანია მრავალფუნქციური სოფლის მეურნეობის განვითარების სტიმულირება, პრობლემების გამოვლენა და გადაჭრის გზებზე ერთობლივი ზრუნვა. უკვე დაიწყო მუშაობა სივრცითი დაგეგმარების შესახებ კანონებსა და ნორმატიულ აქტებში ცვლილებებზე, რადგან სწორედ ამ რეგულაციებს იყენებენ ფერმერები მრავალფუნქციური სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის საწარმოებლად.

ნიდერლანდიაში აგროტურიზმი წარმოადგენს ე. წ. მრავალფუნქციური სოფლის მეურნეობის ქვესექტორს. ფერმერებს შეუძლიათ ფერმაში გახსნან საბავშვო ბალი, სადაც ბავშვები დაათვალიერებენ და დააგემოვნებენ აგრო-ბიო პროდუქტებს. ან კიდევ შექმნიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე მორგებულ „მზრუნველ ფერმას“.

ზონირების გეგმა მოიცავს დეტალურ წესებს, თუ რა უფლებებით სარგებლობენ ფერმერები მიწის ან სივრცის ათვისების დროს. მაგალითად, სად შეიძლება ჩაიდგას სახლი, მაღაზია, სასტუმრო და სხვ. ნიდერლანდიაში აგროტურიზმის ქვესექტორი რამდენიმე მიმართულების კანონით რეგულირდება. მაგალითად, მუნიციპალური ზონირების გეგმა. გაწერილია, აგრეთვე შენობების მაქსიმალური დასაშვები მოცულობა. (ფხაკაძე, 2020:10).

უნგრეთი. უნგრეთის სოფლის განვითარების 2012-2020 წლების ეროვნულ სტრატეგიაში სოფლის ტურიზმის სტრატეგიული მიმართულებები და აქტივობებია განსაზღვრული, მაგალითად:

- სოფლის ტიპის დასახლებებისა და სოფლების განვითარების ხელშეწყობა აგროტურიზმის პოტენციალის გაუმჯობესების მიზნით;
- სოფლის ტურიზმში ჩართული კერძო პირებისთვის საგადასახადო პირობების შემსუბუქება;
- სოფლის ტურიზმის საინფორმაციო სისტემის და მარკეტინგის საშუალებების გაფართოება და მოდერნიზაცია;

- თანამედროვე სამართლებრივი გარემოს შექმნა;
- პროფესიული გადამზადება, კონსულტაციები, სერთიფიკაციები აგროტურისტული სერვისის მიმწოდებლებისთვის;
- სოფლად დაბინავების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

აგრეთვე, მოქმედებს უნგრეთის აგროტურიზმის ფედერაცია, რომელმაც მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად დააწესა ლიცენზია, სახელწოდებით „Sunflower”, („მზესუმზირა”).

ლატვია. ლატვიაში აგროტურიზმის განვითარება რეგულირდება კანონით.

კანონი ტურიზმის შესახებ ითვალისწინებს, შექმნას ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების სამართლებრივი ჩარჩო, დააზუსტოს პროცედურები, რომელთა ფარგლებში უნდა იმოქმედონ სახელმწიფო ადმინისტრაციულმა ინსტიტუტებმა, ადგილობრივმა თვითმმართველობამ და ტურიზმის სფეროში დასაქმებულმა პირებმა.

რუმინეთი. რუმინეთში აგროტურიზმი რეგულირდება კანონით. ქვეყანაში მოქმედებს აგრეთვე მთის კანონი, რომელიც ხელს უწყობს მთის ტურიზმის, აგროტურიზმის და ეკოტურიზმის განვითარებას, როგორც ცენტრალური ისე ადგილობრივი თვითმმართველობის საშუალებით, აფინანსებს პროექტებს ამ მიმართულებით და ხელს უწყობს კვებისა და მცირე მრეწველობების განვითარებას.

საქართველო. აგროტურიზმთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები, რეგულირდება საქართველოს კანონით, „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“. ასევე, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით“ და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარენორმატიული აქტებით. (პროექტი...)

გარდა ამისა, ბოლო პერიოდში, შეიქმნა კანონ-პროექტი აგროტურიზმის შესახებ. კანონის ამოქმედება მუხლობრივად 2021 წლის 1 ივნისიდან დაიწყო და ეტაპობრივად დასრულდება 2025 წელს. კანონ - პროექტის თანახმად, აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტის სტატუსი ენიჭება, იმ დაინტერესებულ პირებს, რომელებიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) საკუთრების ან მართლზომიერი სარგებლობის უფლებით ფლობს ფერმერულ მეურნეობას;

ბ) სურსათის/ცხოველის საკვების უვწებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, რეგისტრირებულია ბიზნეს-ოპერატორად;

გ) რეგისტირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფერმერთა რეესტრში.

გარდა ამისა, საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებენ სტატუს მინიჭებული აგროტურისტული სუბიექტები, რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება 200 000 ლარს. სტატუსის მინიჭებიდან 10 წლის განმავლობაში გათავისუფლდებიან მოგების, საშემოსავლო და დამატებითი ღირებულების გადასახადებისგან. (მურუსიძე, : 2020).

ვფიქრობთ, აღნიშნული კანონ-პროექტი ერთ-ერთი წინგადადგმულ ნაბიჯია. გვაქვს მოლოდინი, რომ კანონის სრულყოფილად ამოქმედბა, კიდევ უფრო დაეხმარება ტურისტული საქმიანობით დაინტერესებულ ფერმერებს.

შვედეთი ქვეყნის ყველა რეგიონში, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მთავრობა თანამშრომლობს კერძო სუბიექტებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან. შესაბამისი უწყებები, ტურისტულ კომპანიებსა და ორგანიზაციებთან ერთად, ამუშავებენ შვედეთის სოფლებში ტურიზმის განვითარების სტრატეგიებს.

თითოეული სტრატეგია სხვადასხვა მიზანზე არის გათვლილი და დაწვრილებით აღწერს მათი შესრულების გეგმებს. სტრატეგიის მიმართულებები ძირითადად ადგილობრივი კვების მწარმოებელთა პირობების გაუმჯობესებას, ემსახურება.

სამთავრობო პროგრამა „ტურიზმის ბიზნესის ხელშეწყობა“ დაინტერესებულ პირებს საწარმოს განვითარებისთვის სპეციალურ ფინანსურ დახმარებას სთავაზობს.

გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა შვედეთის სოფლის მეურნეობის საბჭო. სოფლის განვითარების პროგრამა რეგიონალური განვითარების ფონდისა და ევროპის სოციალური ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება. სააგენტო, ამ ბიზნესით დაინტერესებულ პირებს უფასო კონსულტაციებსაც სთავაზობს.

შვედეთის მთავრობა ადგილობრივ დონეზე დიდ ყურადღებას უთმობს აგროტურიზმის განვითარებას, საერთაშორისო დონეზე იგი შვედეთს, როგორც ეკოტურიზმის საუკეთესო დანიშნულების მიმართულებას წარმოაჩენს. ეს თავის თავში მოიცავს ისეთი ზომების გატარებას, რომელიც აგროტურიზმის განვითარების მოდელსაც შეესაბამება. მაგალითად, სოფლებში ცხოვრების დონის ამაღლება, სასურსათო უსაფრთხოება, დასაქმება და ა.შ.

სლოვენია. სლოვენიის ტურიზმისა და სოფლის განვითარების 2014 - 2020 წლების პროგრამა, უჭერდა და ახლაც უჭერს მხარს:

- არასასოფლო საქმიანობებს სოფლად;
- საქმიანობას, რასაც ირიბად შეუძლია ხელი შეუწყოს აგროტურიზმის განვითარებას.

მაგალითად, მიწოდების მცირე ქსელების წახალისებას, ადგილობრივი ბაზრების განვითარებასა და ფერმერული საქმიანობის სოციალურ დივერსიფიკაციას. (ფხავაძე, 2020 :1-8-9).

ესტონეთი. ესტონეთში აგროტურიზმი არ რეგულირდება. იგი განხილულია, როგორც მეწარმეობის ერთ-ერთი ფორმა. აგროტურიზმის წახალისების ყველაზე ცნობილი ღონისძიება არის „ღია ფერმების დღე“ („Open Farms Day“), რომელიც, უკვე მეექვსედ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის კვლევითი ცენტრის, სავაჭრო პალატის და ესტონელ ფერმერთა კავშირის ეგიდით ეწყობა. „ღია ფერმების დღე“ წლიდან წლამდე უფრო პოპულარული ხდება. ამ დღეს გლეხებსა და ფერმერებს საშუალება ეძლევათ, დამსწრე საზოგადოებას გააცნონ თავიანთი საქმიანობა, წარმოებული პროდუქცია და ადგილები, სადაც მას ახორციელებენ. (ფხავაძე, 2020:11-12).

ზემოთ განხილულული მაგალითებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აუცილებელია:

- თვითმმართველობის წარმომადგენლების ხშირი კომუნიკაცია ადგილობრივ ტურიზმის სამსახურის თანამშრომლებთან და ფერმერებთან, რომლებმაც ერთობლივი ძალებით უნდა შეიძუშაონ სოფლებში ტურიზმის განვითარების სტრატეგიები;

- მოიძიონ და განახორციელონ სხვადასხვა პროგრამები, რომელიც ორიენტირებული იქნება სოფლის მეურნეობისა და აგროტურიზმის განვითარებაზე.
- დასაქმონ ამ მიმართულებით კვალიფიცირებული სპეციალიტები, რომლებიც კონსულტაციასა და დახმარებას გაუწევენ ფერმერებს აგროტურიზმის საქმიანობის გათავისებაში.

ამ მიზნით, უნდა შეიქმნას ფერმერების შეხვედრის სპეციალური ადგილი და დაწესდეს შეხვედრის დღეები. მათ შეხვედრას ორგანიზებას უნდა უწევდეს ისეთი პიროვნება, ვინც ამ საქმეში ჩახედულია და კარგად ერკვევა. მან ფერმერებს უნდა გააცნოს სიახლეები ამ მიმართულებით, შესთავაზოს იდეები, ჩაუტაროს ტრენინგები, დააკავშიროს ონლაინ უცხოელ ფერმერებთან, ვინც ამ საქმეშია ჩართული. ფერმერებს შორის ადგილზეც მოხდება გამოცდილებისა და აზრების ურთიერთგაცვლა. ყოველივე ეს, დაეხმარება მათ აგროტურისტული საქმიანობის უკეთ გაძლოლაში.

- უნდა შემოიღონ სოფლის მეურნეობის საქმიანობის სერტიფიცირების კრიტერიუმები. რომლითაც მასპინძელი იხელმძღვანელებს სტუმრების მიღების დროს.

➤ შეიქმნას მრავალფუნქციური დანიშნულების გუნდი, რომლის წარმომადგენლები იქნებიან: სოფლის მეურნეობის, გარემოსა და საკვების ხარისხის, ჯანდაცვის, ტურიზმის სპეციალისტები. მათი მიზანი უნდა იყოს აგროტურიზმის სტიმულირება, პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზებზე ერთობლივი ზრუნვა.

➤ ტურისტული რეგიონების ეროვნულ სტრატეგიაში, გათვალისწინებული უნდა იყოს სოფლის ტურიზმის სტრატეგიული მიმართულებები და აქტივობები. მაგალითად:

- ✓ სოფლების განვითარების ხელშეწყობა;
- ✓ აგროტურიზმში ჩართული კერძო პირებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესება;
- ✓ რეკლამის ორგანიზება;
- ✓ პროფესიული გადამზადება და კონსულტაციები ფერმერებისათვის;
- ✓ ფერმაში ტურისტების მომსახურებისათვის, შესაბამისი გარემოს შექმნა.

✓ დარგის რეგულირება შესაბამისი კანონით. რადგან, კანონი მეტი სტაბილურობისა და გამჭვირვალობის საფუძველს ქმნის.

საბოლოოდ, რომ შევაჯამო, მსოფლიო მასშტაბით, აგროტურიზმის განვითარების ერთიანი სქემა არ არსებობს. აგროტურისტული რეგიონის შემთხვევაში, საუკეთესო პრაქტიკა შესაძლოა გახდეს, როგორც საკანონმდებლო რეგულაცია, ასევე სახელმწიფო პროგრამები, პროექტები, წამახალისებელი ღონისძიებები.

2.3. აგროტურიზმის გლობალური ტენდენციები

თანამედროვე მსოფლიოში აგროტურიზმი და რეკრეაციული საქმიანობა ვითარდება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან მჭიდრო კავშირში. ამიტომ დღეს, მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში სხვდასხვა სახის მეურნეობის მფლობელები მიმართავენ საკუთარ ძალებს ტურიზმის განვითარებისათვის.

აღნიშნულს ხელი შეუწყო, ეკოლოგიურად სუფთა აგროპროდუქტებზე მოთხოვნამაც. შესაბამისად, ფერმერებისათვის ტენდენციური გახდა ბიომეურნეობების შექმნა და განვითარება. ბიომეურნეობაში იგულისხმება - პირუტყვისა და მცენარეული პროდუქციის წარმოების მეთოდი, რომელიც არ ითვალისწინებს პესტიციდების, მინერალური სასუქების, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების, ანტიბიოტიკებისა და ზრდის პორმონების წარმოებაში გამოყენებას.

ბიომეურნეობა არის გლობალური სისტემა, რომლიც შექმნილია აგროეკო-სისტემის ოპტიმიზაციისათვის, რაც თავის მხრივ მოიცავს ნიადაგის მიკროფლორას, მცენარეებს, ცხოველებსა და ადამიანებს. ბიოწარმოების განვითარება კი ხელს უწყობს აგროტურიზმის დარგის სტიმულირებას.

ბიომეურნეობის საქმიანობის განვითარების მიზნით, ჯერ კიდევ, 1991 წელს ევროკავშირის მიერ იქნა მიღებული დადგენილება ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის რეგულირების თაობაზე. 2002 წლიდან ასეთივე ტიპის დადგენილება მიღებული იქნა ამერიკაშიც.

ამასთან დაკავშირებით, ორგანული სოფლის მეურნეობის კვლევის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა სტატისტიკური მასალა, რომელიც შეეხებოდა მოცემულ თემას. კერძოდ: ორგანული სოფლის მეურნეობის უმსხვილესი ბაზარებია აშშ - 40 მილიარდი ევროს მოცულობის ბრუნვით, გერმანია - 10 მლრდ., საფრანგეთი - 7,9მლრდ., ჩინეთი - 7,6მლრდ.. ყველაზე ხშირად ორგანულ პროდუქტებს ყიდულობენ შვეიცარიაში. ორგანულ სოფლის მეურნეობას მისდევენ 181 ქვეყანაში. 69, 7 მილიონ ჰექტარზე.

მსოფლიოს 93 ქვეყანაში ორგანული სოფლის მეურნეობა სამართლებრივად რეგულირდება. მსოფლიოში ამავე სტატისტიკური მონაცემებით 2,9 მილიონი ორგანული მეურნეობა/მწარმოებელია. მათ შორის ყველაზე მეტი 835 000 ინდოეთშია, შემდეგ არის უგანდა - 210 352, მექსიკა - 210 000. (ღონდამე...2020).

ასე, რომ ბიომეურნეობების განვითარება განაპირობებს, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მრავალფეროვანი ასორტიმენტის შექმნას. მსგავსს ეკოლოგიურად სუფთა აგროპრდუქტებზე მოთხოვნა გაიზარდა ვიზიტორების მხრიდანც. შესაბამისად, გაიზარდა მოთხოვნა აგროტურისტულ მოგზაურობაზე.

ყოველივე ეს, აისახება შედეგებზეც. კერძოდ: მსოფლიოში, ბოლო 50-60 წლის განმავლობაში, ტურიზმის დარგი სწრაფი ტემპით ვითარდება. ტურისტების მთლიანი რაოდენობიდან 25-30 % აგროტურიზმს ირჩევს. შემოსავლების მხრივ, აგროტურიზმზე მთელი ტურიზმის შემოსავლების 20-30% მოდის. (კვარაცხელია... 2018:127).

ტურიზმიდან შემოსავლების ზრდას განაპირობებს, ადამიანების სურვილი რა სიხშირით, რა ხანგრძლივობითა და რა მიზნით იმოგზაურონ. ასე მაგალითად: საერთაშორისო ტურისტების სოლიდური ნაწილი უპირატესობას ანიჭებს მათთვის ახალი და უცნობი ქვეყნების მონახულებას. ამ მხრივ, მსოფლიო რუკაზე ლიდერის პოზიციას ევროპის ქვეყნები ინარჩუნებს. ამ ფონზე ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სამოგზაუროდ. (გელანტია, 2017:7).

ამ შემთხვევაში, მთავარ მოტივაციად მიიჩნევა ადამიანების პიროვნული მიდრეკილებები, პროფესიული ინტერესები კულტურისა და ბუნების შესწავლის მიზნით. განსაკუთრებით მაღალგანვითარებულ და ე. წ. ინდუსტრიულ ქვეყნებში

დიდი სისწრაფით იზრდებიან 35-დან 55 წლამდე ადამიანთა ასაკობრივი ჯგუფები, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი შემოსავლებით და შესაბამისად დაინტერესებულნი არიან ტურიზმით.

ისინი, როგორც წესი იღებენ წლის განმავლობაში ორ, ან მეტ მოკლევადიან შვებულებებს, ნაცვლად ადრე მიღებული ერთი ხანგრძლივი შვებულებისა. ხანდაზმულები, რომელთა რიცხვი მსოფლიოში დღითიდღე იზრდება და რომლებიც პენსიაზე გადიან უფრო ადრეულ ასაკში. ისინი გამოირჩევიან კეთილდღეობის მაღალი დონით და მათ გააჩნიათ უფრო მეტი დრო მოგზაურობისათვის.

უკანასკნელ პერიოდში მთელ მსოფლიოში სულ უფრო მეტი ტურისტი არჩევს აქტიურ და შემეცნებით ტურიზმის ფორმებს. ისინი მოგზაურობენ, რომ მეტი იარონ ფეხით და მეტი ცოდნა მიიღონ სამოგზაურო ქვეყნის კულტურაზე, ისტორიაზე.

დღესდღეობით, მსოფლიოში რეკრეაციული, ეკოლოგიური და აგროტურისტული მიზნებით მოგზაურობა წარმოადგენს ტურისტული ბაზრის განსაკუთრებით მზარდ სეგმენტს. ტურისტებს, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებთ ბუნებრივი გარემო, ბიოპროდუქტების დაგემოვნება-დამზადების ტექნოლოგია და ტურისტული დანიშნულების ადგილების, ადგილობრივი კულტურულ-ტრადიციული ფორმები. მათ იზიდავთ მოშორებული და ეკოლოგიურად საინტერესო რაიონები. ამ მიზნით მოგზაურობენ სხვადასხვა ქვეყნებშიც.

ყველა ქვეყანას თავისი მიდგომა აქვს აგროტურიზმთან მიმართებაში. ისინი განსხვავდებიან ფერმერების მიერ წარმოებული პროდუქციით. მაგალითად საბერძნეთი, საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი ცნობილია როგორც მეღვინეობით, ასევე ამაყობენ ტრადიციული სამზარეულოთი. ფინეთი საშუალებას აძლევს თევზაობის მოყვარულებს ისარგებლონ თევზაობის პროცესით და ასევე ხელს უწყობს ფერმერულ საქმიანობის განვითრებას. პოლონეთსა და სლოვაკეთში დამსვენებლებს საშუალებას აძლევენ გაეცნონ ადგილობრივ კულტურასა და ტრადიციებს. ფერმერები ეხმარებიან ტურისტებს ჩაერთონ ხორცისა და რძის პროდუქტების მომზადებაში.

ტაივანში აგროტურისტებისათვის იმართება ლექციები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ ეზიარონ ადგილობრივ კულტურას და მის საიდუმლოებებს. იქ მრავალი

ფერმაა, სადაც შესაძლებელია გაეცნონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების პროცესს, დააგემოვნონ ადგილობრივ ფერმაში მოყვანილი პროდუქტებისაგან მომზადებული კერძები. დაათვალიერონ ბრინჯისა და ჩაის პლანტაციები.

ტროპიკულ ქვეყანაში - ფილიპინებში მხოლოდ რამდენიმე ათეული აგროტურისტული ადგილია, რომლებიც შედგება მარწყვისა და ორგანული ბოსტნეულის ფერმებისაგან, ანანასის და ყავის პლანტაციებისაგან. იქ ყოველწლიურად ტარდება ღონისძიებები, იმართება ბაზრობები, რაც ათობით ათას ტურისტს იზიდავს. ადგილობრივი ფერმერები სერიოზულად ეკიდებიან თავიანთ საქმიანობას და ამუშავებენ მოქმედების სტრატეგიებს, რაც მათ შემდგომ წინსვლას უზრუნველყოფს. (ვადაჭვორია, 2021:4).

გარდა ამისა, ფერმებში ყურადღება ექცევა შესაბამის ღონისძიებებსა და პროგრამების დაგეგმვას. აგროტურიზმის განვითრების პროგრამების დანერგვა და განხორციელება მაღალ დონეზე ხდება ისეთ ქვეყნებში როგორიცაა იტალია, საფრანგეთი, ავსტრია. ავსტრიაში სოფლის მეურნეობის გავნითარების პროგრამის განხორციელებისთვის ყოველწლიურად გამოყოფილია 1 მილიარდი ევროს ბიუჯეტი, რაც ითვალისწინებს ასევე აგროტურისტული პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას. საფრანგეთში 6 000-მდე სოფლად მცხოვრები ჩართულია აგროტურიზმის ინდუსტრიაში. (კეკოშვილი, 2016).

ტურისტები, როგორც წესი დაინტერესებულნი არიან ადგილობრივი ღირშესანიშნაობებით და უპირატესობას ანიჭებენ ტრადიციულ საცხოვრებელ სახლებს, ისინი ცდილობენ რაც შეიძლება მეტი გაიგონ ადგილობრივი ფერმერების კულტურისა და ცხოვრების წესის შესახებ.

აგროტურიზმისა და სოფლის ტურიზმში ჩართული მეწარმე, ხშირად ყურადღებას უთმობს ტურისტის მატერიალურ მოთხოვნებს და მათს დაკმაყოფილებას. განთავსება და საკვები ტურისტული შეთავაზების „მატერიალური“ ნაწილია და იგი ტურისტულ შემოსავალსაც უფრო ნათლად ასახავს. მეწარმე ნაკლებად განსაზღვრავს იმ მატერიალურ მოგებას, რაც შეიძლება მიიღოს სტუმრის სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებით.

შეუფასებელია იმ ღირშესანიშნაობებისა თუ გასართობი საშუალებების გამოყენების მნიშვნელობა, რომლებიც ამდიდრებს და მრავალფეროვანს ხდის ტურისტულ შეთავაზებას და პირდაპირ მოქმედებს ტურისტის სოფლად დარჩენის ხანგრძლივობაზე. ამდენად, ადგილობრივ ტურისტულ ბაზარზე თანამშრომლობის შედეგად იქმნება კომბინირებული ტურისტული პროდუქტი, რაშიც იგულისხმება დამატებითი მომსახურება, სანახაობა და გართობა.

განხილული მიზნის განსახორციელებლად, გასათვალისწინებელია ფოლკლორული თუ ტრადიციული ელემენტების გამოყენება. კულტურული ფასეულობების სწორად შეფასების საკითხები განხილულ უნდა იქნეს, როგორც სოფლის ტურიზმის ოპერატორებთან, ასევე ადგილობრივ მცხოვრებლებთან. ფერმერები მაქსიმალურად უნდა ცდილობდნენ ტურისტებმა დადებითად შეაფასონ მათი მომსახურება. ტურისტული პროდუქტის შეფასებისას ყურადღება ექცევა შემდეგ ელემენტებს:

- არსებული მომსახურების ხარისხი: საწოლი, კვება, ესთეტიკა, ფუნქციონირება;
- კომფორტი, ინდივიდიალურ კლიენტებთან და ჯგუფებთან ურთიერთობა;
- დასასვენებელი ადგილისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის მახასიათებლები:
 - ინფრასტრუქტურა, პეიზაჟი, ჰავა, ბუნებრივი და კულტურული ღირშესანიშნაობები, არქიტექტურა, გარემო პირობების დაცვა, მრეწველობის გავლენა, მდებარეობა და მთავარ გზასთან სიახლოვე;
 - დამატებითი მომსახურება, შეავსებს არსებულ შეთავაზებას და კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის დასვენებას;
 - სტუმართან ურთიერთობა და ინდივიდიალური მიდგომა: სტილი, ატმოსფერო, კომუნიკაცია, მასპინძლის გუნება-განწყობა;
 - საკვები პროდუქტი, შინაური ცხოველები, სამედიცინო უსაფრთხოება, ჰიგიენური ნორმების დაცვა. ასევე წინასწარი შეთანხმებებისა და ვალდებულებების შესრულების გარანტია;
 - გაწეული მომსახურება, ის სარეკლამო და საინფორმაციო ბუკლეტებში მოცემული ინფორმაციის ადეკვატური უნდა იყოს.

მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია დროულად და ობიექტურად მიეწოდოს ვიზიტორს მარშრუტის ან დასვენების დაგეგმვისას. სასურველია, მომზადდეს ტურისტული ობიექტების ირგვლივ არსებული ტერიტორიების რუკები, სადაც დატანილი იქნება საექსკურსიო მარშრუტები და არსებული ინფრასტრუქტურა: სასტუმრო სახლები, ინფორმაცია საექსკურსიო ობიექტების, საპიკნიკე ადგილების, ავტობუსის გაჩერების, ავტოგასამართი სადგურების და ღირშესანიშნაობების შესახებ. ყოველივე ეს, ტურისტებს აძლევს საშუალებას, მიიღონ სრული ინფორმაცია და წინასწარ დაგეგმონ ტური. (ვადაჭვორია, 2011:149-152).

მოცემული ვალდებულებების შესრულება, მორგებული უნდა იყოს ყველა ქვეყანაში მოქმედ აგროტურისტული ობიექტის საქმიანობასთან. მაგრამ, გასათვალისწინებელია, უარყოფითად მოქმედი ფაქტორებიც რომლის გადალახვა აუცილებელია. ეს ფაქტორები შეძლება იყოს: ბუნების სტიქიური მოვლენები, გარემოს დაბინძურება, პოლიტიკური არასტაბილურობა, ეპიდემია და ა. შ.

ბოლო პერიოდში, ჩამოთვლილი მოვლენებიდან აქტუალური გახდა, პანდემია. პანდემიამ უარყოფითი გავლენა იქონია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ტურისტულ სექტორზე, მაგალითად, ესპანეთში ტურიზმი ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული ეკონომიკისთვის, მასზე წელიწადში დაახლოებით 180 მილიარდი ევრო მოდის - მთლიანი სამამულო პროდუქტის დაახლოებით 14%. პანდემიის გამო ტურისტული ნაკადის ვარდნამ ესპანეთისთვის მიყენებული ზარალი მინიმუმ 30 მილიარდი ევრო შეადგინა.

გერმანიის ეკონომიკაში, ტურიზმზე 105 მილიარდ ევროზე მეტი მოდის, რაც ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტის დაახლოებით 4%-ს შეადგენს. ტურიზმი უზრუნველყოფს დაახლოებით 3 მილიონ სამუშაო ადგილს. გერმანიის ტუროპერატორების ასოციაციის ინფორმაციით, 2020 წლის მარტსა და აპრილში ტურიზმის ინდუსტრიამ 24 მილიარდი ევროს ზარალი ნახა. (გელაშვილი, 2020).

კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა განსაკუთრებული ზიანი იაპონიის ტურიზმის სექტორს მიაყენა. იაპონურმა ავიაკომპანიებმა, საზღვრების ჩაკეტვისა და ფრენების გაუქმების შედეგად, დიდი ფინანსური დანაკლისი მიიღეს.

მსოფლიო პანდემიიდან გამომდინარე, საზღვარგარეთის ქვეყნებში დაწესებული ავიამიმოსვლის შეზღუდვამ დიდი პრობლემა შეუქმნა დარგის განვითარებას. მიუხედავად ამისა, უფრო წინ წამოიწია ტურიზმის ეკოლოგიური სახეობებზე მოთხოვნა. ამასთან დაკავშირებით, მოთხოვნადი გახდა ისეთი ტურიზმის ფორმები, როგორიცაა - კემპინგები, კარვებით დასვენება, აგროტურიზმი, ეკოტურიზმი და ა.შ.

აღნიშნული ტიპის ტურიზმის განვითარებით ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება მიეცემა, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი აქციოს დამატებით შემოსავლად, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება გახდეს მათი შემოსავლის ძირითადი წყარო.

აქედან გამომდინარე, შიქმნა სოფლის მეურნეობის გაძლიერების საჭიროება, რომ ადგილობრივი და არა იმპორტირებული აგროპროდუქტი გახდეს პრიორიტეტი. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ცოდნაზე დამყარებული ინდუსტრიული წარმოების განვითარების ხელშეწყობით.

ხელშეწყობაში მოიაზრება, მცირე და საშუალო ბიზნესში ჩართული მეწარმეების დახმარება. უნდა მოხდეს შიდა ტურიზმის განვითარების სტიმულირება სავალდებულო უსაფრთხოებისა და სანიტარული ნორმების დაცვის რეკომენდაციების გათვალისწინებით. რაც მოითხოვს, საქმიანობის სწორად ორგანიზებასა და დაგეგმვას.

ისევე, როგორც ტურიზმის ნებისმიერ სახეობას, აგროტურიზმსაც ესაჭიროება დეტალური დაგეგმვა და ეფექტიანი მართვა. რამაც შეიძლება პოზიტიური როლი ითამაშოს გარემოსა და კულტურის შენარჩუნებაში.

ტურიზმის დაგეგმვაში დაშვებული შეცდომები თავს იჩენენ მაშინ, როცა არ არის გათვალისწინებული დასაშვები ზღვრული ნორმები ტურისტული ნაკადებისა, როცა გარემო გადატვირთულია ტურისტთა მეტი რაოდენობით, ვიდრე მისი გამტარუნარიანობაა. ტენდეცია ვითარდება ისე, რომ ტურისტებს მომსახურების დროს უნდა მიუდგეს ფერმერი ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე და მისცეს მათ თვითგამოხატვის მეტი საშუალება. (ვადაჭირია, 2011:122).

მოცემული მიზნების გადასაჭრელად აუცილებელია, საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაცია, იქნება ეს გადასახადების შემცირება თუ გადავადება, ზოგიერთ შემთხვევაში მოხსნაც კი, ასევე საბანკო სესხებზე ხელმისაწვდომობა.

მეწარმეებისათვის ფინანსური დახმარების გაწევის შემთხვევაში, კი აუცილებელია პირდაპირი და არაპირდაპირი ბიზნეს სუბიექტების ნუსხის გათვალისწინება, იქნება ეს: სასტუმროები, ტურისტული ობიექტები, სატრანპორტო საშუალებები, გიდები, ტუროპერატორები, ციფრული ტექნოლოგიის მიმწოდებლები, კვების ობიექტები და ა.შ.

ასევე საყურადღებოა, სწორად შეირჩეს ის ტურისტული დესტინაციები, სადაც ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების გზით, მაქსიმალურად იქნება შესაძლებელი ტურისტული ობიექტების გადატვირთვის აღმოფხვრა, რითაც მოხერხდება მისი ავთენტურობისა და გამტარუნარიონობის პრინციპის აღდგენა.

ასევე, ფერმერებმა სტუმრებთან მომსახურების დროს უნდა გაითვალისწინოს ეკოლოგიური საფრთხეეც, რომ არ დაზიანდეს გარემო. ანუ აქცენტი უნდა გაკეთდეს საქმიანობის დადებით მხარეზე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებზე, ისე, რომ გათვალისწინებული იყოს გარემოს უსაფრთხოების წესების დაცვა.

აგროტურისტული ობიექტების უმრავლესობა მდებარეობს ცენტრალური გზებიდან მოშორებით, ტურისტებისთვის რთულად მისადგომ ადგილებში. ასეთ ადგილებში გაზრდილი ტურისტების ნაკადი უარყოფით გავლენას ახდენს გარემოზე, კერძოდ:

დაბინძურება: ჰაერის დაბინძურება, ანუ CO₂ ემისიები ხორციელდება თვითმფრინავებიდან და იმ სატრანსპორტო საშუალებებიდან, რომლებიც მასობრივი ტურიზმის ადგილებში გამოიყენება, მაგალითად, როდესაც მთის რეგიონები, სოფლები და ეროვნული პარკები მასობრივი ტურიზმის დანიშნულების ადგილი ხდება, ხოლო ტურისტული სეზონის დროს ავტომანქანების რაოდენობა პიკს აღწევს.

ნარჩენები: მყარი ნარჩენები და ჩამდინარე წყლები ტურისტული ადგილების გარშემო. ნარჩენების სუსტმა მართვამ შესაძლოა მასობრივი ტურიზმის თითოეულ ადგილს პრობლემები შეუქმნას იმ დროს, როდესაც ვიზიტორთა რაოდენობა ბევრად

მეტია, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობისა. იზრდება მველი სტილის ნაგავს-აყრელები, რაც უარყოფით ზემოქმედებას იქონიებს ბუნებაზე და შესაძლოა დაავადებების გავრცელების მიზეზი გახდეს;

ფიზიკური ზემოქმედება: გარკვეულმა ტურისტულმა აქტივობებმა, მაგალ-ითად, როგორიცაა ეროვნულ პარკებში მანქანით გადაადგილება, შესაძლოა, განსაკუთრებული ზემოქმედება მოახდინოს ბუნებაზე (ბუდობის დროს ფრინველების ან ძუძუმწოვრების განადგურება). (რაჯებაშვილი, 2012:4).

ტურისტების გაზრდილი ნაკადის გარდა, უამრავი ფაქტორია, რაც უარყოფით გავლენას ახდენს, როგორც გარემოზე, ისე დარგის განვითარებაზე. კერძოდ, აგრო-ტურისტულ საქმიანობაში ფერმერები შეიძლება გადააწყდნენ შემდეგი სახის რისკებს:

1. **კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი კატასტროფები.** ამინდი და კლიმატი ის ორი ძირითადი ფაქტორია, რომელიც ადგილის ბიოკლიმატურ რესურსებს განსაზღვრავს. არახელსაყრელ კლიმატურ პირობებს და მათ ცვლილებას შეუძლია გავლენა იქონიოს ტურისტულ ნაკადზე ან ტურისტული საქმიანობის სეზონურ მონაცვლეობაზე. განსაკუთრებით კი ტურიზმის იმ მიმართულებაზე, რომლის ფუნქციონირება დამოკიდებულია აგროპროდუქტის შექმნის აუცილებლობაზე.

ამინდი ძირითადად დაკავშირებულია საშუალო წლიური ტემპერატურის მატებასთან, ნალექების მოცულობის და ხასიათის ცვლილებასთან, ექსტრემალურ კლიმატურ მოვლენებთან (გვალვები, წყალმოვარდნები, ქარიშხალი, ძლიერი ქარები). (Tsetskhladze....: 2023).

2. **სხვადასხვა მავნებლების/დაავადებების გავრცელების რისკი.** სოფლის მეურნეობაში მავნებლებით გამოწვეული ზარალი დიდია. მათ გასანადგურებლად იყენებენ ბრძოლის აგროტექნიკურ, ფიზიკურ-მექანიკურ, ბიოლოგიურ, ქიმიურ და ინტეგრირებულ მეთოდებს.

აგროტექნიკური მეთოდი ითვალისწინებს, ნიადაგის შერჩევას, მცენარეთა გამძლე (იმუნური) ჯიშების გამოყვანას, სარეველების მოსპობას, სწორი თესლბრუნვის დაცვას, ნიადაგის დამუშავებას.

ფიზიკურ-მექანიკური მეთოდი გულისხმობს, მავნებლებით მცენარის ძლიერ დაზიანებული ნაწილების მოცილებასა და მოსპობას, მისატყუებელი ორმოებისა და საჭერი სარტყლების (ნაყოფჭამიებისათვის) გამოყენებას, სინათლით მიზიდვას და განადგურებას და სხვა.

ბიოლოგიური მეთოდი ითვალისწინებს მავნებლების წინააღმდეგ ბუნებრივი მტრების (აკარიფაგები, ენტომოფაგები), მიკრობიოლოგიური საშუალებების (ენტომოპათოგენური სოკოები, ბაქტერიები, ვირუსები), მწერიჭამია ცხოველების გამრავლებასა და გამოყენებას.

ქიმიური მეთოდი მოიცავს, მავნებლების საწინააღმდეგო სხვადასხვა ქიმიური ნივთიერების (პესტიციდების) გამოყენებას.

ბიოფიზიკურ და ბიოქიმიურ მეთოდებს განეკუთვნება გამა-გამოსხივების და ქიმიური პრეპარატების გამოყენება. (ყანჩაველი, 2022).

3. ფინანსური რისკი - ტურიზმის სფეროში, მოქმედი სუბიექტებისათვის, ფინანსური რისკების მართვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს - ფინანსური მდგომარეობის შენარჩუნება - გაუმჯობესება.

რისკების წარმოქმნის ძირითად მიზეზებს შორისაა: ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთების არასახარბიელო ცვლილებები, ჩადებული თანხების დაბრუნების ვადის მოულოდნელი შემცირება, საკრედიტო რესურსების უკმარისობა, მომგებიანობის შემცირება, ორგანიზაციის ვალდებულებათა სტრუქტურაში სასესხო კაპიტალის მაღალი წილი.

აღნიშნულს, ადასტურებს კვლევის შედეგები. თუ, რატომ ვერ ჩაერთნენ ფერმერების ნაწილი, ტურისტულ საქმიანობაში?! მათი განცხადებით, ძირითადი ხელისშემსლელი ფაქტორი ფინანსური რესურსების მოძიების სირთულეა.

პრობლემების მოგვარება, დაეხმარება მათ მეურნეობების შექმნასა და გაფართოებაში. გამართული მეურნეობა, კი მისცემთ საშუალებას აგროტურიზმით დაინტერესებულ მომხმარებლებს მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის ნაწარმი შესთავაზონ: ჩაი, ღვინო, ხილი, თევზი, ხორცი და ა. შ.

ასევე, ტურისტებს გააცნონ პროდუქტის დამზადებისა და დამუშავების მოწინავე მეთოდები. ჩართონ ისინი, აგროპროდუქტების წარმოების პროცესში. მსგავსი

პროცესების განვითარება, ხელს შეუწყობს გურიის სამივე მუნიციპალიტეტში ფერმერების დასაქმებასა და შემოსავლების ზრდას. (Tsetskhladze...: 2023).

4. ეკონომიკური რისკები ორ ძირითად ნაწილს მოიცავს. 1. მეურნეობაში - მოუს-ავლიანი წელიწადი და 2. საწარმოში - წარმოებული პროდუქციის გასაღების დაბალი შესაძლებლობები. ორივე შემთხვევაში ეკონომიკური რისკებია: ეკონომიკური ზრდის დაბალი დონე, ეკონომიკური არასტაბილურობა, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში შესაძლო გართულებები, დაბალპროდუქტიული სასოფლო-სამეურნეო სექტორი, სოფლად სუსტი სამეწარმეო უნარ-ჩვევები, სოფლის ტიპის ტერიტორიებზე არასაკმარისი ეკონომიკური დივერსიფიკაცია, ფინანსურ რესურსებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, სოფლად ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა.

5. სოციალური რისკები - ამჟამად, გურიის რეგიონში აღინიშნება რთული დემოგრაფიული მდგომარეობა, რაზეც უარყოფით გავლენას ახდენს მიგრაცია. მიგრაციული პროცესები, გამოწვეულია რთული სოციალური მდგომარეობით, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონითა და დასაქმების მცირე პერსპექტივით.

შრომისუნარიანი მოსახლეობა სამუშაოს საძიებლად, საქართველოს ქალაქებში და საზღვარგარეთ მიემგზავრება. აღნიშნული პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი გზა აგროტურიზმის განვითარებაა. აგროტურიზმი ხელსშეუწყობს დემოგრაფიული პროცესების გაუმჯობესებას სოფლად და მიგრაციის დონის შემცირებას. (Tsetskhladze...: 2023).

6. პანდემია. კოვიდ-19-ის პანდემიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა ამ სექტორს. პანდემიის უარყოფითი გავლენა ქართულ ტურიზმზეც აისახა. 2019 წლის მესამე კვარტალთან შედარებით, 2021 წლის პირველ კვარტალში უცხოელთა ვიზიტების რაოდენობა 95%-ით არის შემცირებული. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის პირველ კვარტალში წინა წელთან შედარებით ვიზიტების კლება დაფიქსირდა. (ყაჭიაშვილი, 2021:5).

განხილული რისკების არსებობა, საჭიროებს რეგულირების გზების შემუშავებას, პრაქტიკაში დანერგვასა და განხორციელებას. კერძოდ, რისკების რეგულირების ძირითადი მიმართულებებია:

1. ფერმერის მიერ აქტიური და სისტემატური პრევენციული საქმიანობის უზრუნველყოფა, მოსალოდნელი რისკების მინიმუმამდე დაყვანა;
2. ადგილობრივი თვითმმართველობისა და გარემოს დაცვის წარმომადგენლების ურთიერთთანამშრომლობა და ჩართულობა მოსალოდნელ რისკების მართვაში.
3. ვიზიტორების მხრიდან, ტურისტული ლოკაციის ადგილას გარემოს დაცვისა და ადგილობრივი ფერმერების ცხოვრების წესების პატივისცემა. (Tsetskhladze...: 2023).

საბოლოოდ, რომ შევაჯამოთ, ტურიზმის სექტორში სხვადასხვა ტენდენციები გამოიკვეთა: მზარდია სამკურნალო, გამაჯანსაღებელ და აგროტურებზე მოთხოვნა.

გარდა ამისა, სავალდებულოა, შესაბამისი პრინციპების დაცვა, რაც საშუალებას მისცემს ფერმერებს შეასრულონ: გარემოს დაცვის, მოულოდნელი შემთხვევების (პანდემია, სტიქიური უბედურებები, გაუთვალისწინებელი შემთხვევები), სანიტარულ-ჰიგიენური უსაფრთხოების, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ნორმები და რეკომენდაციები.

თავი III. აგროტურიზმის განვითარება საქართველოში, გურიის რეგიონის მაგალითზე

3.1. აგროტურიზმის განვითარება საქართველოში

ტურიზმის როლი საქართველოს ეკონომიკაში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. მისი წილი მთლიან სამამულო პროდუქტში 2019 წელს 14,5 %-ს შეადგინდა. 2019 წელს საქართველოს 5 მილიონი ტურისტი ეწვია, რაც ორჯერ აღემატება 2012 წლის იმავე მაჩვენებელს. ტურისტების რაოდენობის ზრდასთან ერთად, ტურისტული პროდუქტებიც უფრო მრავალფეროვანი ხდება. გამონაკლისი არც აგროტურიზმია.

აგროტურიზმის განვითარების კარგ საფუძველს ქმნის ქვეყნის მდიდარი კულტურული და აგრარული მემკვიდრეობა, მრაფალფეროვანი ტრადიციები, სოფლის ყოფა-ცხოვრება, ადგილობრივი პროდუქტები. ქვეყნის თითოეული რეგიონი გამორჩეულია საკუთარი, უნიკალური ადათ-წესებით, სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოების თავისებურებებით. ე.ი. არსებობს აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივები, რაც გამოიხატება შემდეგში:

- საქართველოს ბუნებრივი პირობები უაღრესად ხელსაყრელია აგროტურიზმის განვითარებისათვის;
- მეურნეობის ნატურალური ხასიათი, მემცნარეობისა და მეცხოველეობის სტრუქტურა, მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენება, წარმოებული პროდუქციის მეურნეობაშივე გადამუშავების ტრადიცია, ადგილობრივი პროდუქტებით გემრიელი კერძების მომზადების შესაძლებლობა;
- სოფლად ფერმერული მეურნეობების განვითარება;
- ფერმერებისათვის დამატებითი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა აგრარული ტურიზმის განვითარებით. (ბერიშვილი, 2021).

აღნიშნული მოითხოვს აგროტურისტული მომსახურების ბაზრის ფორმირებას, რაც გულისხმობს:

- განვითარებულ ინფრასტრუქტურას. (გზების მოწესრიგება, წყალზე წვდომა, ნარჩენების მართვა, ბუნებრივ აირსა და ელექტროენერგიაზე წვდომა);
- უსაფრთხოების სტანდარტების დაცვას. (ტურისტის ფიზიკური უსაფრთხოება, სურსათის უვნებლობა);
- აგროტურისტული ობიექტების ერთიანი ბაზის არსებობას, რეკლამის ორგანიზებას, რომელიც ტურისტებს საშუალებას მისცემს, გაეცნონ საქართველოში არსებულ აგროტურისტულ ობიექტებს და შეარჩიონ მათთვის სასურველი დანიშნულება;
- აგროტურისტულ ობიექტებში დასაქმებულთა გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება;

ჩამოთვლილი ღონისძიებების გატარება ხელს შეუწყობს აგროტურიზმის განვითარებას, რომელიც, თავის მხრივ, გამოაცოცხლებს სოფლებს. (გალდავა, 2020).

საქართველოში აგროტურიზმი თანდათან ვითარდება. წლების განმავლობაში, ფორმირდება და სრულყოფილ სახეს იმენს. განვიხილოთ, აგროტურიზმის განვითარების ეტაპები ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პერიოდში:

1999 წელს იყო პირველი მცდელობა, აგროტურიზმის დაწერგვისა და განვითარებისათვის საქართველოში. ამ პერიოდისათვის „აგროტურიზმის განვითარება ისახავდა მიზნად სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების ინფრასტრუქტურის განვითარებას, სოფლად ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, აგრარული პროდუქციის მომწოდებლის (გლეხის) შემოსავლის დამატებითი წყაროების შექმნას, ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტების წარმოებას, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, ბუნებრივი გარემოს დაცვას, რეგიონებში ტურისტების, შემოსავლების ზრდას, დამსვენებლებისა და ექსკურსანტების მოზიდვას.” (საქართველოს...1999).

2004 წელს სამართლებრივ აქტში უკვე ასახული იყო აგროტურიზმის განმარტება. „აგროტურიზმი ტურიზმის ისეთი სახეა, რომელიც ვითარდება სამი დარგის: ტურიზმის, სოფლის მეურნეობის და ეკოლოგიის საფუძველზე.” „აგროტურისტული ცენტრი ეს არის ადგილი, დასახლებული პუნქტი, სოფელი ან დაბა, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების დონით, ეკოლოგიური,

კლიმატური, ისტორიულ-კულტურული ტრადიციებით და ძეგლებით, სხვა ტურისტული საკურორტო პოტენციალით წარმოადგენს გაჯანსაღების, შემეცნებისა და სოფლის ყოფასთან უშუალო კონტაქტის გეოგრაფიულ არეალს. საქართველოს თითოეული სოფელი თავისი განუმეორებელი ლანდშაფტით, ცხოვრების წესით, უნიკალური კულტურულ-ისტორიული ძეგლებით, დაცული ტერიტორიებით, სოფლის ფერმერული სახლებით წარმოადგეს აგროტურიზმის განვითარების მძლავრ პოტენციალს.” (საქართველოს... 2003).

2005 წელს ჩამოყალიბდა, აგროტურიზმის განმარტების ქართული ვერსიაც: „აგროტურიზმი გულისხმობს ტურისტების მოგზაურობას იმ მიზნით, რომ იცხოვრონ ადგილობრივი მოსახლესავით, იმუშაონ ფერმერთან ერთად მინდორში, მოწველონ ძროხა, დაამუშაონ მიწა, იკვებონ მასთან ერთად, ანუ გარკვეული დროით გახდნენ მასპინძლის ოჯახის წევრები.” (კირვალიძე, 2005).

2010 წელს ტურიზმის ქვე-სექტორებს შორის გამოიყო აგროტურიზმი. (საქართველოს...2010).

2014-2021 წ.წ. თითქმის ყველა რეგიონის განვითარების სტრატეგიაში ნახსნებია აგროტურიზმი, როგორც განვითარების ერთ-ერთი ინსტრუმენტი.

2015 წელს აგროტურიზმი, როგორც არასასოფლო-სამეურნეო დარგის განვითარების მიმართულება საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების (2015-2020) სტრატეგიაში განხილულია, როგორც დივერსიფიკაციის, არასასოფლო-სამეურნეო დარგის განვითარების საშუალება. „საკუთრივ სოფლის მეურნეობა ვერ შეძლებს სოფლად მცხოვრებთათვის საკმარისი რაოდენობით სამუშაო ადგილების შექმნას. ამიტომ, მთავრობა გეგმავდა ხელი შეეწყო სოფლად არასასოფლო საწარმოების განვითარების წახალისებას ისეთ სფეროებში, როგორიც იყო მომსახურება, გადამამუშავებელი საწარმოები, აგროტურიზმი და სხვ.” (ხარტიშვილი, 2020:9-10).

2017 წლის დეკემბერში, აღნიშნული დარგის განვითარების მიზნით, შეიქმნა საქართველოს სოფლის მეურნეობის ბიოპროდუქტების მწარმოებელთა ასოციაცია. რომლის მიხედვითაც, ბიოწარმოების ძირითადი პრინციპებია:

- ჯანსაღი საკვები;

- ბუნებრივი ეკოსისტემის შენარჩუნება;
- სამართლიანობა;
- ზრუნვა, მომავალი თაობებისათვის. (ბიო...2022).

აღნიშნული პრინციპების გამო, ზოგიერთმა ფერმერმა ბიომეურნეობა აგროტურიზმს დაუკავშირა. რისი მეშვეობითაც აქვთ საშუალება მიიღონ ტურისტები, შესთავაზონ მათ ღამის გასათევი, აჩვენონ თუ როგორ ხდება აგროპროდუქტების წარმოება. ასევე, ხელი შეუწყონ სოფლის პოპულარიზაციასა და ტურიზმის განვითარებას.

ფერმერების ჩართვა აგროტურიზმში, განაპირობა ტურისტების მოთხოვნამც. ისინი ეძებენ საინტერესო ადგილებს, მოტივირებულნი არიან შეისწავლონ და დააკვირდნენ აგროწარმოების ტექნოლოგიას, რაც თანამედროვე მიღწევებთან ერთად გამყარებული იქნება ტრადიციული, ისტორიული გამოცდილებითა და მიდგომებით. (კვარაცხელია... 2020:128).

2019 წელს აგროტურისტული პროდუქტების ფორმირებამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. ამავე წელს აგროტურიზმის პოტენციალი მაღალმთანი დასახლებების განვითარების სტრატეგიაში აღნიშნულია, როგორც განვითარების შესაძლებლობის მქონე მიმართულება. (საქართველოს...2019).

ბოლო პერიოდში, აგროტურიზმის შესახებ, შეიქმნა კანონპროექტი, რომელიც ძალაში შევიდა 2022 წლის 1 ივნისიდან. კანონში განსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ღონისძიებები, მათ შორის, საგადასახადო შეღავათები, რაც სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებასა და არსებული სოციალური პრობლემების აღმოფხვრას ისახავს მიზნად.

შესაბამისად, ცხოვრების დონის მიხედვით, მნიშვნელოვანი განსხვავებებია სოფლის და ქალაქის ტიპის დასახლებებს შორის. მაგალითად, საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, 2018 წელს სოფლად მცხოვრებ შინამეურნეობებთან შედარებით, ქალაქად მცხოვრები შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავალი 19,0 %-ით მაღალი იყო. იმავე წელს, აბსოლუტური სიღარიბე სოფლად 23,1 %-ს და ქალაქად 18,0%-ს შეადგენდა. ხოლო 2019 წლის მონაცემებით, სოციალური უთანასწორობა უფრო გაიზარდა, კერძოდ საქსტატის მონაცემებით

სოფლად მოსახლეობის 23,7 % ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვევით, ქალაქში კი - 16,4 %. (განმარტებითი... 2021:9).

შესაბამისად, სოფლის განვითარებისათვის, რეგიონების მუნიციპალიტეტების დონეზე უნდა განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებები და პროგრამები. ასე მაგალითად:

2021 წელიდან საქართველოს ფერმერთა ასოციაცია კანადის საგარეო საქმეთა, ვაჭრობის და განვითარების დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს: „საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები აგროტურიზმის მიმართულებით ჩართული ქალი მეწარმეების გაძლიერების მიზნით”.

პროექტის მიზანი, საქართველოში აგროტურისტული ობიექტების პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობაა.


არსებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აგროტურიზმი, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შეთავაზებაა ტურისტებისათვის. თუმცა კოვიდ-19-ის პანდემიამ შეაფერხა მისი განვითარება.

პანდემიის უარყოფითი გავლენა ქართულ ტურიზმზეც აისახა, რაც ნაჩვენებია დიაგრამა № 3.1.-ში.

დიაგრამა № 3.1.

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტ პირთა ვიზიტების

თვიური რაოდენობა. (ათასი კაცი)



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

— 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტ პირთა ვიზიტების თვიური რაოდენობა, ათასი

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ტურისტების ვიზიტების რაოდენობის კლება ჩვენს ქვეყანაში 2019 წლის მესამე კვარტლის შემდეგ დაიწყო, თუმცა ეს კლება არ იყო გამოწვეული კორონავირუსის პანდემიით. ვიზიტორების რაოდენობის შემცირება, დაკავშირებულია ტურისტული სეზონის გასვლასთან, როგორც ცნობილია საქართველოში ტურისტების რაოდენობა მაქსისმუმს ზაფხულის სეზონზე აღწევს.

კორონავირუსის პირველი შემთხვევა 2019 წლის დეკემბერში დაფიქსირდა ჩინეთში, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მოსახლეობაში პანიკა, მაგრამ როგორც დიაგრამაზე ვხედავთ ტურისტების რაოდენობა მაინც მცირდებოდა, ხოლო უკვე მარტში საქართველოში საზღვრები დაიკუტა, ფრენები შეწყდა. შედეგად, დაბალ ნიშნულზე დაეცა ვიზიტორების რაოდენობა.

გრაფიკზე ასახული მონაცემებიდან გამომდინარე, 2019 წლის მესამე კვარტალ-თან შედარებით, 2021 წლის პირველ კვარტალში უცხოელთა ვიზიტების რაოდენობა 95%-ით არის შემცირებული. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის პირველ კვარტალში წინა წელთან შედარებით ვიზიტების კლება დაფიქსირდა. (ყაჭიაშვილი, 2021:5).

მსოფლიო პანდემიიდან გამომდინარე, საზღვარგარეთის ქვეყნებსა და საქართველოში დაწესებული ავიამიმოსვლის შეზღუდვამ დიდი პრობლემა შეუქმნა დარგის განვითარებას. მიუხედავად ამისა, უფრო წინ წამოიწია ტურიზმის ეკოლოგიურ სახეობებზე მოთხოვნა. ამასთან დაკავშირებით, მოთხოვნადი გახდა ისეთი ტურიზმის ფორმები, როგორიცაა - კემპინგი, კარვებით დასვენება, აგროტურიზმი, ეკოტურიზმი და ა.შ.

სასურველია საქართველოს შემთხვევაშიც განვითარდეს აღნიშნული მიმართულებები, განსაკუთრებით აგროტურიზმი. ამისათვის კი საჭიროა სოფლის მეურნეობის დარგების აღორძინება. განსაკუთრებით ნატურალური პროდუქტების წარმოება და მერე მისი მიზანი ტურიზმთან.

აგროტურიზმზე ვიზიტორების მოთხოვნა ჯანსაღ და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო აგროპროდუქტების მიღებამაც განაპირობა. ამ მიზნით, ფერმერები ქმნიან და აფართოებენ ბიომეურნეობებს.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება აგროტურიზმის განვითარების შესწავლა, როგორც მომხმარებლების, ისე მიმწოდებლების პოზიციიდან.

აგროტურიზმის განვითარების თავისებურებები მომხმარებელთა თვალთახედვით: პროექტის „მემკვიდრეობაზე და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარება შავი ზღვის აუზის ქვეყნებში” მიხედვით განხორციელებული კვლევის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ გამოვლინდა აგროტურიზმით დაინტერესებული ვიზიტორების შეხედულება, თუ რა აქტივობები მოსწონთ აგროტურიზმში.

რესპონდენტთა უმეტესობა წინასწარ გეგმავს მოგზაურობის ყველა ასპექტს; დაეძებენ თავგადასავლებს და სურთ გააკეთონ და განიცადონ რაიმე ახალი ყოველი ახალი მოგზაურობისას. მოსწონთ ადგილობრივი მცხოვრებლების გაცნობა და მათთან ყოველდღიური ცხოვრების გაზიარება.

გამოკითხულთა 80 %-მა აღნიშნა რომ მოგზაურობის დროს მოსწონთ ახალი საკვების დაგემოვნება, რომელიც დამახასიათებელია კონკრეტული რეგიონისთვის. სხვადასხვა გამამხნევებელ/გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მონაწილეობას იშვიათად მიმართავენ მოგზაურები.

კვლავ აქტიურია დასვენების ტრადიციული ფორმები. მათი ძირითადი ინტერესია კულტურული და ისტორიული ძეგლების მონახულება, ასევე კვება და ღვინის დეგუსტაცია. მოგზაურთა 50 % მიიჩნევს რომ ტექნოლოგიები და ინოვაციები (მაგ. ციფრული ტურები) დამატებით ფასეულობას სმენენ მათ გამოცდილებას, თუმცა არ წარმოადგენს მათი ინტერესის მთავარ წყაროს. მზად არიან გადაიხადონ მეტი მრავალფეროვანი და აზრიანი ტურისტული გამოცდილების მისაღებად.


მრავალფეროვანი და საინტერესო გამოცდილებისა და თავგადასავლების მიუხედავად, გამოკითხულთა 30%-ზე მეტი კომფორტის გარეშე მოგზაურობის წინააღმდეგია და არ არიან მზად თუნდაც დაუვიწყარი შეგრძნებების მიღების სანაცვლოდ უარი თქვან მასზე. (ხარტიშვილი...2021:62).

გარდა ამისა, ანალოგიური კვლევა განხორციელა საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციამ. რომლის მიხედვით: საქართველოში საკმაოდ მრავალფეროვანი აქტივობებია ტურისტებისათვის შესათავაზებელი. თუ რომელი მათგანია ყველაზე პოპულარული ნაჩვენებია № 3.2. დიაგრამაზე.

მოცემული დიაგრამიდან გამომდინარეობს, რომ ტურისტების მიერ ყველაზე ხშირად განხორციელებულ აქტივობებში ფიქსირდება: მეგობრებისა და ნათესავების მონახულება, შოპინგი, ადგილობრივი სამზარეულოს და ღვინის დაგემოვნება, და სასოფლო-სამეურნეო აქტივობებში ვიზიტორების მონაწილეობაა. აღნიშნული აქტივობები, აგროტურიზმის შემადგენელი ნაწილიც არის.

დიაგრამა № 3.2.

ტურიზმის პოპულარული აქტივობები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების განხილვაც. კერძოდ: 2022 წლის მარტის თვეში საქართველოში 211 484 მოგზაურების ვიზიტი განხორციელდა. აქედან, საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებულმა

ვიზიტების რაოდენობამ 188 354 შეადგინა. 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზრდა 236.9%-ია. (2022 წლის მარტში...)

აგროტურიზმის განვითარების თავისებურებები მიწოდებლების თავალთახედვით: ფერმერებმა მნიშვნელოვნად გამოაცოცხლეს აგროტურისტული სივრცე ავთენტური გარემოს შექმნით. ზოგიერთმა შეიძინა ტრადიციული სახლი, შეაგროვა ძველი ნივთები, მოიძია ძველი რეცეპტები, ადგილთან დაკავშირებული ისტორიები და ლეგენდები. ადგილობრივ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებზე დაყრდნობით შექმნეს ტურისტული პაკეტები, რომელიც მოიცავს ქართულ სიმღერასა და ცეკვას, კულინარულ მასტერკლასებს, პოეტურ საღამოებს და სხვა საინტერესო ელემენტებს. (ხარტიშვილი...2021:63).

გარდა ამისა, ფერმერები ორიენტირებულნი არიან მრავალფეროვანი ბიო-მეურნეობების შექმნასა და ნატურალური პროდუქტის მიწოდებაზე. ისინი აწვდიან პროდუქტებს, როგორც ადგილობრივ ბაზრებს ისე ტურისტებს. ტურისტებისათვის მათ მიერ მიწოდებული აქტივობებია:

ბიომეცხოველეობაზე დაფუძნებული აგროტურიზმი. ბიომეცხოველეობა - როგორც საფუძველი აგროტურიზმისთვის საინტერესოა სხვადასხვა მიმართულებით: ფერმერები ბიოლოგიურად სუფთა, ხორცისა და რძის პროდუქტებით მასპინძლობენ ტურისტებს. ამზადებენ მაღალი საექსპორტო პოტენციალის მქონე პროდუქტებს.

ბიომეცხოველეობის ერთ-ერთი ქვესექტორია ბიომეცხვარეობა, რაც ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას, რადგან ქართულ ცხვარზე მოთხოვნა დღითიდღე მზარდია სხვადასხვა ქვეყანაში. შესაბამისად, აღნიშნული ქვეყნების მოქალაქეებისთვის ადგილზე ჩამოსვლა, ქართული ცხვრის საარსებო გარემოს პირადად დათვალიერება და მის მოვლაში მონაწილეობა, ცხადია, საინტერესოა.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ის ქვეყნები, სადაც ქართული ცხვრის ექსპორტი აქტიურად მიმდინარეობს, მაღალგადახდისუნარიანი აზის ქვეყნებია. მათ მოქალაქეებს კი ახასიათებთ დასასვენებლად ოჯახებით, დიდი ხნით გამგზავრება. ცალსახად, მეცხვარეობაზე დაფუძნებული აგროტურიზმი მომგებიან-ია როგორც ტურისტული ობიექტის მეპატრონისთვის, ასევე მთელი ქვეყნისთვის.

ბიოაკვაკულტურა - მტკნარი წყლის თევზების მოშენება, დაახლოებით 4 ათასს წელს ითვლის. მეთევზეობა - აკვაკულტურის ძირითად ფორმას წარმოადგენს. რაც შეეხება აგროტურიზმში მეთევზეობის მნიშვნელობას, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულად დიდია და მრავალფუნქციური: საგანამანათლებლო-შემეცნებითი, გართობა, დასვენება, ჰობი და ა.შ.

გეჯური მეფუტკრეობა მსოფლიოში არც ისე ბევრგანაა შემორჩენილი. საქართველოშიც მეფუტკრეები თანამედროვე მეთოდებს ირჩევენ თაფლის მისა-ღებად. მეფუტკრეები განაგრძობენ ფუტკრების მოშინაურების რთულ, მაგრამ უძველეს ტრადიციას - ნაყარის მოთავსებას ორნაწილად გაყოფილ და გამოთლილ მორში, რომელსაც ჯარა ეწოდება.

ჯარას თაფლი, თავისი ისტორიით, ბიომრავალფეროვნებით მდიდარი გავრ-ცელების არეალითა და სრულიად ბუნებრივი ფიჭით, დიდი პოტენციალი აქვს და-აკმაყოფილოს როგორც ბიოსერტიფიცირების მოთხოვნები, ასევე, გახდეს კონკურე-ნტული საერთაშორისო ბაზარზე როგორც მაღალი ხარისხის უნიკალური პრო-დუქტი.

მეაბრეშუმეობა განსაკუთრებით მიმზიდველი იქნებოდა აგროტურისტებისთ-ვის. თუ ქვეყანაში მეტი ყურადღება დაეთმობა მეაბრეშუმეობის აღდგენას. როგორც შიდა, ისე შემოსული ტურისტებისთვის. მებრეშუმეობასთან დაკავშირებული აგრო ტურები შესაძლებელია დაიგეგმოს შემეცნებითი და გასართობი მნიშვნელობით. ცნობილია, რომ აბრეშუმი საქართველოში უძველესი დროიდან მზადდებოდა.

ისტორიული წყაროების თანახმად, ძველ კოლხეთში (დასავლეთ საქართ-ველო) ჯერ კიდევ ძვ. წ. XIV საუკუნეში იცოდნენ როგორც სელის, ასევე აბრეშუმის ძაფის დამზადების საიდუმლო.

ბიომეხორბლეობა. სამეცნიერო კვლევებით დადასტურებულია, რომ მსოფ-ლიოში ცნობილი ხორბლის 20 სახეობიდან 12 სახეობის სამშობლო წინა აზიაა, ხო-ლო 8 სახეობა წარმოიშვა სამხრეთ კავკასიიდან. მათგან 5 - საქართველოს ენდემია.

სულ საქართველოში აღწერილია ხორბლის 14 სახეობა, 150-ზე მეტი სახეს-ხვაობა, ფორმა და აბორიგენული ჯიში. თუმცა ქვეყანაში არ გვაქვს ჩამოყალიბებული პურის გზა. ბიომეხორბლეობაზე დაფუძნებული აგროტურიზმის

შემთხვევაში ფერმერს შეუძლია საქმიანობა წარმართოს ერთდროულად სხვადასხვა მიმართულებით. შექმნას ტური „პურის გზა“. ასევე, განახორციელოს სხვადასხვა დანიშნულების ტურების ორგანიზება.

მოაწყოს წისქვილი, პურის საცხობი-თონე და სხვა. ჩაატაროს დაფქვისა და ცხობის მასტერკლასები. ასევე მარცვლეულის, როგორც ძირითადი ინგრედიენტის გამოყენებით შექმნას მრავალფეროვანი ცომეული პროდუქტები. დაგეგმოს ქართულ ტრადიციებზე დაყრდნობით ტურები პურისა და ღვინოს თემის გარშემო.

ბიომევენახეობასა და ბიომელვინეობაზე დაფუძნებული აგროტურიზმი. მევენახეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი და მნიშვნელოვანი დარგია. ვაზის კულტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს ისტორიასთან. ჩვენი ერის შემოქმედებითი ბუნება და განსაკუთრებული სიყვარული ვაზისა და ღვინისადმი გამოიხატება ტრადიციულ წეს-ჩვეულებებში, არქიტექტურაში, ორნამენტებში, ჭედურობაში, მხატვრობაში, პოეზიაში, სიმღერასა და ხელოვნების სხვა დარგებში.

ყოველივე ეს, კი გვაძლევს საშუალებას კომპლექსური ტურისტული პროდუქტი შევთავაზოთ სტუმრებს, როგორც აგრარული, ისე ისტორიული, ეთნოგრაფიული, კულტურული და სხვა მიმართულებით.

სამკურნალო და არომატულ მცენარეთა ბიოწარმოებასა და მათ გამოყენებაზე დაფუძნებული აგროტურიზმი (არამერქნული პროდუქტი). არამერქნულ მცენარეებს დედამიწის ხმელეთის დაახლოებით 10 % უჭირავს. საქართველოს ტყეებიც მდიდარია არამერქნული მცენარეებით.

აღნიშნული მცენარეები პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიყენება: ადამიანისა და ცხოველის საკვებად, როგორც ნედლეული სამეურნეო საქმიანობაში, დეკორატიული მიზნებისათვის, გარემოს გასაუმჯობესებლად და დასაცავად, სამკურნალო საშუალებად და ნედლეულად ფიტოინდუსტრიაში. სამკურნალო პრეპარატების მესამედზე მეტი მცენარეებიდან მზადდება. ამავე დროს, მცენარეული პრეპარატების ფასი გაცილებით დაბალია სინთეტიკურთან შედარებით.

ბიოლოგიურად აქტიური ფიტოდანამატები შეუცვლელ ადგილს იკავებენ ადამიანისა თუ ცხოველების კვებაში. საქართველოს აქვს შესაძლებლობა, მყარი

ნიშა დაიკავოს ამ მიმართულებით გლობალურ ბაზარზე. არამერქნული პროდუქტების, სამკურნალო და არომატული მცენარეების ბიო-წარმოებაზე დაფუძნებული აგროტურიზმის დადებითი მხარეებია:

- ქვეყანაში არამერქნული პროდუქტების მოპოვება-რეალიზაციის სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- უცხოელი აგროტურისტების მოზიდვა გლობალურ ბაზარზე მოთხოვნადი სამკურნალო-არომატული და სხვა სახის ნედლეულის მოპოვება-შენახვისა თუ გადამუშავების პროცესში აქტიური ჩართულობით, მასტერკლასებით;
- საექსპორტო პროდუქტის პოპულარაზაცია და ა.შ. (კვარაცხელია... 2020:131-137).

ბიოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებზე დაყრდნობილი აგროტურიზმის განვითარება ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს აძლევს მნიშვნელოვან სარგებელს:

- სოფლებში ვითარდება ტურისტული ინფრასტრუქტურა, უმჯობესდება სოფლის იერსახე, ვითარდება დამატებითი გართობის ობიექტები, კლუბები, ბიბლიოთეკები;
- ხანგრძლივდება ტურისტული სეზონი და გლეხი არ არის დამოკიდებული მხოლოდ მოსავლიანობაზე, სასურსათო ბაზრის მოთხოვნა-მიწოდებაზე;
- ჩნდება სპეციფიკური, მაღალგადახდისუნარიანი აგროტურისტების მოზიდვის შესაძლებლობა;
- იქმნება მაღალი ხარისხის, საექსპორტო პოტენციალის მქონე ბიოპროდუქტები;
- ტურიზმის მულტიპლიკაციური ეფექტიანობიდან გამომდინარე, იქმნება ახალი სამუშაო ადგილები სოფლებში და მცირდება მიგრაცია ქალაქისკენ, უმჯობესდება სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონე;
- უმჯობესდება ბუნებრივი გარემო პირობები, რაც განსაკუთრებით მიმზიდველია აგროტურისთვის და ამავე დროს განაპირობებს ადგილობრივების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას;
- ადგილობრივი მცხოვრებლები იღებენ დამატებით შემოსავალს;
- სოფლებში იზრდება ღამის გასათევი ადგილების რაოდენობა. ხშირად

ფერმერი იძენს ახლომახლო მიტოვებულ სახლებს და არემონტებს მათ;

➤ ჩამოსულ ტურისტებსა და ადგილობრივებს შორის ხდება ინფორმაციის, იდეების, გამოცდილების ურთიერთგაზიარება, რითაც ორივე მხარის თვალსაწიერი ფართოვდება. ფერმერები ეცნობიან თანამედროვე მსოფლიოს გამოცდილებას სხვადასხვა მიმართულებით;


➤ აგროტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ადგილობრივი, მივიწყებული ტრადიციების, ტრადიციული საკვების მომზადების, გართობის, ფოლკლორის, ფესტივალების აღორძინებას. (კვარაცხელია...2020 : 138).

გარდა ამისა, აგროტურიზმი სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკის განვითარებას, გარემოს დაცვასა და ბიზნესში გარკვეულ კონკურენციასაც გულისხმობს. აღნიშნული, ამ სფეროს სწრაფი განვითარების პერსპექტივას ერთიორად ზრდის.

პერსპექტივის შექმნას, ხელს უწყობს რეგიონების მიხედვით არსებული მდგომარეობაც, რაც აგროტურიზმით დაინტერესებული საწარმოების რაოდენობის ზრდაში გამოიხატება. (იხ. დიაგრამა - № 3.3.).

დიაგრამა: № 3.3

აგროტურიზმით დაინტერესებული საწარმოების რაოდენობა რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2020 წ.

მოცემული დიაგრამიდან ჩანს, რომ რეგიონების მიხედვით, აგროტურიზმით დაინტერესებული საწარმოების უმეტესობა იმერეთშია 29 %-ი. აგროტურისტული ობიექტების ზრდის ტენდენცია დამოკიდებულია არა მარტო ფერმერის სურვილსა და შესაძლებლობებზე, არამედ სახემწიფო ხელშეწყობაზეც. უმაღლესმა და ადგილობრივმა თვითმმართველობამ ხელი უნდა შეუწყოს აგროტურიზმის განვითარებას, შემდეგი ღონისძიებებით:

- ა) აგროტურისტული საქმიანობის ფარგლებში, შესაბამისი სტატუსის მქონე სუბიექტებისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესება;
- ბ) აგროტურისტული საქმიანობის ფარგლებში, აგროტურიზმის სტატუსის მქონე სუბიექტების მიერ სახელმწიფო დაფინანსების მიღების შესაძლებლობისა და მათი შეღავათიანი საკრედიტო რესურსით უზრუნველყოფა;
- გ) აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროექტებისა და პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- დ) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, აგროტურისტულ საქმიანობაში ჩართულ პირთა პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;
- ე) შესაბამის მუნიციპალიტეტებში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის ხელშეწყობა. (განმარტებითი...2021:13).

ზემოთქმუდან გამომდინარეობს, რომ საქართველოში აგროტურისტული რესურსები სრულყოფილად არაა გამოყნებული, თუმცა მაინც გააქტიურებულია ღვინის, ჩაის, ყველის ტურებზე მოთხოვნა. გარდა ამისა, ტენდენციურია აგროტურისტული ტურების გამრავალფეროვნებისა და მომსახრების ხარისხის გაუმჯობესების საკითხები.

3.2. აგროტურიზმის პოტენციალი გურიის რეგიონში

აგროტურიზმის განვითარების პოტენციალითა და რესურსებით გამოირჩევა, საქართველოს ერთ-ერთი მხარე, გურიის რეგიონი. მდებარეობს - დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის პირას. ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება სამეგრელო-

ზემო სვანეთი, რომლისაგანაც გამოყოფილია მდინარე ფიჩორით. სამხრეთით - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რომლისგანაც მესხეთის ქედით არის გაყოფილი. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან იმერეთის მხარე, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან სამცხე-ჯავახეთი. დასავლეთიდან შავი ზღვის 22 კილომეტრიანი სანაპირო ზოლი. მოიცავს სამ ადმინისტრაციულ რაიონს: ოზურგეთის, ჩოხატაურის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებს და 186 სოფელს. (გურია...).

მოსახლეობის დიდი ნაწილი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. მოჰყავთ: სიმინდი, თხილი ჩაი, კურკოვანი და კაკლოვანი ხილი, ციტრუსი, ყურძენი და სხვ.

უფრო სუსტადაა განვითარებული მეცხოველეობა. მხარეში აღირიცხება 68,1 ათასი სული მსხვილფეხა საქონელი, 6,9 ათასი ღორი, 528 690 ფრთა ფრინველი, 8,2 ათასი სული ცხვარი და თხა. მოქმედებს 15-მდე მცირე ზომის სატბორე მეურნეობა, სადაც მოშენებულია კობრი და კალმახი. არის 12,2 ათასი ფუტკრის ოჯახი. (გურია...).

გურიის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, როგორც სოფლის მეურნეობა, ისე მომსახურების სფერო - ვაჭრობა და ტურიზმი. ტურიზმი განსაკუთრებით განვითარებულია მხარის შავ ზღვისპირეთში, სადაც მდებარეობს ცნობილი კურორტები - ურეკი, შეკვეთილი და გრიგოლეთი. მაღალმთიან ალპურ ზონაში - ბახმარო და გომისმთა. არის ორი ბალნეოლოგიური კურორტი - ნაბეღლავი და ქვედა ნასაკირალი.

გურიის მხარის სამივე მუნიციპალიტეტი გამოირჩევა მრავალფეროვანი ფერმერული მეურნეობებით. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია: მეციტრუსეობა, მეთხილეობა, მესიმინდეობა, მეჩაიეობა. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კვების მრეწველობას, არის სხვადასხვა პროფილის აგრო-საწარმოები.

თითოეული მუნიციპალიტეტის აგროტურიზმის პოტენციალი ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

ა) აგროტურიზმის პოტენციალი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 673 97 კმ². მოსახლეობა კი 59 900 კაცს. მოიცავს 4 დაბასა და 24 სოფელს (ოზურგეთი...).

აღნიშნულ სოფლებში, სოფლის მეურნეობის პარალელურად ვითარდება ტურიზმიც. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ადგილობრივი ფერმერები სოფლის

მეურნეობით დაინტერესებულ ვიზიტორებს აგროსაქმიანობაში ჩართვასა და ნატურალური პროდუქტის დაგემოვნებას სთავაზობენ, მაგალითად:

1. სოფელ წითელმთაში აგროტურიზმში ჩართულია საოჯახო მეურნეობა და საოჯახო სასტუმრო „კომლი”, ჩაის პლანტაციითა და ფერმით.

სტუმრად მყოფ ვიზიტორებს საოჯახო სასტუმრო სახლში დამისთევისა და კვების გარდა, აქვთ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა ჩაის კრეფის პროცესში, შემდეგ მის გადამუშავებაში. ამის შემდეგ, კი საკუთარი ხელით დამზადებული ჩაის დაგემოვნებაც შეუძლიათ. იქვე არის ბოსტანი, სადაც მოკრეფილი ბოსტნეული პირ-დაპირ ტურისტების მაგიდაზე ხვდება. ეს განსაკუთრებით იმ ტურისტებისთვისაა საინტერესო, რომლებიც სასტუმრო „კომლს” ოჯახებითა და მცირეწლოვანი ბავშვებით სტუმრობენ.

იქ დასარჩენად, ტურისტები მთელი მსოფლიოდან ადგილს უკვე კარგა ხნით ადრე ჯავშნიან. ტაილანდი, ჩინეთი, რუსეთი, ინგლისი, გერმანია, ჰოლანდია, ამერიკის შეერთებული შტატები - ეს იმ ქვეყნების არასრული ჩამონათვალია, საიდანაც სასტუმრო „კომლს“ სტუმრები ჰყოლია, ჰყავს და არსებული ჯავშნების მიხედვით, კიდევ ელოდება.

იქ ადგილობრივი ყოფისა და კულტურისთვის დამახასიათებელი არაერთი ელემენტია. ისეთი, როგორიცაა ტრადიციული გურული კეცი - სპეციალური, კეცის ქვისგან დამზადებული ბრტყელი ქვა, რომელზეც მჭადი და გურული ღვეზელი მზადდებოდა. ასევე, საცეხვი ქვა-ჩამური, რომელიც ტრადიციულად ბურღულეულის საცეხვად გამოიყენებოდა და ეს ყველაფერი არ არის.

სასტუმრო „კომლის“ წარმომადგენლის საოჯახო მეურნეობის დიდ ინტერესს ვაზი და ღვინოც წარმოადგენს. მეურნეობაში, 60-მდე უნიკალური ვაზის ენდემური ჯიშია. სასტუმროს მეპატრონემ საკუთარი ნაკვეთის ფერდობზე ვაზის, რამდენიმე იშვიათი ჯიშის გაშენებაც დაიწყო. გურული მტევანდიდი, საკმიელა, კამური, რცხილათუბანი და ბადაგი გასული წლის მარტში ჩარგო. აპირებს, გურიაში ჩაისთან ერთად მევენახეობის უძველესი კულტურის განვითარებაშიც შეიტანოს წვლილი.

ფერდობზე ვაზის გაშენების დროს კი დაზიანებული, თუმცა უძველესი და უიშვიათესი მარანი აღმოაჩინა ქვევრებით, რომლებიც წინასწარი ვარაუდით გვიანი

შუა საუკუნეების პერიოდს ეკუთვნის. აღნიშნული მარნის გვერდით თანამედროვე მარნის მოწყობას გეგმავს, სადაც ტრადიციული გურული ვაზის ჯიშებისგან გურულ ღვინოს დააყენებს.

სასტუმროს მეპატრონემ, ორიგინალური ღამისთევის საშუალებები მოაწყო, სადაც ვიზიტორებს ღამისთევა სპეციალურად მოწყობილ ნალიასა და ქვევრში შეუძლიათ. (ქუშაშვილი, 2019).

2. „**მენაბდის მარანი**“, სოფელ შემოქმედში, ტიპური გურული ეზო კარ-მიდამოა. ოდის ტიპის სახლს, უძველეს ნაგებობას, რომელიც სრულად რესტავრირებულია, ტრადიციული იერსახე მაქსიმალურად შეუნარჩუნეს.

„**მენაბდის მარანში**“ 5 ორადგილიანი ნომერია. 4 ნომერი ცენტრალურ ოდაშია განლაგებული, ერთი კი განცალკევებით, ე. წ. გურული „ქუხნის“ შენობაში. ტრად-იციული გურული სამზარეულო იქაურობის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა დიდ ხეხილის ბაღთან ერთად.

20-მდე ჯიშის ვაშლის ხე აქვთ, 10-მდე მსხალი, ბალი, ალუჩა, წყავი, ზღმარტლი, ლიმონი. ეზოში ბანანის ხესაც კი ნახავენ ტურისტები. ფერმერის ოჯახის წევრები ჩირსა და მურაბას ამზადებენ, რითაც სტუმრებს უმასპინძლდებიან. აქვთ ტრადიციული გურული სამზარეულო და კულინარიული მასტერკლასები. (გელოვანი, 2019)

განხილული მაგალითების გარდა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სანახაობ-რივად ყველაზე საინტერესო ობიექტებს წარმოადგენს:

3. „**შპს გეოპლანტი ოზურგეთი**“. კომპანიის საკუთრებაშია, ჩაის პლანტაციები დაბა ნარუჯასა და ლაითურში. კომპანია მზადყოფნას გამოთქვამს მიიღოს ტურისტები, შესთავაზოს მათ ჩაის კულტურისა და ჩაის წარმოების გაცნობა-დაგემოვნება.

4. „**შპს ლიხაურის მეურნეობა**“. იქ, არის საყვავილე სანერგე მეურნეობა და მეცხოველეობის ფერმა. აღნიშნული, ობიექტი მზადაა ტურისტების მისაღებად.

5. „**საოჯახო სასტუმრო**“. ფერმერს აქვს, ტურისტების მიღების გამოცდილება. სტუმრებს სთავაზობენ აგროპროდუქტების ფართო არჩევანს.

6. **თაფლისა და არყის წარმოება**. ობიექტი მდებარეობს სოფელ შემოქმედში. იგი მისდევს მეფუტკრეობას. მეურნის თაფლი და თაფლის არაყი საუკეთესო ხარისხისაა.

ტურისტებს სთავაზობს განთავსების საშუალებასაც. სახლი კეთილმოწყობილია, სველი წერტილები მოწესრიგებულია.

7. შერეული აგრომეურნეობა. ფერმერი ვიზიტორებს სთავაზობს ღვინოსა და სხვადასხვა სახის აგროპროდუქტებს. საკუთარ სახლში აქვს კეთილმოწყობილი ოთახები, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე კოტეჯი.

ფერმერს აქვს გამოცდილება ტურისტების მიღებასა და გამასპინძლებაში, მოტივირებულია და გეგმავს სხვადასხვა ტურისტული პროექტების განხორციელებას.

8. საოჯახო სასტუმრო „გურიის ხიბლი“. მეპატრონე საკმაოდ მოტივირებული ადამიანია. მისულ სტუმრებს სთავაზობს სხვადასხვა სერვისს.

სასტუმროს ეზოს ტერიტორიაზე არის გაშენებული ბალი და ბოსტანი, სადაც ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტების შეძენა-დაგემოვნება არის შესაძლებელი. ეზოში არის თხილისა და კივის პლანტაციაც. ადგილზე შეიძლება შეძენა: ღვინის (ცოლიკაური), არაყის, რძისა და სხვა სოფლის პროდუქტების.

სახლში მოწყობილია ეთნოგრაფიული კუთხე, სადაც შესაძლებელია საწნახელისა და სხვადასხვა სახის ტრადიციული სამუშაო იარაღების დათვალიერება.

ტურისტებს სთავაზობენ ექსკურსიებსაც ბახმაროსა და გომის მთაზე, ნავით გასეირნებას სახლთან ახლოს მდებარე მდინარეზე.

9. ღვინის საწარმო „შპს საქართველოს ორიგინალური ღვინო“. წარმოებული ღვინის უნიკალურობა გამოიხატება იმაში, რომ იქ, ყველაზე გვიან (დეკემბერში) არის რთველი. იმ დროს, შესაძლოა ვიზიტორების რთველზე დასწრება-მონაწილეობა.

10. სატბორე მეურნეობა. მეურნეობა წარმოდგენილია აგროპროდუქტების მრავალაფეროვნებით.

11. „შპს ანასეულის ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკა“. ანასეულის ჩაის ფაბრიკა და პლანტაცია თავისი მდებარეობით კარგ ადგილასაა. საბჭოთა პერიოდის ფაბრიკა აღიჭურვა ახალი ტექნოლოგიებით. ჩაის წარმოება მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

12. მეურნეობა და წარმოება - „შპს ქართული ბოსტნეული“. მოიცავს ბოსტნეული კულტურების მოყვანას, მოცვისა და მანდარინის პლანტაციებს.

პლანტაციები კარგად მოვლილი და სასიამოვნო დასათვალიერებელია, მაგრამ ამ ეტაპზე არ არის პროდუქციის ადგილზე შეძენის საშუალება.

მეურნეობა საქართველოს მასშტაბით უნიკალურია, მასვე ეკუთვნის ქობულეთში არსებული მოცვის პლანტაციაც. შესაძლებელია, ორი სხვადასხვა კულტურის (მოცვი, მანდარინი) ადგილზე ნახვა-დაგემოვნება. (ოქროპირიძე, 2013).

განხილული მაგალითები ცხადყოფს, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს აქვს მეტი უცხოელი ტურისტის მიღებისა და დაინტერესების საშუალება. ამიტომ ადგილობრივმა თვითმმართველობამ და ფერმერებმა უნდა იზრუნოს სოფლის მეურნეობის, აგროწარმობისა და ტურიზმის განვითარებაზე. ამ მიმართულებით, შეინიშნება ძვრებიც.

ამას ადასტურებს განხორციელებული პროექტები: „ჩაის გზა”, „ჩხავერის ისტორია”.

პროექტი „ჩაის გზა”, - 2018 წელიდან დღემდე ხორციელდება. ჩაის წარმოება ხდება: ანასეულის ჩაის ფაბრიკაში, გურიანთის ჩაის კომპანია „Natura Tea Company”-ში, მიკრო ბიოჩაის საწარმოში. აღნიშნულ ტურისტულ ობიექტებში სტუმრობის დროს, სტუმარი მოისმენს ჩაის ისტორიას, მიიღებს მონაწილეობას ჩაის კრეფაში (სურვილის მიხედვით), ნახავს ჩაის გადამუშავების პროცესს, დააგემოვნებს ან შეიძენს (სურვილის შემთხვევაში) უმაღლესი ხარისხის ჩაის პროდუქციას.

2019 წლის შემოდგომაზე განხორციელდა კიდევ ერთი ტურისტული პროექტი „ჩხავერის ისტორია”. ახალი ტურისტული პროექტის სტუმარი იყო 500-მდე ტურისტი. პროექტის მიზანია, უძველესი გურული ჯიშის ვაზის - ჩხავერის პოპულარიზაცია და აღორძინება. (აფციაური, 2019).

ასევე, აღსანიშნავია პროექტი „მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის“, რომლის ფარგლებში შეიქმნა გურიის რეგიონში ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმა. მასში გაწერილია რეგიონის პრიორიტეტული მიმართულებები. მიმართულებებს შორის, კი უნდა გამოიკვეთოს აგროტურიზმიც.

ამავე პროექტის ფარგლებში, ყოველწლიურად ხორციელდება „გურიის აგროტურისტული ფესტივალი“. ფესტივალის ჩატარების მიზანს წარმოადგენს გურიის

რეგიონში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პოპულარიზაცია, ადგილობრივი სოფლის პროდუქციის და ფერმერების საქმიანობის ხელშეწყობა. მაგალითად: 2021 წელს აგროტურისტული ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გურიის რეგიონის 50-ზე მეტმა ფერმერმა, მეწარმემ თუ კოოპერატივის წარმომადგენელმა (გურიის...2021) .

ამჟამად, ოზურგეთში აგროტურიზმით დაინტერესებული ვიზიტორების მიღება და ტურისტრული მარშრუტების შეთავაზება შესაძლებელია, რაც ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯია.

არსებული ვითარების სტიმულირების მიზნით, 2019 წელს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხარჯებით ჩატარდა, აგროტურიზმის სფეროში, მომუშავე პერსონალის გადამზადების ტრენინგები. კერძოდ:

- „ჩაის სასწავლო კურსი“ ადგილობრივი მოქმედი საწარმოების წარმომადგენლებისათვის და მათ შორის პროექტ „ჩაის გზის“ მონაწილეებისათვის.
- ტრენინგი, ტურისტული და სამეწარმეო საქმიანობის რეკლამირების ინსტრუქციის გაცნობის, რაიონში არსებული ტურისტული რესურსებისა და ამ საქმიანობაში, გამოცდილების გაზიარების ინსტრუმენტების შესახებ. (შალამბერიძე, 2019).

მოცემულ საქმიანობაში, გამოცდილების მიღება, უნდა ემყარებოდეს, როგორც მატერიალურ ისე არამატერიალურ მომსახურებას. ამ უკანასკნელში იგულისხმება შემეცნებით-გასართობი აქტივობები. კერძოდ:

აგროტურიზმით დაინტერესებულ ვიზიტორებს აგრო-საქმიანობისა და სოფლის ნობათის გარდა აინტერესებთ: ისტორია, ეთნოგრაფია, და კონკრეტული ლოკაციისთვის დამახასიათებელი ტრადიციების გაცნობაც. ამ მხრივ გამოირჩევა ქ. ოზურგეთი. ოზურგეთი მე-16 საუკუნეში გაჩნდა, როგორც სავაჭრო ქალაქი, და გურიის სამთავროს ცენტრი. ყველზე ძველი ნაგებობა გურიელის აბანოს ნანგრევია.

აბანოების წინ ქალაქის ბაღია. ეს ბაღი გურიის უკანასკნელ მთავარს მამია V გურიელს გაუშენებია შოტლანდიელი აგრონომის იაკობ მარის დახმარებით. ბაღი ქუჩებით სამ ნაწილადაა დაყოფილი. მასში დგას თეატრის შენობა.

ბაღის ბოლოში XIX საუკუნის ოზურგეთის ერთი პატარა კუთხეა. აქ დგას ერთ-ერთი გურიელის სასახლე, ორსართულიანი შენობა, რომელიც ახლა საპატრიარქოს ეკუთვნის. იქვეა, გურიისთვის დამახასიათებელი ხის ოდა-სახლები. ერთ-ერთ მათგანში არქეოლოგიური მუზეუმია მოწყობილი.

ქალაქის მთავარი მუზეუმის შენობის ერთ ნაწილში ფოლკლორის ცენტრი შენდება. ოზურგეთი ფოლკლორის ქალაქად არის ცნობილი და ყოველ შემო-დოგმაზე მასპინძლობს ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალს. აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ფილიმონ ქორიძე, პირველი ქართველი მუსიკოსი, რომელმაც ქართული საგალობლები ნოტებზე გადაიტანა და ამით შეუნარჩუნა შთამომავლობას.

აქედან ქალაქის ცენტრალური ი. ჭავჭავაძის ქუჩის გაყოლებაზე, გზად სურათების გალერეა მდებარეობს. იქვე დგას აწ უკვე გაუქმებული კინოთეატრი. საერთოდ, ოზურგეთი ქართული კინოს სათავეებთან იდგა. 1910-იან წლებში აქ საქართველოში ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი ააშენა გერმანე გოგიტიძემ. აქვე დაიწყეს გერმანე გოგიტიძემ და ალექსანდრე წუწუნავამ პირველი ქართული მხატვრული ფილმის, ქრისტინეს გადაღება. (მახარაძე, 2019).

მნახველის ყურადღებას იქცევს ოზურგეთის დღევანდელი იერსახე, რომელიც საბჭოთა პერიოდშია შექმნილი, ასევე, აქა-იქ სოფლებში შემორჩენილი ძველი კარ-მიდამო. საცხოვრებლის ყველაზე მარტივი სახეობა, რომელიც გურიაში ძველთაგან დასტურდება, არის წვრილი წნელით/წკნელით მოღობილი, მოწნული ფაცხა, რომელიც უფრო ხშირად ერთი ოთახისაგან შედგებოდა.

გურიაში ფაცხას შქერიდან/შკერიდან წნავდნენ, სახურავად ისლი გამოიყენებოდა. ფაცხის ცენტრში იყო კერა, შუაცეცხლით, სარკმელი უფანჯრო, კარიც ასევე დაწნული იყო. ფაცხას საქართველოს სხვა კუთხეებშიც იყენებდნენ საცხოვრებლად. მოგვიანებით, ფაცხა დროებითი საცხოვრებელი ან საქონლის სადგომი (ე.წ. ქალტა) გახდა.

საცხოვრებლის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა ჯარგვალი. ჯარგვალი ფართოდ იყო გავრცელებული როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. გურიაში „ჯარგვალი“ მრგვალი, ანდა შუაზე გაპობილი ხის მორებისაგან წყობილ ნაგებობას ნიშნავდა. ზოგიერთ ეზოში ძველი ჯარგვალი დღესაც დგას. სამზადი ანუ

„ქუხნა-სახლი“ უბრალო ფიცრულ ნაგებობას წარმოადგენდა. თხემლის ფიცრისაგან ნაგები უფანჯრო, უჭერო, ნაგებობას.

სახურავი ისლისგან იყო გადახურული, იატაკი – მიწური, სამზადი ერთი თვალი იყო, იშვიათად – ორთვალი, ერთმანეთისგან უბრალოდ გამოყოფილი. გლეხისათვის ის წარმოადგენდა საძინებელს, სასადილოს, სამზარეულოსაც, ცენტრში ენთო შუაცეცხლი, რომელთანაც მთელი ოჯახი იკრიბებოდა. სამზადში ცალ ან ორივე მხარეს მთელ სიგრძეზე საწოლად სკამ-ლოგინები, ე.წ. „ნარები“ ჰქონდათ გავეთებული, რაც ოჯახის წევრთა რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. სამზადმა სახლმა საცხოვრებლის ფუნქცია თანდათან დაკარგა, მას შემდეგ, რაც ოდა-სახლების აგება დაიწყეს.

საცხოვრებელ ნაგებობებთან ერთად ოჯახისათვის დიდი მნიშვნელობა ქონდა და აქვს სამეურნეო ნაგებობებს. მიწის ნაკვეთს, რომელიც საცხოვრებელს გარს აკრავს. მთლიანობაში, ყველაფერს ერთად სახლ-კარი ჰქვია.

სახლ-კარი ადრე შემოღობილი იყო, უმეტესად შექრის წნელით, წაბლის მესერით, ამჟამად კი რკინის ღობე გამოიყენება ძირითადად. დასავლეთ საქართველოში სახლთან ახლოს გაფანტულად იდგა ნალია (სასიმინდე), ბეღელი, საღორე, საქათმე, საცეხველი, წყლის ჩამური და სხვა.

აგებდნენ ნალიას ღომისათვის, მაგრამ სიმინდის კულტურის განვითარების შემდეგ განსაკუთრებული ადგილი სასიმინდე-ნალიამ დაიმკვიდრა, რადგან სიმინდის ნათესები მასიური გახდა და ამის გამო XIX ს. 80-იანი წლებიდან დიდი ნალიის აგება დაიწყეს. მას წაბლის ხისგან აგებდნენ და ძალიან გამძლე იყო. მის ქვეშ დგამდნენ საწნახელს.

ბეღელი – გურიაში, ძირითადად, მარცვლეულის – დაფშვნილი სიმინდის, გაცეხვილი ღომის, ბრინჯის, ფქვილის შესანახი ნაგებობაა, რომელშიც ინახავდნენ აგრეთვე სურსათს, არაყს, თხილს, ჩურჩხელას, სხვადასხვა ხილს.

საქონლის სადგომად „ჯარგვალიც“ გამოიყენებოდა. მოგვიანებით კი დაიწყეს ე.წ. „კონახის“ ცალკე აგება. კონახი ძირითადად ფიცრული იყო, ამჟამად არის როგორც ფიცრული, ასევე ქვიტკირის. ცალკე მდგომი სამეურნეო ნაგებობების გარდა

გურიაში სახლის გვერდით „ჩამოხურულს“ აკეთებდნენ. მას „სეფას“ ან „ოყოჯიოს“ ეძახოდნენ და სამეურნეო იარაღების, შეშის და საწნახლის შესანახად იყენებდნენ.

ზემოთ მოხსენებული ყველა სამეურნეო ნაგებობები ოჯახებს ცალ-ცალკე ჰქონდათ, თუმცა საზიაროდ რჩებოდა წისქვილი. მოზიარეთა ვინაობა დამოკიდებული იყო ტერიტორიულ სიახლოვეზე. ამგვარად, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობას გურიაში რეგიონის გეოგრაფიული, კლიმატური და სამეურნეო პირობების, ოჯახის სოციალური და მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით აგებდნენ და ისინი ძირითადად, ინდივიდუალურ მფლობელობაში ჰქონდათ. (ხუციშვილი... 2021: 4-5-6).

რეგიონში ჩამოსულ სტუმრებს, სწორედ სიძველეები და ეთოგრაფიული იერსახის შეცნობა აინტერესებთ. აღნიშნულის ნათელი მაგალითია მენაბდეების მარანი სოფელ შემოქმედში. საუკუნენახევრის წინანდელი, ისტორიული სამოსახლო მეპატრონემ მარნად გადააქცია. კარ-მიდამოს ტრადიციული იერსახე აქვს. ეზოშივე არის გაშენებული ხეხილი და ძველი გურული ვაზის ჯიშები, მათ შორის ჩხავერი.

ისინი სტუმრებს სთავაზობენ განთავსებას, ტრადიციული გურული სამზარეულოს მასტერკლასებსა და მეურნეობაში მუშაობას. ვიზიტორებს საშუალება აქვთ ადგილზე შეიძინონ დავინო და დააგემოვნონ სოფლის ნობათი. (გელოვანი, 2019).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ვიზიტორებს აქვს აგროტურის, აქტიური დასვენების, რელაქსაციის, რეკრეაციისა და მკურნალობის შესაძლებლობა. ასე მაგალითად: მთის კლიმატური კურორტის - გომისმთის სამედიცინო პროფილი პულმონოლოგიური და პროფილაქტიკურია. ბალნეოლოგიური კურორტი ნასაკირალის ძირითადი ბუნებრივი სამკურნალო რესურსია. ქლორიდულ-ნატრიუმიანი მინერალური წყალი, რომელიც გამოიყენება საყრდენ-მამოძრავებელი და პერიფერიული ნერვული სისტემების, აგრეთვე გინეკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ. სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა კურორტები ურეკი და შეკვეთილიც.

ურეკი - კოლხეთის დაბლობის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. კურორტს დასავლეთით შავი ზღვა ეკვრის, აღმოსავლეთით გარშემორტყმულია მთებით, ჩრდილოეთითა და სამხრეთით მდინარეების სუფსისა და ნატანების

დაბლობებია. კურორტის ისტორია 100 წელზე მეტს ითვლის, ოფიციალურად კი როგორც კურორტი არსებობს 1971 წლიდან. (ურეკი...)

ზღვა, მზე, წვრილი ხავერდოვანი ქვიშა, რომელსაც მაგნიტური თვისებები აქვს, კურორტს საუკეთესო დასვენებისა და მკურნალობის თვისებებს ანიჭებს. ურეკის ბუნებრივი მონაცემები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გულსისლარდვთა დაავადებების, პერიფერიული ორგანოების და საყრდენ-მამოძრავებელი ორგანოების სამკურნალოდ როგორც მოზარდებში, ასევე ბავშვებში. (ურეკი...)

სადაც მათ ხვდებათ, როგორც საოჯახო მცირე ზომის ჰოტელები, ასევე დიდი და კეთილმოწყობილი სასტუმროები, კურორტზე არის მცირე ზომის გასართობი პარკი, მრავალფეროვანი კვების ობიექტები და ფერმერული მეურნეობები.

გარდა ამისა, აღნიშვნას იმსახურებს, ურეკთან ახლოს მდებარე სოფელი და ზღვისპირა კურორტი შეკვეთილი. შეკვეთილი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტი იყო XVIII საუკუნის განმავლობაში. (შეკვეთილი...)

დღესდღეისობით კურორტი დიდი პოპულარობით სარგებლობს, რაც განპირობებულია საკონცერტო დარბაზის ბლექ სი არენას (ინგლ. Black Sea Arena) ამოქმედებით და შეკვეთილში სასტუმრო „პარაგრაფი რეზორტი და სპა შეკვეთილი“ გახსნით, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო სასტუმროებს შორის მოიაზრება.

სოფელ შეკვეთილის, გარდა დაბა ურეკის სიახოვეს, სოფელი ნატანებია, სადაც მდებარეობს კოოპერატივი „ნატანები“. ფერმერს აქვს სასათბურე და სამაცივრე მეურნეობა, მოპყავს მარწყვი. კვლევის განხორციელების დროს დავაზუსტეთ, რომ: კოოპერატივი „ნატანები“ შეიქმნა 2017 წელს. კოოპერატივ „ნატანებში“ გაერთიანებულია 8 ადამიანი, მათ ერთობლივი ძალებით გააკეთეს სამი 500 კვადრატულ მეტრიანი სათბური, რომელშიც გაშენებულია კიტრის, პომიდორისა და მარწყვის კულტურები.

კოოპერატივს გააჩნია საკუთარი სამაცივრე მეურნეობა, რომელსაც მისი წევრები იყენებენ სხვადასხვა სახეობის ხილისა თუ ბოსტნეულის შესანახად. აწარმოებენ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციას, შესაბამისად მოთხოვნა აღნიშნულ პროდუქციაზე არის მზარდი.

აღნიშნული საქმიანობის პარალელურად, ტურისტებსაც მასპინძლობენ. მათ სთავაზობენ: სასათბურე მეურნეობის დათვალიერებას, მარწყვის მოყვანის ტექნოლოგიის გაცნობას და სამუშაო პროცესში ჩართვას.

ფერმერი თავის პარტნიორებთან ერთად, სამომავლოდ გეგმავს მეურნეობის გაფართოებასა და აგროტურიზმის მიმართულებით მუშაობას.

სოფელ ნატანებთან ახლოს მდებარეობს სოფელი მერია, იქვე მცხოვრები ერთ-ერთი ფერმერი მისდევს მესაქონლეობას. მოგვყავს მისი მონათხრობიდან ერთ-ერთი ნაწყვეტი: „პირადად ჩემთან იყვნენ სტუმრები პოლონეთიდან, რუმინეთიდან. მთხოვეს, მათთვის მეჩვენებინა ძროხების წველის პროცესი. მეც შევუსრულე თხოვნა. ჩემდა გასაოცრად, სტუმრებმა მოინდომეს საქმეში ჩართვა. მონაწილეობა მიიღეს რძის ადულებისა და ყველის დამზადებაში. მითხრეს, ტურისტების მიღებითაც უნდა დაინტერესდეო. მეც მომეწონა მათი იდეა. სამომავლოდ ვგეგმავ ამ მიმართულებით მუშაობას.”

სოფელ მერიის შემდეგ, სოფელი გურიანთაა, სადაც ჩაის გადასამუშავებელი საწარმო „ნატურა თი კომპანი” ფუნქციონირებს.

იქვე, მომუშავეების გადმოცემით: "Natura Tea Company" საქართველოში პირველი ქართული ჩაის მწარმოებელი საწარმოა, რომელსაც მიენიჭა საერთაშორისო სტანდატის შესაბამისობის დამადასტურებელი ISO 22000:2005 სერტიფიკატი გერმანული სასერტიფიკაციო ორგანო TÜV SÜD- ის მიერ.

ამჟამად, საწარმოს კუთვნილებაში 18 ჰექტარი ჩაის პლანტაციაა. გაკულტურებულია ჩაი 14 ჰა-ზე. საწარმო ექსპლუატაციაში 2014 წლის 5 მაისიდან შევიდა. ნედლეულის 60%-ს მეწარმე ჩაის საკუთარი პლანტაციებიდან იღებს, 40%-ს კი მოსახლეობისგან.

კომპანია აწარმოებს უმაღლესი ხარისხის 7 სახეობის ქართულ ჩაის: ნატურა თაიგული, ნატურა მწვანე, ნატურა იმპერატორი, ნატურა მარჯანი, ნატურა ხავერდი, შავი ბაიხის იოდიზირებული ჩაი, მწვანე ბაიხის იოდიზირებული ჩაი, იოდიზირებული ჩაი.

გარდა ამისა, საწარმოს ტერიტორიაზე არის ტურისტებისათვის სადეგუსტაციო ადგილი, მათ სთავაზობენ საწარმოს დათვალიერებას, მეურნეობის მონახულებას, ჩაის კრეფაში მონაწილეობას, ადგილზე პროდუქტის შეძენასა და დეგუსტაციას.

საწარმოს მფლობელი სამომავლოდ აპირებს, ჩაის წარმოების პარალელურად ჩირის წარმოების განვითარებასაც.

აღნიშნულ ობიექტში სტუმრობის შემდეგ, ტურისტებს შეუძლია გზა განაგრძნონ სოფელ ციხიფერდისაკენ, სადაც ჩურჩხელას საწარმო მდებარეობს. იგი ტურისტებსა და სხვა მომხმარებლებს სთავაზობს ჩურჩხელის შეძენას.

აქ ტურისტებს უტარებს მასტერკლასებს - ფელამუშის მომზადებასა და ჩურჩხელის ამოვლებაში. ბოლოს, კი ხდება პროდუქტის დაგენერიკული შეძენა.

აღნიშნული ობიექტის მფლობელი, სამომავლოდ გეგმავს აგროტურიზმის მიმართულებით მუშაობას, განთავსების ობიექტის, ფანჩატურის, ეზოში მაგიდებისა და ქოლგების მოწყობას.

ქ. ოზურგთის ახლოს მდებარეობს სოფელი **მელექედური**, სადაც „ჩაის გზის“ მასპინძელი საწარმო „მეჩაია“ არის. ობიექტის ხელმძღვანელის თქმით: „ჩემი მშობლები მისდევდნენ მეჩაიეობას, მეც ბავშვობიდან შეხება მქონდა ამ საქმიანობასთან. შემდეგ მშობლები ევროპაში წვიდნენ საცხოვრებლად. მე ჩამოვედი საქართველოში, აღვადგინე ძველი მეურნეობა, და გავაგრძელე მათი საქმე.“

მინდა ეზოში პატარა ხის სახლების ჩადგმა, რომ მქონდეს საშუალება ტურისტები განვათავსო, რადგან ამ ეტაპზე ვიზიტორებისათვის მხოლოდ დეგუსტაციასა და პროდუქტის მიყიდვას ვახერხებ, განთავსების საშუალების არასებობის გამო. შემდეგ ტურისტებს საშუალება ექნება 1 დღის მაგივრად რამდენიმე დღე დარჩნენ.

ვგეგმავ აგროტურიზმის კუთხით ბიზნესის გაფართოებას. ამ მიზნით შევისყიდე დამატებითი ტერიტორია სადაც ჩაის პლანტაციებია გაშენებული, ვახდენ მის გაკულტურების ორგანიზებას. ჩაის დიდი მოცულობა შესაბამისად, უფრო დიდ წარმოება-გადამუშავების შესაძლებლობას ითხოვს.“

იქვე, სოფელ მელექედურის სიახლოვეს მდებარეობს კურორტი **ნასაკირალი**. საკურორტო ადგილი ნასაკირალი ოზურგეთიდან 10 კმ-ში, მდინარე სუფსის ხეობაში

მდებარეობს. ადრე ამ ადგილებში კირს მოიპოვებდნენ. სახელი ნასაკირალი სწორედ აქედან წარმოიშვა. XX ს-ის 20-იან წლამდე სოფლის ტერიტორია დაფარული ყოფილა უნიკალური ძელქვის ტყით, რომელსაც გურიის აჯანყების დროს აქაური ყაჩაღები (ფირალები) აფარებდნენ თავს. 1929 წელს საქართველოს მთავრობის ინიციატივით ძელქვის ტყეები გაიჩეხა და მის ადგილზე ჩაისა და ციტრუსის პლანტაციები გაშენდა.

მალე ნასაკირალი მრავალეროვანი მოსახლეობით გამორჩეული, კომპაქტურად დასახლებული დაბა გახდა, სადაც ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ პოლონელები, ჩინელები, გერმანელები, უკრაინელები. მოგვიანებით აქ მთიანი აჭარიდან სტიქით დაზარალებული მოსახლეობა და შუა აზიაში მცხოვრები თურქი-მესხები ჩამოასახლეს.

1950-იანი წლებიდან იწყება ნასაკირალის, როგორც ბალნეოლოგიური კურორტის ისტორია. მის ტერიტორიაზე არსებული მინერალური წყლების სამკურნალო თვისებების დადგენის შემდეგ აქ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა დაიწყო: 100 პაციენტზე გათვლილი სანატორიუმის ტიპის დაწესებულება და მწვანეში ჩაფლული კოტეჯები დამსვენებლებს ვერ იტევდა. ტერიტორიაზე ჭაბურღილების საშუალებით ათვისებული სამი წერტილი იყო, საიდანაც წყალი მუდმივად მოედინებოდა. თითოეულს სხვადასხვა ფუნქცია და დანიშნულება ჰქონდა: ორი აბაზანებისთვის იყო განკუთვნილი, ერთი - სასმელად. მინერალური წყლები ამ ადგილებში ისევ ამოდის, თუმცა მისი სათანადოდ გამოყენება ვერ ხერხდება. (კურორტი...).

კურორტ ნასაკირალის მსგავსად, აღსანიშნავია კურორტი გომისმთა - როგორც მომავლის მთის კურორტი შედის გურია-აჭარის ქედის შემადგენლობაში და მისი მწვერვალის სიმაღლე 2 100 მეტრიდან 2 755 მეტრამდეა. მთისათვის დამახასიათებელი კლიმატის გამო ის ცნობილია როგორც საზაფხულო აგარაკი. მისი განუმეორებელი ბუნება და 2 500 მეტრ სიმაღლეზე არსებული ჭინჭაოს ტბა დიდი შთაბეჭდილებას ტოვებს. კურორტის უნიკალური პირობები დღესაც აუთვისებელია.

გომისმთა როგორც ტერიტორიული ერთეული შედის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში. ქალაქის ცენტრიდან დაშორებულია 12-15 კმ-ით. დღეს გომისმთა წარმოადგენს საკურორტო ადგილს, რომელსაც გააჩნია

მინერალური წყლები, ტყე, სამკურნალო კლიმატი და სხვა ბუნებრივი რესურსები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მკურნალობის, პროფილაკტიკისა და რეაბილიტაციის მიზნით, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების პირობებში დააკმაყოფილებს ტურისტების მოთხოვნებს.

გომისმთის მიმართულებით ფუნქციონირებს ტურისტული მარშრუტი. ასე მაგალითად, მარშრუტი გადის ალპურ ზონაში, ქედზე, სამანქანე გრუნტიანი გზით. საწყისი 7 კმ. არის მცირე აღმართი, ამის შემდეგ მომდევნო 3 კმ. გზა მიუყვება შედარებით რთულ აღმართს და მეათე კილომეტრზე გზა გაივლის ჭინჭაოს ტბასთან, ზღვის დონიდან 2 500 მეტრზე.

ჭინჭაოს ტბიდან დაახლოებით 6 კმ-ში გზა გაივლის მწვერვალ მგლის საწოლთან, საიდანაც შესანიშნავი პანორამული ხედები იშლება. მწვერვალიდან დაახლოებით 2 კმ-ში, მცირე აღმართ-დაღმართების შემდეგ, გზა გაივლის საზაფხულო სოფლებს, ზღვის დონიდან 2 400 მეტრზე, სადაც შესაძლებელია სოფლების მონახულება, ფერმერების ცხოვრების გაცნობა, იქვე ნატურალური პროდუქტების შეძენა-დაგემოვნება და წყლის შევსება.

საზაფხულო სოფლების შემდგომ გზა ეშვება 2 000 მეტრამდე და 22 კმ - ზე იწყება უდელტეხილი. გზიდან 28 კმ-ზე არის მცირე ზომის ტბა, რომელსაც სა-თოვლიას წყალს უწოდებენ, ტბიდან ერთ კილომეტრზე ნაკლებ მანძილში, არის წყაროს წყალი, 2 400 მეტრზე. წყაროდან გზა დაღმართში ეშვება და 10 კმ-ში ჩადის ბახმაროში. ბოლო ათი კილომეტრის მანძილზე რამდენჯერმე გვხვდება წყარო, ასევე ბახმაროსთან ახლოს მდებარე ფერმერული მეურნეობები, სადაც ვიზიტორებს შეუძლიათ განთავსება, კვება ნატურალური პროდუქტებით. (გომის...).

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის კიდევ მრავალი სხვადახვა დანიშნულების ფერმერული მეურნეობები. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ჩაის გზა“. ჩაის გზის წარმატებაზე დაყრდნობით, ადგილობრივი თვითმმართველობა რეგიონის ტურისტულ შეთავაზებას კიდევ უფრო აფართოებს და ახალი ტურისტული ადგილების განვითარებას გეგმავს.

2020 წელს მუნიციპალიტეტმა წამოიწყო პროექტი „გაიცანი გურია”, რომელიც UNDP-ის, შვეიცარიისა და ავსტრიის მთავრობების, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელშეწყობით ხორციელდება.

გურიის უკეთ გასაცნობად და ტურისტების მოსაზიდად ფერმერებს, მხოლოდ ფერმის მოწესრიგება და მეურნეობის გამართვა არ ევალებათ. მათ მომხმარებლებს უნდა შესთავაზონ გასართობი აქტივობები.

სამწუხაროდ, ვიზიტორებს თავისუფალ დროის გატარებისას არ აქვთ დიდი არჩევანი. მაგალითად, ურევში შესაძლებელია მოეწყოს საბავშო ფესტივალები და ზეიმი, მულტფილმის გმირებისა და სხვადასხვა წიგნის გმირების მონაწილეობით. არ არსებობს ტურისტული პაკეტები, რომლებიც სათავგადასავლო ტურებს შესთავაზებს ქართველ თუ უცხოელ ვიზიტორებს. ურევის გარშემო უნდა შეიქმნას ისეთი ადგილები, სადაც ადამიანები შეძლებენ თავისუფალი დრო გაატარონ.

შესაძლებელია მოეწყოს სახალხო ზეიმები. ეს იმ ტიპის ტურისტული ატრაქციაა, რომელსაც განსაკუთრებით სტუმრობენ ტურისტები სხვადასხვა ქვეყნიდან.

მსგავსი ტიპის ტრადიცია გურიაში ყველაზე კარგად აღეგრობაში აისახება. ალეგრობა, საქველმოქმედო და სადღესასწავლო ტრადიციაა. რომლის გაცოცხლება ძალიან მნიშვნელოვანია მარკეტინგული თვალსაზრისით. ძველის გაცოცხლება და ახლის შერწყმა, ტრადიცია, რომელიც ქველმოქმედებას და ზეიმს უკავშირდება, ტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა შეიძლება გახდეს. ალეგრობის დახმარებით ტურისტებისთვის შეიძლება გურული ადათ წესების, სიმღერის, სტუმართმასპინძლობის გაცნობა.

ბალნეოლოგიური კურორტ ნასაკირალსა და გომისმთაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია უპირველესად შეიქმნას ინფრასტრუქტურა, ადგილის ბრენდინგი. ბრენდინგის შემდეგი ნაბიჯი იქნება როგორც შიდა, ასევე გარე ტურისტების მოზიდვა ადგილზე. შიდა ტურისტების მოზიდვა შესაძლებელია: საინფორმაციო ტურების ჩატარებით სკოლებში, ბუკლეტების და ბროშურების მომზადებით, ტურების მომზადებით და შეთავაზებების ინტერნეტში განთავსებით.

გარდა ამისა, ახალი ფერმერული მეურნეობის გაჩენა, რომლის მუშაობის მოტივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასთან ერთად იქნება ტურიზმი, დამოკიდებული არის ფერმერის შეხედულებებზე: მის სურვილზე, ცოდნასა და ფინანსურ რესურსებზე. ამ მიმართულებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, კვლევის დროს გამოვლინდა 41 მოქმედი ობიექტი. აგროტურისტული ობიექტების წარმომადგენლების განცხადებით, როგორც სოფლის მეურნეობა, ასევე ტურიზმი მათთვის მომგებიანი საქმიანობაა. ორივე დარგში მუშაობა მრავალფეროვანი პროდუქციის შექმნას უწყობს ხელს, სტიმულს აძლევს წარმობის განვითარებასა და მეტი პროდუქტის გასაღების შესაძლებლობას.

განხილული მაგალითები და განსახორციელებელი გეგმები ცხადყოფს, რომ თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, ჯანსაღ გარემოში დასვენება და ნატურალური სოფლის პროდუქტი დეფიციტური და მოთხოვნადია მთელ მსოფლიოში. აქედან გამომდინარე, თუ აღნიშნული საქმით დაკავდება ფერმერი მას საკუთარი აგრო-პროდუქტის გასაღების საშუალება და დამატებითი შემოსავალი ექნება. (ხომობაია,...2019:56-57).

ბ) აგროტურიზმის პოტენციალი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. მუნიციპალიტეტის ფართობია 825, 1 კმ². მოსახლეობის რაოდენობა - 19 ათასი კაცი. სიმჭიდროვე 23 კაცი კვ. კმ -ზე. ცხოვრობენ ქართველები (99,66 %). მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ გურულები და აჭარლები. სულ 63 დასახლებული პუნქტია. 2 დაბა და 61 სოფელი. მოსახლეობის 90 %-ზე მეტი ცხოვრობს სოფლებში. (ჩოხატაურის...2021).

ადგილობრივი ბუნებრივი რესურსები, მდიდარი ტრადიციები, ფერმერული მეურნეობები, მაღალმთიან კურორტ ბახმაროსა და მინერალური წყლით განთქმული კურორტ ნაბეღლავთან სიახლოვე, ქმნის კარგ პირობებს აგროტურიზმის განვითარებისათვის.

ამას ადასტურებს, ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების ცენტრის მონაცემებიც, რომლის მიხედვით მუნიციპალიტეტში ფიქსირდება აგროტურიზმის მიმართულებით მომუშავე ობიექტები. ფერმერების საქმიანობაზე წარმოდგენის შექმნის მიზნით განვიხილოთ იქ არსებული რამდენიმე მეურნეობას. კერძოდ:

1. საოჯახო მარანი. ფერმერის მფლობელობაშია ეზო და კეთილმოწყობილი სახლი. იქვეა მარანიც, რომელიც რამდენიმე ნაწილისგან შედგება: მთავარი მარანი - მის პირველ დარბაზში 13 ქვევრია, შიდა ინტერიერი ქართულ ტრადიციულ სტილშია მოწყობილი. ქვევრების დარბაზიდან ჩასასვლელია სარდაფში, სადაც არის უჟანგავი რკინის ცისტერნები მოთავსებული. აქედან გასასვლელია გვერდით ოთახში, სადაც მასპინძელი გეგმავს ეთნოთევის მოწყობას; მცირე მარანში - შვიდი პატარა ზომის ქვევრია.

მარნების გარდა, ნაგებობას აქვს აივანიც. აივანზე მოხვედრა შესაძლებლია, როგორც მარნიდან, ისე ეზოდან.

ეზოში დგას ტრადიციული გურული არქიტექტურის სტილში აგებული ორი სახლი, სადაც ტურისტებს განთავსებას სთავაზობს. იქვეა ტერასები, რომელზეც გაშენებულია ჩხავერის ჯიშის ვაზი.

მარანი არის სუფთა და კეთილმოწყობილი, საჭიროებს ტარადიციული ელემენტებით შევსებას. მასპინძელს გააჩნია საკუთარი ღვინის კომპანია, არის მოტივირებული.

2. საოჯახო მარანი. ფერმერს ეზოში აქვს ეთნოგრაფიული კუთხე და მარანი. მარანი მოწყობილია ძველ ტრადიციულ სტილში, იგი გემოვნებით გაფორმებულია მრავალი ეთნოგრაფიული ელემენტით. გარდა ამისა, ტურისტებს შეუძლიათ შესთავაზონ განთავსება და ტურისტული მარშრუტი კურორტ ბახმაროში.

3. მარანი. ფერმერი ეწევა კომპლექსურ აგრომეურნეობას საცხოვრებელი სახლის ეზოში და მის მიმდებარე რამდენიმე ნაკვეთზე. მას გაშენებული აქვს: თხილი, ხურმა, მანდარინი, კივი, ფეიხოა, საიდანაც იღებს საკმაოდ პროდუქტიულ მოსავალს. საცხოვრებელი სახლის ეზოში გაშენებული აქვს ჩხავერისა და ცოლიკაურის მცირე ვენახები. ფერმერი მისდევს მეფუტკრეობასაც და ჰყავს ფუტკრის 38 ოჯახი.

ფერმერს აქვს ორსართულიანი კეთილმოწყობილი სახლი, დიდი აივნითა და კომფორტული სველი წერტილებით, სადაც შეუძლია, ერთდროულად მიიღოს 10 სტუმარი.

4. საოჯახო მეურნეობა. ფერმერს აქვს კომპლექსური აგრომეურნეობა სახლის ეზოში და მიმდებარე ტერიტორიის რამდენიმე ნაკვეთზე.

წლის განმავლობაში მოჰყავს საშუალოდ 17 ტ. მანდარინი, კივი - 10 ტ, ფეიხოა - 0,5 ტ, თხილი - 2 ტ, ცოლიკაურის ყურძენი - 3 ტ, საფერავი - 0,5 ტ, ჩხავერი - 0,1 ტ; ასევე, სეზონურად აწარმოებს სხვადასხვა სახეობის ბოსტნეულს; ჰყავს ფუტკრის 15 ოჯახი და სახლის სიახლოვეს აქვს თხის ფერმა. ჰყავს 25 მეწველი თხა.

სოფელ ინტაბუეთში, მოქმედებს მის კუთვნილებაში არსებული მცირე ჩიას ფაბრიკა („შპს ტია ფარმი“), რომელიც რეგიონში არსებულ კვების ობიექტებს შავი ჩაით ამარაგებს.

ფერმერის მფლობელობაშია კეთილმოწყობილი ორსართულიანი სახლი დიდი აივნითა და კომფორტული სველი წერტილებით. მეურნეს სახლში შეუძლია მიიღოს, ერთდროულად 6 სტუმარი. იგი კარგად ფლობს რუსულ ენას.

5. საკალმახე მეურნეობა. მეურნე ეწევა კალმახის მოშენებასა და რეალიზაციას. აქვს შვიდი დიდი და ათამდე ჰატარა აუზი. ცალკე კაპიტალურ შენობაშია მოწყობილი ლიფსიტების გამოსაყვანი აუზები. საკალმახეს მშენებლობა 2 წლის წინ დაიწყო და დღესაც ამუშავებს. დაგეგმილი აქვს წელიწადში 25-30 ტონა კალმახის წარმოება, შესაძლებელი იქნება თევზისა და ლიფსიტის შეძენა.

6. საფუტკრე. (მეფუტკრეობა). ფერმერს 150 ფუტკრის სკა ჰყავს.

7. საკალმახე მეურნეობა. ფერმერს აქვს საკუთარი კოტეჯი კურორტ ბახმაროში. მეურნე ეწევა კალმახის მოშენებას და რეალიზაციას. აქვს 6 სხვადასხვა ზომის აუზი. ცალკე შენობაში აქვს მოწყობილი აუზები, ლიფსიტების გამოსაყვანად. წლიურად აწარმოებს 7-8 ტონა კალმახს; ყიდის თევზებსა და ლიფსიტებს.

8. საოჯახო მეურნეობა. ფერმერს აქვს კომპლექსური აგრო-მეურნეობა, სახლის ეზოში და მიმდებარე ტერიტორიაზე.

გაშენებული აქვს 1 700 მირი თხილი 4,5 ჰა-ზე, საიდანაც წლიურად იღებს 20 ტ-მდე მოსავალს. ასევე, აქვს: იაპონური ხურმა, ალუჩა, ალიბუხარი, მანდარინი, კივი, ბამბუკი, საიდანაც საკმაოდ პრდუქტიულ მოსავალს იღებს.

გარდა ამისა, მეურნეს სეზონურად მოჰყავს სიმინდი, საზამთრო და ნესვი. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი იყენებს მხოლოდ ორგანულ სასუქებს და მის მიერ წარმოებული პროდუქცია ეკოლოგიურად სუფთაა. სახლში ჰყავს ფუტკრის 5 ოჯახი.

იქვე, არის კეთილმოწყობილი ერთასართულიანი სახლი ფართო აივნითა და კომფორტული სველი წერტილებით, სადაც შეუძლია ერთდროულად ოთხი სტუმრის მიღება.

მასპინძელი ფლობს ბერმნულ და რუსულ ენებს; ჰყავს ავტომობილი და დაინტერესების შემთხვევაში შეუძლია, სტუმრებს შესთავაზოს ტურები კურორტ ნაბეღლავსა და ბახმაროში. (ოქროპირიძე, 2013).

9. საოჯახო მეურნეობა. მეურნეობა მეფუტკრეობის ერთ-ერთი გამორჩეული კერაა გურიის რეგიონში.

სახლის უკანა ეზოში ჰყავთ ფუტკრის 200-მდე ოჯახი. წელიწადში აწარმოებენ: 5ტ. - თაფლს, 1ტ. - სანთლის არაყს, სანთელსა და დინდგელს. მეურნეობაში იყენებენ მხოლოდ ორგანულ საშუალებებს, შესაბამისად მათი პროდუქცია ეკოლოგიურად სუფთაა. მეურნეობასთან ახლოს, მთავარ გზაზე აქვთ მცირე ზომის მანიშნებელი ბანერი, წარწერით – „თაფლი“, რაც ვიზიტორებსა და კლიენტებს უადვილებს ფერმამდე მისვლას. თაფლსა და არაყს, ძირითადად ადგილზე ყიდიან.

საცხოვრებელ ეზოში რამდენიმე სახლია. ცალკე დგას თაფლის შესანახი და გადასამუშავებელი ხის ნაგებობა. აქვეა წარმოდგენილი არყის სახდელი მოწყობილობა და ღია ფანჩატური, სადაც შესაძლებელია სტუმრების მიღება.

10. საოჯახო მეურნეობა. ფერმერის მფლობელობაშია, ორსართულიანი კეთილმოწყობილი სახლი დიდი სამზარეულოთი და კომფორტული სველი წერტილებით. მისდევს მეფუტკრეობას. სახლის გვერდით, ეზოში ჰყავს ფუტკრის 140 ოჯახი. წელიწადში აწარმოებს 1,5 ტ. თაფლს, 200 ლ. - სანთლის არაყს, სანთელსა და დინდგელს. მეურნეს გაშენებული არის ცოლიკაურის ვენახი.

11. საოჯახო მეურნეობა. ფერმერს 4 ათას კმ² ფართობზე გაშენებული არის თხილი. აქვთ ფურნე. შეუძლია, ტურისტებს შესთავაზოს განთავსების საშუალებაც ოთხ ადამიანზე.

12. საოჯახო მეურნეობა. ფერმერს აქვს კეთილმოწყობილი სახლი და კარ-მიდამო. მეურნეობა წარმოდგენილია ოთხ ჰექტარზე დარგული თხილით. იქვე, გაშენებული არის: მანდარინი, კივი, ყურძენი.

ფერმერს ჰყავს რამდენიმე ძროხა, ღორი და ფუტკრის სკები, რაც საშუალებას აძლევს მისულ სტუმრებს შესთავაზოს სხვადასხვა სახის ნატურალური პროდუქტი. იგი საკმაოდ მოტვირებულია და მომავალში გეგმავს მეურნეობის კიდევ უფრო მეტად გაფართოებას.

13. სანერგე მეურნეობა. გამოჰყავთ სხვადასხვა სახეობის მცენარეთა ნერგები. ნერგების გამოყვანა ხდება, როგორც უშუალოდ სახლის წინ მდებარე ეზოში, ასევე სახლთან ახლოს მდებარე მიწის ნაკვეთზე (1 ჰა).

14. საოჯახო მეურნეობა. ფერმერი ეწევა მეფუტკრეობას, ჰყავს ფუტკრის 300-დე ოჯახი. მცირე საფუტკრე აქვთ სახლის ეზოშიც. ეზოშივე დგას ორსართულიანი ხის სახლი.

ოჯახს ჰყავს ცხენი და ავტომობილი. ტურისტების დაინტერესების შემთხვევაში ფიქრობს, მათ დამატებით შესთავაზოს სხვდასხვა სახის მარშრუტები სოფლის შემოგარენში.

15. საოჯახო მეურნეობა. ფერმერს აქვს თხილის მეურნეობა. მოსავლის რაოდენობა წელიწადში დაახლოებით ერთ ტონამდეა.

16. საოჯახო მეურნეობა. ფერმერს აქვს კეთილმოწყობილი სახლი, მოწესრიგებული სველი წერტილებით. აქვს 60 ფუტკრის სკა. წელიწადში იღებს 600-700 ლიტრ თაფლს. სახლთან ახლოს, გაშენებული აქვს კივი. ხელოვნური მეთოდით მოჰყავს სოკო.

17. საოჯახო მეურნეობა. ფერმერს აქვს სახლი, სადაც 4 ადამიანის განთავსებაა შესაძლებელი. სველი წერტილები ნორმალურია სოფლის პირობებისათვის. იგი მეციტრუსეობითაა დაკავებული. მანდარინი გაშენებული აქვს 2 000 მ² ფართობზე და აძლევს 6 ტ. მოსავალს.

18. შერული ფერმერული მეურნეობა. ფერმერს აქვს სამ სართულიანი კეთილმოწყობილი სახლი კომფორტული სველი წერტილებით. შეუძლია მიიღოს, ერთდროულად, ათამდე სტუმარი ყოველ სეზონზე.

კომპლექსურ აგრომეურნეობაში გაშენებული აქვს ფერმერს: თხილი, მანდარინი, ლიმონი, კივი, ხეხილი, საიდანაც საკმაოდ პროდუქტიულ მოსავალს იღებს. ასევე, ჰყავს ფუტკრის 5 ოჯახი.

19. საწარმო შ.პ.ს „გურია კომპანი“. კომპანია აწარმოებს „შავ ჩაის“ და „მოცვის ჩაის“. პირველად ნედლეულს იბარებენ ადგილობრივი გლეხებისაგან.

აღსანიშნავია, რომ პლანტაციები არ მუშავდება ქიმიური საშუალებებით, რაც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მიღებას განაპირობებს. საწარმო წელიწადში იღებს 2 ტ-მდე პროდუქტს, რასაც ფუთავს 12 კგ-იან ტონებში და ყიდის საქართველოს დედაქალაქში. რუსეთ-უკრაინის ომამდე ყიდდა უკრაინაშიც, ასევე ჩაის ყიდულობენ ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორებიც. (ოქროპირიძე, 2013).

მოცემული მაგალითები ცხადყოფს რომ, აგროტურიზმი ვითარდება ჩოხატაურში. ტურიზმის ამ მიმართულების, კიდევ უფრო სტიმულირების მიზნით, მინიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

2015 წელს ევროკავშირის დაფინანსებით, საგრანტო კონკურსი მოიგო ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. რომელიც განხორციელდა გურიის სამივე მუნიციპალიტეტში. პროექტის ვადა სამი წელი იყო. მიზანი კი: აგროტურისტული მარშრუტების კვლევა-ძიება. ამ თვალსაზრისით, ადგილობრივი მერიის კულტურის სამსახურის მიერ, შემუშავებული იქნა, შემდეგი აგროტურისტული მარშრუტი: **ჩოხატაური - ხიდისთავი - გორთაფონი - ბახმარო.** ტურის შინაარსი მოიცავდა და მოიცავს: მარშრუტის დროს, ტურისტების გადაადგილებას როგორც ავტოტრანსპორტით, ასევე ცხენებით და ფეხით. ვიზიტორები იცხოვრებენ წინასწარ შერჩეულ კერძო ხის სახლებში ან კარვებში.

საკვებად გამოიყენებენ მთის მცენარეულ და ცხოველურ, ეკოლოგიურად სუფთა საკვებს. მიირთმევენ, ამ კუთხისათვის დამახასიათებელ კერძებს. გაეცნობიან ორგანულად სუფთა სიმინდის, კარტოფილის, თაფლის, რძისა და ხორცის პროდუქტების წარმოების, ადგილობრივი ჯიშის ღვინოებისა და ჩურჩხელების დამზადების ტექნოლოგიას.

მოისმენენ სოფლებში შენარჩუნებულ უმველეს, ტრადიციულ, კუთხურ სიმღერებს, გაეცნობიან და შეიძენენ რეწვის ნიმუშებს: წინდებს, ხელთათმანებს, ქუდებს, ხალიჩებს, თავსაფრებს თხილამურებს, ხის საოჯახო და მუსიკალურ ინვენტარსა და სხვ.

გამოცდილი ინსტრუქტორების დახმარებით დაეუფლებიან ცხენით სიარულს, თევზაობას, მიიღებენ მზის აბაზანებს, ისწავლიან კარვების გაშლას, კერძების მომზადებას. იქ, შესანიშნავი გარემოა მხატვრობის, ფოტო და ვიდეო გადაღებისათვის. სტუმრებს მეგზურობას გაუწევენ მაღალ კვალიფიციური გიდები.

ვფიქრობთ, **ტურისტული მარშრუტი - ჩოხატავი - გორთაფონი - ბახმარო**, ძალიან საინტერესოა და ასევე საინტერესო იქნება მომავალშიც აგროტურიზმით დაინტერესებული ვიზიტორებისათვის. მარშრუტი იმითაცაა განსაკუთრებული, რომ აგროსაქმიანობასთან ერთად გასართობ-შემეცნებითი ხასიათისაა.

აღნიშნული პროექტის პროგრამის ფარგლებში მოხდა „აგროტურისტული ფესტივალის“ ჩატარება გორა ბერეჟეულის დენდროლოგიურ პარკში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ: მეღვინეები, ჩაისა და რძის პროდუქტების მწარმოებლები. წარმოდგენილი იყო: მინერალური წყალი „ნაბეღლავი“, სოფლის ნობათი, თაფლი, თაფლის არაყი, ფიჭა, ჩურჩხელა და სხვ. (შარაშენიძე, 2019).

გარდა ამისა, ვიზიტორებისათვის, უნდა შეიქმნას მრავალფეროვანი და საინტერესო ტურისტული მარშრუტები. აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს დარგის განვითარებასა და გურიის მხარეს, ტურისტულ რეგონად წარმოაჩენს.

ამ თვალსაზრისით, ჩოხატარის მუნიციპალიტეტში აგროტურიზმის განვითარების მიზნით გამოიყოფა ბახმაროსა და ნაბეღლავის კურორტებთან ახლოს მდებარე ფერმერული მეურნეობები. ადგილობრივი ფერმერების თქმით, აღნიშნული ადგილები ხასიათდება განსაკუთრებული ჰავით, ნოჟიერი ნიადაგითა და საძოვრებით, რაც ხელს უწყობს სოფლის-მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებების განვითარებას. განსაკუთრებით მეცხოველეობის.

ამ მიზნით, ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიას აქტიურად იყენებდნენ და კვლავაც გამოიყენებენ გურიისა და ზემო აჭარის მოსახლეობა პირუტყვის საძოვრებად. გაზაფხულიდან ზაფხულის ბოლომდე ამოჰყავთ პირუტყვი. იქვე აქვთ ხის პატარა საცხოვრებელი სახლები, სადაც დროებით, სეზონის დროს ცხოვრობენ. ზოგიერთი მათგანი, ამ დროის განმავლობაში დამსვენებლებსაც დებულობს.

სამომავლოდ, შესაძლებელია ფერმერების უმეტესი ნაწილი აგროტურიზმითაც დაკავდეს. არსებულ გარემოში, ტურისტებს შეუძლიათ: დაისვენონ, იკვებონ

ნატურალური სოფლის პროდუქტებით, ისუნთქონ სუფთა ჟანგბადი და დალიონ მინერალებით სავსე, ჯანმრთელობისათვის სასარგებლო წყლები. გაეცნონ პროდუქტის მოყვანისა და მოვლის თავისებურებებს, გაიგონ მეტი ფერმერის საქმიანობაზე. სურვილის შემთხვევაში, კი ჩაერთონ მათ საქმიანობაში.

ასე მაგალითად, კურორტ ბახმაროსთან ახლოს, სოფელ ჩხაკაურაში, არის საკალმახე მეურნეობა კოოპერატივი „სამეგობრო 2014“ და საოჯახო სასტუმრო. ფერმერის მიზანია აგროტურიზმის მიმართულებით საქმიანობის გაფართოება. მომსახურება გათვლილი აქვთ უცხოელ ტურისტებზეც. მომსახურებაში იგულისხმება ვიზიტორების განთავსება, კვება, სათევზე მეურნეობის დათვალიერება, მუშა პროცესში მონაწილეობის მიღება, თევზის დაჭერა და კერძად მომზადება, დაგემოვნება.

ამის შემდეგ, ტურისტებს შეუძლიათ სოფელ ქვაბლას გავლით, გადავიდნენ სოფელ ზოტში, სადაც მეცხოველეობა-მესაქონლეობაა განვითარებული. დაათვალიერონ სოფელი, მონაწილეობა მიიღონ საქონლის მოვლა-პატრონობაში, მოწველონ ძროხა, ამოიყვანონ ყველი, ასევე დაამზადონ ადგილობრივი ფერმერის დახმარებითა და სწავლებით რძის სხვადასხვა პროდუქტები, დააგემოვნონ და შეიძინონ ადგილზე.

მიუხედავად აღნიშნული შესაძლებლობისა, აგროტურიზმი მხოლოდ განთავსებას, კვებას და ფერმერული საქმიანობის გაცნობას არ გულისხმობს. აგროტური ბახმაროში დატვირთული უნდა იყოს სხვადასხვა გასართობი აქტივობებით, ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს შესაფერისი ინფრასტრუქტურის მოწყობაც. კერძოდ:

- კინო, თეატრი, წარმოდგენები ბავშვებისთვის. ფოტო და მხატვრული კონკურსების გამართვა. კემპინგის ტიპის ადგილების გამოყოფა. ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მოწყობა.
- ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორია გარშემორტყმულია მთებით, რომელთა მწვერვალებიდანაც საუცხოო ხედები იშლება. საკმაოდ პოპულარულია მთები მზის ამოსვლისა და მზის ჩასვლისას. ისინი სწორედ გურიის და კოლხეთის დაბლობის ლანდშაფტის საცემოლად გამოიყენება, მზის ამოსვლისა და ჩასვლის ფონზე. ამავე

ადგილების სიახლოვეს, დამსვენებლის მეტი კომფორტისათვის, შესაძლებელია მცირე ზომის კაფეების განთავსებაც, რაც კიდევ უფრო მეტ მიმზიდველობას შემატებს ამ ადგილებს.

➤ გადასახედი ადგილების შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია ბუნებრივი და კულტურული ღირებულების გამოვლენა და შესაბამისი ურბანული თუ ლანდშაფტური დიზაინის ამოცანების დასახვა.

➤ გარდა ამისა, სამარშრუტო ბილიკებზე უნდა არსებობდეს გამოყოფილი საპიკნიკე ადგილები, რომელთა საჭიროება და ლოკაცია უნდა განისაზღვროს კონკრეტული ბილიკის დაგეგმვის პროცესში.

➤ საზაფხულო ტურისტული აქტივობების ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილია საკარვე ადგილების პარკის მოწყობა. არსებული ბუნებრივი პირობებისა და მიწის სამომავლო გამოყენების გეგმის გათვალისწინებით. ამ მხრივ ხელსაყრელ მდებარეობად გვესახება მდინარეების ბაისურასა და ბახვისწყლის შესართავი ხეობა, ტყისპირი, რომელიც მდინარის დატბორვის არეალს წარმოადგენს და შესაბამისად, ზღუდავს ამ ტერიტორიაზე განაშენიანების შესაძლებობას. თავის მხრივ, მსგავსი ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა არ მოითხოვს დიდ ჩარევას ბუნებრივ გარემოში.

საკარვე ადგილის მდებარეობა გამართლებულია ასევე იმის გათვალისწინებით, რომ იგი გარკვეულწილად წარმოადგენს ტურისტული მარშრუტების კვანძს, საიდანაც რამდენიმე ძირითადი ბილიკი მიემართება მთავარი ტურისტული დანიშნულების ადგილებისკენ, როგორებიცაა: ობოლი ქვა, მთა ბუქსიეთი (2 388 მ.), მთა ლაშისფერდი (2 618 მ.), ზოტიყელი და სხვა საზაფხულო დასახლებები, რომელიც ასევე მიმზიდველია სათავგადასავლო, აგროტურიზმის, ეკოტურიზმის აქტივობების განსახორციელებლად.

➤ ზაფხულის ტურისტული აქტივობის მნიშვნელოვანი ასპექტია სამთო ველოსპორტი. ამ კუთხით აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნა მოიცავს სამთო ველოპარკის შექმნას, ბილიკებით, ხელოვნური ბარიერებითა და სხვა აუცილებელი ელემენტებით.

სამთო ველოპარკი შესაძლებელია შეიქმნას სათხილამურო ბილიკების არეალში, რომელთა ტექნიკური მახასიათებლებიც შეესაბამება ექსტრემალური ველო-აქტივობისთვის აუცილებელ წინაპირობებს (დახრილობა, სიგანე, მიწის ზედაპირი და ა.შ).

შესაბამისად, სათხილამურო არეალების განსაზღვრის შემდგომ, ასევე შესაძლებელია ამ ტერიტორიაზე ზაფხულის სეზონისთვის სამთო ველოპარკის შექმნაც. (ბახმაროს...).

აღნიშნული ღონისძიებების განხორციების შემდეგ, რეკლამის კარგად ორგანიზებით, შესაძლებელია უცხოელი ვიზიტორების მოზიდვა. აღსანიშნავია, რომ ბახმაროს აქვს პოტენციალი გახდეს როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის კურორტი. ბახმარო გამოირჩევა ქვეყნის შიგნით მაღალი ცნობადობით. მიგვაჩნია რომ აქ ტურისტების მოზიდვის მიზნით უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- აუცილებელია, ბროშურების და ბუკლეტების დაბეჭდვა, სადაც აღწერილი იქნება ბახმაროს უნიკალურობა, საინფორმაციო, აგრო ტურების მოწყობა. უნდა მოხდეს გადამზადება საოჯახო სასტუმროების წარმომადგნელებისა და ფერმერების. სწავლება უნდა მოიცავდეს როგორც სერვის, ასევე გაყიდვებს.
- კვების ობიექტების ხარისხის მატება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. ასევე, აუცილებელია გასაქირავებელი კოტეჯების მოწესრიგება და სერვისის დახვეწა როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ვიზიტორებისთვის.
- ბახმარო - ოჯახების დასვენებაზე ორიენტირებული კურორტია, რომელსაც აქვს პოტენციალი გახდეს 4 სეზონის კურორტი. მაგრამ, აკლია საერთაშორისო ცნობადობა და სწორი ბრენდინგი.
- გადასაწყვეტია ტრანსპორტირების პრობლემა, რადგან ბახმაროში მხოლოდ რამოდენიმე სამარშუტო ტაქსი დადის.
- მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტურების დაგევმა. გიდების გადამზადება და ადგილზე საინფორმაციო ცენტრის შექმნა, რომელიც დაეხმარება ვიზიტორებს დაგეგმონ ტური. აგრო, ეკო, სათავგადასავლო ტურების შექმნა დაეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას დასაქმებაში. (ბახმაროს...)

გარდა ამისა, აღსანიშნავია ბალნეოლოგიური კურორტი და სოფელი ნაბეღლავი, მდებარეობს გურიაში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიდან 475 მეტრზე, მდინარე გუბაზეულის სანაპიროზე. ჩოხატაურიდან 22 კმ დაშორებით. სოფელში გადის ჩოხატაური - ბახმაროს საავტომობილო გზა.

ნაბეღლავი განთქმულია უნიკალური კლიმატური და ბალნეოლოგიური პირობებით. აქ გამოედინება ძვირფასი მინერალური წყალი "ნაბეღლავი", რომელიც წარმატებით გამოიყენება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ღვიძლისა და სანალვლე გზების, თირკმელების, ძვალ-სახსრების სამკურნალოდ. იგი იხმარება როგორც დასალევად, ასევე აბაზანების სახით. რეკომენდებულია ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის, თანაც - შეუზღუდავი რაოდენობით.

ნაბეღლავის წყარო 1905 წელს აღმოაჩინეს. გადმოცემის თანახმად, ადგილობრივი მოსახლეობის ყურადღება მიიქცია ერთ-ერთმა წყარომ, რომელსაც პირუტყვი სხვებზე მეტად ეტანებოდა. წყალს განსაკუთრებული გემო და გამორჩეული სამკურნალო თვისებები აღმოაჩნდა. მალე საბადო მკვლევრებმა მოინახულეს. მათ წყლის სამკურნალო თვისებები მეცნიერულად შეისწავლეს და ნაბეღლავს ოფიციალურად მიანიჭეს კურორტის სტატუსი. სოფელში ფუნქციონირებს საოჯახო ტიპის სასტუმროები. (ნაბეღლავის...)

გარდა ამისა, კურორტ ნაბეღლავის სიახლოვეს ბევრი აგროტურისტული ლოკაციაცაა. მაგალითად, სოფელ ხიდისთავში არის საოჯახო სასტუმრო და ხილის ჩირის საწარმო „სკიჯის სახლი“. ფერმერის თქმით: „ტურისტული მარშრუტი, რომელსაც გურული დღიურების გზა ჰქვია გომისმთიდან ბახმარომდე გრძელდება. მარშრუტში შედის ჯიხეთის, იოანე ნათლისმცემლის, აჭის და უდაბნოს მონასტრების, გომისმთის, ბახმაროს, ნაბეღლავის მინერალური წყლის, „გურიელის“ ჩაის ფაბრიკის, ნოდარ დუმბაძის მუზეუმის და საოჯახო მარნების მონახულება. სულ 3 დღიანი ტურია. კომფორტული სახლი მაქვს და ტურისტების მიღების სურვილი მეც გამოვთქვი: ჩამოვიყვანე გიდი, სახლი ვაჩვენე და ასე მოვხვდი ამ მარშრუტში. საოჯახო სასტუმროს სკიჯის სახლი დავარქვი. გურული დღიურების გზა ახლა უკვე პოპულარული ტურისტული მარშრუტია.“ (სკიჯის...2018).

არანაკლებ საინტერესოა, მეზობლად მდებარე სოფელ ქვენობანში მდებარე, ჩაის მეურნეობა და საწარმო ჩაი გურიიდან „გამარჯობა”, სადაც ტურისტებსა და მისულ სტუმრებს შეუძლიათ მეურნეობისა და საწარმოს დათვალიერება, ჩაის დაყენების ტექნოლოგიის გაცნობა, ნატურალური პროდუქტის დაგემოვნება და ადგილზე შეძენა.

ჩაის დაგემოვნების გარდა, ღვინის მოყვარულ ვიზიტორებს, შეუძლიათ სოფელ ქვენობანთან ახლოს მდებარე, სოფელ ქვემო ერკეთში მეღვინეს ესტუმრონ. დაათვალიერონ მარანი და მეურნეობა, მონაწილეობა მიიღონ ყურძნის კრეფასა და დაწურვაში, გაეცნონ ღვინის დაყენების ადგილობრივ ტექნოლოგიას, ადგილზე დააგემოვნონ და შეიძინონ პროდუქტი.

ასე, რომ აგროტურისტებს შესაძლებლობა აქვთ „ღვინის გზაც“ გაიარონ, თუ გზად კიდევ სხვა ღვინის სახლსა და მარანს ესტუმრებიან. იქვე, არის მოწყობილი მარანი, სადეგუსტაციო და ეთნოგრაფიული კუთხე ვიზიტორებისათვის.

ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების ცენტრის მონაცემების მიხედვით 2013 წელს მუნიციპალიტეტში ფიქსირდებოდა აგროტურიზმის მიმართულებით მომუშავე 19 ობიექტები. 2021 წელს განხორციელებული, საკუთარი კვლევის შედეგად, კი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 16 აგროტურისტული ლოკაცია გამოვლინდა. გარდა ამისა არის ფერმები, რომელთაც აქვთ სურვილი და შესაძლებლობა სამომავლოდ ჩაერთონ აგროტურისტულ საქამიანობაში. მათი სურვილის განხორციელლების შედეგად, შესაძლებელი იქნება: მრავალფეროვანი პროდუქტისა და მომსახურების მიწოდება, მეტი ტურისტის მომსახურება.

გ) აგროტურიზმის პოტენციალი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია დასახლებულია ქვის ხანიდან. 1930 წლამდე შედიოდა ოზურგეთის მაზრაში. საბჭოთა პერიოდში რაიონის ეკონომიკის ძირითადი დარგი იყო მეჩაიერება და მეციტრუსეობა, შემდეგ, კი მარცვლეულის წარმოება, - მეფრინველეობა და მეცხოველეობა.

ფუნქციონირებდა 11 კოლმეურნეობა და 3 საბჭოთა მეურნეობა. მრეწველობაში მთავარი დარგები იყო კვებისა და საშენ მასალათა მრეწველობა. მოქმედებდა ჩაის პირველადი გადამუშავების 5 ფაბრიკა, ასევე საკონსერვო, ყველ-კარაქის,

პურ-ფუნთუშეულის, უალკოპოლო სასმელების ქარხნები, საშენ მასალათა კომბინატი, სამკერვალო ფაბრიკა, თბოელექტროსადგური, ტორფის ქარხანა სუფსაში, სატბორე მეურნეობები ჯაპანასა და გრიგოლეთში.

2006 წლიდან ეწოდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი. ტერიტორიის ფართობი - 533 კვ.კმ.-ს შეადგენს. აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 270 კვ. კმ. ხოლო 15 000 ჰექტარს მოიცავს კოლხეთის ეროვნულ პარკი, 17 927 ჰა. კი ტყეებს უკავია.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში უმნიშვნელოვანესია ბაქო-სუფსის ნავთობსადენი და სუფსის ტერმინალი. მუნიციპალიტეტის საზღვაო ზოლში (წყალწმინდა, გრიგოლეთი) განვითარებულია ტურიზმი. (ზოიძე, 2021).

განვითარების პროცესშია აგროტურიზმიც, რასაც ხელს უწყობს ის, რომ ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ფერმერული საქმიანობითაა დაკავებული, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია:

1. საოჯახო მეურნეობა - მეფუტკრეობა. ფერმერს აქვს აგროტურისტების მიღების მნიშვნელოვანი გამოცდილება. მისდევს მეფუტკრეობას. ვიზიტორებს სთავაზობს თაფლს, დინდგელს, თაფლის არყის გამოხდაში მონაწილეობასა და დაგემოვნებას. სამომავლოდ გეგმავს სხვადასხვა ტურისტული პროექტების განხორციელებასაც. (ოქროპირიძე, 2013).

ასე მაგალითად: ის გეგმავს ტურისტებს შესთავაზოს არა მარტო ფუტკრის ნაწარმი, არამედ ექსკურსია ჩაუტაროს საფუტკრეში. ორგანიზებულად, გარკვეული წესების დაცვით.

გარდა ამისა, საფუტკრეში შესაძლებელია მოეწყოს მცირე საჩვენებელი ლექციები. საჩვენებელი სკების მეშვეობით დამთვალიერებლებმა შეძლონ თვალყური ადევნონ ფუტკრის ოჯახის საქმიანობას. ნახონ, ჩვეულებრივ სკებში დაბეჭდილი თაფლი.

საჭიროა, ყურადღება მიექცეს დამთვალიერებელთა უსაფრთხოებას. უნდა იყოს მშვიდი გარემო, ყველა ასაკის სტუმრისთვის აუცილებელია იქონიონ მეფუტკრის სპეც-ტანსაცმელი.

საფუტკრეში ექსკურსიიდან მიღებული ძირითადი შემოსავალი სასურველია იყოს გაყიდული პროდუქტებიდან მიღებული ამონაგები. ამიტომ, სარეალიზაციო თაფლი და ფუტკრის სხვა პროდუქტები მყიდველს უნდა მიეწოდოს მიმზიდველი სახით, კერძოდ:

- თაფლი უნდა ჩამოასხან მცირე ზომის, ლამაზად გაფორმებულ ჭურჭელში. ან დეკორატიულ ჩარჩოებში მოათავსონ ფიჭიანი თაფლი;
- მიმზიდველი შეფუთვით უნდა მიეწოდოს მომხმარებლებს ცვილისაგან დამზადებული დეკორატიული სანთლები, დინდგელი. (ღოღობერიძე, 2017 : 118-120).

მეფუტკრეობის გარდა, გლეხები მისდევენ მესაქონლეობას, მეფრინველეობას, აქვთ სატბორე და სხვა დანიშნულების მეურნეობები. არის ისეთი ფერემერებიც, რომლებიც მრავალდარგოვან მეურნეობას მართავენ.

ასე მაგალითად, ფერმა მდებარეობს სოფელ მაჩხვარეთში. ფერმერი მისდევს მესაქონლეობას, ჰყავს 30 სული ძროხა. აქვს სატბორე მეურნეობა 2,5 ჰა-ზე. ხელოვნურ ტბაში ამრავლებს თევზებს - ეს ტბა ამ რანჩოს ერთ-ერთი მთავარი უპირატესობაა, რადგან ტურისტებს შეუძლიათ ნავით ტბაზე გასეირნება, თევზაობა. ამჟამად ტბაში არის კობრი, სქელშუბლა და ამური.

ფერმერი მისდევს მეფრინველეობასაც, რადგნ დიდი მოთხოვნაა იხვის, ქათმის კვერცხსა და ხორცზე. მოჰყავს მარცვლეული კულტურები, სიმინდი, ლობიო. აქვს სათიბები და ფუტკრის რამდენიმე სკა (ოჯახი, ბუკი).

გეგმავს მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო საგრანტო პროგრამების კონკურსში. მიღებული თანხით კი მოაწყოს სასათბურე მეურნეობა.

ფერმაში, ფერმერული საქმიანობის გაცნობასთან ერთად აგროტურისტებს, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მასშტაბით ექსკურსიებში. (გუჯაბიძე, : 2019).

გარდა ამისა ექსკურსიას ან აგროტურს დამატებით შემეცნებით ღირებულებას სმენს 2. ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დათვალიერება, სადაც წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნაპოვნი ექსპონატები, ძველი ჭურჭელი. (ბრინჯაოს ხანიდან დღემდე).

მუზეუმის ტერიტორიაზე, შესაძლებელია ეთნოგრაფიული კუთხის უკეთ მოწყობა. ან კიდევ, კარგი იქნება თუ აშენდება აგროკულტურული მუზეუმი, რომლის მიდამოებში გამართავენ მარანს, გააშენებენ ვენახსა და სანერგე მეურნეობას. მეურნეობაში წარმოდგენილი უნდა იყოს უძველესი გურული ვაზის ჯიშები.

ანალოგიური დანიშნულების ობიექტები არის დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი არსებობს ყველაზე დიდი ცენტრალური - ვაშინგტონის სოფლის მეურნეობის მუზეუმი, სადაც წარმოდგენილია უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში, ფერმერების მიერ გამოყენებული სამუშაო იარაღები და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. (საჩალელი, 2018:55).

აღნიშნული მაგალითები ცხადყოფს, რომ აგრომუზეუმებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს როგორც საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაში, ასევე ლანჩხუთში ადგილობრივი მოსახლეობისათვის აგროკულტურული ისტორიის დაცვასა და შენარჩუნებაში.

ამ შემთხვევაში, ვიზიტორები გაეცნობიან ვაზის გავრცელების ისტორიასა და ღვინის დაყენების ტრადიციულ ტექნოლოგიას. აგროპროდუქტების წარმოების პროცესზე დაკვირვება, კი აგროტურის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კომპონენტია.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ „ღვინისა და ჩაის ტურები“ გურიაში აქტუალურია. ტურების განხორციელების დროს ვიზიტორებს საშუალება ექნებათ ადგილობრივი, ტრადიციული მეურნეობის გაცნობის, ისე რომ გათვალისწინებული იყოს დამატებით განტვირთვის ელემენტებიც. ესენია: შემეცნება, მომლოცველობა და გართობა.

ასე მაგალითად, საკუთარი მეურნეობა აქვს 3. სამება - ჯიხეთის დედათა მონასტერს. გაშენებული აქვთ: ვენახი, სიმინდი, ზეთისხილის ბაღი და ბოსტანი. ჰყავთ: ფუტკარი და პირუტყვი. დედები ეწევიან ხელსაქმესაც.

ვიზიტორებს საშუალება აქვთ მოილოცონ მონასტერი და გაეცნონ მის ისტორიას. მონასტერი დაარსებულია XIX ს-ის მიწურულს. მთავარი, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ტაძარი 1896 წელსაა აგებული ოზურგეთელი ილარიონ

მენაბდის მიერ. მდებარეობს, სოფ. ჯიხეთში, ნიგოითის მთაზე, ლანჩხუთიდან 6 კილომეტრში. (ჯიხეთის...).

ვიზიტორებს, შეუძლიათ დაათვალიერონ იქ, არსებული მეურნეობა. მათ განსაკუთრებულ ყურადღებას კი ზეთისხილის ბალი იწვევს. თავდაპირველად, XX საუკუნის დასაწყისში 1905 წელს გურულ ბერებს მოუტანიათ და მონასტრის ეზოში დაურგავთ ზეთისხილის ხე. გავრცელებული აზრით, საქართველოში ზეთისხილი ძირითადად გვხვდება მხოლოდ აფხაზეთში და კახეთის მშრალ ტროპიკულ ზონაში. მონასტრის ეზოში ხე მსხმოიარეა. 2 000 წელს წინამდღვრის არქიმანდრიტ ანდრიას ინიციატივით დაუმატებიათ ნერგები და ბალი გაუშენებიათ.

მონასტერს აქვს სკიტი - სასტუმრო მომლოცველთათვის, სადაც სტუმრებს განთავსება შეუძლიათ. ტაძარს ბევრი მომლოცველი, მათ შორის, აგროტურიზმით დაინტერესებული ვიზიტორებიც სტუმრობენ. (კბილაშვილი, 2020).

როგორც ვხედავთ, მუნიციპალიტეტში აგროტურიზმის განვითარების წინაპირობა და შესაძლებლობები არსებობს. არიან, ამ მიმართულებით მომუშავე და დაინტერესებული ფერმერები. მათი წახალისებისა და სტიმულირების მიზნით განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებებიც. ამას ადასტურებს, პროექტი „ტურისტული მარშუტები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალომთიანი თემების ეკონომიკური გაძლიერებისთვის“. რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) საგრანტო პროექტის ფარგლებში ხორციელდება. მთლიანი ბიუჯეტი 67 039,6 ლარს შეადგენდა.

პროექტის განხორციელების ადგილებად შეირჩა სოფელი ჩოჩხათი და სოფელი აცანა. მდინარე აცაურას ხეობაში არსებული კანიონი და ჩანჩქერი ტურისტულ მარშუტებში ჩაისვა. მიმდინარე პროცესშია ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაც: სავალი ბილიკების, საპიკნიკე ადგილების, ფანჩატურებისა და სავაჭრო დახლების, გზის მაჩვენებლების მოწყობა. ასევე, იგეგმება:

➤ მდინარე სუფსაზე ჯომარდობის განვითარება, შესაბამისი აღჭურვილობის შესყიდვა, სერთიფიცირებული ინსტრუქტორების მომზადება.

➤ სოფელ გრიგოლეთის სივრცით-დაგეგმარების განხორციელება, რომლის ღირებულება 250 ათასი ლარია. (გუჯაბიძე, 2019).

გარდა აღნიშნული პროექტებისა, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიისა და ავსტრიის მთავრობების დახმარებით სოფელ ჩიბათში შეიქმნა ფაბრიკა 4. „კოპერატივი ჩიბათი“. საწარმო აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგით, ჰყავს გამოცდილი ტექნოლოგები და მუშახელი. ამ ეტაპზე, პროდუქტი მიეწოდება ადგილობრივ ბაზარს და იგი ხელმისაწვდომია ჩამოსული ვიზიტორებისათვისაც.

საწარმოს ახლოს მდებარეობს მირიანეს ბაღი, სადაც ჩაის კულტურა გააშენეს 1925-1930 წწ.-ში. ბოლო 20-25 წლის მანძილზე ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო ჩაის პლანტაციების დიდი ნაწილი სტიქიურად განადგურდა, მოუვლეობისა და უპატრონობის გამო ეკალ-ბარდი მოედო და ჩაის პლანტაციაც მიივიწყეს. პროექტის განხორციელების შედეგად მოხდა 15 ჰა. ჩაის პლანტაციის აღდგენა-რეკულტივაცია. პერიოდულად ხდება აგროტექნიკური სამუშაოების ჩატარება. მუშაობა მიმდინარეობს ევროსტანდარტების შესაბამისად, რათა მიღებული პროდუქცია იყოს ეკოლოგიურად სუფთა და ხარისხიანი. მოთხოვნა წარმოებულ ჩაის პროდუქციაზე ყოველწლიურად იზრდება.

გარდა ამისა, ადგილობრივი ჩაის მწარმოებელი, რომელიც ჩამოსულ ტურისტებს აღნიშნულ ნაკვეთში მასპინძლობს, ჩაის კრეფასა და დამზადებას ასწავლის, ადგილობრივი ჩაის კულტურის ისტორიას აცნობს და ნატურალური პროდუქტის შეძენის საშუალებას აძლევს. (ზოიძე, 2020).

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია, რაც ჩიბათის ჩაის მაგალითზე განვიხილეთ, მაინც ერთჯერადი და დროებითი ღონისძიებაა. ვფიქრობთ, რეალურად უნდა იზრუნონ ჩაის ახალი პლანტაციების გაშენებაზე ისე, როგორც ამას აკეთებენ ჩაის მწარმოებელი კლასიკური ქვეყნები, სადაც ყოველწლიურად ხდება მთელი ნარგავების 2-3%-ის ამოძირვა და ახალი პლანტაციების გაშენება მაღალ პროდუქტიული ჯიშებით. (სოხაძე...2018 : 60).

აღსანიშნავია ისიც, რომ გურიის მხარესა და საერთოდ საქართველოში ჩაის დაყენებისა და სმის კულტურაა არაა ფეხმოვიდებული. შეგვიძლია გამოცდილება ამ მიმართულებით გავიზიაროთ ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა ჩინეთი, ინდოეთი,

თურქეთი. იმიტომ, რომ მოსულ ვიზიტორებს მომსხურების პროცესიც ხიბლავთ და აინტერესებთ.

ამ მხრივ საინტერესოა, 5. ჩაის გადასამუშავებელი საწარმო „შ.პ.ს. ქართული არომატი 91“. ამჟამად, საწარმოში ცხრა სახეობის ჩაი მიიღება. საწარმო 1991 წელს დააფუმნა და ამ ხნის განმავლობაში ვითარდებოდა. წლების განმავლობაში დააგროვა ჩაის ტექნოლოგიის მმართულებით ცოდნა და გამოცდილება. მან ბოლო პერიოდში ჩაის წარმოების პარალელურად ჩირის წარმოებაც დაიწყო.

საწარმოში დამზადებული პროდუქცია ძირითადად, მაღაზიებში იყიდება. ჩაის ყიდულობენ ადგილზე ადგილობრივი სტუმრები და უცხოელი ვიზიტორებიც. მეწარმის თქმით: „ყველაზე მეტად, რაც ხელს გვიშლის არის ის, რომ ირანიდან და სხვა ქვეყნებიდან შემოაქვთ გოგირდის დიოქსიდით დამუშავებული ჩირი. ჩვენი საწარმო მხოლოდ ნატურალურ პროდუქტს აწარმოებს, როგორც ჩაის, ისე ჩირს. ვგეგმავთ, სამომავლოდ ბრენდის წინ წაწევას, მეტი ვიზიტორის მიღებას. ტურისტს, რომელიც ჩამოდის ჩვენთან ადილობრივ, ნატურალურ პროდუქტს ვთავაზობთ. იგი ჩვენს მიერ შექმნილ პროდუქტს ყიდულობს და ორმაგად მოგებული ვართ. საქართველოში 1 500 ტ. ჩაი საზღვარგარეთიდან შემოდის, ისიც ვადაგასული, როცა შეგვიძლია საკუთარი ნატურალური პროდუქტი შევთავაზოთ მომხმარებლებს. კარგი იქნება თუ უარგის იმპორტირებულ საქონელს ადგილობრივით ჩავანაცვლებთ, რაშიც როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლების დახმარება გვჭირდება.“

საწარმოს მდებარეობა მიმზიდველია ტურისტებისთვის. საწარმოს ტერიტორიაზე სადეგუსტაციო სივრცეა მოწყობილი, სადაც ტურისტებისთვის შესაძლებელია ჩაისა და ჩირის დაგემოვნება.

აღნიშნული ტერიტორიიდან მოშორებით, ლანჩხუთიდან 6 კილომეტრის დაშორებით სოფელი ნიგოითია, სადაც 6. თევზის მეურნეობა „მიშოს არემარე“ მდებარეობს. ფერმერის თქმით: „ტურისტებს ვთავაზობთ თევზჭერის ტურს, საპივნიკე ადგილის, ფანჩატურის გამოყენებას, სადაც ისინი შეძლებენ თევზის მომზადებასა და დაგემოვნებას. ასევე, გვაქვს შეძენილი კარვები, ტურისტებმა ღამე რომ გაათიონ ველურ ბუნებაში. ჩვენი მეურნეობა განკუთვნილა მხოლოდ

ტურისტებისათვის და არა საბაზროდ. მოშენებული გვყავს: კობრი, ამური და თევზის სხვა სახეობები.”

ნიგოითთან ახლოს, სოფელ აცანაში მდებარეობს კიდევ ერთი აგროტურისტული ობიექტი, სადაც მზადდება „ქვევრები”. გურია განთქმული იყო მეთუნეობით განსაკუთრებით საღვინე ქვევრებით. ამზადებდნენ თიხის უზარმაზარ ჭურჭლებს XIX საუკუნეში, რომელიც მოითხოვდა მრავალსაუკუნოვან ცოდნა-გამოცდილებას. ფერმერის გადმოცემით, ტურისტებს ათვალიერებინებს ობიქტს, საშუალებას აძლევს ნახონ სამუშაო პროცესი, აცნობს მეთუნეობის ისტორიასა და ტრადიციას, ქვევრებისა და თიხის ჭურჭლის დამზადების ტექნოლოგიას. ვიზიტორებს, შეუძლიათ, ადგილზე შეიძინონ თიხის ჭურჭელი ან ქვევრი.

გარდა ამისა, აგროტურისტული მცირე მეურნეობების შექმნის შესაძლებლობა არსებობს კურორტ გრიგოლეთსა და მის მიმდებარე სოფლებში, განსაკუთრებით სოფელ სუფსამი. აღნიშნულ ადგილებში, კარგად არის განვითარებული სოფლის მეურნეობა, ასევე გრიგოლეთში არის რამოდენიმე სასტუმრო და კერძო ტიპის სახლი, რომელთა ნაწილიც უცხოელებზე ქირავდება მთელი სეზონის განმავლობაში.

გრიგოლეთის მსგავსად, გურიის სხვა კურორტებს არ აქვთ საერთაშორისო აღიარება. მნიშვნელოვანია ისეთი მარკეტინგული პროდუქტების შექმნა, რომელიც საერთაშორისო ვიზიტორებს ინტერესს გაუჩენს რეგიონის მიმართ და მოიზიდავს.

ამ მიმართულებით, შესაქმნელია სპეციალური ტურისტული პროგრამები, შესაბამისი, ინტერნეტ-პორტალი რომელიც ვიზიტორებს დახმარება გაიგონ თუ რა სად მდგომარეობს. რა ფასებია საოჯახო სასტუმროებში, რა ტიპის დღესასწაულები შეიძლება გაიმართოს და როდის.

ამჟამად, კი თითოეული ფერმერი, რომელიც ჩართულია ტურისტულ საქმიანობაში ინდივიდუალურად მუშაობს, ყოველგვარი დახმარების გარეშე. ვიზიტორებთან წვდომას კი სხვადასხვა კომუნიკაციის საშუალებებით ამყარებენ. უმეტეს შემთხვევაში კი ინტერნეტის გამოყენებით.

კვლევის დროს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიში, აგროტურიზმში ჩართული 23 ობიექტი დაფიქსირდა. გამოკითხული დანარჩენი ფერმერებიდან ირკვევა, რომ

აქვთ სურვილი, სამომავლოდ ჩაერთონ აღნიშნულ საქმიანობაში. შედეგად აგროტუ-
რისტული ობიექტების რაოდენობა გაიზრდება, რასაც მოჰყვება თანმდევი პროცესე-
ბი. კერძოდ, განვითარდება სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ინფრასტრუქტურა, შე-
იქმნება გასართობი და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, რაც კიდევ
უფრო გაზრდის ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობას.

ვფიქრობთ, საჭიროა შეიქმნას გურიაში აგროტურიზმის განვითარების ახალი
მოდელი, რაც რეგიონში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი ეტაპი იქნება. ამ მიზ-
ნით, უნდა შეირჩეს ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებ-
ის სოფლებში მცხოვრები ფერმერების ოჯახებიდან სამიზნე ჯგუფი, რომლებიც სოფ-
ლის მეურნეობის, გარდა ტურიზმითაც არიან ან იქნებიან დაკავებულები.

გურულ მოდელში აგროტურიზმის ძირითადი ელემენტები იქნება:

ტრადიციული სამზარეულო, შესათავაზებელი საკვები პროდუქტები უნდა
იყოს ნატურალური ფერმერის მიერ მოყვანილი;

სტუმრებისათვის უნდა გამოიკვეთოს სხვადასხვა დანიშნულების ფერმერული
მეურნეობები, მაგალითად, მეღვინეობის, მეჩაიეობის, მეფუტკრეობის. მათთვის
შესაძლებელი უნდა იყოს სამუშაო პროცესში მონაწილეობის მიღება;

ვფიქრობთ, ეთნოგრაფიული კუთხის მოწყობაც მნიშვნელოვანია, რადგან
ტურისტებს შეექმნებათ წარმოდგენა მეურნეობაში არსებულ საქმიანობაზე,
გამოყენებულ ტექნოლოგიასა და საწარმოო პროცესზე;

განთავსების განსაკუთრებული პირობების შეთავაზება ტურისტებისათვის,
რაც გულისხმობს: განცალკევებული სახლების, კოტეჯების მოწყობას, რაც გურული
ოდის სტილში უნდა იყოს გადაწყვეტილი. ასე მაგალითად: ძველებურ სტილში
წაბლის ხისაგან ნაკეთები ოდების, ოდას წინ ფართო აივანი უნდა ჰქონდეს, სახურავი
კრამიტის უნდა იყოს, შიგნით კი ბუხარი იდგეს. სახლის შიდა მოწყობილობა და ეზო
ძველ იერსახეს უნდა აცოცხლებდეს;

ამას დაემატება აგროტურებში მონაწილეობაც, რომელიც ორიენტირებული
იქნება სოფლის ცხოვრებასა და მის საქმიანობასთან. ტურების მორგება შეიძლება
წლის ოთხივე სეზონზე. კერძოდ: აგროტურები შეიძლება გაგრძელდეს მთელი წლის
მანძილზე.

ზაფხულში მამულები და ვილები ტურისტებს უმასპინძლებენ ურეკის, შეკვე-
თილისა და გრიგოლეთის პლაჟებთან ახლოს მდებარე სოფლის სახლებში, ამ დროს
ტურისტები ადგილობრივი მებოსტნების საქმიანობაში ჩართვისა და ნატურალური
პროდუქტის შეძენა-დაგემოვნების გარდა, ზღვაზეც დაისვენებენ.

შემოდგომაზე ფერმერები ტურისტებს მოსავლის აღებასა და ნარინჯისფერ რთველში მონაწილეობის მისაღებად მიიწვევენ.

ზამთარში - კურორტ ბახმაროსა და გომისმთასთან მდებარე სოფლებში ტრადიციული მეთოდით რძის პროდუქტების მიღებაში ჩაერთვებიან.

გაზაფხულზე კი - ექსკურსიები მოწყობა, მეფუტკრეების დახმარებითა და ორგანიზებით. ასევე, სხვა ადგილობრივ მეურნეობებში საგაზაფხულო სამუშაოების გაცნობა-შესწავლა განხორციელდება. მაგალითად მუშაობა ჩაის პლანტაციებში, ჩაის დაგემოვნება.

ტურები უნდა ითვალისწინებდეს განტვირთვისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვას: ტრადიციული ფოლკლორის გაცნობას, ადგილობრივი დღესასწაულების მოწყობას, გართობასა და ა.შ.

რუკა 3.1

გურიის აგროტურისტული რეკა



წყარო: გურიის განვითარების კავშირი

მიზნის განხორციელებაში, გამოყენებული უნდა იყოს გურიის აგროტურისტულ რუკაზე შერჩეული, დაახლოებით 40 ობიექტი. ასევე, რუკაზე არ აღნიშნული მაგრამ მოქმედი ობიექტებიც. (იხ. რუკა - 3.1).

როგორც, სურათზეა ნაჩვენები, „გურიის განვითარების კავშირმა”, პროექტის - „გურიის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია ევროპის ქვეყნების დამეგობრებულ ქალაქების რესურსების გამოყენებით” - ფარგლებში, გურიის ქართულ და ინგლისურენოვანი აგრო-ტურისტული რუკა გამოსცა. რუკის დახმარებით, ტურისტებს გაუადვილდება გურიაში სტუმრობა. რუკაზე აღნიშნულია აგროტურისტული ობიექტები.

აგროტურიზმის ახალი მოდელი გურიაში, ითვალისწინებს ტურიზმის განვითარებას ბიოაგროპროდუქტების წარმოების პარალელურად. უფრო ზუსტად, უნდა განვითარდეს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის დარგების მჭიდრო კავშირით.

საბოლოოდ, რომ შევაჯამოთ, გურიის რეგიონში არსებობს აგროტურისტული რესურსები, რომელის ათვისებაც დაწყებულია. ამაზე მიუთითებს, მცირე ფერმერული მეურნეობების არსებობა, რომლებიც დღეისათვის ფუნქციონირებს და იღებს ტურისტებს. თუმცა, ეს მხოლოდ საწყისი ეტაპია. საჭიროა, ამ მიმართულებით მეტი გააქტიურება, როგორც ფერმერების მხრიდან საქმიანობიაში დაინტერესებითა და ჩართვით, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის უშვალო დახმარებითა და მონდომებით.

3.3. აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივები გურიის რეგიონში

გურიის რეგიონში აგროტურიზმის განვითარების შესაძლებლობებში გამოვლენის მიზნით განხორციელებულმა კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა შეგვეფასებინა რეგიონში აგროტურიზმის განვითარების თავალსაზრისით არსებული სიტუაცია, გაგვესაზღვრა მისი მართვის გაუმჯობესების მიმართულებები.

კვლევის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა აგროტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული კერძო სექტორის მოსაზრებებისა და მუშაობის პროცესის შესახებ მონაცემების მოპოვება, რის საფუძველზე შესაძლებელი გახდა:

- გურიის რეგიონში აგროტურიზმის განვითარების არსებული მდგომარეობის ანალიზი;
- გურიის სამივე მუნიციპალიტეტში აგროტურიზმის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენა;
- პრობლემების მოგვარების გზების წარმოჩენა;
- მისაღწევი შედეგისა და სამომავლო პერსპექტივების გამოკვეთა.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორისათვის, რათა განხორციელდეს აგროტურიზმის სწორად დაგეგმვა და შემდეგ მისი პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გამოყენებული იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდი, ინტერვიუს მეთოდი სპეციალურად შერჩეული კითხვარებით. კითხვებზე პასუხის გაცემა ხდებოდა, ძირითადად გასაუბრების გზით. კვლევა წარიმართა სამი მიმართულებით:

1. გურიის რეგიონში აგროტურიზმის მიმართულებით დასაქმებული პირების შესაძლებლობების გამოკვლევა;
 2. გურიის რეგიონში არაპირდაპირ ჩართული სახელმწიფო სტრუქტურების, ობიექტების საქმიანობის კვლევა, რომლებიც ეხმარებიან აგროტურიზმით დაინტერესებულ ფერმერებს;
 3. ფერმერების საქმიანობის კვლევა, რომლებიც უშუალოდ არ არიან ჩართული ტურიზმში.
1. გურიის რეგიონში აგროტურიზმის მიმართულებით დასაქმებული პირების შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით კვლევა განხორციელდა 2021 წლის აპრილი - ივლისის თვეებში. მონაწილეობა მიიღეს გურიის რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ფერმერებმა, რომლებიც საქმიანობენ ან იწყებენ მუშაობას აგროტურიზმის სექტორში. სულ გურიის სამივე მუნიციპალიტეტში დაფიქსირებულია 566 ფერმერი (ოზურგეთში - 281, ჩოხატაურში - 110, ლანჩხუთში - 175). აქედან, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 400 ფერმერმა, რომელთაგან 80 ჩართულია აგროტურიზმში. აგროტურიზმში ჩართული 80 ობიექტიდან 41

აგროტურისტული ლოკაცია დაფიქსირდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, 16 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, 23 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში.

კვლევაში მონაწილე ფერმერების გადმოცემით, მათი მთავარი საზოგადო ჯერ მეურნეობის გამართვაა, შემდეგ კი ტურისტების მიზიდვა და მათი მომსახურება. მიუხედავად სურვილისა, უმეტეს შემთხვევაში, მათ მიერ დასახული მიზნის სისრულეში მოყვანა ვერ ხორციელდება.

რა უშლით ხელს საქმიანობის წამოწყებასა და განვითარებაში?

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 400-მა ფერმერმა, აქედან 80 ფრმრია, რომლეცაც უნდა საქმიანობის განვითარება. შესაბამისად, ისინი ჩართულია აგროტურისტულ საქმიანობაში. დანარჩენი 320 ის ფერმერებია რომლებიც არ არიან ჩართულნი აგროტურიზმში. (იხ. დიაგრამა № 3.1).


ფერმერების უმეტესი ნაწილი მთავარ პრობლემად მიჩნევს ფინანსური რესურსების ნაკლებობასა და აგროსესხებზე მაღალ პროცენტს. რადგან ფინანსური რესურსის გარეშე წარმოუდგენელია, რაიმე სახის საქმიანობის წამოწყება, ამ შემთხვევაში, აგროტურიზმის. ამას ემატება ინფრასტრუქტურის გაუმართაობა. სრულყოფას საჭიროებს მომსახურების პროცესიც.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- ფინანსურ რესურსებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა;

დიაგრამა № 3. 1.

ადგილობრივი ფერმერებისათვის, ხელისშემსლელი ფაქტორები.



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.

- მიუხედავად ამისა, რომ აგროტურიზმის განვითარების ერთ-ერთი საფუძველი სოფლის მეურნეობის დარგის გაჯანსაღებაა - სათანადო ყურადღება არ ექცევა დარგში არსებულ პრობლემებს - მავნებლებთან თუ სხვადასხვა სახის დაავადებებთან ბრძოლას. გარდა ამისა, ფერმერებს არა აქვთ საკმარისი ცოდნა და გამოცდილება ამ მიმართულებით;
- არ ხდება, აგროტურიზმით დაინტერესებული ფერმერების დახმარება: ფინანსურად, ტექნიკით, ხარისხიანი შესაწამლი საშუალებებით, არ ხდება გასაღების ბაზრების მოძიება;
- ზოგჯერ, უხარისხო, იპორტირებული პროდუქცია რეგიონში გაცილებით დაბალ ფასშია, ვიდრე ადგილობრივი ნატურალური პროდუქცია, რაც ნაკლებკონკურეტუნარიანს ხდის ადგილობრივი წარმოების პროდუქციას;
- ადგილობრივი წარმოების განუვითარებლობა მნიშვნელოვანი დანაკარგია რეგიონისათვის, რაც ხელს უშლის მოსახლეების დასაქმებას;
- ფერმერები ნაკლებად არის ინფორმირებული, იმის შესახებ თუ რა სარგებელს მოუტანთ აგროტურიზმი.
- დღეს, მსოფლიოში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის ნაკლებობაა, ფერმერები კი საკუთარი მეურნეობის გამოყენებითა და განვითარებით შეძლებენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ვიზიტორს შეთავაზონ სუფთა გარემო და ნატურალური სოფლის ნობათი, რაც ორივე მხარისათვის სასარგებლოა. ამ შემთხვევაში, ისინი შეძლებენ ადგილობრივი პროდუქტის რეალიზებას და მიიღებენ დამატებით შემოსავალს;
- გარემოს მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ფერმერის დაუდევრობა და ნაკლები ინფორმირებულობა, რის გამოც ქიმიური შხამქიმიკატებითა და შესაწამლი საშუალებებით ზიანდება გარემო, ნიადაგი ხანგრძლივი დროით ნაკლებმოსავლინი ხდება.

გამოკითხული ფერმერების მიერ, წამოჭრილი პრობლემების მოგვარება, დაეხმარება მათ მეურნეობების შექმნასა და გაფართოებაში.


გამართული მეურნეობა, კი მათ მისცემთ საშუალებას აგროტურიზმით დაინტერესებულ მომხმარებლებს შესთავაზონ მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის

ნაწარმი: ჩაი, ღვინო, ხილი, თევზი, ხორცი და ა. შ. ასევე, ტურისტებს გააცნონ პროდუქტის დამზადებისა და დამუშავების მოწინავე მეთოდები. ჩართონ ისინი, აგროპროდუქტების წარმოების პროცესში.

მსგავსი პროცესების განვითარება, ხელს შეუწყობს გურიის სამივე მუნიციპალიტეტში ფერმერების დასაქმებასა და შემოსავლების ზრდას. თუმცა, მცირე რაოდენობით. აგროტურისტული ობიექტები, თავისთავად გულისხმობს მცირე რაოდენობით დასაქმებულ ადამიანს. საინტერესოა, რაოდენობრივი მაჩვენებლები ამ მხრივ გურიის რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში (იხ. დიაგრამა № 3.2).

დიაგრამა № 3.2

აგროტურისტული პროდუქტების სახეები და დასაქმებულების რაოდენობა



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.

დიაგრამიდან ჩანს, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სულ აგროტურიზმის მიმართულებით მუშაობს 41 ფერმერული მეურნეობა, სადაც მუდმივად დასაქმებულთა ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა 325, ხოლო სეზონის დროს დამატებითი მუშახელის რაოდენობასთან ერთად 1 381. უფრო დეტალური სურათი კი შემდეგია:

- ჩაის აწარმოებს 15 ობიექტი, სადაც მუდმივად დასაქმებულია 130 ადამიანი. სეზონის დროს ხდება მკრეფავების დაქირავება მათი რაოდენობა შეადგენს

1 056 დასაქმებულს;

- ღვინის წარმოებაში ჩართულია 7 ობიექტი, სადაც მუდმივად დასაქმებულია 20 ფერმერი, ხოლო რთველის დროს ხდება დამატებით მუშახელის დაქირავება და დასაქმება;
- მეფუტკრეობით დაკავებულია 9 ობიექტი, სადაც დასაქმებულია 20 ფერმერი;
- დანარჩენი 10 ობიექტია, სადაც 155 ფერმერი მრავალდარგოვან მეურნეობას მისდევს.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გამოვლინდა 16 აგროტურისტული ობიექტი სადაც 76 ძირითადად მომუშავე პირია, სეზონზე, დამატებით დაქირავებულ პირთა რაოდენობა კი 175 - ს შეადგენს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გამოვლინდა 23 აგროტურისტული ობიექტი სადაც 112 ძირითადად მომუშავე პირია, სეზონზე, დამატებით დაქირავებულ პირთა რაოდენობა კი 200-ზე მეტი შეადგენს.

როგორც ვხედავთ, დასაქმებულთა რაოდენობა ორ კატეგორიად იყოფა. 1. ძირითადად დასაქმებულები (სისტემატიურად მომუშავეები); 2. დროებით დასაქმებული (სეზონურად მომუშავეები). ორივე კომპონენტი მნიშვნელოვანია.

საინტერესოა ვიზიტორთა განთავსების უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების მიმართულებით. (იხ. დიაგრამა № 3.3).


როგორც დიაგრამიდან ჩანს, რეგიონის მასშტაბით, 2018 წელს დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობამ 1 462 შეადგინა, ხოლო, გართობა და დასვენების მიმართულებით 294. 2019 წელს დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობამ 1 473-ს მიაღწია. ხოლო, გართობა და დასვენების მიმართულებით - 337.

დროებით მომუშავეები ანუ სეზონურად დასაქმებულები 2018 წელს 660, ხოლო გართობა და დასვენების მიმართულებით - 293 მუშაკი იყო. 2019 წელს სეზონურად დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობამ 1 404-ს, ხოლო გართობა და დასვენების მიმართულებით დასაქმებულმა 335-ს მიაღწია. (დასაქმებულთა...2019).

დასაქმების თანმდევი პროცესია შემოსავლის გაჩენა ან ზრდა. ამ შემთხვევაში, ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი ადამიანების შეხედულებაც არის. კერძოდ: მიაჩნიათ თუ არა მათ აგროტურიზმი შემოსავლიან საქმიანობად.

დიაგრამა № 3. 3.

დასაქმებულთა და დაქირავებულთა საშუალოწლიური რაოდენობა გურიის
რეგიონის ტურიზმის საქმიანობის მიხედვით.



წყარო: შედგენილია ჩვენს მიერ. გამოყენებულია გურიის სტატისტიკის ბიუროს მონაცემები.

ადგილობრივი მოსახლეობის მონაცემებზე დაყროდნობით შეიძლება ითქვას, რომ აგროტურისტულ საქმიანობაში ჩართვის ინტერესი და მოტივაცია არსებობს. თუმცა, მხოლოდ სურვილი არ არის საკმარისი.


აგროტურისტულ საქმიანობას, რომ რეალურად სარგებლის მოტანა შეუძლია და ამით ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უმჯობესდება ამას ადასტურებს დიაგრამა № 3.4-ში წარმოდგენილი მონაცემები, სადაც განხილულია შემოსავლების საერთო რაოდენობა პანდემიამდელ და პანდემიის შემდეგ პერიდებში.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, პანდემიამდელ პერიოდში, 2018 წლისათვის გურიის რეგიონის მთლიანი შემოსავლის ბრუნვა შეადგენდა 487,3 მლნ. ლარი,

აქედან განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის, საკვების მიწოდების და გართობის საქმიანობების მიხედვით ბრუნვა 37,4 მლნ. ლარი შეადგინა. 2019 წლისთვის კი მთლიანი შემოსავლის ბრუნვა იყო 558,7 მლნ. ლარი, აქედან ტურიზმზე მოდიოდა 40,3 მლნ. ლარი. პანდემიის პერიოდში, 2020 წელს მთლიანი ბრუნვა იყო 542,6 მლნ. ლარი, აქედან ტურიზმზე მოდიოდა 25 მლნ. ლარი. ხოლო, აგოტურიზმიდან მიღებული შემოსავალი, წლის განმავლობაში ტურიზმიდან მიღებული საერთო შემოსავალის 15 %-ი იყო. (განთავსების...2019).

დიაგრამა № 3.4.

განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების
საქმიანობების ბრუნვის მოცულობა გურიის რეგიონის მიხედვით (მლნ. ლარი)



წყარო: გურიის სტატისტიკის ბიურო და ადგილობრივი მერიის სამსახურის მონაცემები.

გარდა ამისა, დავინტერესდით, აღნიშნული საქმიანობიდან, შემოსავლის ბრუნვის მოცულობის ანალიზის პარალელურად, რამდენია დანახარჯები? ტურიზმის მიმართულებით, დანახარჯების სრულყოფილი ანალიზისთვის, გამოვიყენეთ, როგორც ქვეყნის საერთო სურათი რეზიდენტ და არარეზიდენტ

ვიზიტორებთან მიმართებაში, ისე გურიის რეგონთან მიმართებაში. იხ. ცხრილი № 3.1. და ცხრილი № 3.2².

ცხრილი № 3.1.

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული საშუალო თვიური ხარჯის განაწილება ხარჯის კატეგორიების მიხედვით, მლნ. ლარი.

წელი	განთა ვსება	საკვები, სასმელი	საყი დლები	ღონი სძიებები	ტრანს პორტი	სხვა	სულ ხარჯი
2020	7,0	35,6	53,9	1,3	27,5	22,0	147,1
2021	10,6	54,8	79,2	1,5	46,8	33,3	226
2022	14,2	57,9	80,6	2,7	53,0	39,8	248,3

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ცხრილი № 3.2.

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული საშუალო თვიური ხარჯის განაწილება ხარჯის კატეგორიების მიხედვით, მილიონი ლარი.

წელი	განთა ვსება	საკვები, სასმელი	საყი დლები	ღონი სძიებები	ტრანს პორტი
2019	168,4	195,3	150,0	127,4	53,7
2022	279,3	299,3	139,1	97,0	71,6

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

² შენიშვნა: საქართველოში კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილების მიზნით, საქსტატის უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკური გამოკვლევის საველე სამუშაოები დროებით შეჩერებული იყო.

შესაბამისად, 2020 წლის II კვარტალიდან 2021 წლის IV კვარტალის ჩათვლით მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

ვიზიტორების მიერ გურიის რეგიონში, განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული ერთი ტურისტის საშუალო დღიური ხარჯი (ორგანიზებული ტურიზმის შემთხვევაში და არა დამოუკიდებლად), 2022-2023 წ.წ. მონაცემების მიხედვით შეადგენს:

- მინიმუმ 200 ლ. (ღამისთევის გარეშე). 250 ლ. (ღამისთევით).
- მაქსიმუმ 300 ლ. (ღამისთევის გარეშე). 400 ლ. (ღამისთევით).

(წყარო: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, ტურიზმის სამსახური).

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გურიის სამივე მუნიციპალიტეტში ოზურგეთში, ჩოხატაურსა და ლანჩხუთში გავრცელებულია (მცირე მასშტაბით) მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა. ფერმერები მისდევენ: მეფუტკრეობას, მეცხოველეობას, ჩაის წარმოებას, მეღვინეობას, მეთხილეობას, აქვთ სატბორე მეურნეობები და ა.შ. ისინი ქმნიან და აწარმოებენ აგროპროდუქტებს, ითვისებენ და სწავლობენ ტურიზმს, შედეგად კი საინტერესო აგროტურისტულ მომსახურებას სთავაზობენ ვიზიტორებს. აღნიშნულის დადასტურების მიზნით, მოვიყვანოთ მაგალითი:

ერთ-ერთ ფერმერს, აქვს პატარა საკოლექციო ნაკვეთი ძველი გურული ჯიშის ვაზების, სადაც წარმოდგენილია: ჩხავერი, მტევანდიდი, ჯანი, საკმიელა, ათინაური, ბადაგი, ალადასტური, სხილათუბანი, ჭუმუტა, მტვერისფეხა, მახათური, თეთრი და შავი კამური, და სხვა.

იქვე, ახლოს მოწყობილი აქვს სადეგუსტაციო კუთხე სტუმრებისათვის. მნახველებსა და დამთვალიერებლებს, უყვება ქართული ვაზისა და გურული ყურძნის ჯიშების ისტორიას. აცნობს ღვინის დაყენების ტექნოლოგიას. ტურისტები მონაწილეობას იღებენ რთველში.

განხილული მაგალითიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აგროტურიზმის განვითარების პროცესი დამოკიდებულია მეტი ტურისტის მოზიდვასა და მათი ფერმერული საქმიანობით დაინტერესებაზე.

გარდა ამისა, ტურისტების მოზიდვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ინტერნეტის გამოყენებაა. ფერმერების თქმით, ინტერნეტი და სოციალური მედია არის ის ძირითადი საშუალება რითაც ახდენენ ხმის მიწვდენას ტურისტებამდე და

დებულობენ მათგან უკუკავშირს. ვებ-საიტების საშუალებით ვიზიტორების უმეტესობა ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

➤ ეცნობა დეტალურად ინფორმაციას შეთავაზებული მომსახურების შესახებ-უკავშირდება ფერმერს, საკონტაქტო ინფორმაციის საშუალებით;


➤ შეუძლიათ ტურის ონლაინ დაჯავშნა. (Lemonakis,...2014).

უმეტეს შემთხვევაში, ეს პროცესი იმდენად აქტიურ რეჟიმშია, რომ ადგილ-ობრივი ტურისტული სამსახურებისა და თვითმმართველობის ჩარევის გარეშეც დამოუკიდებლად მუშაობენ. თუმცა, მათი მხრიდან ყურადღებაც მნიშვნელოვანია.

საინტერესოა სარეკლამო საშუალებების გამოყენების კუთხით როგორ მუშაობენ გურული ფერმერები. რომელ სარეკლამო საშუალებას იყენებენ უფრო აქტიურად და რაზე ამახვილებენ ყურადღებას? მონაცემები წარმოდგენილია დიაგრამის სახით (იხ. დიაგრამა № 3. 5).

დიაგრამა № 3.5.

გურული ფერმერების მიერ გამოყენებული სარეკლამო საშუალებები,
აგროტურისტული პროდუქტების წარმოსაჩენად.



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.

მოცემული დიაგრამიდან ჩანს, რომ გამოკითხული 80 ფერმერიდან (რომლებიც ჩართულია გაროტურისტულ საქმიანობაში) ყველაზე მეტი აგროტურისტული ბრენდის წარმოსაჩენად იყენებს ფეისბუქსა და ვებ-გვერდს, ყველაზე მცირე ჟურნალ-გაზეთებში აკეთებს განცხადებას.

ამ შემთხვევაში, სარეკლამო საშუალებების გამოყენება ეფექტური გზაა ფერმაში ვიზიტორების მოსაზიდად. სათანადო მარკეტინგული საქმიანობის გარეშე აგრძელი ტურიზმის ყველაზე კარგად მართული ბიზნესიც კი ვერასოდეს მიაღწევს სასურველ წარმატებას.

მიუხედავად იმისა, რომ ყველას განსხვავებული მიდგომა აქვს. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მარკეტინგის ოთხი P-ს განხილვა:

მარკეტინგული მიქსი არის მარკეტინგული ინსტრუმენტების ნაკრები, რომელსაც იყენებს კომპანია საკუთარი პროდუქტის მიზნობრივ ბაზარზე გასატანად. იგი შედგება 4 კომპონენტისგან: პროდუქტი (Product), ფასი (Price), ადგილი (Place), და წახალისება (Promotion), რის გამოც მას ხშირად 4P-ის სახელით მოიხსენიებენ.

პროდუქტის (Product) შემთხვევაში ორი მნიშვნელოვანი რამ გამოიკვეთება: პირველი, ფერმერი თავდაჯერებული იყოს იმაში, რომ მისი პროდუქტი უნიკალურია. მეორე, ჰქითხოს ფერმერმა საკუთარ თავს, რატომ მოვა ვინმე და ეწვევა მის მეურნეობას? რა უნდა გააკეთოს ამისათვის? როგორ შესთავაზოს პროდუქტი და მოემსახუროს ვიზირტორებს?!

ფასი (Price), გულისხმობს სარეკლამო საშუალებებში მითითებული მომსახურების ფასებზე შეღავათებს, რაც დაეხმარება ფერმერებს ტურისტების ყურადღების მიპყრობაში, დაინტერესებაში, სურვილის გაჩენაში, რომ მათ ესტუმრონ.

ფასები უნდა იყოს საკმაოდ მაღალი, რომ დაფარონ აგრობიზნესის ფუნქციონირების საფასური, მაგრამ ამავე დროს არც ისე მაღალი, რომ პოტენციური ტურისტების მიერ ფერმის მონახულება არ მოხდეს. ფასის დონის დადგენა ემყარება სამ მთავარ პუნქტს:

- რამდენად მოთხოვნადია, ფერმაში დასვენება სტუმრებისათვის?
- რა დაუჯდება ფერმერს მომსახურების მიწოდება?
- რა ფასში ემსახურებიან აგროტურისტებს კონკურენტი ფერმერები?

ადგილი (Place), გულისხმობს, თუ სად გაიყიდება პროდუქტი მომხმარებლებზე. აგრძელი ტურიზმის დროს ადგილი წარმოადგენს მეურნეობას, სადაც უნდა უზრუნველყონ სტუმრების უსაფრთხო, სუფთა და სასიამოვნო გარემოს შექმნა.

წახალისება (Promotion), გულისხმობს მარკეტინგული კომუნიკაციების ერთობლიობას, რაც პროდუქტის გაყიდვებს ემსახურება. ის შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს: რეკლამა, პირდაპირი მარკეტინგი, გაყიდვების სტიმულირება.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რეკლამა დიდ როლს ასრულებს მომხმარებლების მოზიდვაში. ამ მიზნით, რეკლამის სხვადასხვა საშუალებები გამოიყენება. ვიზიტორების მზარდი რაოდენობა ეძებს მარტივ და სწრაფ გზებს ინფორმაციის მისაღებად, სადაც სურთ დასვენება. ამიტომ, აუცილებელია ფერმერი ფლობდეს ინტერნეტ კომუნიკაციის შესაძლებლობებს, ჰქონდეს შექმნილი ვებ-გვერდი.

ეს საშუალებას მისცემს მათ ვრცელი ინფორმაცია გააცნოს მომხმარებელს ყველა იმ პროდუქტის შესახებ, რასაც სთავაზობენ სტუმრებს. მათ შორის: სამუშაო საათები, მეურნეობის მდებარეობა და ნებისმიერი წვრილმანი, რომლის შესახებაც ტურისტებმა უნდა იცოდნენ.

გარდა ვებ-გვერდისა გამოიყენება, Facebook-ი და ფერმერების ბლოგები. Facebook-ის საშუალებით განთავსებული, შეიძლება იყოს შემდეგი სახის ინფორმაცია: მეურნეობის ისტორია, პროდუქტის ჩამონათვალი, მუშაობის საათები, ვებ-გვერდის ბმულები, ფოტოები, ვიდეოები, განახლებები, აქტივობების აღწერა და სხვ.

ფერმერების ბლოგები კიდევ ერთი საშუალებაა ფერმერებისათვის, რომ შეძლონ აგროტურიზმის წამოწყება და პოპულარიზაცია. ბლოგების გამოყენება შესაძლებელია მრავალი გზით. მაგალითად, შეიძლება იყოს ფერმერის მიერ შექმნილი ვებ-გვერდის ნაწილი, ან კიდევ დამოუკიდებელი საიტი. ბლოგები არის ინტერაქტიული³, თუ მომხმარებლები სვამენ კითხვებს და დატოვებენ კომენტარებს. (Vaugeois, 2018).

³ ტიპური ბლოგი აერთიანებს ტექსტს, გამოსახულებას, ბლოგების, ვებ-საიტების ლინკებს და სხვა თემასთან დაკავშირებულ მედიას. მკითხველების მიერ კომენტარების დატოვების საშუალება ინტერაქტიული ფორმატით ბევრი ბლოგის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ბლოგების უმეტესობა ძირითადად ტექსტურია, თუმცა ზოგიერთი ფოკუსირებულია კონკრეტულ თემაზე, მაგალითად ხელოვნება (Artblog), ფოტოგრაფია (Photoblog), ვიდეო მასალა (vlog), მუსიკა (MP3 blog), აუდიო მასალა (Podcasting).

წარმოდგენილი ინფორმაცია გვაძლევს იმის საფუძველს, რომ აგროტურიზმის განვითარება სასიკეთოდ იმოქმედებს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ამიტომ, ფერმერი ორიენტირებული უნდა იყოს იმაზე, რომ ტურისტი დააინტერესოს თავის ფერმაში წარმოებული პროდუქტით. მაგრამ თუ საზღვარგარეთ მცხოვრები ფერმერები ამას აღწევენ: გამართული ინფრასტრუქტურით, განვითარებული სოფლის მეურნეობითა და აგროწარმოებით, გურიის რეგიონის სოფლებშიც შესაძლებელია მიიღონ სასურველი შედეგი. ოღონდ აქაც უნდა შეიქმნას თანამედროვე მოთხოვნების შესაფერისი პირობები. აუცილებელია, ინფრასტრუქტურის, გართობის, ტურისტული დანიშნულების ადგილების მოწესრიგება.

აგროტურიზმის შემთხვევაში, ტურისტული დანიშნულების ადგილად მოიაზრება ფერმერული მეურნეობები, აგროპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოები. აღნიშნული მოითხოვს, არა მარტო ფერმის მოწესრიგებასა და მეურნეობის გამართვას, არამედ სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობასაც.

გამოკითხვისას დადგინდა: ფერმერების უმეტესობა თვლის რომ, აგროტურიზმის განვითარებისათვის საჭიროა სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის ურთიერთკავშირით განვითარება, რასაც თან უნდა ახლდეს მეურნეობებისა და აგრო-წარმოების გაძლიერება. რისი მიღწევაც შესაძლებელია:

- იაფი და ხელმისაწვდომი აგროკურედიტით;
- სახელმწიფო მხარდაჭერით, მეწარმეთა გადასახადებზე შეღავათებით;
- ფერმერების წახალისებით, სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებით გრანტების, ინვესტიციების მოძიებით, შემდეგ მისი მორგებით მოსახლეობის შესაძლებლობებთან.

შედეგად, აგროტურიზმის საქმიანობა უზრუნველყოფს გურიის რეგიონში ახალი შემოსავლის წყაროს და უცხოური ვალუტის შემოტანას. აგროტურიზმის გავლენა ეკონომიკაზე შეიძლება იყოს იმდენად დიდი, რამდენადაც ქმნის სამუშაო ადგილებს, ამცირებს უმუშევრობას სოფლად, ხელს უწყობს მეწარმეობას, ადგილობრივი კვების პროდუქტების წარმოებასა და რეწვას. (Strand...2008).

2. კვლევის მეორე ნაწილი - გურიის რეგიონში არაპირდაპირ ჩართული სახელმწიფო სტრუქტურების, ობიექტების საქმიანობის კვლევა, რომლებიც ებმარებიან აგროტურიზმით დაინტერესებულ ფერმერებს - განხორციელდა 2021 წლის სექტემბრ-ოქტომბრის თვეებში. კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა აგროტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული არაპირდაპირ ჩართული სახელმწიფო სტრუქტურების, ობიექტების კვლევა, რომლებიც ებმარებიან ფერმერებს.

გამოყენებული იქნა რაოდენობრივი მეთოდი. (სპეციალურად შერჩეული კითხვარი). კითხვარი შედგებოდა 15 კითხვისაგან. კითხვებზე პასუხის გაცემა ხდებოდა, როგორც პირადად ადგილზე მისვლით, ისე ტელეფონით გასაუბრების გზით.

კვლევაში მონაწილე პირების გადმოცემით, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროცესში ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები თანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მათი დახმარებით, ისინი ახორციელებენ ისეთი პროექტების თანადაფინანსებას, რომლებიც სწავლობს ტურისტულ პოტენციალს, ორიენტირებული არიან ახალი და მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის შექმნაზე. უკვე არის განხორციელებული პროექტის წარმატებული მაგალითებიც. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განხორციელდა საგრანტო პროექტი „თანამონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის”, რის ფარგლებში შეიქმნა გურიის რეგიონში ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმა, სადაც გაწერილია რეგიონის პრიორიტეტული მიმართულებები. თუმცა გეგმის ეტაპობრივი განხორციელება ნელი ტემპითა და ნაკლები მონდომებით ხორციელდება. თუმცა შეინიშნება სუსტი ძვრებიც. ასე, მაგალითად:

ოზურეგეთის მუნიციპალიტეტში, ტურიზმის სამსახურის წარმომადგენლებმა ფერმერების ჩართულობით შეიმუშავეს ტურისტული მარშრუტი - „ღვინის გზა”, „ჩაის გზა”. ფესტივალი „ჩაის გზა” 2019 წლიდან გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვეიცარიის სააგენტოს (SDC), ავსტრიის სააგენტოს (ADC), საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ტარდება. (გურიის...2019).

2021 წლის 15 ივლისს ანალოგიური ფესტივალი ჩატარდა, ოზურგეთის მუნიცი-პალიტეტის მერიის ორგანიზებით წვერმაღალას პარკში, რომელიც ითვალისწინებდა ადგილობრივი აგროპროდუქტების წარმოებისა და ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას.

ფესტივალზე გურიის რეგიონში წარმოებული პროდუქციის გამოფენა-გაყი-დვა, პრეზენტაცია-დეგუსტაცია მოეწყო. იქვე, წარმოდგენილი იყო ადგილობრივი თაფლის, მშრალი ხილის, ღვინის და კენკრის ნაწარმი. სოფელ მელექედურში პროექტ „ჩაის გზის“ ფარგლებში მე-5 ტურისტული ლოკაცია გაიხსნა, რომელიც ტურისტებსა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს სთავაზობს მონაწილეობა მიიღოს ჩაის კრეფისა და გადამუშავების პროცესში, შემდეგ კი სადეგუსტაციო სივრცეში დააგემოვნოს ადგილობრივი ნაწარმი. (გურიის...2021).

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ეტაპზე, ტურიზმი ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ვერ ასრულებს და ტურისტული პოტენციალი სრულად არ არის რეალიზებული, რისი ძირითადი მიზეზი გაუმართავი ტური-სტული ინფრასტრუქტურაა. ამიტომ, მნიშვნელოვანი აქცენტი უნდა გაკეთდეს მუნიციპალიტეტის რესურსის ცნობადობის გაზრდაზე განსაკუთრებით საერთაშორისო დონეზე. ამ მხრივ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას, განახორციელოს აქტიური კომუნიკაცია უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორებთან. (შარაშენიძე, 2021).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სამსახურის, ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის წარმომადგენლები ფერმერებს ეხმარებიან, აგროპროექტებში ჩართვასა და რეკლამის ორგანიზებაში.

გარდა ამისა, 2021 წლის მანძილზე, მათი ჩართულობითა და ადგილობრივი ტურიზმის სამსახურის წარმომადგენლების მონდომებით, საკმაოდ კარგ შედეგებსაც მიაღწიეს. მოიძიეს ობიექტები, ატვირთეს ფოტომასალა, დაწერეს ტურები, რასაც ტურისტებიდან დიდი მოწონება და გამოხმაურება მოჰყვა.


ვიზიტორებისათვის შესაფერისი გარემოს შესაქმნელად გაიხსნა რამდენიმე ახალი ტურისტული ლოკაცია: საპიკნიკე ადგილები, განახლდა მივიწყებული ჩაის წარმოება, ფერმები, კულინარიული ტურისტული ობიექტები.

მათი განმარტებით, სათანადო დაფინანსების შემთხვევაში, კიდევ დაემატება ახალი ლოკაციები. შეიქმნება ახალი საწარმოები და მასთან არსებული ტურისტული ობიექტები.

კვლევის შედეგად დაფიქსირდა ის ფერმერებიც, რომლებმაც ფინანსური დახმარება მიიღეს. გამოვლინდა ისეთებიც, რომლებიც ხელმოცარულები დარჩნენ. მოცემული საკითხის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის დიაგრამა № 3. 6.

დიაგრამა № 3. 6.

**აგროტურიზმის მიმართულებით გრანტებსა და პროექტებში ფერმერების
ჩართულობა.**



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, სულ გამოკითხული იქნა 80 ფერმერი, რომლებიც აგროტრისტულ საქმიანობაშია ჩართული, აქედან 43 ფერმერი მონაწილეობდა გრანტების და პროექტების მიღებაში, რის შედეგადაც მოხდა მათი საქმიანობის დაფინანსება. ხოლო 37 -ს მონაწილეობა არ მიუღია. ისინი საკუთარი ფინანსური რესურსით საქმიანობს.

პროექტებისა და გრანტების დასახელების მიხედვით გამოიკვეთა, იმ ფერმერების რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს ფინანსური რესურსი, კერძოდ:

- აწარმოე საქართველოს პროექტში მონაწილეობა მიიღო და დაფინანსდა 20 ობიექტი;
- „ENPARD”-ის პროგრამის ფარგლებში - 9 ობიექტი;
- იუსაიდის სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამით - 3 ობიექტი;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის ფარგლებში - 3 ობიექტი;
- პროექტით „ჩაის გზა” - 1 ობიექტი;
- კომპანია „ჩაერთე და მართე” პროგრამით, რომელიც ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის მიერ შვეიცარიის, ავსტრიის, დანიისა და საქართველოს მთავრობების ხელშეწყობით – 1 ობიექტი;
- „ღვინის გზის” პროექტით - 2 ობიექტი;
- ახალგაზრდა მეწარმეთა განვითარების ფონდის გრანტით – 1 ობიექტი;
- საქართველოს ფერმერთა ასოციაციის გრანტით - 1 ობიექტი;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული გრანტით - 1 ობიექტი;
- პროგრამა ქალთა ეკონომიკური განვითარებისათვის გრანტით - 1 ობიექტი.

მოცემული მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ პროექტებსა და გრანტებში ადგილობრივი ფერმერების მონაწილეობა, მათ ფინანსების მოძიებაში უწყობს ხელს. უფრო მეტიც, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ფერმერებს სამომავლოდ პირდებიან, მეტ ჩართულობასა და მუშაობას ამ მიმართულებით.

მათი მხრიდან დახმარებაში მოაზრება: ქართული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა, რაც მიზნად ისახავდა და ისახავს, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოუვლელი ჩაის პლანტაციების აღდგენას, ან კიდევ, სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამებში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას. სწორედ, სოფლის მეურნეობის პროგრამებში, მოსახლეობის ჩართულობაზე არის ორიენტირებული ლანჩბუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციის ცენტრი. მათი

წამომადგენელის განცხადებით: „მუნიციპალიტეტში პირველ ეტაპზე, აგროტურიზმი შეიძლება განვითარდეს სოფლის მეურნეობის 10-15 %-ის ფარგლებში. აღნიშნული ხელს შეუწყობს ფერმერების შემოსავალის ზრდას.

აქედან გამომდინარე, დარგიდან მიღებული შემოსავალი დამოკიდებული იქნება სოფლის მეურნეობისა და ფერმერულ მეურნეობების განვითარებაზე. შემოსავლის მხრივ 20-25 %-ის ფარგლებში.

2021 წელს სხვა წლებთან შედარებით, მაღალი იყო მოთხოვნა ტურისტულ მომსახურებაზე, მათ შორის აგროტურიზმზე, მიუხედავად იმისა რომ ქვეყანაში პანდემიური სიტუაციაა”. (ზოიძე, 2021).

რომ შევაჯამოთ, აღნიშნული ხელისშემსლელი ფაქტორებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა ის გამოწვევები, რომელთა გადაწყვეტა ამ მიმართულებით აქტუალურია. კერძოდ: აუცილებელია სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან აგროტურიზმის განმავითარებელი პროგრამებით დაინტერესება, გრანტების მოძიება და შემდეგ მისი მორგება მოსახლეობის შესაძლებლობებთან.

აუცილებელია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და აგროტურიზმის ერთობლივად განვითარება, რაც, თავის მხრივ, შექმნის პირობებს სოფლის მოსახლეობამ შეძლოს საკუთარი პროდუქტის რეალიზაცია და დამატებითი შემოსავლის მიღება.

დამატებითი სამუშაო ადგილების გაჩენის შემთხვევაში ადგილობრივ მოსახლეობას აღარ მოუწევს სამუშაოს ძიება საზღვარგარეთ, რაც შეამცირებს მიგრაციას. აღნიშნულ პროცესებს მოჰყვება ინფრასტრუქტურისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

3. მესამე მიმართულებით, ფერმერების საქმიანობის კვლევა, რომლებიც უშუალოდ არ არიან ჩართული ტურიზმში განხორციელდა 2021 წლის ნოემბერდეკემბერში, სპეციალურად შედენილი კითხვარის საფუძველზე. კვლევის მიზანს წარმოადგენდა, იმის დადგენა: ფერმერები გეგმავენ, თუ არა სამომავლოდ ტურიზმში ჩართვას. ან კიდევ თვლიან თუ არა მომგებიან საქმიანობად.

კვლევის შედეგად, გურიის სამივე მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სულ დაფიქსირებული იქნა 186 სოფელი და 566 ფერმერი. (დასახელებული 566 ფერმერის

მონაცემები მოვიპოვეთ, ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიდან, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან ფერმერთა მონაცემთა ბაზაში.) ფერმერების რაოდენობის დათვლაში, ნაგულისხმევია ის ფერმერები რომლებსაც ჰყავთ ან აქვთ: მინიმუმ 10 სული მსხვილფეხა საქონელი, 10 სული ღორი, 25 ცხვარი, 10 ოჯახი ფუტკარი, 200 ფრთა ფრინველი და ზევით, სახნავი მიწა 5 ჰა, მრავალწლოვანი (ხეხილის ბაღი, თხილი, ციტრუსი, ვაზი და ა.შ) 1 ჰექტარის მოცულობით.

ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები 566 ფერმერიდან, მოვახერხე გამომეკითხა 400 რესპონდენტი, აქედან 80 აგროტურისტულ საქმიანობაშია ჩართული, ხოლო 320 მხოლოდ ფერმერულ საქმიანობაში. კვლევის დროს, გამოკითხვა ვაწარმოე იმ ფერმერებთან მიმართებაშიც, რომლებიც არ არიან ჩართულნი ტურიზმში. ისინი ძირითადად მისდევენ მიწათმოქმედებას, მევენახეობასა და მეფუტკრეობას.


მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან მომეცა საშუალება გამერკვია: **აგროტურიზმის განვითარებისათვის, რა პერსპექტივას ხედავენ ისინი?**

უმეტესი მათგანი თვლის, რომ ტურიზმი მათთვის მომგებიანია. საშუალება ეძლევათ ტურისტებს შესთავაზონ ფერმაში დასვენება. რის შედეგადაც ფერმერებს მიეცემათ სტიმული მეურნეობას უკეთ მოუარონ, მეტი აგროპროდუქტი გაყიდონ.

ამასთან დაკავშირებით, ფერმერების მოსაზრებები, უფრო დაწვრილებით, წარმოდგენილია დიაგრამა № 3.7-ში.

დიაგრამა № 3.7.

გურიის რეგიონში აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივა




წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.

დიაგრამიდან ჩანს, რომ გამოკითხული 320 ფერმერიდან, რომლებიც არ არიან ჩართული აგროტურიზმში 244 -ის ვარაუდით, გურიის რეგიონში აგროტურიზმის განვითარება შესაძლებელია. ხოლო პერსპექტივას 32 ფერმერი ვერ ხედავს, 44 ფერმერს კი - წარმოდგენა არა აქვს რას ნიშნავს, აღნიშნული საქმიანობა.

აქედან გამომდინარე, კვლევის დროს, გამოვლინდა რომ გურიის რეგიონში გამოკითხული 320 ფერმერიდან, რომლებიც არ არიან ჩართულნი ტურიზმში, 15 %-ი არ აპირებს ტურიზმში ჩართვას, რადგან არ თვლის მომგებიან საქმიანობად. 24 % სამომავლოდ გეგმავს ტურიზმში ჩართვას იმიტომ, რომ ხედავს პერსპექტივას. მიიჩნევს დამატებითი შემოსავლის წყაროდ. ხოლო 61 %-ს ჯერ არ უფიქრია ამის შესახებ. (იხ. დიაგრამა № 3.8)

დიაგრამა № 3.8.

გურიაში მცხოვრები ფერმერები, რომლებიც სამომავლოდ გეგმავს ტურიზმში ჩართვას/არ ჩართვას.



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.

გამოკითხული ფერმერების იმ ნაწილს (320 ფერმერი), რომლებიც არ არიან დაკავებული ტურიზმით. ვკითხე: - რა დახმარებას საჭიროებენ და ვისგან, რომ აგროტურიზმში ჩაერთონ? - პასუხები სხვადასხვა შინაარსის იყო. (იხ. დიაგრამა № 3.9.)


მოცემული დიაგრამიდან ჩანს, რომ გამოკითხული ფერმერებიდან 31 %-ს საქმის წამოწყებაში მხოლოდ საკუთარი თავის იმედი აქვთ. ისინი დახმარებას არავისგან მოელიან.

ხოლო 14 % დახმარებას ტურისტების მოზიდვასა და რეკლამის ორგანიზებაში ადგილობრივი ტურიზმის სამსახურის მუშაკებისგან მოელის.

9 % კი - სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებისგან ელის, რაც გულისხმობს სოფლის მეურნეობისა და აგროტურიზმის პროგრამების შექმნასა და შემდეგ მათ ჩართულობას.

დიაგრამა № 3.9.

აგროტურიზმში ჩაერთვის მიზნით, ვისგან საჭიროებენ ფერმერები დახმარებას?!



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.

ფერმერების 27 % ადგილობრივი თვითმართველობის დახმარებას ამ საქმეში მნიშვნელოვნად თვლის, რადგან მათი მეშვეობით უნდა მოწესრიგდეს მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურა, დაეხმარონ ადგილობრივ მცხოვრებლებს გრანტებისა და ფინანსური რესურსის მოძიებაში, რომ განვითარდეს ფერმერული ტურიზმი. აღნიშნულს ადასტურებს რეალური ფაქტებიც. კერძოდ:

ერთ-ერთი ფერმერს აქვს მრავალდარგოვანი მეურნეობა. მისდევს: მეფუტკრეობას, მეციტრუსეობას, აქვს საყვავილე მეურნეობა. აწარმოე საქართველოს პროგრამის ფარგლებში მეფუტკრეობის მიმართულებით დაფინასდა გრანტით 1 500 ლარი. მიღებული თანხა კი მოახმარა მეურნეობის განვითარებას.

ფერმერების 19 % მეურნეობის გასამართავად, დახმარებას მოელიან უმაღლესი მთავრობის წარმომადგენლებიდან, რაშიც იგულისხმება მთავრობის მიერ ამ მიმართულებით შემუშავებული ან გასატარებელი ღონისძიებები. ერთ-ერთი ასეთი,

მოქმედი ღონისძიებაა: **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის გურიაშიც.** იგი მოიცავს:

➤ **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის - არაუმეტეს 100 ცხენის ძალის მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტრაქტორის, ხელის ტრაქტორის (მოტობლოკი), სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის განვუთვნილი თვითმავალი ტექნიკის და სასოფლო-სამეურნეო იმპლემენტების (მისაბმელები) თანადაფინანსებას. ტრაქტორის სიმძლავრე არ არის შეზღუდული ტექნიკის შ.კ.ს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიისგან” შესყიდვის შემთხვევაში.**

➤ **ახალი სასათბურე მეურნეობის მოწყობისთვის ან არსებული სასათბურე მეურნეობის გაფართოება-მოდერნიზებისთვის საჭირო შესასყიდი ძირითადი საშუალებების შემენის და მათი სამონტაჟო სამუშაოების თანადაფინანსებას. ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის სარწყავი სისტემის შესყიდვა-მონტაჟის თანადაფინანსებას.**

პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო თანადაფინანსების მოცულობა ჯამურად ერთ ბენეფიციარზე შეადგენს 50 %-ს, მაგრამ არაუმეტეს 50 000 ლარისა. ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის მაქსიმალური თანადაფინანსების ოდენობა შეადგენს 500 000 ლარს. პროგრამის საბიუჯეტო თანადაფინანსების ჯამური თანხა შეადგენს 10 000 000 ლარს. პროგრამის ფარგლებში სავარაუდოდ დაფინანსდება 200 ტრაქტორი, 80 000 კვ/მ სათბური და 400 ჰა. მიწის ფართობზე მოეწყობა სარწყავი სისტემა. (გალდავა... 2020).

გამოკითხული ფერმერების გათვლებით, აღნიშნული ფინანსური და სხვა საჭირო რესურსების მოძიება-ამოქმედების შემთხვევაში, ორიენტირება მოხდება იმ შედეგზე, რომელიც სამომავლოდ მაქსიმალურ შემოსავალის მიიღების შესაძლებლობას მისცემთ ტურიზმიდან. ცნობისთვის, მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

ა). ფერმერი, რომელიც ტურისტებს, დამსვენებლებსა და ადგილობრივ ბაზარს აწვდის თაფლის, დინდგელს, ფუტკრის რძეს. ჰყავს ფუტკრის ოცამდე ოჯახი. გარდა თაფლის წარმოებისა, გამოჰყავს სხვადასხვა სახეობის ყვავილების ნერგები. მომავალში გაფართოების მიზნით გეგმავს სათბურის მოწყობას.

მისი საქმიანობის შემთხვევაში, ვიზიტორების სტუმრობისას აუცილებელია, უსაფრთხოების დაცვა საფუტკრეში. სადეგუსტაციო სივრცის მოწყობა, ტრადიციული მასალითა და არქიტექტურული ელემენტებით, აგრეთვე, შეუძლია ვიზიტორებს შესთავაზოს სანერგე მეურნეობის დათვალიერება, პროდუქტის შეძენა.

ბ). ფერმერი, რომელიც ფლობს მეცხოველეობის ფერმას. მისი გადმოცემით, ფერმაში ჰყავს 35 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელთაგან 20 მეტველია. ასევე, აქვს სიმინდის ყანა 10 ჰა-ზე. ფერმა წარმოადგენს ერთსართულიან, ძველ, კეთილმოწყობელ ნაგებობას. დამსვენებლებსა და ტურისტებს აინტერესებთ მეცხოველეობის დარგი. მოდიან და ათვალიერებენ მეურნეობას და ადგილზე ყიდულობენ პროდუქტს. სამომავლოდ გეგმავს, მეურნეობის გაფართოებას.

გ). მეცხოველეობის ფერმა არის სოფელ ნატანებში (ლეკიანი). ფერმაში 100 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტვია, რომელთაგან 60 მეტველია. მომხმარებლებს და აგროტურიზმით დაინტერესებულ ტურისტებს სთავაზობს ფერმის დათვალიერებას, პროდუქტის დაგემოვნებასა და შეძენას.

ფერმერის თქმით: ჰყავს ათამდე ღორი და აქვს სიმინდის ყანა (8 ჰა-ზე), სადაც წელიწადში 50 ტონა მოსავალი მოჰყავს. ზაფხულობით საქონელი მიჰყავს საზაფხულო საძოვრებზე - საყორნიას მთასთან - საძოვარ ფაფარაზე. სამომავლოდ გეგმავს ხეხილის ბალების გაშენებას.

ასე, რომ ფერმერებს, რომლებიც მეცხოველეობით არიან დაკავებულნი და თან აგროტურისტულ საქმიანობაში არიან ჩართულნი, აგროტურისტულ აქტივობებად შეუძლიათ სამომავლოდ განიხილონ: საქონლის მწყემსვა, საქონლის მოწველა, რძის პროდუქტების დამზადებაში ტურისტების მონაწილეობა, ზამთრის სანოვაგის გათიბვა, თივის ზვინის დადგმა და ა. შ.

არის შემთხვევა, როცა ფერმერის საქმიანობა მრავალდარგოვანია. მაშინ ჯერ მნიშვნელოვანია, ძირითადი აგროტურისტული ხაზის განვითარება, ხოლო შემდეგ მისი ეტაპობრივი დივერსიფიცირება დამატებითი ტურისტული შეთავაზებების ფორმირებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, თითოეული მათგანის წარმატება მათ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. შესაძლებლობებში იგულისხმება:

გამართული მეურნეობა, უცხო ენისა და საქმის ზედმიწევნით ცოდნა, ტურისტების მომსახურებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება და მერე მისი მორგება პრაქტიკულ საქიანობასთან.

რომ შევაჯამოთ: სამივე მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაფიქსირდა 646 ფერმერი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 400-მა ფერმერმა, აქედან 80 ჩართულია აგროტურიზმში.


320 ფრმერიდან, რომლებიც არ არიან ჩართული ტურიზმში, 244 სამომავლოდ გეგმავს აღნიშნულ ბიზნესში ჩართვას, 32 ვერ ხედავს პერსპექტივას, 44 ფერმერს - წარმოდგენა არა აქვს აგროტურიზმის შესახებ.

კვლევის დროს გამოვლინდა, რომ ტურიზმში ჩართულ ფერმერებს, შეუძლიათ მომხმარებლებს შესთავაზონ: ეკოგარემოში ცხოვრება, ფერმის საქამიანობის გაცნობა, სოფლის ნატურალური პროდუქტი.

მსოფლიოში მსგავსი, პირობების დეფიციტმა განაპირობა, აგროტურებზე გაზრდილი მოთხოვნა. თუ არ ჩავთვლით პანდემიურ სიტუაციას, რისი მიზეზით 2020 წელს, შემცირდა ტურისტების რაოდენობა. რადგან პანდემიის პერიოდში მასიური მოგზაურობა იკრძალებოდა. ამიტომ, პანდემიამდე სიტუაცია შევადარე პანდემიის შემდეგ პერიოდს. აღნიშნული ნაჩვენებია დიაგრამა № 3.10-სა და № 3.11-ზე:

დიაგრამა № 3. 10.

სამივე მუნიციპალიტეტში, 2019 წელს ტურისტების რაოდენობა.



წყარო: ოშურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპაიტეტების ტურიზმის სამსახურის მასალები.

2019 წელს საერთო ჯამში, სამივე მუნიციპალიტეტმა 140 844 ვიზიტორი მიიღო, აქედან 20 535 იყო აგროტურისტი.


საერთო ჯამში, 2021 წელს გურიის რეგიონს სტუმრობდა 43 420 ვიზიტორი, აქედან 8 250 იყო აგროტურიზმით დაინტერესებული ვიზიტორი.

აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარეობს, ბოლო 2 წლის განმავლობაში ტურისტების საერთო რაოდენობა შემცირდა, 97 424-ით, ხოლო აგროტურისტის რაოდენობა 12 285-ით.

აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე მივიღეთ შესაბამისი შეფასებები და დასკვნები, თუ რა უნდა გაკეთდეს რეგიონში აგროტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის.

დიაგრამა №3.11

სამივე მუნიციპალიტეტში, 2021 წელს ტურისტების რაოდენობა.



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ. (გამოყენებულია ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განყოფილებების წარმომადგენელი თანამშრომლების მიერ მოწოდებული მასალები.)

აღნიშნულის გარდა, მნიშვნელოვანია ქვეყნის საერთო მონაცემების განხილვა ტურისტული ნაკადების შესახებ მსჯელობისას. კერძოდ: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2020 წელს საქართველოს ტერიტორიაზე

დაფიქსირდა საერთაშორისო არარეზიდენტი 1.7 მილიონი ვიზიტორის შემოსვლა. 2021 წელს კი 1.9 მილიონის. 2022 წელს - 5.4 მილიონის.

შედეგების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ აუცილებელია ცალკეული მუნიციპალიტეტების დონეზე განხორციელდეს აგროტურიზმის დაგეგმვა და მართვა, რაც უნდა ითვალისწინებდეს შემაფერხებელი ფაქტორების შესწავლას, შესაბამის რეაგირებასა და სამომავლო პერსპექტივების დასახვას.

სამომავლო პერსპექტივები ვლინდება კვლევის შედეგებში, რაც გარკვეულ ვალდებულებებსა და საქმიანობას ავალებს, როგორც ადგილობრივ თვითმმართველობას ისე ფერმერებს. კერძოდ:

- ადგილობრივმა თვითმმართველობამ ფერმერების ჩართულობით, უნდა იზრუნოს აგროტურიზმისა და მისი მომიჯნავე დარგების (სოფლის მეურნეობა, აგრო-წარმოება, ტურიზმი, ინფრასტრუქტურა) განვითარებაზე.
- მუნიციპალიტეტებში მოპოვებული გრანტებისა და პროექტების ამოქმედება-განხორციელებით, ფერმერებს ხელი შეუწყოს საქმიანობის წამოწყება-განვითარებაში.
- იზრუნოს, რეგიონის აგროტურისტული ცნობადობის ზრდასა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.
- ფერმერები ვალდებულია, ხარისხიანი მომსახურება შესთავაზონ სტუმრებს. მოიყვანონ ნატურალურად სუფთა პროდუქტი, ჩართონ ტურისტები ტურის ფორმირების პროცესში. შესთავაზონ მათ ადგილზე აგრო-პროდუქტის შეძენა და დაგემოვნება.

დასკვნა და რეკომენდაციები

სადოქტორო დისერტაციის თემასთან: „აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივები გურიის რეგიონში“ დაკავშირებით, განხორციელდა კვლევა სამი მიმართულებით:

1. გურიის რეგიონში აგროტურიზმის მიმართულებით დასაქმებული პირების შესაძლებლობების გამოკვლევა.

კვლევის შედეგად დასტურდება, რომ გურიის სამივე მუნიციპალიტეტში ოზურგეთში, ჩოხატაურსა და ლანჩხუთში გავრცელებულია (მცირე მასშტაბით) მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა. ფერმერები მისდევენ: მეფუტკრეობას, მეცხოველეობას, ჩაის წარმოებას, მეღვინეობას, მეთხილეობას, აქვთ სატბორე მეურნეობას და ა.შ.

სასურველია, ამ შესაძლებლობების გამოყენება აგროტურისტული საქმიანობის შესაქმნელად. აღნიშნული მიმართულებით, დაინტერესება მოსახლეობაში მეტნაკლებად არის. ამაზე მიუთითებს, შემდეგი მონაცემებიც: სულ გურიის სამივე მუნიციპალიტეტში დაფიქსირებულია 566 ფერმერი (ოზურგეთში - 281, ჩოხატაურში - 110, ლანჩხუთში - 175). აქედან, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 400 ფერმერმა, რომელთაგან 80 ჩართულია აგროტურიზმში.

2. გურიის რეგიონში არაპირდაპირ ჩართული სახელმწიფო სტრუქტურების, ობიექტების საქმიანობის კვლევა, რომლებიც ეხმარებიან აგროტურიზმით დაინტერესებულ ფერმერებს - კვლევაში მონაწილე პირების გადმოცემით, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროცესში ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები თანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მათი დახმარებით, ისინი ახორციელებენ ისეთი პროექტების თანადაფინანსებას, რომლებიც სწავლობს ტურისტულ პოტენციალს, ორიენტირებული არიან ახალი და მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის შექმნაზე. უკვე არის განხორციელებული პროექტის წარმატებული მაგალითებიც.

3. ფერმერების საქმიანობის კვლევა, რომლებიც უშუალოდ არ არიან ჩართული ტურიზმში. ჩვენს მიზანს წარმოადგენდა, იმის დადგენა: ფერმერები გეგმავენ, თუ

არა სამომავლოდ ტურიზმში ჩართვას. ან კიდევ აგროტურიზმს თვლიან თუ არა მომგებიან საქმიანობად.

აღმოჩნდა, რომ უმეტეს მათგანს სურს ტურისტულ საქმიანობაში ჩართვა, მაგრამ აბრკოლებთ შემაფერხებელი ფაქტორები. განსაკუთრებით, კი ფინანსური რესურსების ნაკლებობა, ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, დარგის განვითარებასთან დაკავშირებით ნაკლები ინტერესი და მოტივაცია ადგილობრივი თვითმართველობის მხრიდან.

კვლევის შედეგად შესრულდა დასახული ამოცანები და მიღწეული იქნა მიზანი. ჩამოვაყალიბეთ, თეორიული და პრაქტიკული ხასიათის შემდეგი დასკვნები და წინადადებები:

I. კვლევის შედეგებმა, ცხადყო, რომ აგროტურიზმის განვითარების ისტორია, უკავშირდება საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპებს, რაც დასტურდება უცხოური გამოცდილებითაც. გამოიკვეთა აგროტურიზმის განვითარების სამი ძირითადი მიმართულება:

პირველი მიმართულება დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნებისათვის, სადაც აგროტურიზმი ვითარდება სოფლის-მეურნეობის წარმოების განვითარების პარალელურად.

მეორე მიმართულება ნიშანდობლივია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც საერთაშორისო ტურიზმზე არიან ორიენტირებულნი.

მესამე მიმართულება უკავშირდება ტროპიკულ და განვითარებად ქვეყნებს, სადაც აგროტურიზმი არ არის კარგად განვითარებული, რაც განპირობებულია ტურისტული ინფრასტრუქტურის ჩამორჩენილობით, მომსახურების დაბალი დონით, ბიზნესის წამოწყების ან გაფართოებისათვის ფინანსურ რესურსებზე ნაკლები ხელმისაწვდომობით.

II. სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლის შედეგებმა გვიჩენა, რომ მსოფლიო მასშტაბით, აგროტურიზმის განვითარების ერთანი სქემა არ არსებობს. ზოგიერთი ქვეყანა იყენებს საკანონმდებლო რეგულაციას, ზოგი კიდევ სახელმწიფო პროგრამებს, ან პროექტებს, ან კიდევ წამახალისებელ ღონისძიებებს.

საქართველოს შემთხვევაში შექმნილია კანონი აგროტურიზმის შესახებ. გვაქვს მოლოდინი, რომ დასახელებული კანონი ეტაპობრივად და ორგანიზებულად ამოქმედდება, რაც ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას.

III. აგროტურისტული საქმიანობა ფერმერებს საშუალებას მისცემს სოფლის მეურნეობის პარალელურად განვითაროს ტურისტული სქმიანობაც. დამკვიდრდეს სოფელში, ფერმაში. შედეგად, შემცირება მიგრაციული პროცესები. დაცარიელებული სოფლები შეივსება და გამოცოცხლდება.

IV. კვლევის შედეგებმა აჩვენა, როგორც აგროტურიზმის პოტენციალი რეგიონში, ისე მისი განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები, რაც განპირობებულია, ძირითადად: ფინანსური რესურსების ნაკლებობით, ინფრასტრუქტურის გაუმართაობით, სოფლის მეურნეობისა და აგროპროდუქტების წარმოების დაბალი დონით.

V. აგროტურიზმის მიმართულებით არსებული აღნიშნული პრობლემების მოგვარება შესაძლებელია, შემდეგი ღონისძიებების გატარებით:

➤ რეგიონში, ცალკეული მუნიციპალიტეტის დონეზე, განხორციელდეს აგროტურიზმის დაგეგმვა და მართვა, რაც უნდა ითვალისწინებდეს როგორც ეკოლოგიურ და სოციალურ, ასევე, ეკონომიკური მდგრადობის პრინციპებს.

დაგეგმვა-ორგანიზებაში უნდა მოიაზრებოდეს, აგროტურიზმის ინდუსტრიასთან ერთად ინფრასტრუქტურის განვითარება. ზოგიერთ სოფელში გზა არ არის მოწესრიგებული, არის ნარჩენების გატანისა და გაუვნებელყოფის, კანალიზაციისა და სხვა პრობლემები.

უპირველესად მნიშვნელოვანია, სამეურნეო არეალის გამართულობა და სისუფთავე, ამასთან კაპიტალური სანიტარული კვანძების არსებობა, დასახლებებში განთავსებული უნდა იყოს საინფორმაციო და საგზაო მანიშნებლები ვილების, საცხოვრებელი ადგილ-მამულების, ვენახის ზვრების ან ტურისტული ფერმების მითითებით.

➤ სოფლის მეურნეობის, აგროპროდუქტების საწარმოების აღდგენა-განვითარება უნდა განხორციელდეს ტურიზმის განვითარებასთან კავშირში. კერძოდ, ფერმერებისათვის უფრო მომგებიანი იქნება თუ ისინი გახსნიან საკუთარ მაღაზიებს, საფუნთუშეებს, რესტორნებს, სადაც მათ მიერ მოყვანილი ნატურალური

პროდუქტისაგან დამზადდება სხვადასხვა კერძები, გაიყიდება ნედლი პროდუქტები და ნახევარფაბრიკატები, ვთქვათ, რძის ნაწარმი და სხვა.

➤ ფერმერი ორიენტირებული უნდა იყოს როგორც პროდუქტის რაოდენობაზე, ისე მის ხარისხზე. რისთვისაც აუცილებელია გამართული მეურნეობა, ფერმერის მიერ უცხო ენისა და საქმის ზედმიწევნით ცოდნა, ტურისტების მომსახურებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება და მერე მისი მორგება პრაქტიკულ საქიანობასთან.

აგროტურისტული საქმიანობა საჭიროებს, შესაბამისი პირობების დაცვას: ტურისტი უნდა ცხოვრობდეს ფერმაში, იკვებებოდეს ფერმერის მიერ მოყვანილი პროდუქტით. ზედმიწევნით დაცული უნდა იყოს ჰიგიენისა და უსაფრთხოების ნორმები;

➤ აგროტურისტულ საქმიანობაში ჩართული ობიექტებისათვის, შემოღებული უნდა იყოს მომსახურების ხარისხის განძასხვავებელი ნიშნები, სერტიფიკატის სახით. სერტიფიკატების მოპოვება გათვლილი უნდა იყოს იმ პირებზე, რომლებიც გამოირჩევიან ხელოსნობაში, მეთუნეობაში, კულინარიაში, თანამედროვე და ძველი აგრარული ტექნოლოგიების გამოყენებაში, მიწათმოქმედებაში, მეცხოველეობაში, ან ფერმერებზე რომლებსაც აქვთ ორიგინალური პროდუქცია, გამორჩეული კარმიდამო და ა. შ.

➤ აუცილებელია, მარკეტინგული ღონისძიებების გატარება, რაც გულისხმობს მომხმარებლის ქცევის შესწავლას, მის მოთხოვნაზე ორიენტირებასა და რეკლამის ორგანიზებას.

ფერმერები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სახის პროდუქტებს აწარმოებენ, ამიტომ სარეკლამო საშუალებები მათ საქმიანობაზე უნდა იყოს მორგებული, ისე, რომ მიმზიდველი იყოს ვიზიტორებისათვის. ამ მიზანს ემსახურება, ისეთი ღონისძიებების განხორციელება, როგორიც არის: „აგროტურისტული ფესტივალები”, შესაბამისი ბროშურების გამოცემა, ვებ-გვერდების შექმნა, სარეკლამო განცხადებების გამოქვეყნება და ა. შ.

გარდა ამისა, უნდა დაიხვეწოს პროდუქტის ბრენდირება და შეფუთვა, რაშიც იგულისხმება ფერმის სახელი, ლოგო, იმ ფაქტორის წინ წამოწევა, რომ წარმოებული პროდუქტი ნატურალური და მაღალი ხარისხისხისაა. რეკლამის ორგანიზებისას

ყოველივე ამის წარმოჩენა საჭიროა ტურისტული ობიექტის ცნობადობის გასაზრდელად, რაც თავსი მხრივ განაპირობებს მეტი მომხმარებლის მოზიდვას.

➤ ვიზიტიორთა რაოდენობის ზრდა დადებითად მოქმედებს აგროტურიზმში ჩართული ადგილობრივი ფერმერების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. თუმცა, ამ ზემოქმედებას გააჩნია უარყოფითი მხარე ეკოლოგიური ბალანსის დარღვევის თვალსაზრისით.

მზარდი ტურისტული ნაკადების უარყოფითი ზემოქმედების მაგალითებია: გარემოს დაბინძურება, ნარჩენები, ფიზიკური მოქმედებით ბიოლოგიური მრავალფეროვნების დეგრადაცია. მნიშვნელოვანია, ამ უარყოფითი მხარის გაანალიზება, მისი თავიდან აცილება ან მინიმუმამდე დაყვანა. ტურიზმის მიმართულებებს შორის, აგროტურიზმს ნაკლებად ახლავს გარემოზე უარყოფითი გავლენა, თუმცა აუცილებელია მისი გათვალისწინება.

➤ აგროტურიზმის განვითარებით დაინტერესებული უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობაც.

რეგიონის ადმინისტრაციის მიერ უნდა მოხდეს, სოფლად მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება, თუ რამდენად სასარგებლოა მათთვის და რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის აგროტურისტულ საქმიანობაში ჩართვა.

მათი მხრიდან აუცილებელია, მუდმივი კომუნიკაცია ფერმერებთან. ისინი ადგილზე უნდა გაეცნონ ფერმერების პრობლემებს და დახმარონ მოგვარებაში.

მათი დახმარებით უნდა მოხდეს ფერმერების ინფორმირება და ჩართულობა სასოფლო-სამეურნეო პროექტებში, რომ მიიღონ ფინანსური რესურსი საქმიანობის წამოწყებისა და გაფართოებისათვის.

VI. აგროტურიზმის განვითარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეგიონში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას, რისთვისაც აუცილებელი იქნება მთელი რიგი ღონისძიებების გატარება, რაშიც მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის აქტიური ჩართულობა, კერძოდ:

➤ ვფიქრობთ, მომავალში აგროტურიზმის სფეროში დასაქმებული ფერმერების რიცხვი გაიზრდება, რაც წინაპირობა იქნება დარგის განვითარების.

საამსოდ, აუცილებელია, ფინანსური რესურსების მობილიზება: გრანტებით, პროექტებით, სხვადასხვა სახის ინვესტიციების მოძიებით. აგრეთვე, ადგილობრივი თვითმართველობის მიერ შესაბამისი მხარდამჭერი პროგრამების განხორციელებით, საგადასასახადო შეღავათების დაწესებით, ბიზნესის წამოწყება-განვითარების ხელშეწყობა-წახალისებით.

➤ რეგიონში აღინიშნება რთული დემოგრაფიული მდგომარეობა, რაზეც უარყოფით გავლენას ახდენს მიგრაცია. მიგრაციული პროცესები, გამოწვეულია რთული სოციალური მდგომარეობით, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონითა და დასაქმების მცირე პერსპექტივით.

შრომისუნარიანი მოსახლეობა სამუშაოს საძიებლად, საქართველოს დიდ ქალა-ქებში და საზღვარგარეთ მიემგზავრება. აღნიშნული პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი გზა აგროტურიზმის განვითარებაა. აგროტურიზმი ხელს შუწყობს დემოგრა-ფიული პროცესების გაუმჯობესებას სოფლად და მიგრაციის დონის შემცირებას. ამი-ტომ, აგროტურიზმის განვითარება რეგიონში სცილდება წმინდა ეკონომიკურ ფარგ-ლებს და იმენს სოცილაურ და შეეიძლება ითქვას პოლიტიკურ მნიშვნელობას.

➤ უნდა შეიქმნას აგროტურიზმის ასოციაცია. მათ ფუნქციაში უნდა შედიოდეს: ადგილზე ფერმერების პრობლემების გაცნობა და მათი ინტერესების გათვა-ლისწინება, ფერმერების გადამზადება, გზამკვლევების, ბროშურების, ტურისტული რუკების გამოცემა, რაც ხელს შეუწყობს არსებული მარშრუტების „ჩაის გზა“, „ჩხავერის ისტორია“ პოპულარიზაციას. იზრუნებენ, აგრეთვე, ახალი სპეციალური პროგრამებისა და ახალი მარშრუტების შემუშავებაზე.

➤ სოფლად ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ეკოლოგიური მდგომ-არეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვას, რეკრეაციული ზონებისა და პარკების შექმნას. რაც, უზრუნველყოფს ეკოლოგიურად სუფთა ტურისტული პროდუქტის გამრავალფეროვნებას. მაგალითად, გურიის რეგიონში ასეთი სახის ტურისტული პროდუქტების ნაკრებად შეიძლება იქცეს: კოლხეთის ეროვნული პარკის (იმნათის უბნის) დათვალიერება, კატერით გასეირნება და თევზაობა, იქვე, მახლობლად, სოფელ გრიგოლეთის რომელიმე ფერმერის ოჯახში განთავსება და კვება.

- კარგი იქნება, გურიის რომელიმე მუნიციპალიტეტში ცენტრთან ახლოს მიმდებარე ტერიტორიაზე ძველი გურული ოდის, ეთნოგრაფიული კუთხისა და აგრომუზეუმის, ფანჩატურის მოწყობა. იქვე, მცირე მეურნეობის გამართვა, რაც საშუალებას მისცემს ვიზიტორებს გაეცნონ ძველ და თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და ტექნოლოგიას, გაეცნონ გურიის ისტორიას და ეთნოგრაფიას, მოინახულონ და თავადაც ჩაებან სამეურნეო საქმიანობაში. დააგემოვნონ, ტრადიციული გურული კერძები და უძველესი ჯიშის ღვინოები. მოისმინონ გურული ფოლკლორული სიმღერები, გაერთონ ხორუმის ცეკვის ყურებით;
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებსა და შრომაში, აგროტურისტული მომსახურების ნაირსახეობა მოსავლის აღებას უკავშირდება. ამ თვალსაზრისით პოპულარული კულტურაა ციტრუსი. ციტრუსის კრეფა ხდება ოქტომბერსა და ნოემბერში. ვფიქრობთ, ამ დროს, საინტერესო იქნება, ტურისტების ნარინჯისფერ რთველში მონაწილეობ. იქვე ახლოს უნდა იყოს ციტრუსის წვენების და კომპოტების საწარმოო-გადამამუშავებლი ქარხანა, სადაც ტურისტები გაეცნობიან წარმოების პროცესს, შეიძენენ და დააგემოვნებენ ნაწარმს.
- უნდა მოხდეს გურიის რეგიონისათვის დანახასიათებელი აგროტურისტული მოდელის ჩამოყალიბება-სრულყოფა. რაც უნდა ითვალისწინებდეს: განთავსებას - ფერმაში მდებარე კოტეჯში, სოფლის აგროტურისტული სასტუმროში ან გურული ოდაში. ამას დაემატება ადგილობრივი სამზარეულოს გაცნობა, ტურისტების მონაწილეობა კერძების მომზადებაში და მერე დაგემოვნება. შეთავაზებაში უნდა იყოს კულინარიისა და ორგანული მიწათმოქმედების კურსები. ტურში უნდა შედიოდეს: ფერმერის კარ-მიდამოში ექსკურსია, მოსავლის აღებაში ტურისტების მონაწილეობა. მოსავლის აღებას, როგორც წესი, თან ახლავს ფოლკლორის გაცნობა, ხალხური სიმღერის შესწავლა და მოლხენა.

ვიზიტორებმა საკვებად უნდა გამოიყენონ: მცენარეული და ცხოველური, ეკოლოგიურად სუფთა საკვები. მიირთვან, გურიისათვის დამახასიათებელი კერძები. გაეცნონ ორგანულად სუფთა სიმინდის, კარტოფილის, თაფლის, რძისა და ხორცის პროდუქტების წარმოებას, ადგილობრივი ჯიშის ღვინოებისა და ჩურჩხელების დამზადების ტექნოლოგიას. მარშრუტის დროს, ტურისტებს

შეეძლებათ მოისმინონ: სოფლებში შენარჩუნებული უძველესი, ტრადიციული, გურული სიმღერები, გაეცნონ და შეიძენენ ადგილობრივი რეწვის ნიმუშები: წინდები, ხელთათმანები, ქუდები, ხალიჩები, თავსაფრები, თხილამურები, ხის საოჯახო და მუსიკალური ინვენტარი და სხვ.

➤ **აგროტურისტული მარშრუტების მოფიქრება-სრულყოფა.** ახალი ტურისტული მარშრუტების თვალსაზრისით, ერთი-ერთი გამორჩეული ადგილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფელი ზედუბანია, სადაც გურული ფეოდალების ძველი ნამოსახლარი შეუძლიათ ნახონ ვიზიტორებმა. საუცხოოა ხედი სოფლის გორაკიდან, საიდანაც ჩანს შავი ზღვის მთელი სანაპირო ქობულეთიდან ფოთამდე და მდინარე ნატანების ველი. ადგილი ნაკაშიძეების ნამოსახლარია. ნაკაშიძეები ფეოდალები იყვნენ, რომლებსაც - მთელი ის ტერიტორია ეკუთვნოდათ, რაც სოფლის გორაკიდან მოჩანს, საცხოვრებელი კი ზედუბანში, სწორედ ამ გორაკზე ჰქონიათ. (ნასაკირალის სერზე.)

ნაკაშიძეს მოწყობილი ჰქონდა ხელოვნური გამოქვაბული, რომელსაც სავარა-უდოდ, ღვინის მარნად ან სხვადასხვა პროდუქტის შესანახად იყენებდა. იქვე იყო კუსტარულად დამზადებული ჩაის ფაბრიკა. გამოქვაბულის შესასვლელი გორაკის ჩრდილოეთ მხარესაა მოქცეული და დაუკვირვებელი თვალისტვის შეუმჩნეველია, რადგან მცენარეები ფარავს. შესასვლელი ფართოა, კედლები კი აგურითაა - ამოყვანილი. გამოქვაბული გამოიყენებოდა 1920-იან წლებამდე.

გადმოცემის - თანახმად ამ გამოქვაბულში შენახული ჩხავრის ღვინო მეორე მსოფლიო ომის დროს საჩუქრად გაუგზავნიათ სტალინისთვის. ვფიქრობთ, შესაძლებელია აღნიშნული ადილის განახლება-რესტავრაცია, მცირე მეურნეობის გამართვა - მოწყობა აგროტურისტების მისაღებად.

აგროტურიზმის განვითარება საჭიროებს აგრეთვე მთელი რიგი სხვა ამოცანების გადაჭრასაც, რომელთა შორისაა საკანონმდებლო რეგულირება, ინფრასტრუქტურის შექმნა, დარგის განვითარების ფაქტორებზე მუდმივი მონიტორინგი, ფერმერის მიერ ადგილზე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა, სახელმწიფო ღონისძიებათა დაგეგმვა, დაფინანსება და რეალიზაცია, ადგილობრივი რესურსების პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე თ. (2019). „სოფლად კერძო საკარმიდამოზე ტურიზმის ბიზნესის ორგანიზება და მართვა”, სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო, ბათუმი. მოძიებულია 03.03.2023. <file:///C:/Users/User/Downloads/%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%91%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1.....pdf>
2. „აგროდაზღვევა“, (2014 წ.). სახელმწიფო პროექტები, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მოძიებულია 03.03.2023. <https://mepa.gov.ge/Ge/Projects/Details/16>
3. „აგროტურიზმის საერთაშორისო პრაქტიკა”, მოძიებულია, 15 მარტი, 2021. http://awf.org.ge/wp-content/uploads/2021/03/2-%E1%83%90%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90_online-version.pdf
4. არაბული კ. „ტურიზმის სახეები და ქართული ტურიზმის განვითარების შესაძლო პერსპექტივები”, ჟ. საქართველოს ეკონომიკა, № 5, თბილისი. 2008.
5. აფციაური ა. (2019). „ჩაის გზა, გურიის ახალი ტურისტული შესაძლებლობა”, მოძიებულია 5 დეკემბერი, 2021, <https://at.ge//chais-gza/>
6. ახალბედაშვილი ი. „აგროტურიზმის რეგულირება საზღვარგარეთის ქვეყნებში”, თბილისი, გამომცემლობა, საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი. 2020.

